...ველო ბეჭედია ბაჟ... ბილისი – შიგ ჩაკ... ახში
www.tbilisielebi.ge
№41 (667) 7 – 13 ოქტომბერი ფასი 1,50 ლარი



გვ. 81
რაში დაეხმარა ქართული ტემპერამენტი და მოსკოვური „გრუზინობა“ რუსული „ახალი ხმის“ კონკურსანტს, ნოდარ რევიას

როგორ შექმნა ილია მეორის თხოვნით, მისი მშობლების გვ. 52 პორტრეტი ამერიკაში მოღვაწე გენიალურმა მხატვარმა ვლადიმერ კანდელაკმა

გვ. 72
როდის არის „მთავრობის ჯამბაზი“ ენამწარე, მძიმე ქართლელი და რა ჭორი აუგორეს ვანო ჯავახიშვილს ტაქსისტებმა

როგორ გააკოტრეს ცნობილი მხატვარი ვლადიმერ კანდელაკი საქართველოში და რატომ ადანაშაულებდნენ მას ლონდონში სექსუალურ ძალადობაში

ISSN 1987-569X



გვ. 4
რომელი საათი მიუძღვნა ზვიად ციკოლიამ ალექსანდრე ქართველიშვილს და რა ოცნებები აისრულა მან მარინა ხორავასთან ერთად



გვ. 76
ვინ არიან მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური, ცნობილი კომპანიის – „ცირკ დუ სოლეის“ ქართველი მოცეკვავეები და როგორ მონაწილეობენ ისინი „ვარეკაიში“, რომელიც ყველა კონტინენტზე მოგზაურობს



ვის ნერვებზე თამაშობს ნინო შავგულიძე და რატომ ეჭვიანობს ის ყველაზე და ყველაფერზე
გვ. 21



გვ. 82 როგორ გახდა კახა ჟოხაძე მრავალცოლიანი და მეგობრობენ თუ არა მისი ცოლები ერთმანეთთან

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!


HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
გვანდეთ
თქვენი
იმიჯი!
230 00 30
ქავთარაძის ქუჩა 16
www.hairline.ge



# სამკურნალო ცენტრი „ბურდილაძე"

ორმოცწლიანი ისტორია და ტრადიცია, რომელსაც ექიმი-ფიტოთერაპევტი მაკა ბურდილაძე ღირსეულად აგრძელებს

**სამკურნალო ცენტრი „ბურდილაძე"**

ჩაიტარეთ საჭირო გამოკვლევები და ქირურგიული ჩარევის გარეშე განიკურნეთ თირკმლისა და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებებისგან.
უნივერსალური მცენარეული ნაყენი იძლევა საუკეთესო შედეგს ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, დისბაქტერიოზის, კოლიტის, ცისტიტის, პროსტატიტის, პიელონეფრიტის და სხვა დაავადებების დროს.





როგორ ურევდა ქართველი გლეხი საუკეთესო ღვინის დასაყენებლად ყურძნის სხვადასხვა ჯიშს და რატომ არ სვამდა ის ერთი წლის „ყმაწვილ" ღვინოს





PARTNERS

Ministry of Finance of Georgia | Ministry of Energy of Georgia | Regional Development & Infrastructure of Georgia | Georgian Revenue Service | Georgian Co-Investment Fund | Partnership Fund | Georgian Energy Development Fund | Georgian Chamber of Commerce & Industry

MEDIA-PARTNERS

106,9 FM Fortuna | თბილისელები | Свободная Грузия | The Georgian Times | Business Caucasian Week | Leader Today | Prime Time | Commersant.ge | ვერსია

Georgian Times | www.geotimes.ge

Please Contact: marketing@geotimes.ge

**თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩაზე დიზაინერ მარინა ხორავას „არტ-სტუდია“ მდებარეობს, სადაც უკვე მეორე სეზონია, ადამიანები წარმატებით ეუფლებიან დიზაინერის პროფესიას, გადიან მასტერკლასებს და რაც მთავარია, დიზაინერთან ერთად ძალიან ბევრ საინტერესო თემაზე საუბრობენ. სტუდიაში დიზაინერთან მინიმალურ ფასში ბევრ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იძენენ. „არტ-სტუდიაში“ სულ სამი საგანი ისწავლება: დიზაინერთან მასტერკლასები, რომელიც მოიცავს კომპოზიციების ხატვას, მოდის ტენდენციებსა და ბევრ საინტერესო თემაზე საუბარს. მეორე – ეს არის კონსტრუირება, ანუ კოსტიუმის თარგის აგება. მესამე – ჭრა-კერვა.**

# რომელი საათი მიუძღვნა ზვიად ციკოლიამ ალექსანდრე ქართველიშვილს და რა ოცნებები აისრულა მან მარინა ხორავასთან ერთად

**მარინა ხორავა**: ზოგადად, ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული, ის გარემო პირობებსაც თავად იქმნის. თუ პიროვნებას ძლიერი სული აქვს, მიზანდასახულია, აუცილებლად გააკეთებს საკუთარ წარმოებას. თუნდაც წარმოების არმქონე ქვეყანაში. მე, როცა ეს ყველაფერი გავაკეთე, მაშინ არ არსებობდა საკუთარი წარმოება – იყო ფაბრიკები და უკვე ისინიც იხურებოდა. გარდა ამისა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ტელევიზიაში წამყვანების ჩაცმულობა. ის პერიოდი, როდესაც ყველას ეცვა შავი, შინდისფერი, ყავისფერი, მე შემომქონდა ფერადები. თუმცა, ჭიდაობა მჭირდებოდა, მაგრამ მენდობოდნენ.

**– იმ პერიოდში თბილისი გააფერადე.**

– იმ დროს ამაზე ძალიან ბევრს წერდნენ ჟურნალისტები. მეც სულ ფერადი ვიყავი. ახლა, ალბათ, მომბეზრდა და მუქი ფერებისკენ წავედი. ზოგჯერ ამბობენ: ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაფერისად გაცვიაო – ეს არ არის სწორი. ქვეყანაში როგორი დუხჭირი მდგომარეობაც უნდა იყოს, შენი სულიერი განწყობილება არ უნდა დაუქვემდებარო გარემოს, რადგან ასეთი განწყობა ყალბია. უბრალოდ, ჩვენ „თალხი“ ტიპაჟები ვართ, ამიტომაც იცვამენ ქართველები თალხ ფერებს.



ჩვენ „თალხი“ ტიპაჟები ვართ, ამიტომაც იცვამენ ქართველები თალხ ფერებს

**– შენ არანაირად არ ხარ „თალხი“.**

– არ ვარ „თალხი“ ტიპაჟი, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ფერადოვანი გზებით არ გამივლია. პირიქით, ბევრი ვიწვალე, არც ისე სასიამოვნო მოსაგონარია ჩემთვის ბევრი რამ, ისევე, როგორც სხვა ადამიანებისთვის. მაგრამ, ეს არასდროს აისახებოდა ჩემს ჩაცმულობაზე. დღეს რომ მუქი ფერები მიყვარს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ემოციები შემეცვალა. ადამიანს არასდროს ეცვლება ემოციები და საერთოდ, ადამიანი არასდროს იცვლება. აქედან გამომდინარე, ალბათ, ჩემი მუქი ფერები, ფეხზე – კედები ყოველდღიური ცხოვრების რიტმიდან მომდინარეობს.

**– დიდი ხანია, გიცნობ, არასდროს მინახავხარ დაღლილი, უემოციო, ცუდ განწყობაზე. ამას როგორ ახერხებ?**

– როგორც ჩანს, ძალიან მივეჩვიე ღიმილს და ეს ღიმილი სახეზე მაქვს მიწებებული. თუმცა, ის არასდროს არის ყალბი. მე ადამიანები მიყვარს და არასდროს ვარ იმასთან, ვისთან ურთიერთობაც არ მინდა – ესეც ჩემი ცხოვრების სტილია. ვერავინ მაიძულებს ისეთ რაღაცას, რის კეთებაც არ მინდა და მიმაჩნია, რომ არ უნდა გავაკეთო. ურთიერთობა, მეგობრები ეს ის თემაა, რომელსაც შენ არჩევ. მე ვირჩევ მათ, ვისთანაც კომფორტულად ვგრძნობ თავს. აღარ ვდგავარ იმ რელსებზე, ჩემი დისკომფორტის ხარჯზე შევქმნა კომფორტული გარემო. ჩემს პრობლემებს არასდროს არავის ვახვევ და სულ ვამბობ, სხვა რამეა კულისები და სხვა – სცენა.

**– როგორია მარინა ხორავა კულისებში – სამი მამაკაცის გარემოცვაში, რომლებზეც თავიდან ბოლომდე ზრუნავს?**

– ორი კაცი ჩემი გაზრდილია და ვცდილობ, ისეთები გავზარდო, როგორსაც მე მივიჩნევ საჭიროდ. თუმცა, როცა ისინი გაიზრდებიან ისე გააგრძელებენ გზას, როგორც თავად ჩათვლიან საჭიროდ. ამ ასაკამდე შვილი გაზრდილი უნდა მოიყვანო, ჩამოყალიბებული სტერეოტიპით. ამ დროს ის ქუჩასა და გარემო სამყაროზე დამოკიდებული კი არ ხდება, პირიქით, უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება გადის არენაზე. როცა შვილს აჩენ, არ უნდა გეზარებოდეს მისი გაზრდა. რაც შეეხება ქმარს, სწორედ ისეთია, როგორიც მინდოდა ჩემს გვერდით ყოფილიყო. სანამ ერთმანეთის გვერდით გვენდომება ყოფნა, ერთად ვიქნებით. ჯერ ერთი, ბევრ მთავარ საკითხთან: მორალთან, ხელოვნებასთან, ბავშვების აღზრდასთან, ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს. ოჯახის რაობა ორივეს ერთნაირად გვესმის, აბსოლუტურად თანაბარი ურთიერთობა გვაქვს, ფსევდოკანონები არ გვაქვს: კაცს ეს ეკადრება, ქალს – ეს. ჩვენ ოჯახში არც ერთს არ გვეკადრება ის, რაც არ ეკადრება ჩვენს ოჯახს. ცრუ კოდექსებით არ ვცხოვრობთ, საკუთარი კოდექსები გვაქვს.

**– შენ შვილების, ოჯახის გამო ყველაფერზე თქვი უარი.**

– აბსოლუტურად ყველაფერზე უარი ვთქვი და ამას ჰაერში არ გავუშვებდი. იმისთვის დავაყენე ჩემი თავი უკან, რომ კარგი შვილები, კარგი მეუღლე მყოლოდა და ისეთი ოჯახი მქონოდა, როგორსაც დღეს საზოგადოება ხედავს. მათში ძალიან ბევრი შრომა ჩავდე. ზვიკოშიც ჩავდე შრომა, თუმცა, ამას შრომა არც ჰქვია, რადგან გვერდში უდგავარ ნებისმიერ საქმეში, მამაკაცურად. მე რომ აწყობილი მქონდა საქმე, ის მაშინ იწყებდა. ჭკვიანია და აბსოლუტურად წყნარად, მშვიდად ვუზიარებდი ჩემს გამოცდილებას. ზვიკოც თავის ნებისმიერ პროექტთან დაკავშირებით მეკითხება რჩევას და შემდეგ ითვალისწინებს. მე საქმეში არ ვარ ზვიკოზე არანაირად დამოკიდებული და არც ის არის ჩემზე დამოკიდებული, მხოლოდ რჩევებს ვაძლევთ ერთმანეთს. და, რაც მთავარია, ეს რჩევა ორივესთვის კომპეტენტურია. ის, რომ ჩვენ ერთმანეთი გვყავს საქმეშიც – ესეც ოჯახისთვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, უბრალოდ, ჩვენ ამ კუთხით ერთმანეთი სერიოზულად არ დაგვჭირვებია, რადგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი დიზაინერები ვართ.

> **საკუთარ შეცდომებზე სწავლა მირჩევნია, რადგან სხვისი შეცდომა შენთვის ნაკლებად მტკივნეულია. როცა თავად გეტკინება, მერე აღარ იმეორებ**

**– ზვიკოს შექმნილი აქსესუარების პირველი მომხმარებელი ხარ, თავად თუ ერევი ზვიკოს გარდერობში?**

– ზვიკოს საათები სულ მიკეთია. „ლონჟინის“, „სტარკის“ საათები რომ მქონდა, ვამაყობდი, ახლა გვერდით გადავდე და ციკოლიას საათებს ვატარებ. თან, ვიფერებ, რადგან ჩემი ქმრის არის და, რაც მთავარია, ყველას ძალიან მოსწონს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც, ამერიკაშიც. რადგან ტანსაცმლის ხაზი ჯერ არ მაქვს, იცვამს იმას, რაც მოსწონს. თან, არ არის ჩაცმაზე აქცენტირებული დიზაინერი – იცვამს იმას, რაშიც კომფორტულად გრძნობს თავს. თავადაც სულ თავისი საათები უკეთია. ეს ის სტილია, რომელიც მე მომწონს. განსაკუთრებით ბოლო საათი – „პ-47“, რომელიც ალექსანდრე ქართველიშვილს, მის თვითმფრინავს მიუძღვნა. ყველა საათს თავისი სახელი აქვს: „მოსკვიჩი“, „ვოლგა“, „პ-47“ და ტრანსპორტს უკავშირდება.

**– ზვიკო ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა კიდეც: ვოცნებობდი „მინი-კუპერი“ მყოლოდა და ჩემზე უფროსი ცოლიო. აუსრულდა ორივე ოცნება.**

– კი. ზვიკო საქმეში არ არის სენტიმენტალური, პრაგმატულია და ეს ძალიან კარგია. მე, ქალი ვარ და ზოგჯერ, საქმეში სენტიმენტები გამომერევა. ამის გამო ცხვირიც წამიმტვრევია, მაგრამ, ახლა ძალიან დავჭკვიანდი. ოღონდ, ფატალისტივით ვარ: საკუთარ შეცდომებზე სწავლა მირჩევნია, რადგან, სხვისი შეცდომა შენთვის ნაკლებად მტკივნეულია. ზვიკომ იცის ღირებულებების ფასი და პრინციპულად არ გადაუხვევს. პრინციპულია სიყვარულშიც, საქმეშიც, ოჯახთან მიმართებაშიც. მან იცის, რომ არაფრით არ უნდა გააფუჭოს უფრო მეტად ღირებული, ნაკლებად ღირებულის გამო. სტაბილური ტიპაჟია, კარგად აქვს პრიორიტეტები ჩამოყალიბებული. პირში მითქვამს მისთვის: მე შენნაირი ერთგული და სერიოზული ქმრის შესახებ არსად წამიკითხავს-მეთქი. მას კი უპასუხია: თავში არ აგივარდეს, მაგრამ შენ ადგილზე სხვა ქალი რომ ყოფილიყო, მე ასეთი არ ვიქნებოდი, ეს შენი დამსახურებააო.

**– სულ გქონდათ უცხოეთიდან შემოთავაზებები, მიდიოდით გარკვეული ხნით. ახლა რა ხდება ამ კუთხით?**

– შემოთავაზებები სულ არის და ასეც იქნება. ჩვენი ოჯახი არასდროს არავისზე, არც ქვეყანაზე, ყოფილა დამოკიდებული, გარდა საკუთარი თავისა. ჩვენი შრომით მივაღწიეთ ყველაფერს. ჩვენ ისეთი პროფესია გვაქვს, გეოგრაფია არ სჭირდება. თუ საჭიროება, საქმე მოითხოვს, რომლის გამოც ეღირება ბავშვების საქართველოდან წაყვანა, მაშინ, შეიძლება გადავიდეთ საცხოვრებლად. ეს საქმე ხომ ისევ ჩვენს ქვეყანას ხმარდება – მისი სახელი ჩვენი დახმარებით უცხოეთში არაერთხელ გამხდარა ცნობილი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ძალებით მომხდარა და არა ქვეყნის თანადგომით. „დიდგორი“ ერთადერთი პროექტი იყო, როცა ქვეყანამ ჩათვალა, რომ ეს მის დიზაინერს უნდა გაეკეთებინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმარი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო დიზაინერად მიიჩნევა, ლექციების წასაკითხად იწვევენ, მის ყველაზე წარმატებულ პროექტად მაინც „დიდგორი“ მიმაჩნია.

**ნათია უტიაშვილი**




# სარჩევი

რატომ ვერ ბედავენ ჯავახელები მიხეილ სააკაშვილისთვის საპროტესტო აქციის მოწყობას, რატომ არ იციან სახელმწიფო ენა და რატომ უნდოდათ ვაჰაგნ ჩახალიანისთვის პოლიციელის მკვლელობის დაბრალება ........ 8

რა ცვლილებები განიცადა დავით ნატროშვილის ქონებამ 2007 წელს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილეობიდან 2013 წელს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეობამდე პერიოდში ........ 13

ვინ იყვნენ და რა საერთო ჰქონდათ სემიონ ბუდიონისთან მოსკოვის მერის, სერგეი სობიანინის წინაპრებს ........ 14

„ფორბსის“ ახალგაზრდა ამერიკელი მილიარდერების ტოპ-ათეული ........ 15

ვის გაუხსენებს ძველ წყენას ლადო პაპავა და რას გამოჰყავს ის წყობიდან ........ 16

ადვოკატი გირჩევთ ........ 18

ინტიმური საუბრები ........ 19

არის თუ არა უსაფრთხო ახალგაზრდებისთვის კომპიუტერით სუროგატული სექსი და რატომ არ ნიშნავს საწოლში რაოდენობა კარგ შედეგს ........ 20

რატომ ვერ ელევა კაცი ქალს, რომელსაც ის აღარ უყვარს და რას აკეთებს მის შესანარჩუნებლად ........ 22

უკრაინაში ავტოკატასტროფაში დაღუპული 25 წლის ბიჭის ერთადერთ შვილს ქუთაისში მცხოვრები მამიდა მოლდოვეთში ეძებს ..... 23

როგორ ურევდა ქართველი გლეხი საუკეთესო ღვინის დასაყენებლად ყურძნის სხვადასხვა ჯიშს და რატომ არ სვამდა ის ერთი წლის „ყმაწვილ“ ღვინოს ........ 24

თბილისის რომელ სასტუმროში ჰქონდა თვითმკვლელობის პირველი მცდელობა სერგეი ესენინს, სად იყო გაჩერებული თბილისში სტუმრად მყოფი ჯონ სტაინბეკი და რომელი სასტუმროს ფოიე მოხატა ლადო გუდიაშვილმა ........ 25

როდის ეკისრება მევდელს ეკლესიის მხრიდან სასჯელი და როგორი ქალის ცოლად შერთვის უფლება არ აქვს სასულიერო პირს ........ 26

„ბარსელონის“ რომელი ვარსკვლავი თამაშობდა ფეხბურთს სალვადორ დალისთან ერთად და ვის ჰქონდა ყველაზე ტრაგიკული ბედი ესპანურ ფეხბურთში ........ 28

როგორ დაკარგა ლიანა ისაკაძემ ნახევარმილიონიანი ვიოლინო და როგორ გადარჩა ის ხორცსაკეპ მანქანაში კატლეტივით გატარებას ........ 32

როდის მეორდება ფაქტები ადამიანების ცხოვრებაში და არის თუ არა სიზმარი ჩვენივე ბედის ანარეკლი....34

სად გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ავსტრალიელმა ვარსკვლავმა რასელ ქროუმ და რომელი ტერორისტული ორგანიზაცია აპირებდა მის გატაცებას................36

როგორ გამოიყენა სტალინმა ადოლფ ჰიტლერი ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ........ 37

როგორ გავწმინდოთ საცხოვრებელ ბინაში დაგროვილი დაბინძურებული აურა ........ 38

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 49

ვინ იყო „ცაცია“, რომელიც საბჭოთა შავი სამყაროს შეცვლას ცდილობდა ........ 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ........ 53

ვეტერინარის რჩევები ........ 58

ფლორის სამყაროში ........ 58

რატომ მოკლა მამაკაცმა ცოლი და მისი გარე ბიძაშვილი და სად ჩაუსაფრდა ის მეორე მსხვერპლს მთელი ღამის განმავლობაში ........ 59

ქურდული ცხოვრება ........ 60

სერიული მანიაკები ........ 68

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რას ეპატიება იუპიტერს

## პატიოსნების პატრიარქალური ხიბლი

თუმცა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა გამოკითხვა მაის-ივნისში ჩაატარა, რათა **ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება გაერკვია ზოგიერთი აპოლიტიკური საკითხისადმი**, შედეგები სულ ახლახან შევიტყვეთ.



კერძოდ, **აწ უკვე ვიცით, რომ ჩვენში** (გამოკითხულთა) **63 პროცენტისთვის მიუღებელია, რომ ქალს ქორწინებამდე ჰქონდეს სექსი**, მისაღებად მას მხოლოდ 10 პროცენტი მიიჩნევს, ხოლო **23 პროცენტი არც იქითაა, არც აქეთ** – გააჩნია, რა შემთხვევაშიო.



**მამაკაცებისადმი საზოგადოებრივი აზრი გაცილებით ლოიალურია**. კერძოდ, **ქორწინებამდე მამაკაცის მიერ ინტიმური ურთიერთობის დამყარებას გამოკითხულთა 52 პროცენტი უჭერს მხარს**, 17 პროცენტი წინააღმდეგია, ხოლო **ვერსიაზე – გააჩნია, რა შემთხვევაშიო, – 27 პროცენტია.**

მეორე მხრივ, თუკი სექსის საკითხში თავისუფლებას ანიჭებს, **51 პროცენტისთვის გრძელთმიანი მამაკაცია მიუღებელი,** 17 პროცენტი ამ ფაქტს სავსებით მშვიდად ხვდება, **29 პროცენტი კი ალაგ-ალაგაა თანახმა**.

უფრო მკაცრია დამოკიდებულება **საყურიანი მამრებისადმი: 71 პროცენტისთვის** ეს **კატეგორიულად მიუღებელია**, 12-სთვის – „რატომაც არა," თუმცა, 17 პროცენტი კვლავ შუაშია (**თუ უხდება, ჯანდაბას, ეკიდოსო).**

ბუნებრივია, **კაცია და გუნება**, თუმცა, **თუ მწერლის ფრთიან ფრაზას გავიხსენებთ, ურუქში ისეთი პატიოსანი ქალები ცხოვრობდნენ, ლამის თავიან ქმრებს ეუბნებოდნენ უარსო.** ამ გამოკითხვას ის კითხვაც არ აწყენდა, რომლის პასუხია: **წესიერ ქალს სექსი არც გათხოვების შემდეგ შეშვენისო**.

# უცოდინარი ბელადი

თავდაპირველად, პრ. პუტინის კანდიდატურა ნობელის მშვიდობის პრემიაზე რუსეთის სახელოვნებო წრეებმა წამოაყენეს. მოგვიანებით, მათ **სულიერი ერთობისა და მსოფლიო ხალხთა თანამშრომლობის საერთაშორისო აკადემიაც შეუერთდა,** რამეთუ, **ორივენიცა მიიჩნევენ, რომ ვლადიმირ ვლადიმირის ძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის სირიის კონფლიქტის მოგვარებაში.**



თუ გავიხსენებთ, რომ **ხსენებული საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ჩვენებური სეპარატისტი ბესლან კობახიაა**, მისი **მოტივაცია მარტივად გასაგებია** (ჩვენ ჩვენ-ჩვენი მამა-მარჩენლები გვყავს). თუმცა, **მის გარდა,** ჩვენი სეპარატისტული აფხაზეთიდან **პრ. პუტინისთვის ნობელის პრემიის დაკიდების თხოვნას ტარას შამბაც აწერს ხელს, ზედაც, თანავარსკვლავედს იოსიფ კობზონიც ამშვენებს.**

## ანუ, „კოკობო, ვარდო..."

სახელდობრ, ბ-ნი კობახია ბრძანებს, რომ **ნობელის მშვიდობის პრემიის მინიჭება განა პრ. პუტინისთვის, თავად პრემიისთვისაა ჰაერივით აუცილებელი**. მომყავს ციტატა: **„პუტინისთვის ამ პრემიის მინიჭება ამ ნომინაციას დაუბრუნებდა ძველ ავტორიტეტს, რომელიც შეერყა იმის გამო, რომ ის ბევრმა ულირსმა ადამიანმა მიიღო."** იქვე კი **დასძენს, რომ ეს წარდგინება ვლადიმირ ვლადიმიროვიჩის უჩუმრად ჩაიდინეს.**

ჩვენ არ ვიცით, **ვის გულისხმობს „ულირსებში" ბ-ნი კობახია** (მაგრამ, ვიცით, რომ **ნობელის მშვიდობის პრემიის მფლობელი ბარაკ ობამაა)** და არც ის, **რას გადაწყვეტს ნობელის პრემიის კომიტეტი (ანუ, გაუგორებს თუ არა წითელ კოჭებს რფ-ის პრ.-ს),** თუმცა, **აი, ის კი ზუსტად ვიცით, რომ ბელადს არ სცოდნია**.

# ვინ – ვის?!

მართალია, **მავთულხლართებს კვლავ ავლებენ** (იმ მარტივი მიზეზით, რომ მხოლოდ ჩვენი წონისას თუ მოერევა ეს ჩვენი სუპერდერჟავობაზე მეოცნებე ჩრდილოელი მეზობელი) და **სულიც ნავთობითა და გაზით უდგათ** (ალმას-ოქრო-ვერცხლზე აღარ შევჩერდები), თუმცა, **აღმოჩნდა, რომ 2013 წელს, 1982 წლიდან პირველად, აშშ-მა რუსეთს ბუნებრივი გაზის წარმოებით გაუსწრო –** .



შესაბამისად, **აშშ-მა ნავთობისა და გაზის იმპორტი 15 და 32 პროცენტით შეამცირა.** ერთი ისაა, რომ **ჩვენებური სეპარატისტების რფ კვლავ უსწრებს ამ ჩვენს აშშ-ს ნედლი ნავთობის წარმოებაში**, ოღონდ, **არც ისე ძლიერ, რომ გული შეგვიქანდეს** (აშშ-ს მოპოვება რფ-ს დღიურ მოპოვებას 900 000 ბარელით ჩამორჩება).

## ანუ, „ჩემი პარტნიორი შენსას სჯობია"

ამასობაში კი, **რფ-ს ბიუჯეტის 40 პროცენტს ნავთობისა და გაზის გაყიდვით შემოსული შემოსავლები ავსებს**, თუმცა, **2015 წლისთვის რუსული გაზ-ნავთობის ექსპორტი 25-30 პროცენტით დაიკლებს**, რაც რფ-ს **მთლიან შიგა პროდუქტს 100 მილიარდი აშშ დოლარით შეამცირებს.**



ჩვენ არ ვიცით, **სახელდობრ, ჩვენ რით ვიხეირებთ, აშშ-ის მიერ ბუნებრივი გაზის მოპოვების მაჩვენებლის გაზრდით**, მაგრამ, რაკი აშკარაა, რომ **ჩვენი ფალავანი ჩვენი სეპარატისტების ფალავანზე უკეთ გამოიყურება** (თან, ჩვენსას უკვე ჰკიდია ნობელის მშვიდობის პრემია ), **თუ მთლად მავთულხლართებს ვერ ავალებინებთ, იმით მაინც მოვუგებთ ნიშნს**, რომ **„ჩემი** სიდედრი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **პარტნიორი) შენსას სჯობია**..."


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – **ნინო ხაჩიძე,** ჟურნალისტი – **თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე**
დაიჯესტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე**
სპორტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა ახობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტები: **ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე**
მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: **გუგა ახობაძე**
ოფისმენეჯერი: **ინგა კერვალიშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჟავანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: **239-25-52;** 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: **593 38-75-61; 239-23-53**

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"

ვებ-გვერდი: **www.tbiliselebi.ge**
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# სირცხვილითა სირცხვილისა დამთრგუნველნი

## „ბავშვები ჩვენი ყვავილებია“

მართალია, **თავი მოგვწონს, რაკი ამ მზის ქვეშ 3 000 წელია, ვარსებობთ,** მაგრამ, სტატისტიკა მოწმობს, რომ **მთლად საყელყელაოდაც არ გვქონია საქმე.**



კერძოდ, **ჩვენს ამ სამყაროსავით ძველ ქვეყანაში ძალადობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია** და, მათ შორის, **ბავშვების მიმართაც**. ამ თუ სხვა მიზეზით, **საქართველოს პარლამენტი კანონპროექტს იხილავს**, რის მიხედვითაც, **ბავშვზე ძალადობის ფაქტების შესაბამისი ორგანოებისთვის მიწოდება სავალდებულო ხდება,** ხოლო**, თუ არ მიაწოდებთ, დაისჯებით.**

ამ ჩვენს **ტრადიციულ ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული ფსიქოლოგიური ყოფილა** (მისი მსხვერპლი ბავშვთა 59 პროცენტია), **ფიზიკური ძალადობა მეორე ადგილზეა** (მისი მსხვერპლი ბავშვთა 54 პროცენტია), **სექსუალურ ძალადობას კი ბავშვთა 8 პროცენტი განიცდის.**

ჩვეულებისამებრ, **სპეციალისტთა აზრი ორადაა გაყოფილი**: ერთნი ამბობენ, რომ **კანონის გამკაცრება მისასალმებელია,** მეორენი კი ამტკიცებენ, **რომ საქმე არც ისე მძიმედაა, რომ საკანონმდებლო დონეზე გადავწყვიტოთ** და **ყოფით დონეზე ვერ მოვერიოთ.**

უფრო მეტიც, **მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ, რომ კანონის მიზანი აშშ-სა და ევროპაში გავრცელებული პრაქტიკის შემოპარებაა**, რის მიხედვითაც, **შესაძლოა, მშობელი ბავშვისთვის ნარკოტიკისა და პორნოგრაფიული ლიტერატურის არმიწოდების გამო დაისაჯოს** (თუმცა გაუგებარია, რა კავშირია პორნოგრაფიული ლიტერატურისთვის ფართო გზის გახსნასა და ბავშვის ცემისა და დამცირებისგან დაცვას შორის). ასეა თუ ისე, კანონპროექტის **ოპონენტები წინასწარმეტყველებენ, რომ, შესაძლოა, ერთ დღესაც, სრულიად საზოგადოება დაირაზმოს ლოზუნგით: წინააღმდეგი ვარ, რომ ჩემმა შვილმა მიჩივლოს** (არადა, თუ უპრაგონოდ ვუბრაგუნებ, ვითომ, რატომ არ უნდა მიჩივლოს?!)! შესაბამისად, **დაფიქრებისკენ მოგვიწოდებენ, რომ არ შევრცხვეთ.**

თუმცა, ლოგიკურად იბადება კითხვა: **იმის რატომ არ გვრცხვენია, ბავშვების მიმართ ძალადობა რომ ასეთი მასობრივია?!**

# გადამფრენი

## „მაღლა-მაღლა რას დაფრინავ...“

თუმცა **პასიურობას ვერც ადრე დავწამებდით, რაც მცირე დრო რჩება, მით მეტად აქტიურდება**. ოღონდ, თუ მისი ბოლოდროინდელი განცხადებებით ვიმსჯელებთ, **პარტნიორსაც ეძებს** (აქტიურობაში, რასაკვირველია).

კერძოდ, **საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოსვე პრემიერ-მინისტრს (**არადა, არის ამაში რაღაც მისტიკური: **ორივენიცა მიდიან, იმ განსხვავებით, რომ ერთს ვადა ეწურება და დარჩენა უნდა; მეორეს კი დარჩენა ეკუთვნის, მაგრამ წასვლა ურჩევნია)** შესთავაზა, **ერთად შემოვუფრინოთ მთელი საქართველოს სანახებსო** (მართალია, პრეზიდენტმა თქვა, მთელიო, მაგრამ, ფაქტი ჯიუტია: სულაც თმის ღერებზე რომ დავდგეთ, რაც დე-ფაქტოდ დაგვრჩა, იმას ვერ გავცდებით, ვერც ცად და ვერც დედამიწად – ).



**დუეტში ფრენა კი ამ ჩვენს პირველ პირს იმიტომ განუზრახავს, რომ პრემიერ-მინისტრს ზემოდან დაახედოს განხორციელებული პროექტებისთვის** (ანუ, შემოფრენით მაინც სულ სხვაა).

**მარშრუტიც მოხაზა და სატრანსპორტო საშუალებაც დააზუსტა**: ისინი **თბილისის** საერთაშორისო **აეროპორტიდან ფრანგული ვერტმფრენით აფრინდებიან** (აი, სამხედრო რომ არის და ბ-ნმა სააკაშვილმა სამოქალაქოს საფრაქვეშ რომ შეიძინა პრ. პუტინის გასაცურებლად), **გადაუფრენენ თბილისის შემოვლით რკინიგზას** და **პირდაპირ ქუთაისს შეაფრინდებიან** (რათა პრემიერმა დაინახოს, თუ რა წარმტაცად ერწყმის პარლამენტის ახალი შენობა ქუთაისის შემოგარენს, ვინძლო, გადაიფიქროს მისი თბილისში გადმოტანა); **თვალს წყალტუბოსაც ჩაჰკრავენ და მესტიასაც**. ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობასაც შემოუფრენენ, ხოლო **ბოლოს მზერას ღრუბლებიდან ლაზიკა-ანაკლიასაც მოავლებენ.**

ჩვენ არ ვიცით, **შეუდგენს თუ არა პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს კომპანიას მშობელი სანახებისთვის ღრუბლებიდან დასახედად**, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **ამ ცოდვილ მიწაზე 9-წლიანი მმართველობის შემდეგ არც ღარიბებს ვუჩივით და არც მშიერ-მწყურვალებს,** ბუნებრივად იბადება შემხვედრი აღმაფრენა: **„მაღლა-მაღლა რას დაფრინავ, დაბლა იარე...“** –

# „შენი იყო, ახლა ჩემია“

## „ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელები“

**იმ** მარტივი ფაქტის (თუმცა, რაღა ფაქტის, **ტრაგედიის) გათვალისწინებით, რომ რფ-მ 2008 წლის 26 აგვისტოს დამოუკიდებლად აღიარა ეს ჩვენი აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი**, მოსალოდნელი იყო, რომ, **ადრე თუ გვიან, „საზღვრის“ დელიმიტაცია-დემარკაციასაც დაიწყებდნენ.**

**ასეც მოხდა და ოკუპანტებმა მავთულხლართების გავლებაც დაიწყეს**, ბუნებრივია, **იმ ხაზზე, რომელიც საბჭოთა დროს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“ გასდევდა.** ამის პარალელურად, **ლოგიკურია, რომ იმავეს აფხაზეთის მიმართულებითაც ჩაიდენენ** და, **ქართლის გარდა, სამეგრელოსაც წაეტანებიან.**



ბუნებრივია, **ამ ამბებს საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა** (ან კი, რა გული მოუთმენდა მთავარსარდალს?!) და ბრძანა, რომ ოკუპანტების მიზანია, „**მავთულხლართებში მოაქციონ სტრატეგიული ბაქო-სუფსის ნავთობსადენი ისევე, როგორც, ბოლო ინფორმაციით, სამწუხაროდ, ამ გეგმებშივე არის განმუხურისა და სამეგრელოს სხვა ადგილების მოქცევა, რომლებიც არის ენგურის იქით.“** აქედან გამომდინარე, გვთავაზობს, ჩვენ რა, **ხელისუფლებას სთავაზობს: „ახლა დროა, ძალიან საშიში ანექსიის თავიდან ასაცილებლად ყველამ ერთმანეთს ჩაჰკიდოს ხელები**“.

მეორე მხრივ, **ამის** (ანუ, იმის, „საზღვრით“ რომ შემორაგავდნენ აღიარებულ ტერიტორიებს) **წინასწარმეტყველებას დიდი ნოსტრადამუსობა არ სჭირდებოდა**. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ, **სახელდობრ, პრეზიდენტიც და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერებიც გვარწმუნებდნენ, არასდროს ვყოფილვართ ისე ახლოს საქართველოს გამთლიანებასთან, როგორც რფ-ის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარების შემდეგ მივედით**, ამ ლოგიკით, გამოდის, რომ **მავთულხლართების გავლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დამაგვირგვინებელი აქტია**.

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ვაჰაგან ჩახალიანი ციხიდან ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა, სადაც იარაღის უკანონოდ შენახვის გამო იხდიდა სასჯელს. საკუთარ თავს პოლიტპატიმრად და სააკაშვილ-მერაბიშვილის რეჟიმის მსხვერპლად მიიჩნევს, თავის მხრივ, პრეზიდენტი ვაჰაგან ჩახალიანს ექსტრემისტს უწოდებს და მის ციხიდან გათავისუფლებას ხელისუფლების მიერ ექსტრემიზმის წაქეზებად აფასებს. რატომ გაირბინა შავმა კატამ „ერთიანი ჯავახეთის – დემოკრატიული ალიანსის“ ხელმძღვანელსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის და რატომ აღმოჩნდა ის გისოსებს მიღმა? – ამ შეკითხვებზე პასუხს ვაჰაგან ჩახალიანი თავად გასცემს.**

# რატომ ვერ ბედავენ ჯავახელები მიხეილ სააკაშვილისთვის საპროტესტო აქციის მოწყობას, რატომ არ იციან სახელმწიფო ენა და რატომ უნდოდათ ვაჰაგან ჩახალიანისთვის პოლიციელის მკვლელობის დაბრალება



**როგორც კი ვთქვი, არ მინდა „ნაციონალური მოძრაობა“, გავხდი ექსტრემისტი**

**– რადგან ხაზს უსვამთ, რომ პოლიტპატიმარი ხართ, თქვენი ვერსიით, რატომ დაედო პოლიტიკური სარჩული თქვენს საქმიანობას?**

– ჩემი დევნა 2006 წლის სექტემბერში დაიწყო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, წინასაარჩევნო კამპანიისას და უფრო და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

**– რატომ დაიწყო ეს დევნა?**

– 2006 წლამდე ჩვენი ორგანიზაციის მოთხოვნები ხელისუფლებისთვის არ იყო ექსტრემისტული და რადიკალური, პირიქით, მისაღები იყო, მაგრამ 2006 წლიდან მიუღებელი გახდა.

**– იქნებ გვითხრათ, რა მოთხოვნები გქონდათ, რომ მკითხველმა თავად შეაფასოს, რადიკალური იყო თუ მისაღები?**

– შევარდნაძის დროს ჯავახეთის სკოლებში ისწავლებოდა სომხეთის ისტორია, სააკაშვილმა აკრძალა; შევარდნაძის დროს ისწავლებოდა სომხური ლიტერატურა, სააკაშვილმა აკრძალა; სომხურ სკოლებში სომხური ენა კვირაში 4-ჯერ იყო, სააკაშვილმა მინიმუმამდე შეამცირა.

**– შევარდნაძის დროს ქართული ენა რამდენჯერ ისწავლებოდა კვირაში?**

– კვირაში სამჯერ და სააკაშვილის დროს გაიზარდა.

**– თუმცა, დამეთანხმეთ, ძალიან ცუდია, რომ მე და თქვენ, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებს, არათუ სახელმწიფო ენაზე გვიჭირს კომუნიკაცია, საერთოდ, არ გვაქვს საკომუნიკაციო ენა და გაჭირვებით ვაგებინებთ ერთმანეთს სათქმელს.**

– ეს სხვა თემაა და ამასაც შევეხებით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია და ჩვენი ბრალი არ არის, რომ ქართული ენა არ ვიცით.

**– მე თქვენ არც გაბრალებთ, ფაქტს აღვნიშნავ მხოლოდ.**

– ჯავახელების ბრალი არ არის, რომ ქართულს ვერ ფლობენ. ასეთი პოლიტიკა ტარდებოდა 70 წლის განმავლობაში და არა მხოლოდ საქართველოში, მთელ ყოფილ საბჭოთა სივრცეში, როდესაც კომუნისტური იდეოლოგია დასრულდა, მისი ადგილი დაიკავა ნაციონალისტურმა იდეოლოგიამ. ვიცით, ამ ოც წელიწადში, რამდენი ორმხრივი შეცდომა იქნა დაშვებული, თუმცა შევარდნაძის პერიოდშივე დაიწყო ნელ-ნელა სტაბილიზაცია, დაიწყო ქართული ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროცესი.

**– იმის თქმა გინდათ, რომ ენის შესწავლისა და ინტეგრაციის პროცესი 2003 წლიდან შეწყდა?**

– გაგრძელდა, მაგრამ ერთია, როდესაც ფიარს აკეთებ, ამერიკიდან მიღებული ფულით ვითომ მოსახლეობას ასწავლი სახელმწიფო ენას და, მეორე, რომ რეალურად ეს ფული ჰაერში მიდის და სხვა დანიშნულებით იხარჯება. რომ შემდეგ თქვა: ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ ამ ხალხს არ უნდა ქართულის სწავლა, რაც ტყუილია. მაშინ ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი კიდეც: მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ და ცენტრს არ უნდათ, ვისწავლოთ ქართული და ყველაფერს აკეთებენ, რომ არ ვისწავლოთ, იმიტომ რომ თავიანთი დისკრიმინაციული პოლიტიკა გაატარონ ეთნიკური უმცირესობებისადმი-მეთქი. ისინი ამბობდნენ: ეთნიკურმა უმცირესობებმა არ იციან სახელმწიფო ენა და ამიტომ ვერ დავნიშნავთ სახელმწიფო თანამდებობებზე, ვერ ჩავრთავთ ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ეს იყო ტყუილი და ფარსი.

**– თუმცა ჩვენ გვინახავს არა ერთი კადრი, როდესაც პრეზიდენტი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან ერთად ჩამოდიოდა ჯავახეთში და ადგილობრივი მოსახლეობა ფრიად მრავალრიცხოვან დახვედრებს უწყობდა.**

– მაგრამ რის ფასად?!

**– რის ფასად?**

– დიდი დრო არ არის გასული და გვახსოვს, რა შიში არსებობდა საქართველოს მოსახლეობაში, ყველაზე დიდ ქალაქში დედაქალაქშიც კი, რომელიც პოლიტიკურად უფრო მომზადებული და ინფორმირებულია, არათუ ამ პატარა კუთხეში, რომლის მიმართაც უკვე რამდენი წელიწადია, შავი ფიარი მიდის, რომ აქ ცხოვრობენ რადიკალები და სეპარატისტები.

**იყო დღე, როცა ციხეში დამითვლია 4 გვამი, ამიტომ არ მჯერა ოფიციალური სტატისტიკის, გაცილებით მეტია დაღუპული ციხეში. რამდენჯერმე მეტი**

**– შიშის გამო ხვდებოდით ჯავახელები პრეზიდენტ სააკაშვილს?**

– რა თქმა უნდა, მართალია, „ქართული ოცნების“ ძალისხმევით ნახევარზე მეტი გათავისუფლდა ამ შიშისგან, მაგრამ მაინც რჩება შიშის ფაქტორი. დღემდე ფრთხილად ვიქცევით, იმიტომ რომ, თუ შუქი არ არის და ჩვენ ვიტყვით, რატომ არ არის შუქი, ეს აღიქმება, როგორც ექსტრემისტული მოთხოვნა. დღეს სააკაშვილი დადის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ბათუმში, თბილისში, ზუგდიდსა თუ ქუთაისში მას უწყობენ საპროტესტო აქციებს და საზოგადოება ამას ნორმალურად აღიქვამს. სააკაშვილი 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე იმდენჯერ არ ჩამოსულა ახალქალაქში, რაც 2013 წლის 24 იანვრის შემდეგ ჩამოდის, ჩვენს ხალხშიც არსებობს დიდი პროტესტი, მაგრამ აქციებს ვერ ვაწყობთ, რომ ექსტრემიზმად არ იქნას აღქმული. არადა, პროტესტის გამოხატვის უფლებას კანონი საქართველოს ყველა მოქალაქეს აძლევს და, მათ შორის, ჯავახელსაც აქვს, მაგრამ ჩვენ არ ვაწყობთ ამ აქციებს, რადგან წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა ფიარს, რომ ჯავახეთში ცხოვრობენ ჩვენი სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი ადამიანები და ელიან შესაფერის სიტუაციას, რომ ზურგში დანა ჩაგვარტყანო.

**– თქვენს მოთხოვნებზე ვსაუბრობდით.**

– 2006 წლამდე ყველაფერი ნორმალურად იყო. ჩვენ ვამბობდით, რომ ჯავახეთში სომხური ენის ბაზაზე უნდა გახსნილიყო უნივერსიტეტი, რომ ჯავახელ სომხებსა და ქართველებს ესწავლათ, რაც მომავალში მათ ინტეგრაციაში დაეხმარებოდათ.

**– და სომხურ ენაზე უმაღლესი განათლების მიღება ინტეგრაციას როგორ შეუწყობს ხელს?**

– ინგლისურად ხომ იღებენ განათლებას? მაშინ ის განათლება რად უნდათ?! ჩვენ, ეროვნებით სომეხმა საქართველოს მოქალაქეებმა, გვინდა, ვისწავლოთ სომხურადაც, იმიტომ რომ არსებობს შიში, რომ ჩვენ შეიძლება, დავკარგოთ ჩვენი ეთნიკური სახე, კულტურა, რელიგია.

**– მე ჩემს აზრს გეტყვით, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეუწყობს ხელს სხვა ქვეყნის მოქალაქის აღზრდას. მოქალაქე კი აღიზრდება სასწავლო დაწესებულებაში.**

– მაგალითად, ლიბანში სომხები 0,5 პროცენტია მოსახლეობის და იქ არსებობს სომხური უნივერსიტეტი. რას უშლის ეს ხელს და ყველაზე მთავარი: რა არის ამაში ექსტრემისტული?! 2006 წლამდე ყველა თანამდებობის პირი, გოგა ხაჩიძე თუ სხვები, ვინც დაკავშირებული იყო ჩვენს რეგიონთან, გვპირდებოდა, რომ აუცილებლად გაიხსნებოდა ქართულ-სომხური უნივერსიტეტი, ჩვენ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთო. როდესაც სომხეთის პრემიერ-მინისტრი მარაგარიანი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი შეხვდნენ ერთმანეთს, ორივემ განაცხადა, ეს თქვენი უფლებაა და აუცილებლად უნდა გქონდეთ თქვენი უმაღლესი სასწავლებელიო. მაგრამ 2006 წელს ოპოზიციაში გადავედით და გავიმარჯვეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ახალქალაქში 67,3 პროცენტი მივიღეთ, კენჭს ვიყრიდით პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოდან“. სოფლებში უფრო მეტი მხარდამჭერი გვყავდა, მაგრამ სოფლებში ურნები მასობრივად გაიტაცეს, ზოგან დაიკარგა. მაგალითად, ერთი სოფლიდან, რომელიც ახალქალაქიდან 8 კილო-




მეტრშია, სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა საარჩევნო ურნა. მაშინაც არ ვიყავი ექსტრემისტი, მაგრამ, როგორც კი ვთქვი, არ მინდა „ნაციონალური მოძრაობა“, გავხდი ექსტრემისტი.

**– გთავაზობდნენ „ნაციონალურ მოძრაობაში“ გაწევრიანებას?**

– არა მარტო, სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნას.

**– და რატომ არ დათანხმდით?**

– ჩვენ ვუთხარით, რომ მიუღებელი იყო ჩვენთვის, რა ფორმითაც მართავდნენ ჩვენს რეგიონს. ჩვენ ვიყავით საინფორმაციო ვაკუუმში და, სანამ არ დამიჭერდნენ, არც კი ვიცოდი, რომ მსგავსი რაღაცეები საქართველოს სხვა რეგიონებშიც ხდებოდა. ჩვენ გვეგონა, მხოლოდ ჩვენთან ხდებოდა ასე, სამწუხაროდ, დღესაც საინფორმაციო ვაკუუმში ვართ.

**– თქვენ როგორ დაგიჭირეს?**

– ეს არასდროს მითქვამს: 2008 წლის 18 ივლისს ჩემთან მოვიდა ჩემი ახლობელი და მითხრა, რომ ჩემს დაკავებას გეგმავდნენ და ჩემთვის უნდა წაეყენებინათ ბრალი პოლიციელის მკვლელობის გამო. მითხრა ჩემი დაკავების დღეც, 20 ივლისი და საათიც. მადლობა ვუთხარი ინფორმაციისთვის, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერე: რატომ უნდა მომკვდარიყო პოლიციელი და რატომ უნდა დამბრალებოდა ეს მე. იმ დღეს, 18 ივლისს, ჩვენს მთავარ ოფისში ჩაატარეს ჩხრეკა. 20 ივლისს ჩემი ორგანიზაციის წევრებთან ერთად წავედი სოფელ განძაში შეხვედრაზე. იქ დაირხა ხმა, რომ ახალქალაქთან, მიტოვებულ შენობაში მოკლეს პოლიციელი არმენ გაბრიელიანი. განძაში ბევრი ხალხი იყო, თანამდებობის პირები ერევნიდან, მინისტრები, სააკაშვილის მრჩეველი ვან ბაიბურით, დეპუტატები. იმ ღამესვე შეცვივდნენ ჩემს სახლში ჩხრეკაზე. თუმცა ჩემი ცოლ-შვილი გავხიზნე ცოლის მშობლებთან. ყველას დაგვადეს ხელბორკილები და გვითხრეს, თვალები დახუჭეთო. 2 წუთის შემდეგ გაგვახელინეს. ჯერ ჩემი უმცროსი ძმის საწოლში აღმოაჩინეს „კალაშნიკოვი“, შემდეგ მამაჩემის საწოლში, ბალიშის ქვეშ – 2 ხელყუმბარა და, ბოლოს, ჩემს საწოლში – პისტოლეტი. მოკლედ, მთელი არსენალი იპოვეს ჩემს სახლში. ბრალი წამიყენეს იარაღის უკანონო შენახვაზე. ექსტრემიზმის ბრალდება არ წამოუყენებიათ.

**– ციხეში როგორ გექცეოდნენ, თქვენ მიმართაც იყო ძალადობა?**

– 2009 წლის 14 აპრილს საფრანგეთის მოქალაქეებმა პარიზში საქართველოს საელჩოს წინ საპროტესტო აქცია მოაწყვეს, თავისუფლება ვაჰაგან ჩახალიანსო. ამის შემდეგ, 16 აპრილს ჩემი ძმა, მამაჩემი და ჩემი ბიძაშვილი დააპატიმრეს... იყო დღე, როცა მე დამითვლია 4 გვამი, ამიტომ არ მჯერა ოფიციალური სტატისტიკის, გაცილებით მეტია დაღუპული ციხეში, რამდენიმეჯერ მეტი. ჩემს თანასაკნელებს სცემდნენ, რომ მე შემეწყვიტა ბრძოლა და შემწყდარიყო ჩემს მხარდასაჭერად საპროტესტო აქციები.

კიდევ ერთ რამეს ვიტყვი: ისინი ახლა ამბობენ, რომ პატიმრების უმეტესობა ტუბერკულოზით დაიღუპა, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია, ვთქვა, რომ სააკაშვილის რეჟიმის ციხეებში, უფრო ზუსტად, საკონცენტრაციო ბანაკებში განზრახ ავრცელებდნენ ტუბერკულოზს, რომ, რაც შეიძლება, მეტი პატიმარი დაავადებულიყო და დაღუპულიყო.

**– თქვით, რომ შიში და იზოლაცია ისევ არის თქვენს რეგიონში, ამას რა ეშველება?**

– მთავარია, რომ დღეს ჩვენ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ იმ თემებზე, რომლებსაც ადრე ტაბუ ჰქონდა დადებული. მთავარია, არის დისკუსიის შესაძლებლობა, რომ ჩვენ ჩვენი აზრი გამოვთქვათ და თქვენი აზრი გავიგოთ. აქამდე კი იყო ის, რომ ჩვენ ვართ ექსტრემისტები და გვინდა საქართველოს დაშლა. ახლა ჩემთვის ღიაა პრესა. ერთი კვირის წინათ ვიყავი თბილისში, შევხვდი ჩემს ქართველ მეგობრებს და მათთან, როგორც თქვენთან, პოლემიკაში შევედი. ჩემთვის ყველაზე რთულია, როდესაც ექსტრემისტებს გვიწოდებენ. ჩვენ გულწრფელად გვინდა საქართველოსთვის სიკეთე და ჩვენ ვართ თაობა, რომელსაც ესმის, რომ წავიდა დრო, როცა ქვები უნდა ვესროლოთ ერთმანეთს, მოვიდა დრო, როდესაც შეცდომებს უნდა გადავხედოთ და გამოვასწოროთ, რის გამოსწორებაც შეიძლება.

**ნინო ხაჩიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ არის მომხიბვლელი თურქეთის, ჩინეთისა და ეგვიპტის მოქალაქეებისთვის საქართველოში მცირე ბიზნესის წარმოება და როგორ ეხმარება ქართულ ტელესივრცეში მომრავლებული თურქული სერიალები თურქეთის მოქალაქეებს საქართველოში ბიზნესის დაწყებაში

*ყველასთვის ცხადია, რომ უცხოური ინვესტიციები ჰაერივით აუცილებელია, თუმცა ამ ბოლო დროს განსაკუთრებით თვალში საცემია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში მცირე ბიზნესის გახსნისადმი მიდრეკილება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, მაგალითად, თურქეთისა თუ ჩინეთის მოქალაქეები სილამაზის სალონებსა თუ მცირე მაღაზიებში აბანდებენ ფულს. რას ხეირობს ამ ტიპის მცირე კაპიტალდაბანდებებიდან ჩვენი ბიუჯეტი და თავად იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეები რა მოგებას იღებენ ჩვენნაირი დაბალი მსყიდველობითუნარიანი მოქალაქეებით დასახლებულ ქვეყანაში საყველპურო ბიზნესების გახსნით, – თემას ემზარ ჯგერენაიასთან ერთად განვიხილავთ.*



**თურქეთი და ირანი ოფიციალურად აცხადებენ პრეტენზიას, რომ საქართველოს გარკვეული ნაწილები მათი საკუთრებაა, ისევე, როგორც რუსეთი**

**– რა ხიბლი აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ასეთ ღარიბ ქვეყანაში მცირე ბიზნესის წარმოებას?**

– მოდი, დავაკონკრეტოთ, საკითხი ეხება შრომით მიგრანტებს და ეს ჩვენთვის ძალიან ახალი მოვლენაა. თურქები, ჩინელები თუ ირანელები ჩამოდიან და იწყებენ მცირე ბიზნესს: ხსნიან სილამაზის სალონებს, მაღაზიებს და ასე შემდეგ. ეს გლობალიზაციის განუყოფელი ნაწილია. ანალოგიურად ხსნიან ქართველები სხვა ქვეყანაში ასეთ ობიექტებს. ეს არის დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყნის თანმდევი პროცესი. უნდა გახსნან და უნდა შეიქმნას კონკურენტული გარემო. ეს არ შეუშლის ხელს ქართულ ბიზნესს, პირიქით, აამაღლებს კონკურენტუნარიანობას და ბევრ სიკეთესაც მოიტანს. ხშირად დავობენ იმაზე, მოაქვს თუ არა სიკეთე თბილისში თურქული ტკბილეულობის მაღაზიის გახსნას? მოაქვს, რადგან ამას სჭირდება გარკვეული ტექნოლოგიური ბაზა, საქმდებიან ადამიანები, იქმნება დამატებითი ღირებულება და მოაქვს შემოსავალი ქვეყნისთვის. არის თუ არა ეს საშიში? თუ ქვეყანაში ნორმალური რეგულაციაა და უცხო ქვეყნის მოქალაქე მეწარმე გადასახადს იხდის, საშიში არაფერია. საშიში იქნებოდა, ვინმე რომ მოეწამლა მათ პროდუქტსა თუ მომსახურებას ზიანი მიეყენებინა და ასე შემდეგ. ეს არის პატარ-პატარა ინვესტიციები და ვერც ერთი ეკონომისტი ვერ იტყვის, რომ ეს საშიშია. მეტიც, თუ ჩვენ გვინდა, ვიყოთ ევროპის ნაწილი…

**– თუ ირანელმა და თურქმა პატარა მაღაზია არ გახსნა საქართველოში, ევროპის ნაწილი ვერ გავხდებით?**

– ირანელი იქნება, ყაზახი თუ ვინმე სხვა, ვერაფერს გავაწყობთ, იმიტომ რომ ძალიან ბევრი ქართველი მუშაობს საბერძნეთში, თურქეთში.

**– ძირითადად, შავ სამუშაოებზე.**

– სხვადასხვა სამუშაოზე მუშაობენ: შავ საქმესაც აკეთებენ, ფირმებშიც მუშაობენ და ბიზნესიც აქვთ. ეს ბუნებრივი პროცესია, კონკურენციას მოაქვს სელექცია, მხოლოდ ძლიერები გადარჩებიან და ამაში საშიში არაფერია.

**– სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სილამაზის სალონს გახსნის თურქეთის თუ საქართველოს მოქალაქე. სხვა მნიშვნელობა არ აქვს? და, საერთოდაც, ადგილობრივი რატომ ვერ ხსნის: ფული არ აქვს, მარიფათი თუ ჭკუა?**

– ადგილობრივებიც ხსნიან, ლაპარაკია კონკურენციაზეა, მაგრამ აქ არის ერთი მაგრამ: თურქეთის კანონმდებლობით, თუ თქვენ სხვა ქვეყანაში გახსნით საწარმოს თურქეთის ეკონომიკის სამინისტრო, მთავრობა გეხმარებათ ფართის დაქირავებაში, რეკლამის გაკეთებაში, გამოფენის მოწყობაში, ჩვენ კი არ ვეხმარებით ჩვენს მოქალაქეებს.

**– ანუ აქვთ უპირატესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ადგილობრივებთან შედარებით?**

– დიახ, მაგრამ ეს ეხება კანონმდებლობას და ამიტომ ეს მთავრობის დონეზე განსახილველი საკითხია, რამდენად ვეხმარებით ჩვენ საშუალო და მცირე ბიზნესს.

**– როდესაც ერთი ქვეყნის ინტერესია, სუბსიდირება გაუწიოს თავის მოქალაქეს, რომ მან მეორე ქვეყანაში გახსნას ბიზნესი, ესე იგი, ეს არც ისე სასარგებლოა, არა, იმ მეორე ქვეყნისთვის, თორემ მაშინ სუბსიდია რა საჭირო იქნებოდა?**

– მათთვის მნიშვნელოვანია თავიანთი ექსპორტის, მომსახურების გატანა გარეთ, ბიზნესის გაკეთება სხვა ქვეყანაში, ღირებულების შექმნა სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნის ბაზრის დაპყრობა და ისინი ამ ბიზნესებში თავიანთ მოქალაქეებს ასაქმებენ. მეტსაც გეტყვით: ტენდენცია ასეთია, როდესაც ჩამოდის თურქი ბიზნესმენი, ის აუცილებლად თურქულ რესტორანში მიდის, ყაზახი – ყაზახურ რესტორანში და მათი მომსახურებით სარგებლობს. ბუნებრივი მომენტია და ცუდს ამაში ვერაფერს ვხედავ. საქმე ისაა, ჩვენ ვუჭერთ თუ არა მხარს ჩვენს ბიზნესს და ისინი უჭერენ თუ არა მხარს თავიანთ ბიზნესს, ჩვენ სუბსიდიების გარეშე ვარსებობთ, თურქეთში კი სუბსიდია ცხოვრების წესია. უბრალოდ უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ საშუალო და მცირე ბიზნესს.

**– ცნობილია, რომ ხშირად უცხო ქვეყნის მოქალაქეები იწყებენ აქ ბიზნესს, მოგება მიაქვთ, გადასახადებს არ იხდიან და შემდეგ მიდიან ქვეყნიდან. მაშინ, როდესაც ადგილობრივი მეწარმე აქ რჩება, გადასახადებიც უნდა გადაიხადოს და, თუ რამე შეეშალა, საქმე ისეც შეიძლება, წაუვიდეს, რომ ბიზნესი ვერასდროს ველარ აიწყოს.**

– ჩვენთან მცირე და საშუალო ბიზნესი შეღავათიანი პირობებით იბეგრება. თუ ლაპარაკია დიდ ბიზნესზე, სამწუხაროდ, თურქეთის ბევრი მოქალაქე ზის ქართულ ციხეში. მათ ფირმებს ამოწმებენ და ეს ჩვეულებრივი ამბავია. საგადასახადო ორგანოს წვდომა ბევრგან აქვს: თუ თქვენ წახვედით თურქეთში ან ირანში, ჩვენს სახელმწიფოს აქვს საშუალება, რომ აღძრას საქმე, მიმართოს თქვენს ქვეყანას ექსტრადიციის მოთხოვნით.

**– ყოფილა ასეთი შემთხვევა?**

– ყოფილა.

**– და ექსტრადიციით დასრულებულა?**

– უარესით, მათ ექსტრადიცია ურჩევნიათ, იმიტომ რომ ქართული ციხე სჯობია პირობებით თურქულს. თურქეთში ძალიან სასტიკი საგადასახადო კანონმდებლობაა, და მტრისას, იქ რამე დაარღვიეთ, მაშინვე მოექცევით სავაჭრო პალატის შავ სიაში და ძალიან დიდი პრობლემები გექმნებათ. თურქეთში ძალიან მკაცრად რეაგირებენ დარღვევებზე. ჩვენ სუფთა ფსიქოლოგიური ფაქტორი გვამოძრავებს, როდესაც ვამბობთ, რატომ უნდა გააკეთონ აქ ფული უცხოელებმაო, თორემ საქართველოში ამერიკელებიც აკეთებენ ბიზნესს, ფრანგი „ანტრეს“ ხნის და საკმაოდ წარმატებული ბიზნესიც აქვს.

**– რით არის მომხიბვლელი ეს ქვეყანა ასეთი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის? იმიტომ რომ გაზი და შუქი იაფი ღირს?**

– დიახ, ელექტროენერგიაც იაფი ღირს და გაზიც. საკმაოდ მოიკიდა ფეხი თურქულმა კომპანიებმა სამშენებლო მასალების ბიზნესში, დიდი ქარხნებიც აქვთ. სათამაშო ბიზნესს მართავენ ბათუმში. რაც შეეხება ირანელებს: მათთვის ჩვენთან სავალუტო კურსია საინტერესო. ირანში სახელმწიფო არეგულირებს ვალუტის კურსს და როდესაც აქ ცვლიან დოლარსა და ლარში, უფრო იაფი უჯდებათ. თუმცა ირანელებს სხვა მოტივაციაც აქვთ: წყნარ ქვეყანაში უნდათ გადმოსვლა. ანალოგიური სურვილი აქვთ ეგვიპტელებს და ისინი საკმაოდ დიდ ნაკადებად მოდიან საქართველოში. და, თუ თურქეთთან მხოლოდ ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხია, აქ პოლიტიკური უსაფრთხოების თემაც არის.

**– და თუ ეს ნაკადები გადიდდა და გადიდდა, ჩვენთვის დარჩება ადგილი? რატომღაც, გამახსენდა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში სხვადასხვა ველური ტომები აღმოსავლეთიდან იმიტომ მოდიოდნენ აქეთ, რომ იმ გარემოსთან შედარებით, სადაც ცხოვრობდნენ, ეს სამოთხე იყო.**

– საქართველოში არავინ არავის უშლის ხელს, დაიწყოს ბიზნესი. თუ სხვა იწყებს, თქვენც შეგიძლიათ, დაიწყოთ და დამთავრდა. ქართველს რომ გაეხსნა, ხომ არ იქნებოდა საკამათო?!

**– მე არც ახლა ვკამათობ: ვამბობ, რომ მათ თავიანთი სახელმწიფო ეხმარება, მე კი ჩემი არ მეხმარება და ამიტომ არათანაბარ პირობებში ვართ-მეთქი.**

– ეს დელიკატური საკითხია და გავიმეორებ: თურქეთთან მიმართებაში სუბსიდიის პრობლემა არსებობს, ირანთან მიმართებაში – სავალუტო კურსის საკითხი. ჩვენთან კი უკვე იხსნება თანაინვესტირების ფონდი და საქართველოს მოქალაქეებსაც დაეხმარებიან.

**– „მაესტრომ“ დაიწყო თურქული სერიალების ჩვენება და, რადგან, როგორც ჩანს, ჩვენს სატელევიზიო სივრცეში კრეატიულობა ნულს ქვემოთაა, დანარჩენმა ტელევიზიებმაც მიყოლებით გაჭედეს თავიანთი ეთერები თურქული სერიალებით. მაყურებელი ეცნობა თურქულ ყოფას, რომელიც განსხვავებით, ლათინოამერიკული სერიალებისგან, უფრო ახლოს დგას ქართულ ყოფასთან. შეიძლება, ამ თურქული სერიალების მოძალება განვიხილოთ, როგორც ჩვენი ბაზრის ათვისების მეორე ფლანგი?**

– აბსოლუტურად. ორმხრივად მომგებიანი ბიზნესია. თურქეთში სერიოზულადაა განვითარებული კინოხელოვნების ინდუსტრია. 70-80 ქვეყანაში ჰყიდიან ექსპორტზე, მათ შორის, საქართველოშიც. რადგან „მაესტროს“ თურქული სერიალების ჩვენებისას 30-წუთიანი რეკლამები აქვს, ესე იგი, ბაზარი ითხოვს და ამიტომ ყიდულობს.

**– მაგრამ დანარჩენები ისე გამწარებულები აჰყვნენ, მე ვიგრძენი უხერხულად თავი ასეთი მიმბაძველობით. თურქეთის გარდა, კინოინდუსტრია დედამიწაზე სხვაგან არ არის განვითარებული?**

– ბაზარზე არის მოთხოვნა და ამიტომ მოაქვთ თურქული სერიალები. რაც შეეხება იმას, რაც თქვენ ბრძანეთ კითხვის მეორე ნაწილში: ეს საინტერესო ხედვაა და მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ჩვენი მეზობელია, ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა მას არ იცნობს, არადა, თურქეთს აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი და კარგი მოთამაშეა. ამ მხრივ, კარგია, რომ ქართველ მეწარმეებსა და ბიზნესმენებს, რომლებიც არ ყოფილან თურქეთში, აჩვენო ეს ქვეყანა. თურქეთი საკმაოდ მაღალგანვითარებული ქვეყანაა, მძლავრი ინდუსტრიით და ბევრი დადებითი რეფორმა აქვთ ჩატარებული.

**– სულ მაწუხებს ეს კითხვა: ერთ დროს მომთაბარე ტომმა შექმნა თანამედროვე და კონკურენტუნარიანი სახელმწიფო, ჩვენ რა გვჭირს?**

– იგივე შეიძლება, ვთქვათ ირანელებზე…

**– სპარსეთის იმპერიას, განსხვავებით ოსმალეთისგან, დიდი კულტურა ჰქონდა, თუმცა მათაც არ გამოადგათ ეს, იმიტომ არ ვახსენე ამ კონტექსტში ირანი.**

– მაგრამ „ვისრამიანის“ სპარსეთი ძალიან დიდი ხანია, არ არსებობს, ანტიკურ ბერძნებს ჩაჰყვა მიწაში. დღეს ირანში ძველი სპარსი ძალიან ცოტაა. ირანის მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი აზერბაიჯანელია. ფუნდამენტალისტები არიან აზერბაიჯანელები და ისინი შორს დგანან სპარსეთის კულტურული მემკვიდრეობისგან.

**– თუმცა ირანს ვერ შევადარებთ თურქეთის სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით.**

– იმიტომ ვაერთიანებ, რომ ორივე ქვეყანა ოფიციალურად აცხადებს პრეტენზიას, რომ საქ-

# სამკურნალო ცენტრი „ბურდილაძე” – ორმოცწლიანი ისტორია და ტრადიცია, რომელსაც მაკა ბურდილაძე ღირსეულად აგრძელებს

*საქართველოში, ალბათ, არ არსებობს ადამიანი, ვისაც ბურდილაძეების საგვარეულო ნაყენის შესახებ არ სმენოდეს. მისი ისტორია 40 წლის წინ იღებს სათავეს. როცა საბჭოთა კავშირში ცნობილმა ექიმმა იური ბურდილაძემ მშობლიური რაჭის მცენარეული საფარიდან უნიკალური პრეპარატი შექმნა, და ის არა მხოლოდ საქართველოში, მსოფლიოს არაერთ ქვეყნაში გახდა პოპულარული. იური ბურდილაძის შესახებ წლების წინ „ნიუ-იორკ ტაიმსიც” წერდა, იბეჭდებოდა პუბლიკაციები ცნობილ რუსულ გამოცემებში. ქართული მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის იური ბურდილაძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.*

*უნიკალური ნაყენი, რომელმაც საქართველოში ფიტოთერაპიის ოფიციალურ აღიარებას დაუდო სათავე, იური ბურდილაძემ რაჭის იშვიათი სამკურნალო მცენარეებისგან შექმნა. ნაყენის დამზადების ტექნოლოგია წლებთან ერთად დაიხვეწა და გაუმჯობესდა. ნაყენი საუკეთესო შედეგით, ძალზედ ეფექტურად მკურნალობს დაავადებებს, რაც დღეს ძალიან გავრცელებულია. სამკურნალო ცენტრი „ბურდილაძე,” რომელსაც დღეს იური ბურდილაძის შვილი, ექიმი თერაპევტი მაკა ბურდილაძე ხელმძღვანელობს, გაძლევთ შანსს, ჩაიტაროთ საჭირო ლაბორატორიული გამოკვლევები და ქირურგიული ჩარევის გარეშე, განიკურნოთ ისეთი დაავადებებისგან, როგორიცაა თირკმლისა და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებები. უნივერსალური მცენარეული ნაყენი იძლევა საუკეთესო შედეგს ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, დისბაქტერიოზის, კოლიტის, ცისტიტის, პროსტატის ადენომას, პიელონეფრიტის, ბუასილის და სხვა დაავადებების დროს.*

**მაკა ბურდილძე** *(სამედიცინო ცენტრ „ბურდილაძის” დირექტორი):* პატარაობიდან ვოცნებობდი, გავმხდარიყავი ექიმი და დავხმარებოდი ადამიანებს. როგორც ჩანს, ეს მამაჩემის გავლენა იყო. მუდმივად მის გვერდით ვტრიალებდი, ვეხმარებოდი. ძალიან მინდოდა, გამეგრძელებინა მისი გზა და ასეც მოხდა. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საბოლოოდ გავაკეთე არჩევანი მედიცინის იმ მიმართულებით, რასაც მამამ მთელი ცხოვრება შეალია. რამდენიმე წლის წინ მამამ ხანდაზმულობის გამო მთხოვა, რომ მე ჩავდგომოდი სათავეში ამ საქმეს და დღეს ვხელმძღვანელობ ამ ცენტრს. მადლიერი ვარ უფლის, რომ მომეცა შანსი, დავეხმარო ათასობით ადამიანს.

– **მოგვიყევით მამაზე, მის შესახებ საოცარ ისტორიებს ყვებიან.**

– მამამ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი დაამთავრა. იყო წარმატებული პედიატრი, მაგრამ წლების შემდეგ ცხოვრება თერაპიას დაუკავშირა. წლების განმავლობაში მუშაობდა მოსკოვის ცნობილ ცენტრებში, მაგრამ ვერ ელეოდა სამშობლოს და ზაფხულობით მშობლიურ რაჭაში აგრძელებდა მუშაობას. ის უწერის სანატორიუმის მთავარი ექიმი იყო. მაშინ არ არსებობდა ექოსკოპიური და გასტროფიბროსკოპიული გამოკვლევები, საქვეყნოდ იყო ცნობილი, მამას მიერ დასმული დიაგნოზი. 70-იან წლებში მამამ მოღვაწეობა დაიწყო ფიტოთერაპიაში, რომელიც ხალხური ტრადიციული მედიცინის ფორმით საუკუნეებს ითვლის. თუმცა, საბჭოთა საქართველოში ოფიციალურად აკრძალული იყო. მამა აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი ფიტოთერაპევტი, რომელმაც სახელმწიფო ავტორიზაცია მოიპოვა. მამამ საქმიანობის ლიცენზია აიღო მოსკოვში, რადგან მის მიერ შექმნილი ნაყენი აღმოჩნდა უნიკალური თირკმელ-კენჭოვანი და კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ.

– **მომსახურების რა სპექტრს სთავაზობს თქვენი ცენტრი პაციენტებს?**

– ცენტრი პაციენტებს სთავაზობს მომსახურების სრულ სპექტრს, დაწყებული დიაგნოსტიიდან მკურნალობის ინდივიდუალური კურსის ჩათვლით. გვაქვს ლაბორატორია, სადაც ტარდება ყველა საჭირო ანალიზი. ნაყენი უნიკალურ შედეგს იძლევა თირკმლის და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების, თორმეტგოჯა და კუჭის წყლულოვანი, ქრონიკული გასტრიტის, ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, პროსტატის ადენომის, ცისტიტის, პიელონეფრიტის, კოლიტის, ბუასილის დროს. უნიკალური ნაყენი საუკეთესო ალტერნატივაა მათთვის, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო, ქირურგიული ოპერაციების გაკეთება არ სურს.

– **ჩვენ დაგვიკავშირდა ქალბატონი საბერძნეთიდან, რომელმაც გვთხოვა, მივაწოდოთ ინფორმაცია, სად შეიძლება შეიძინონ ბურდილაძის ნაყენი.**

– მინდა გითხრათ, რომ მამას მიერ შექმნილი ნაყენი ჯერ კიდევ მაშინ გახდა პოპულარული ისრაელში, საბერძნეთში, თურქეთში, როცა დაკეტილ საბჭოთა რეჟიმში ვცხოვრობდით. ბოლო წლებში მათ დაემატა ამერიკა და ევროპის ქვეყნებიც. ცენტრში ძალიან ბევრი ადამიანი გვიკავშირდება უცხოეთიდან. ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ ცოტა ხნის წინ მამაჩემის შესახებ დაიბეჭდა არასწორი ინფორმაცია ერთ-ერთ გამოცემაში. მამა უკვე ხანდაზმულია, ბოლო წლებში საცხოვრებლად გადავიდა რაჭაში. მე ყველაზე მეტად მის გამოცდილებას ვენდობი, შესაბამისად, მამასთან კონსულტაციებს ხშირად გავდივარ. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, კუსტარულად დამზადებული ნაყენით, მამაჩემის სახელს ამოფარებულებმა, რეალიზაცია გაუკეთონ არალიცენზირებულ, გაურკვეველი წარმომავლობის ნაყენს. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მინდა, შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ ლიცენზირებული, სტანდარტს დაქვემდებარებული ნაყენის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენთან, სათავო ოფისში.

***სამკურნალო ცენტრში ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქ განკურნებული ადამიანების გაბრწყინებული თვალებით მიხვდებით, რაოდენ დიდი მისია აკისრიათ ექიმებს, რომელთა შესახებ საუბრის სურვილიც ჩვენთან თავად პაციენტებმა გამოთქვეს.***

**ნანა სვიანაძე** *(რუსთავი)* – ამ ცენტრში ნაღვლის ნაღექოვანი დიაგნოზით მოვედი, საშინლად ცუდად ვგრძნობდი თავს. ჩამიტარდა მკურნალობის კურსი, რომლის შედეგადაც განვიკურნე. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. დიდი მადლობა ქალბატონ მაკას და მთელ კოლექტივს გულისხმიერებისთვის. ღმერთმა შეგაძლებინოთ, უფრო მეტი სიკეთე გააკეთოთ ადამიანებისთვის.

**ნანა ღუღუნიშვილი** *(ბოლნისი)* – ერთ დღეს, მოულოდნელად დამემართა თირკმლის შეტევა. მარცხენა თირკმელში აღმომაჩნდა კენჭები, გაუსაძლისი ტკივილებით მოვედი ამ ცენტრში და დავიწყე მკურნალობა. უმოკლეს ვადებში მქონდა საოცარი ეფექტი. მადლობა მაკა ექიმს, რომელიც არა მხოლოდ ულამაზესი და თბილი ქალბატონია, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალია.

**ენვერ დოლიძე** *( თბილისი)* – ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მომიყვანეს ამ ცენტრში. სიტყვებით ვერ აგიხსნით, რა ტკივილები მქონდა, არ მინდოდა ოპერაციის გაკეთება. მეგონა, რომ ალტერნატივა არ არსებობდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი. აქ სასწრაფოდ დამისვეს დიაგნოზი, დამინიშნეს მკურნალობის ინდივიდუალური კურსი. ბურდილაძის უნიკალური ნაყენის შესახებ ბევრი გამეგონა, მაგრამ ასეთი ჯადოსნური შედეგი თუ ექნებოდა და მთლიანად ალაგდებოდა პროცესი, ამას ვერ წარმოვიდგენდი. მადლობა ცენტრის სამედიცინო პერსონალს, ექოსკოპიის, ანალიზის განყოფილების თანამშრომლებს. მადლობა ყველას გაწეული დახმარებისთვის, ღმერთმა დაგლოცოთ და მოგცეთ ძალა, რათა დაეხმაროთ და გვერდში დაუდგეთ იმ ადამიანებს, ვინც თქვენი პაციენტია. მე საკუთარ თავზე გამოვცადე ამ ცენტრის მომსახურების მაღალი დონე და უნიკალური ნაყენი, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

***დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე:***
***2 69 67 93; 5 95 91 71 11***
***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან”, საააკაძის ქ №46.***

**თამარ ჩხენკელი**

---

ართველოს გარკვეული ნაწილები მათი საკუთრებაა.

– **და მესამე ასეთივე პრეტენზიის მქონეა რუსეთი.**

– დიახ. 300-300, 400-400 წელი ვიყავით თითოეულის ვასალი და პრეტენზიაც აქვთ.

– **ისევ თურქეთს დავუბრუნდებით: ასეთი წარსულის მქონე ერმა როგორ შეძლო საკუთარი თავის თავიდან შექმნა? რა არის მათი წარმატების გასაღები?**

– მათ ოზალის მეთაურობით მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა განახორციელეს გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, 90-იანების დასაწყისში. ფაქტობრივად, ჩვენ თვალწინ გარდაიქმნა ეს ქვეყანა. სულ ბოლოს, ტრაპზონის რეგიონი, თურქეთის ციმბირი, 1999-2006 წლებში წალკოტად აქციეს. ერდოღანმა მოახერხა ის, რომ ყველგან არის ფანტასტიკური კომუნიკაცია: გზა, გაზი, შუქი, წყალი. ანატოლიაში, უდაბნოშიც კი, ისეთი გზებია, გაგიკვირდებათ. მათ მოახერხეს დანგრეული ქვეყნის რეფორმირება ოზალის დროს. მათ შექმნეს სერიოზული საბანკო სისტემა, ჯანდაცვის ტურიზმი, რომელიც ისრაელისა და სინგაპურის შემდეგ მესამე ადგილზეა მსოფლიოში. გარღვევა მოახდინეს სოფლის მეურნეობაში, ინდუსტრიაში შექმნეს ქარხნების მთელი ქსელი და პლუს, აქვთ ავტოქარხნებიც. ეს არის 80-მილიონიანი ბაზარი და, ამას გარდა, რეალური ჰაბი, რომელიც აერთიანებს სირიას, ირანს, იორდანიას, ერაყს, სამხრეთ კავკასიას, საბერძნეთს, ბულგასრეთს...

– **მივებაროთ.**

– ერდოღანის ხელში, რომელიც იყო სტამბოლის მერი და გამორჩეული მეურნე, ბოლო 7 წელიწადია, თურქეთში ეკონომიკური ბუმია. თურქეთმა საერთოდ ახალ სიმაღლეებს მიაღწია. ბოლო მსოფლიო კრიზისის დროს პოლონეთთან ერთად თურქეთი იყო ის გამონაკლისი ქვეყანა, სადაც არ ყოფილა ეკონომიკური რეცესია, პირიქით, ეკონომიკის 3-4-პროცენტიანი ზრდა იყო. დიახ, მათგან ბევრი რამ შეიძლება, გადმოვიღოთ. ძალიან ძლიერი ქვეყანაა. ისინი არც სუბსიდიებს ერიდებიან და არც აკრძალვებს. მაგალითად, მსოფლიო ბაზარზე ჩაი 3 დოლარი ღირს, მაგრამ ისინი 12 დოლარად ყიდულობენ ტრაპზონის რეგიონში; მაგალითად, თურქეთში აკრძალულია ბანანის იმპორტი. ისინი იცავენ თავიანთ ინტერესებს და იმიტომაც არ იღებენ მათ ევროკავშირში, რომ წალეკავს თავისი სამუშაო ძალითა და რესურსებით. თან, ენერგორესურსი არ აქვთ: ერთადერთი ქურთისტანის მხარესაა, მაგრამ არ აწარმოებენ მოპოვებას. მაგრამ მათ შეძლეს ტექნიკური გადაიარაღება და ინოვაციური დარგები ისეთ დონეზე აიყვანეს, რომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უჭერს მხარს ფინანსურად. თურქეთს კრიზისი ჰქონდა 2003-2004 წლებში და სავალუტო ფონდმა, აშშ-ს დახმარებით, 4 მილიარდი მისცა. ისინი ინტეგრირებულნი არიან აშშ-ს ეკონომიკაში და ესეც არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც განაპირობა მათი წინსვლა.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია



**თუ პარლამენტში ისეთი უმრავლესობა შეიქმნა, რომლისთვისაც დასახელებული პრემიერ-მინისტრი მიუღებელი აღმოჩნდება, საპარლამენტო რესპუბლიკა გენიალური სისტემაა და უმრავლესობა გადაირჩევს პრემიერს**

**თუკი მთელი კაცობრიობა ადამისა და ევას შთამომავალია, მაგალითად, ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, ძირითადად, ერთი თავდაპირველი პოლიტიკური ძალისგან იშვნენ. მეტნაკლებად ყველა „მოქკავშირიდან" დაფრთიანდა და შემდეგ ახალ-ახალ პოლიტიკურ პარტიებად ჩამოყალიბდა. საბოლოოდ, ქართული პოლიტცხოვრების ლოგიკით, საკმარისია, ერთხელ მოხვდე პოლიტიკურ წრეში, რომ მუდმივადაც იტივტივებ პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე. ამ კონკრეტულ ეტაპზე ყველაზე მჭიდრო საკადრო კავშირი კოალიცია „ოცნებასა" და ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ პარტიას შორისაა. ფინანსთა მინისტრი თუ „ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავჯდომარე თუ რამდენიმე პარლამენტის წევრი, თავის დროზე, სწორედ ნინო ბურჯანაძის პარტიიდან შეემატნენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ კოალიციას. რატომ იცვლიან ასე ადვილად ჩვენებური პოლიტიკოსები პოლიტიკურ პლატფორმებს? – ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის გაცემას რამაზ საყვარელიძესთან ერთად შევეცდებით.**

# რატომ არ ახდენს პოლიტიკურ გავლენას ბიძინა ივანიშვილზე ნინო ბურჯანაძისადმი, როგორც პოლიტიკოსისადმი, სიმპათია

– თუ მსოფლიო პოლიტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ უინსტონ ჩერჩილმა პოლიტიკური პარტია შეიცვალა მაშინ, როდესაც გადაწყვიტა, რომ უფრო მომგებიანი იქნებოდა პარტიის შეცვლა პრემიერ-მინისტრის პოსტის დასაკავებლად. თავისთავად პარტიების ცვლა პოლიტიკას სჩვევია იმ პოლიტიკური გეგმების მიხედვით, რაც პიროვნებას, ცალკე აღებულს, შეიძლება, ჰქონდეს.

**– მარტივად ვიტყვი: თუ უფრო მაღალ თანამდებობას ან სოციალურ სტატუსს შეგიძლია, მიაღწიო, გამართლებულია პოლიტიკური პლატფორმის შეცვლა?**

– ყოველი შემთხვევისთვის, დიდი ცოდვა არ არის, ხოლო, რადგან ცოდვა არ არის, ჩვენი პოლიტიკოსების მოძრაობებსაც ნუ შევხედავთ ასე კრიტიკულად. რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს: მე ერთ ნიუანსზე გავამახვილებდი ყურადღებას, ბევრი მათგანი, ვინც ამ ბოლო დროს „ქართული ოცნებიდან" აღმოჩნდა ბურჯანაძესთან, „ოცნებას" პასიურობას საყვედურობდა. ანალოგიურად, ვინც უფრო ადრე, პოლიტიკაში ივანიშვილის შემოსვლის მომენტში, გადავიდა ბურჯანაძისგან კოალიცია „ოცნებაში", მათთვის იმ დროს ბურჯანაძის პარტია იყო უფრო პასიური. მაშინ ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას ბომბის აფეთქებას ადარებდნენ და სხვა ეპითეტებითაც ამკობდნენ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ეს სიახლე უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა ბევრი მათგანისთვის.

**– მე უფრო პირდაპირ ვიტყვი: თავიანთთვის მეტი პერსპექტივა დაინახეს ივანიშვილის გვერდით, ვიდრე ბურჯანაძესთან ხედავდნენ?**

– აქტიურობის პერსპექტივა დაინახეს, თუმცა შეიძლება, პერსონალური პერსპექტივა არც დაუნახავთ, იმიტომ რომ იმავე ნოდარ ხადურს ბურჯანაძის პარტიაში მაღალი ადგილი ეკავა. ბუნებრივია, ბურჯანაძის გამარჯვების შემთხვევაში ის ხალხი, ვინც ბურჯანაძის გარშემო იყო, წინ წაიწევდა, მაგრამ ბურჯანაძის პარტიის გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ივანიშვილის გამოჩენამ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ უფრო მეტი პერსპექტივის მქონე პარტიაში გადავიდნენ. ივანიშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში იმდენად ექსტრაორდინარული იყო, რომ ზოგიერთმა პარტიამაც კი უარი თქვა თავის თავზე კოალიციის სასარგებლოდ. ასე რომ, ჩემთვის, გარდა კარიერული ზრდის მოტივისა, აშკარად იკითხებოდა, რომ საკაშვილის რეჟიმის წასვლა უფრო მეტად მოსალოდნელი იყო ბიძინა ივანიშვილისგან, ვიდრე ბურჯანაძის მხრიდან.

**– ისეც შეიძლება, გავიგოთ, რომ მასთან გადასვლით თავიანთი პოტენციალი წაახმარეს ივანიშვილს?**

– არათუ ბურჯანაძის პარტიის წევრებმა, არამედ, თვითონ ბურჯანაძემ დააყენა ასე საკითხი, როდესაც უარი თქვა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, რათა ხმები არ წაერთმია ივანიშვილისთვის.

**– ის, რომ ბურჯანაძის კადრები მაღალი სტატუსით არიან წარმოდგენილნი „ოცნებაში", ნიშნავს, რომ ბურჯანაძეს, როგორც პოლიტიკოსს, გავლენა აქვს „ოცნებაზე"?**

– მგონი, არ ნიშნავს, რადგან, გავლენა რომ ჰქონოდა, ივანიშვილს მარტივი ნაბიჯი უნდა გადაედგა: ეთქვა, რომ „ოცნება" უარს ამბობს თავისი კანდიდატის წამოყენებაზე საპრეზიდენტო არჩევნებზე და მწვანე შუქი აენთო ბურჯანაძის კანდიდატურისთვის. ივანიშვილმა ეს არ გააკეთა. ეტყობა, არ იყო ეს გავლენა საკმარისი. თუმცა სხვა საქმეა, რომ ივანიშვილს, ალბათ, ესიმპათიურება ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკური მოღვაწე.

**– ესიმპათიურება კი?**

– ალბათ, ესიმპათიურება, რადგან, მიუხედავად ბევრი კრიტიკული შენიშვნისა ბევრი მიმართულებით, ასეთი კრიტიკული შენიშვნების რიცხვი ნინო ბურჯანაძისადმი თითქმის არ არის. მაგრამ ეს გავლენაში ნამდვილად არ გადადის, იმიტომ რომ ამ სიმპათიის გამო ივანიშვილმა თავის პოლიტიკურ გზას არ გადაუხვია.

**– ივანიშვილის შემოსვლა ბომბის აფეთქებასავით იყოო და ფაქტია, რომ ამომრჩეველმა ისევ ერთი ადამიანის ხათრით მისცა ხმა მმართველ კოალიციას. შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობის წილიც ნაკლები იყო, მაგრამ ახლა, როდესაც ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან, უნდათ თუ არა, მმართველი პარტიის იმ წევრებს, რომლებმაც სიხარულით დაიკავეს მაღალ-მაღალი სკამები, მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება.**

– დიდი ეჭვი მაქვს, რომ ივანიშვილის თანამდებობიდან წასვლის არა ერთადერთი, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ პოლიტიკაში მოსვლის მსურველებმა გაარკვიონ თავიანთი პოტენციალი.

**– და თავად მოიპოვონ თავიანთი პოლიტიკური წონა.**

– დიახ, რადგან ვინ ვინ და ივანიშვილმა კარგად იცის, რომ მათი პოლიტიკური წონა მისი საკუთარი წონის ნაწილია.

**– ამიტომაც თქვა, რომ დაიშალონ, სად უნდა წავიდნენ.**

– როგორც ჩანს, ამ მხრივ, ივანიშვილს არ აქვს ილუზიები და ხედავს, რომ მათ სხვა გზა უბრალოდ არ ექნებათ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ისინი ივანიშვილის გვერდით ივანიშვილის გადაწყვეტილებითაც აღმოჩნდნენ. ახლა კი თითოეულ მათგანს საკუთარი თავისთვის მოუწევს ბრძოლა და ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

**– ეს არ არის ურიგო, მთავარია, არ შეიკრან საზოგადოების წინააღმდეგ.**

– ხელისუფლება, საერთოდ, ყოველთვის საზოგადოების წინააღმდეგ იკვრება, იმიტომ რომ სტატუსის ერთნაირობა გულისხმობს ინტერესთა ერთნაირობას.

**– მათი ინტერესი კი იქ, ზემოთ, ადგილის შენარჩუნებაა.**

– დიახ, ასე რომ, ნებისმიერი გუნდი, რომელიც ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ერთნაირად მოიქცევა და ერთმანეთთან შედუღაბდებიან. ეს ყოველთვის ასე იქნება. თუმცა ცოტა ხელოვნურად მეჩვენება მოდელი, რაზეც ივანიშვილი ლაპარაკობდა, რომ კოალიციის წევრებს ერთმანეთთან ყოფნის გარდა სხვა გზა არ ექნებათ.

**– მთლად ასე იდილიურადაც არ იქნება?**

– არა, იქნება ისეთი მომენტები, როდესაც ისინი ეცდებიან, იპოვონ პარტნიორები ერთმანეთთან ან სხვებთან. ანუ დაიწყება მოძრაობა ამ პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის.

**– ესე იგი, მოსალოდნელია ახალი გადაჯგუფებები?**

– რა თქმა უნდა. და უკვე ტექნიკური საკითხია, ამ გადაჯგუფებებში ისევ ძველ პარტიაში აღმოჩნდება ვინმე თუ ახალ პარტიულ პარტნიორს იპოვის. ამის პროგნოზირება რთულია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მოძრაობები დაიწყება. იმიტომ რომ იქნება შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკური ფიგურის აყვანა ერთ პარტიას ენდომება, მეორეს – არა; იმ ერთ ფიგურას კი მიზნად ექნება, იპოვოს ის პარტია, სადაც მას მეტად დააფასებენ.

**– და უფრო მაღალ სტატუსს შესთავაზებენ?**

– დიახ და დრო გვიჩვენებს ამ პარტიულ იერარქიებში ვინ ვისი დამფასებელი იქნება, მაგრამ ამოცანა, რომ ვიპოვო პარტია, სადაც დამაფასებენ, ნამდვილად იარსებებს და ჩვენი პოლიტიკური მომავალი ასეთი გადარბენებით სავსე იქნება.

**– ჩვენ არ გვილაპარაკია „ნაციონალებზე", რომლებმაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვეს მშობლიური პარტია. მათი ნაწილი „ოცნებას" შეუერთდა, ნაწილმა მეტი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და დამოუკიდებელი დაირქვა, არის ალბათობა რომ ისევ „ნაციონალებს" დაუბრუნდნენ, როგორც უძღები შვილები?**

– გააჩნია, თავისთავად „ნაციონალები" რა მდგომარეობას დაიკავებენ.

**– იქნება თუ არა მომხიბვლელი „ნაციონალური მოძრაობა", როგორც პოლიტიკური პარტია?**

– ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამ ვაჭრობაში ორმხრივი მიმზიდველობის ძიება იქნე-

# რა ცვლილებები განიცადა დავით ნატროშვილის ქონებამ 2007 წელს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილეობიდან 2013 წელს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეობამდე პერიოდში

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით ნატროშვილი 1977 წელსაა დაბადებული. თბილისში; საბაკალავრო განათლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო სამართალმცოდნეობის მიმართულებით (დაამთავრა 1999 წელს). 2000 წელს სწავლა საჯარო ადმინისტრირების ქართულ-ამერიკულ ინსტიტუტში განაგრძო და საჯარო ადმინისტრირების მაგისტრი გახდა. 2002 წელს განათლება აშშ-ში გაიღრმავა, პენსილვანიის კუტზთაუნის უნივერსიტეტში (ამჯერად ბიზნესადმინისტრირების მაგისტრის რანგში). როგორც მისი შრომითი ბიოგრაფია მოწმობს, ბ-ნი ნატროშვილის ჩინოვნიკური კარიერა მეორე წრეზე წავიდა. კერძოდ, მისი შრომითი ბიოგრაფია 2002 წლის დეკემბერში დაიწყო რიჩმონდში, ვირჯინიის შტატში, სადაც 2004 წლის მარტამდე AEGON Group-ის გაყიდვების მართვის სპეციალისტად მუშაობდა. 2004 წლის აგვისტოში სამშობლოში დაბრუნდა და 2005 წლის ივლისამდე საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი იყო. 2005 წლის ივლისში (2006 წლის ნოემბრამდე) საწარმოების მართვის სააგენტოს თავმჯდომარედ დაინიშნა. 2006 წლის ნოებრიდან 2007-ის ნოემბრამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე გახლდათ. 2008 წელს შპს „უტილის ჯგუფში" განაგრძო საქმიანობა – პარტნიორად და აღმასრულებელ დირექტორად. 2012 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის მრჩევლად დაინიშნა და 2013-ში მინისტრის მოადგილედაც დაწინაურდა.

იმ მარტივი მიზეზით, რომ ჩინოვნიკობის გამოცდილება ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებისას შეიძინა, პირველი დეკლარაცია 2007 წელს შეავსო ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის რანგში, ოჯახის წევრად კი მიუთითა მეუღლე – 1982 წელს დაბადებული ნინო ჭუმბურიძე. იმხანად ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა შემდეგნაირი იყო: დავით ნატროშვილის საკუთრებას წარმოადგენდა მშენებარე ბინა ჭავჭავაძის პირველ შესახვევში 193 500 ლარად შეფასებული და იგი ცხვედაძის ქუჩაზე მდებარე 250 000 ლარად ღირებული საცხოვრებელი სახლის 25 პროცენტის მფლობელიც გახლდათ. მისი მეუღლის საკუთრება იყო 120 000 ლარად ღირებული საცხოვრებელი ბინა გვეტაძის ქუჩაზე და 48 000 ლარად ღირებული ავტომანქანა „ლექსუსი 300".

დეკლარციის შევსების მომენტში დავით ნატროშვილს ნაღდი ფულის სახით, ჰქონდა – 8 000 ლარი, მის მეუღლეს – 5 000 აშშ დოლარი და, ამასთანავე, აშშ-ში, საბანკო სეიფში ნინო ჭუმბურიძე 30 000 აშშ დოლარსაც ინახავდა.



დავით ნატროშვილი სამეწარმეო საქმიანობასაც ეწეოდა. კერძოდ, 2 წლის განმავლობაში, (კონკრეტული წლები მითითებული არ არის) 2005 წელს დაფუძნებული „საქრუსენერგოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც გახლდათ, ოღონდ, როგორც დეკლარაციაში აქვს მითითებული, უხელფასოდ მუშაობდა. ამას გარდა, 2005-დან 2006 წლამდე 1999 წელს დაფუძნებული შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც იყო და მიუთითებს, რომ ამ ხნის განმავლობაში მისი ყოველთვიური ხელფასი 3 500 ლარს შეადგენდა. სახელფასო გრაფაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის რანგში მისი ყოველთვიური ანაზღაურება 2 500 ლარს შეადგენდა.

სულ ბოლო დეკლარაცია დავით ნატროშვილმა 2013 წელს შეავსო აწ უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის რანგში და ოჯახის წევრებად, გარდა მეუღლისა, მიუთითა აშშ-ში დაბადებული შვილები: ალექსანდრე (დაბადებული 2010 წელს) და მია (დაბადებული 2008 წელს).

ამჯერად უძრავი ქონების მფლობელი მხოლოდ დავით ნატროშვილია. კერძოდ, მისი საკუთრებაა: საცხოვრებელი სახლი რამიშვილის ქუჩაზე (ფართობი – 252 კვ.მ); საცხოვრებელი სახლი წავკისში (ფართობი – 525 კვ.მ), რა თქმა უნდა, მიწის ნაკვეთი წავკისში, ფართობი – 1 000 კვ.მ. და მიწის ნაკვეთი კოჯორში, ფართობი 1 200 კვ.მ. მსუბუქი ავტომანქანებიც მხოლოდ მას ჰყავს: 2010 წლის „ტოიოტა პრადო" და 1987 წლის „ვოლვო". ასევე, დავით ნატროშვილი სააქციო საზოგადოება „ნინოს" 105 450 აქციის მფლობელია (თითო აქციის ღირებულება 1 ლარია). თუმცა ბანკში დეპოზიტი მხოლოდ ნინო ჭუმბურიძეს აქვს, – 25 000 აშშ დოლარი. დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდი ფულის სახით, დავით ნატროშვილს 45 000 ლარი ჰქონდა, ნინო ჭუმბურიძეს – 120 000 აშშ დოლარი. სოფლის მეურნეობის მინისტრი და მისი მეუღლე არაერთი შპს-ს (კერძოდ, ერთი შპს და ერთიც სააქციო საზოგადოება) პარტნიორები არიან, მაგრამ, რაკი, დეკლარაციის მიხედვით, მათ უმეტესობას არანაირი შემოსავალი არ მოუტანია, მათზე არ შევჩერდები. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ 2010-2012 წლებში ბ-ნ ნატროშვილს შპს ლაზერული ჯგუფის დირექტორობამ (მისი, როგორც პარტნიორის. შემოსავალი ნულია) 160 300 ლარი მოუტანა, ხოლო სააქციო საზოგადოება „ნინოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეობით გასულ წელს 16 500 ლარი მიიღო (ბუნებრივია, ამჟამად ყველა წილი და აქცია მინდობილი აქვს, თუმცა ვისზე, დეკლარაციაში მინიშნებული არ არის).

დავით ნატროშვილს სესხებისა და საკრედიტო ბარათების მომსახურებაში გასულ წელს დაეხარჯა: 78 066 ლარი და 156 651 აშშ დოლარი. ამას გარდა, საბავშვო ბაღის საფასური 4 800 ლარი დაუჯდა, საშენი მასალის შეძენა – 20 400 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

ბა: ერთი მხრივ, თვლის თუ არა კონკრეტული პოლიტიკოსი კონკრეტულ პარტიას მიმზიდველად და, მეორე მხრივ, თვლის თუ არა პოლიტიკური პარტია ამ პოლიტიკოსს თავისთვის სასურველად. სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრები გადაწყვეტილებას მიიღებენ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ადგილზე გავა დავით ბაქრაძე საპრეზიდენტო არჩევნებში. შესაბამისად, ერთ-ერთი მოტივი, რატომაც უნდა „ნაციონალურ მოძრაობას" დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლა, შეიძლება, ესეც იყოს. მაღალი შედეგის ჩვენების შემთხვევაში, რაც გულისხმობს, რომ ელექტორატი ამ პარტიას მეტნაკლებად უჭერს მხარს, შეიძლება, მომხრეთა რიცხვი გაეზარდოთ.

**– შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი „ნაციონალურ მოძრაობას" რეინკარნირების საშუალებას მისცემს?**

– შემდეგ რაუნდზე უფრო შთამბეჭდავი სურათის შექმნის საშუალებას მისცემს. ბურჯანაძისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე ადგილს, იმიტომ რომ თავის დროზე ბურჯანაძის პარტიაც არ იყო „ნაციონალური მოძრაობის" ტოლი, ჩვენთან, ძირითადად, სახელისუფლო პარტიები არიან ხალხმრავალნი და არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის", არამედ, ზოგადად პოლიტიკური სპექტრის ბრძოლა, რაც შეიძლება, მაღალი შედეგისთვის, სწორედ იმითაა განპირობებული, რომ მომავალ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უფრო სერიოზული შედეგი მიიღონ. რეალური ხელისუფლების ბერკეტს იძლევა ადგილობრივი არჩევნები. ამდენად, ახლაც სწორედ იმ ადგილობრივი არჩევნებისთვის მიდის რეალური ბრძოლა.

**– ამჯერად ბიძინა ივანიშვილმა უნდა წარმოადგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, რომელიც, ახალი მოდელით, ისეთივე უსაზღვრო უფლებებით იქნება აღჭურვილი, როგორიც პრეზიდენტი გვყავდა საპრეზიდენტო მოდელში. იმ ახალ პრემიერ-მინისტრს ივანიშვილის წასვლის შემდეგ შესაძლოა, დაეშალოს უმრავლესობა.**

– მაგრამ უმრავლესობა მაინც იქნება.

**– გააჩნია, ვისი: „ნაციონალურ მოძრაობას" არც ისე ბევრი ხმა სჭირდება 51-პროცენტის მოსაპოვებლად. თუ „ოცნების" უმრავლესობა დაიშალა, პრემიერ-მინისტრის საპარლამენტო უმრავლესობის გარეშე დარჩება, ანუ კრიზისებია მოსალოდნელი?**

– მაგრამ რა შედეგი ექნება ამ კრიზისს?! თუ პარლამენტში დაიშლება ახლანდელი უმრავლესობა, თითოეული ფრაქცია ძალზე მცირერიცხოვანი აღმოჩნდება და ამ ფრაქციებს მაინც მოუწევთ ვიღაცასთან გაერთიანება. ასე რომ, ხელახლა დადგება უმრავლესობის ფორმირების ამოცანა, რაც ყველა ქვეყანაში დგას ხოლმე საპარლამენტო არჩევნებისას. ამდენად, უმრავლესობა, როგორც ასეთი, არ გაქრება, შეიძლება, შეიცვალოს და, თუკი ისეთი უმრავლესობა შეიქმნა, რომლისთვისაც დასახელებული პრემიერ-მინისტრი მიუღებელი აღმოჩნდება, საპარლამენტო რესპუბლიკა გენიალური სისტემაა და უმრავლესობა გადაირჩევს პრემიერს.

**ნინო ხაჩიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ვინ იყვნენ და რა საერთო ჰქონდათ სემიონ ბუდიონისთან მოსკოვის მერის, სერგეი სობიანინის წინაპრებს

***სერგეი სობიანინი მოსკოვის რიგით მესამე მერია, იგი 12 სექტემბერს აირჩიეს მოსკოველებმა პირდაპირი არჩევის წესით. სობიანინი ვლადიმირ პუტინთან დაახლოებული პირი და რუსეთის მმართველი პარტიის – „ედინაია როსიას" წევრი და პირველი არამოსკოველი მერია ამ თანამდებობაზე. სობიანინის წინამორბედები – გავრილ ხარიტონოვი და იური ლუჟკოვი დაბადებით მოსკოველები იყვნენ. საინტერესო იქნება სობიანინის შესახებ გავრცელებულ ფაქტებს გავეცნოთ, მით უმეტეს, რომ მოსკოვში რამდენიმე ათეული ათასი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს.***



* სერგეი სემიონის ძე სობიანინი დაიბადა 1958 წელს, ტიუმენის ოლქში, სოფელ ნიაქსიმვოლში. ერთ-ერთი ვერსიით, სობიანინის წინაპრები ურალიდან გადასახლებული კაზაკები იყვნენ, ხოლო მეორე ვერსიით – ეროვნება მანსის წარმომადგენლები. თუმცა, ოფიციალურ ბიოგრაფიაში სობიანინი უარყოფს რაიმე კავშირს მანსისთან და საკუთარ თავს ასპროცენტიან რუსად მიიჩნევს. სერგეის ბაბუა მამის მხრიდან, ფიოდორ სობიანინი ძველი რწმენის (სტაროობრიადი) მიმდევარი იყო, ხოლო მამას, სემიონს, დაუმთავრებელი საშუალო განათლება ჰქონდა. მოგვიანებით იგი ხანტი-მანსიისკში ზეთის ქარხნის დირექტორად მუშაობდა. სერგეის ბაბუა დედის მხრიდან, ალექსანდრ ულანოვი, რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე იყო, რევოლუციის შემდეგ კი იგი სემიონ ბუდიონისთან მსახურობდა. სტალინის მმართველობის დროს, მათ ოჯახს რეპრესიები შეეხო და ისინი ნიაქსიმვოლში გადაასახლეს. სერგეის მშობლებმა ერთმანეთი ზეთის ქარხანაში მუშაობის პერიოდში გაიცნეს.

* მოსწავლეობის პერიოდში სერგეი სობიანინი არაფრით გამოირჩეოდა სხვა თანაკლასელებისგან. იგი ფრიადებზე სწავლობდა, თავისუფალ დროს კი მამასთან ერთად სანადიროდ და სათევზაოდ დადიოდა. ბავშვობაში სერგეი გატაცებული იყო თხილამურებზე სრიალით, რასაც ის მამამ მიაჩვია. სობიანინი დღემდე ინახავს თავის პირველ, მამის ნაჩუქარ, ფიჭვისგან გამოთლილ თხილამურებს.

* 2001 წელს სერგეი სობიანინი არჩეული იყო ტიუმენის ოლქის გუბერნატორად. მის არჩევაში დიდი წვლილი შეიტანა მისმა კავშირებმა რუს ოლიგარქებთან – რომან აბრამოვიჩთან და ვაგიტ ალეკპეროვთან. სობიანინის საარჩევნო კამპანია „სურგუტნეფტეგაზიდან" და „სიბნეფტიდან" ფინანსდებოდა. ტიუმენის ოლქში შემავალი ორი ავტონომიის მეთაურები – ფილიპენკო და ნეელოვი, იმედოვნებდნენ, რომ, არჩევის შემთხვევაში, სობიანინი არ დაუშვებდა ოლქების ავტონომიასთან გაერთიანებას. თავდაპირველად სობიანინი ეთანხმებოდა ავტონომიების ხელმძღვანელებს, თუმცა, გუბერნატორად არჩევიდან მეორე დღესვე მან ოლქის ერთპიროვნული მართვის შესახებ გამოცემულ ბრძანებას მოაწერა ხელი და ავტონომიები ფინანსურად ტიუმენზე დამოკიდებულად გამოაცხადა. სერგეი სობიანინი იყო პირველი გუბერნატორი, რომელიც გაერთიანდა პარტია „ედინაია როსიაში" და ასევე, პირველი გუბერნატორი იყო, რომლესაც კონკურენტებმა არჩევნების პერიოდში სატანისტობაში დასდეს ბრალი.

* 2004 წელს, ტიუმენელ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, სერგეი სობიანინმა სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, არ შეიძლება, რომ რუსეთში ჟურნალისტი თავისუფალი იყოს; რომ, საერთოდ, პრესას სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს და სიტყვის თავისუფლება დაუშვებელია. ამაზე მეტყველებს ფაქტი, რომელიც შეემთხვა ტიუმენის დამოუკიდებელ ტელეკომპანია TPTP-ს და მის შეფს, ევგენი დროზდინსკის: ტელეკომპანიის წამყვანმა ნატალია ემელიანოვამ პირდაპირ ეთერში ირონიული ტონით მოიხსენია სობიანინის (ჯერ კიდევ გუბერნატორის) იდეა, შეესყიდათ ფრანგული ჯიშის ძროხები საფრანგეთიდან. მეორე დღესვე სობიანინმა მკაცრად მოითხოვა ემელიანოვას გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან დროზდინსკისგან, რაზეც უარი მიიღო. უარის მიღებიდან მეორე დღეს კი ევგენი დროზდინსკის ჩამოერთვა ტელეკომპანია და მედიაში მუშაობა აეკრძალა. ამჟამად ტელეკომპანია TPTP ტიუმენის საოლქო ადმინისტრაციის მფარველობის ქვეშ იმყოფება და ფინანსდება სახელწმიფო ბიუჯეტიდან.

* რუსი ექსპერტების უმეტესობა სერგეი სობიანინს კრემლის ტექნიკურ ფიგურად მიიჩნევს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ურთიერთობა ნავთობკომპანიებთან და ოლიგარქებთან. რუსეთის დუმის ყოფილი დეპუტატი, ვადიმ ბონდარი, სობიანინს „ადამიან-კომპიუტერს" უწოდებდა იმის გამო, რომ მას შეეძლო, ერთდროულად გაეკეთებინა რამდენიმე სხვადასხვა საქმე. ერთი პერიოდი იგი აქტიურად განიხილებოდა პუტინის არაოფიციალურ შემცვლელად პრეზიდენტის პოსტზე, თუმცა, ეს ტიტული შემდგომში დიმიტრი მედვედევმა მოირგო.

* მოსკოვის მერად არჩევამდე სერგეი სობიანინის შევსებულ დეკლარაციაში დაფიქსირებული იყო: წლიური შემოსავალი – 3,2 მილიონი რუბლი; 118 კვ. მეტრი ბინა, ავტოფარეხი და ავტომობილი. სობიანინის მეუღლის, ირინას საკუთრებას წარმოადგენს გზების სამშენებლო ფირმა „ირა ბორდიური", რომელიც ტიუმენშია რეგისტრირებული. სხვადასხვა ცნობით, სერგეი სობიანინის მეუღლე და ორი ქალიშვილი მოსკოვში, ხანტი-მანსიისკსა და ევროპაში ცხოვრობენ.

* სერგეი სობიანინის ჰობიდან აღსანიშნავია ნადირობა (პირველად სანადიროდ ის 15 წლის ასაკში წავიდა) და თევზაობა. გუბერნატორად მუშაობის პერიოდში სობიანინი გატაცებული იყო ირმების მოშენებით. ცნობილია, რომ მოსკოვის მერს უყვარს რუსული ლიტერატურა და კლასიკური მუსიკა. სკოლაში და ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი აქტიურად იყო დაკავებული სპორტით – თამაშობდა ჩოგბურთსა და ჰოკეის. გარდა ამისა, ახლახან ცნობილი გახდა, რომ სტუდენტობის პერიოდში სობიანინი წერდა მოთხრობებსა და ლექსებს, რომლებიც სტუდენტურ ჟურნალში იბეჭდებოდა.

* მერად არჩევიდან ერთი თვის თავზე სერგეი სობიანინმა დიმიტრი მედვედევს მიჰბაძა და „ტვიტერზე" ოფიციალური გვერდი გაიხსნა. გარდა ამისა, ის „ფეისბუქზეც" დარეგისტრირდა, სადაც აღმოაჩინა, რომ „ტვიტერის" მავან მომხმარებლებს უკვე ჰქონდათ გავლილი რეგისტრაცია სერგეი სობიანინის სახელით. პირველი, ვინც სობიანინმა „ტვიტერზე" „ფოლოუინგი" გაუკეთა, დიმიტრი მედვედევი იყო.

* ტიუმენელმა ჟურნალისტებმა: ირინა მოკროუსოვამ, ელენა არბატსკაიამ და ოლგა ზაცეპინამ დაწერეს წიგნი მოსკოვის მერზე, სერგეი სობიანინზე, სადაც მისი ცხოვრებისა და საქმიანობის საინტერესო ფაქტებს მოუყარეს თავი. წიგნი 20-ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა, მისი გაყიდვა კი 2010 წლის დეკემბერში დაიწყო. წიგნში მოთხრობილია რამდენიმე სკანდალური ფაქტის შესახებაც, კერძოდ, რომ სერგეი სობიანინის საყვარელ საქმიანობად თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება ითვლება. წიგნიდან ცნობილი ხდება, რომ სერგეი სობიანინის საყვარელ ტანსაცმელად შინდისფერი სვიტერია, ხოლო კერძებიდან ის ციმბირულ სამზარეულოს ანიჭებს უპირატესობას და დიდი სიამოვნებით მიირთმევს უმად შებოლილ ირმის ხორცს. ავტორების ვერსიით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სობიანინის მეუღლემ, ირინამ, ახლო მომავალში იური ლუჟკოვის ცოლის, ელენა ბატურინას მსგავსად, „ფორბსის" მილიარდერების რეიტინგში შეაღწიოს, რადგან, ამის უფლებას მას სერგეი სემიონის ძე არ მისცემს.

* სერგეი სობიანინის მოწინააღმდეგემ მერის არჩევნებზე, რუსმა ოპოზიციონერმა, მოსკოვის მერის ოჯახის წევრების შესახებ სკანდალური ფაქტები გამოაქვეყნა. საუბარია სერგეი სობიანინის ქალიშვილების სახელზე გაფორმებულ ბინებზე მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში. 1986 წელს დაბადებული ანა სობიანინა ფლობს 205 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას პეტერბურგის ცენტრში, რომელიც 3,5 მილიონ დოლარად არის შეფასებული, ხოლო, 1997 წელს დაბადებულ ოლგა სობიანინას სახელზე გაფორმებულია ბინა მოსკოვის ცენტრში, „თეთრ სახლთან", სუპერელიტურ საცხოვრებელ კომპლექსში, სადაც კვადრატული მეტრი ფართობის ფასი 17 ათას დოლარს აღემატება. სერგეი სობიანინის უმცროსი ქალიშვილის ბინის ფართობი 308 კვადრატული მეტრია და მისი ფასი 5,3 მილიონ დოლარს შეადგენს. ნავალნის ცნობით, სობიანინის საკუთრებაში არსებული ბინების საერთო ფასი 6-ჯერ აღემატება იმ შემოსავალს, რაც მოსკოვის მერს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჰქონდა.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# „ფორბსის" ახალგაზრდა ამერიკელი მილიარდერების ტოპ-ათეული

*დასტინ მოსკოვიცი, მარკ ცუკერბერგი, სერგეი ბრინი, შონ პარკერი, რობერტ პერა, ჯეკ დორსი – „ფორბსის" ყველაზე ახალგაზრდა ამერიკელი მილიარდერები არიან, რომელთა შესახებ ჩვენს ჟურნალში არაერთხელ დაწერილა და თითოეული მათგანის შესახებ თითქმის ყველაფერია ცნობილი. ისინი პოპულარულები არიან და მათ იცნობენ, თუმცა, „ფორბსის" 400 ამერიკელი მილიარდერის რეიტინგში არიან ისეთებიც, რომელთა შესახებ არცთუ ბევრ ადამიანს სმენია და დღევანდელ ნომერში სწორედ აქამდე უცნობი ახალგაზრდა ამერიკელი მილიარდერების ჩამონათვალს გთავაზობთ.*



**ლარი პეიჯი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №13; კაპიტალი: 24,9 მილიარდი დოლარი; ასაკი: 40 წლის; თანამდებობა: „გუგლის" გენერალური დირექტორი; შემოსავლის წყარო: „გუგლი."*

„გუგლის" აქციის ფასმა გასულ წელთან შედარებით 28 პროცენტით მოიმატა, რამაც პეიჯის ქონება 4,3 მილიარდი დოლარით გაზარდა. საძიებო გიგანტი კომპანიის გენერალურ დირექტორს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს – მან ხმა დაკარგა და ყელზე მკურნალობს. პეიჯი, სერგეი ბრინთან ერთად, ეკოლოგიური ენერგიის მომხრეა და მისი ინვესტირებით ხდება ელექტრონული ავტომობილების წარმოება „ტესლა მოტორსის" მიერ. პეიჯის სახლი პალო-ალტოში ნამდვილი შედევრია – „ჭკვიანი" სახლი მთლიანად ენერგეტიკულ ეკონომიაზეა დაფუძნებული და მზის ენერგიას იყენებს.

**კევინ პლანკი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №327; კაპიტალი: 1,7 მილიარდი დოლარი; ასაკი: 41 წლის; თანამდებობა: „ანდერ არმორის" გენერალური დირექტორი; შემოსავლის წყარო: „ანდერ არმორი."*



პლანკი მერილენდის უნივერსიტეტის ამერიკული ფეხბურთის გუნდის წევრი იყო და სწორედ მაშინ შეამჩნია, რომ მოთამაშეების ფორმა უხეში და არაკომფორტული იყო. თავისი ბების სარდაფში მან დაიწყო სპეციალური ქსოვილისგან შეკერილი მაისურების წარმოება და კომპანიას „ანდერ არმორი" უწოდა. პლანკი ვარაუდობს, რომ 2013 წლის დასასრულს კომპანიის შემოსავალი 2,25 მილიარდი დოლარით გაიზრდება, ბიზნესმენს კომპანიის 20 პროცენტი ეკუთვნის და ის ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა ამერიკაში ტანსაცმლის წარმოებაში.

**მაიკლ რუბინი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №243; კაპიტალი: 2,3 მილიარდი დოლარი; ასაკი: 41 წლის; თანამდებობა: „კინეტიკის" გენერალური დირექტორი; შემოსავლის წყარო: ონლაინ-ვაჭრობა.*

რუბინმა 150 მილიონი დოლარი მიიღო, როდესაც მის მიერ ნულიდან შექმნილი კომპანია „GSI კომერსი" 2,4 მილიარდ დოლარად შეიძინა „იბეიმ." კიდევ უფრო მეტი თანხა გამოიმუშავა რუბინმა იმ აქტივებისგან, რომელიც „იბეის" არ დასჭირდა. მან 500 მილიონი დოლარი დააბანდა „ფანატიკსის" ტანსაცმლის რიტეილში და „რუ ლალასა" და „შოპრანერის" ონლაინ-მაღაზიებში, რომლებიც ამჟამად რუბინის კომპანიის – „კინეტიკის" შემადგენლობაშია. მაიკლ რუბინის საკუთრებაშია NBA-ს კლუბი – „ფილადელფია 76".

**დენიელ ზიფი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №98; კაპიტალი: 4,6 მილიარდი დოლარი; ასაკი: 41 წლის; თანამდებობა: კერძო ინვესტორი; შემოსავლის წყარო: ინვესტიცია, მემკვიდრეობით მიღებული ქონება.*



დენიელი მედიამაგნატ უილიამ ზიფის უმცროსი ვაჟია. უილიამი 1994 წელს ჩამოშორდა ბიზნესს და ასპარეზი თავის შვილებს – დირკს, რობერტსა და დენიელს დაუთმო. ზიფების საოჯახო იმპერიაში შედის ჟურნალები: „პოპულარ ავიაშენი", „პც მაგაზინი" და „ქარ ენდ დრაივერი"; ცნობილი ამერიკული სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები. ზიფების ახალი თაობა, ასევე, წარმატებით ახორციელებს ინვესტიციებს და მათი შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს.

**ელონ მასკი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №61; კაპიტალი: 6,7 მილიარდი დოლარი; ასაკი: 42 წლის; თანამდებობა: „სფეის ექსპლორეიშენის" გენერალური დირექტორი და „ტესლა მოტორსი"; შემოსავლის წყარო: „ტესლა მოტორსი", „ფეიფალი."*

ქარიზმატული მილიარდერი ელონ მასკი ჰოლივუდური ბლოკბასტერიდან – „რკინის კაცი" ტონი სტარკის პროტოტიპად ითვლება. 2013 წელს მასკი 4,3 მილიარდით გამდიდრდა, რაც მისი წარმატებული ინვესტიციების დამსახურებაა. „ნასა" აქტიურად თანამშრომლობს მასკის კომპანიასთან, რომელიც მზის ელექტროპანლების წარმოებით არის დაკავებული; ასევე, იგი სხვადასხვა კოსმოსურ პროექტზე მუშაობს, რომელთა უმეტესობა ამერიკის სახელმწიფო საიდუმლოებაა.

**ერიკ ლეფკოვსკი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №325; კაპიტალი: 1,75 მილიარდი დოლარი; ასაკი: 44 წლის; თანამდებობა: „გრუპონის" გენერალური დირექტორი; შემოსავლის წყარო: „გრუპონი."*

ერიკ ლეფკოვსკი ინვესტორი და კომპანია „გრუპონის" ერთ-ერთი დამფუძნებელია. 2006 წელს მას დაურეკა ენდრიუ მეისონმა და შესთავაზა საკუპონო სერვისის შექმნა. ლეფკოვსკიმ მეისონს ერთი მილიონი დოლარი გადასცა და ამ სერვისის ამუშავებაზე თანხმობა განუცხადა. მოგვიანებით საკუპონო სისტემა ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად ზრდად ბიზნესად იქცა, რამაც მისი ავტორები მილიარდერებად აქცია. ბოლო წლებში ლეფკოვსკის კომპანიის საქმეები ისე არ მიდის, როგორც მის მფლობელს სურს, მაგრამ, მილიარდერების რეიტინგში ადგილს მაინც ინარჩუნებს.

**მილანე ფრანტცი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №77; კაპიტალი: 5,5 მილიარდი დოლარი; ასაკი: 44 წლის; თანამდებობა: უცნობია; შემოსავლის წყარო: „ენთერფრაიზ პროდაქტს პარტნერსი"; მემკვიდრეობით მიღებული ქონება.*

მილანე ფრანტცი მილსადენების კომპანია „ენთერფრაიზ პროდაქტს პარტნერსის" დამაარსებლის, 2010 წელს გარდაცვლილი დენ დუნკანის ოთხი შვილიდან ერთ-ერთია. გასული წლის მონაცემებით, მილანეს კაპიტალი 1,1 მილიარდი დოლარით გაიზარდა, რაც მამის კომპანიის აქციებზე ფასის მატებამ გამოიწვია.

**დევიდ ეინჰორნი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №371; კაპიტალი: 1,4 მილიარდი დოლარი; ასაკი: 44 წლის; თანამდებობა: „გრინლაით კეპიტალის" პრეზიდენტი; შემოსავლის წყარო: ჰეჯ-ფონდები.*

დევიდ ეინჰორნმა, ფონდ „გრინლაით კეპიტალის" მფლობელმა და დამაარსებელმა, თავისი ქონება ბაზრის წინააღმდეგ თამაშითა და დიდი „კუშების" მიღებით დააგროვა. 2012 წელს ეინჰორნმა მესამე ადგილი დაიკავა პოკერის მსოფლიო სერიის ტურნირზე და მოგებული თანხა, 4,35 მილიონი დოლარი, მთლიანად ქველმოქმედებაზე დახარჯა.

**ჯერი იანგი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №327; კაპიტალი: 1,7 მილიარდი დოლარი; ასაკი: 44 წლის; თანამდებობა: საინვესტიციო კომპანია „ქლაუდ ვენტურეს" მფლობელი; შემოსავლის წყარო: „იაჰუ".*

„იაჰუს" თანადამფუძნებელმა მშობლიური კომპანია 2012 წელს დატოვა და საინვესტიციო ბიზნესში გადაერთო. იანგი „იაჰუს" წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი იყო და დღემდე მისი მიღებული გადაწყვეტილებებით იზრდება „იაჰუს" აქტივები.

**კენ გრიფინი**

*ადგილი „ფორბსის" რეიტინგში: №103; კაპიტალი: 4,4 მილიარდი დოლარი; ასაკი: 44 წლის; თანამდებობა: „ციტადელის" გენერალური დირექტორი; შემოსავლის წყარო: ჰეჯ-ფონდები.*

2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, კენ გრიფინის საკუთრებაში არსებული ფონდები – „კენსინგტონი" და „ველინგტონი", რომლებიც მისი კომპანია „ციტადელის" შემადგენლობაში შედიან, ალმავლობის გზას დაადგნენ, რაც მათი მფლობელის ქონებასაც დაეტყო. გასულ წელთან შედარებით, გრიფინის აქტივებმა 25-პროცენტიანი მატება განიცადა. 2012 წლის დეკემბერში მან ორი მსხვილი შენაძენი განახორციელა: 79 მილიონად იყიდა მინის ნაკვეთი პალმ-ბიჩში და 15 მილიონად – ბინა ჩიკაგოში.

**უშანგი რუხაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**სულ მცირე დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ყოფილი დეპუტატი და მინისტრი, ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩაუდგა სათავეში. მოგეხსენებათ, ეს თანამდებობა ხშირად მოქმედ ხელისუფლებასთან ასოცირდება და, ბატონი ლადოს კანდიდატურაც მცირე მითქმა-მოთქმის საგანი გახდა, თუმცა, თავად რექტორი ამბობს, რომ თსუ-ს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს მისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.**

# ვის გაუხსენებს ძველ წყენას ლადო პაპავა და რას გამოჰყავს ის წყობიდან

**– ბატონო ლადო, თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რა არის ძირითადი სირთულეები, რომლებიც უნივერსიტეტის წინაშე დგას?**

– არ მინდა, არაერთგზის მომიწიოს გამეორება, მაგრამ, მაინც, იძულებული ვარ ვთქვა, რომ, მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, ადამიანებს შორის გაბატონებული სიძულვილი და დაპირისპირებაა, რაც ხან ხელოვნურადაა შექმნილი, ხანაც ობიექტური საფუძველი აქვს. ეს დაპირისპირება ძალიან ცუდ ატმოსფეროს ქმნის უნივერსიტეტის შიგნითაც და საზოგადოებაშიც დაძაბულობაა ამის გამო. ერთ-ერთი მთავარი, რასაც ამ ოთხ წელიწადში მინდა, მივაღწიო, ის არის, რომ მოვხსნა დაძაბულობა და ერთმანეთის ნდობა აღვუდგინო პროფესურას, პროფესორებსა და სტუდენტებს... მინდა, ქართულმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ უნივერსიტეტი ისევ არის ქართული განათლების ფლაგმანი, როგორც ადრე იყო...

**– მაგრამ, ხშირად ამბობენ, რომ ეს ფლაგმანი ისე ვეღარ ფლაგმანობს, როგორც ოდესღაც...**

– ამას აქვს თავისი ლოგიკური ახსნა. ჩვენმა ქვეყანამ საკმაოდ მძიმე პერიოდი გამოიარა: გროშებზე ვმუშაობდით, პროფესურა თვეობით ხელფასს ვერ იღებდა, აუდიტორიები ვერ თბებოდა და პროფესორები სახლში ფეხით მიდიოდნენ გათოშილები... თუმცა, მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა. ჩემი აზრით, ეგრეთ წოდებული „ნაციონალური" რეფორმების დროს თსუ ნამდვილად სამიზნე იყო და ძალიან დიდი ზიანი მიადგა ამით. რეფორმა დაერქვა იმას, რაც, სინამდვილეში, მექანიკური „ჭრა-კერვა" იყო. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს სჭირდებოდა რეფორმა, მაგრამ, მექანიკურად მორგება რომელიმე დასავლურ მოდელზე და მისი ბრმად კოპირება შეცდომა იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იდეალური საუნივერსიტეტო მოდელი მსოფლიოში არ არსებობს. სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა პროფესორმა კონკურსში არ მიიღო მონაწილეობა; ბევრი მათგანმა კი, რომლებიც ბუნებით უფრო კონფორმისტები იყვნენ, იპოვა საკუთარი ადგილი და დარჩა. ჩემთვის დაბეჩავებული პროფესორი მიუღებელია, რადგან, მეცნიერება, თავისთავად, კრიტიკულ აზროვნებას, პროტესტს გულისხმობს – არ შეიძლება, იყო მეცნიერი და არ გქონდეს კრიტიკული დამოკიდებულება. ერთადერთი, რისი კრიტიკაც არ შეიძლება, ბიბლიაა, დანარჩენი ყველაფერი განსჯას ექვემდებარება. მეცნიერება იწყება იქ, სადაც ადამიანს უჩნდება ეჭვი, კითხვები, პროტესტი, არ ეთანხმება რაღაცას, უნდა, რომ სხვაგვარად ახსნას... კარგი პროფესორი ვერასდროს იქნება მორჩილი. ეს არ არის სამინისტრო, რომ ყველა ერთ ბრძანებაზე იყოს მორგებული და ამ ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდეს! საზოგადოებაში შეიქმნა წარმოდგენა, რომ, რაც უნივერსიტეტში ხდება, ყველაფერი ცუდია; რომ ეს არის ჩამორჩენილი და დაცემული ორგანიზაცია. გულწრფელად რომ გითხრათ, ეს ასე არ არის – ჩვენ გვაქვს რამდენიმე ძალიან წარმატებული მიმართულება, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი მიმართულებაც დავკარგეთ, მაგალითად, ფიზიკაში. მე აღვადგინე რექტორის მრჩეველთა საბჭო, რომელშიც, სხვებთან ერთად, პროფესორი ჯემალ მებონიაც შედის.



**მეცნიერება იწყება იქ, სადაც ადამიანს უჩნდება ეჭვი, კითხვები, პროტესტი; არ ეთანხმება რაღაცას; უნდა, რომ სხვაგვარად ახსნას... კარგი პროფესორი ვერასდროს იქნება მორჩილი**

როგორც იცით, ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს იყო ინიცირებული ბათუმში ამერიკული ტექნიკური უნივერსიტეტის გახსნა. შემდეგ ამ იდეამ ტრანსფორმაცია განიცადა და ითქვა, რომ, იმ უნივერსიტეტების ბაზაზე, რომლებიც თბილისში არსებობს, „ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამის ფარგლებში შეირჩეს საუკეთესო ამერიკული უნივერსიტეტები, აქ გაკეთდეს პროგრამა და აქ დაიწყება ამერიკული პროგრამით სწავლება. ჩვენს უნივერსიტეტს პრეტენზია გვაქვს ელექტრონიკასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, ასევე ბიოტექნოლოგიებზე.

**– ხშირად ამბობენ, რომ უნივერსიტეტი ძალიან არის პოლიტიკურად „დატვირთული" და რექტორებიც მმართველ გუნდთან ასოცირდებიან ხოლმე.**

– მე იმდენ ხანს ვიყავი პოლიტიკაში, რომ ამ სფეროს საკმაოდ კარგად ვიცნობ; ასევე, კარგად ვიცნობ პოლიტიკოსებსაც და ბევრ მათგანთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ, ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს – ეს უმაღლესი სასწავლებელია, სადაც უნდა იყოს თავისუფალი აზროვნება და ჩვენ ვერავის ვერ მოვერგებით. ნუ გამამეორებინებთ, რა ნიშნით ინიშნებოდნენ თსუ-ს რექტორები, წარსულის შეფასებაზე არ ვარ პირადად ორიენტირებული. რექტორის არჩევნებში არანაირი პოლიტიკური მხარდაჭერა არ მქონია და ღიად არც მებრძოდა ვინმე.

**– ჰო, მაგრამ, საზოგადოებაში მაინც იყო მითქმა-მოთქმა, რომ მხარს უჭერდა თქვენს კანდიდატურას.**

– ეს აშკარა ჭორია. შემიძლია, გულწრფელად გითხრათ, რომ არანაირი მხარდაჭერა არ მქონია, პირიქით, მქონდა ისეთი განცდა, რომ მოქმედი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი იმაზე იყო ორიენტირებული, რომ არჩევნები ჩაშლილიყო, რათა ლადო პაპავას არ გაემარჯვა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, ალბათ, მათ თავიანთი ხედვა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტური არ ვარ და მათთან პირადი უთანხმოება არ მქონია... ცხადია, ისინი ფარულად მოქმედებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მე არავის წინაშე თავს ვალდებულად არ ვგრძნობ, თუმცა, არც უხეში ჩარევის მცდელობა მიგრძნია. სხვადასხვა ფორმით რამდენიმეჯერ მქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან, მაგრამ, მისი მხრიდან პოლიტიკური ზეწოლა და რეკომენდაციები არ ყოფილა. ჩემთვის რექტორობა, დიდ პატივთან ერთად, არის დიდი ტვირთიც. არ გამოვრიცხავ შეცდომების დაშვებას – მეც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ.

**– კრიტიკული დამოკიდებულება ახსენეთ წეღან. თქვენ მიმართ კრიტიკაზე როგორ რეაგირებთ?**

– კრიტიკაც არის და კრიტიკაც, ვიღებ, თუ არგუმენტირებულია და სამართლიანი, მაგრამ, სხვა არის შეურაცხყოფა. არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც არ უყვარს მოსმენა და არასდროს იცვლის აზრს. თუ არგუმენტები სერიოზულია, შესაბამის რეაგირებას ვახდენ. მე ყოველთვის ვცდილობდი, მწვავე კრიტიკის დროსაც კი, დამეცვა სტანდარტი და არ გამომეყენებინა შეურაცხმყოფელი სიტყვები. მოვისმინე ჩემ შესახებ დაუმსახურებელი გამონათქვამები – რას იზამ, როცა ასეთ თანამდებობაზე ხარ, ამასაც უნდა შეეგუო. ყველას რომ ყველაფერზე აჰყვე და შეეპასუხო, ისევ შენ გამოხვალ დამნაშავე. თუ შენც შეურაცხყოფით უპასუხე, რით ხარ მასზე უკეთესი?! ზოგჯერ მიჭირს თავის შეკავება, რომ წყობიდან არ გამოვიდე. უბრალოდ, უნივერსიტეტის სახელს ვუფრთხილდები და, ხშირად ისეთი გადაწყვეტილებაც უნდა მივიღო, რომელიც ჩემს გემოვნებაში მაინცდამაინც არ ჯდება.

**– ბევრი ადამიანისთვის გარეგნულად მკაცრი და შეუვალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ...**

– ბევრისთვის კი, პირიქით, ლმობიერი და რბილი ხასიათი მაქვს... არ ვიცი, მიმაჩნია, რომ საკმაოდ კომუნიკაბელური ვარ მედიასთან ურთიერთობაში, თუმცა, დღემდე „მყავს" ისეთი ჟურნალისტები, რომლებიც არ მიყვარს მათი ძალიან მდაბიო თვისებების გამო. ძირითადად კი ძალიან ადვილად ვპოულობ მედიასთან საერთო ენას...

**– იმ ჟურნალისტებთან ვინც არ გიყვართ, მაინც გიწევთ კონტაქტი?**

– იყო ერთი ასეთი ჟურნალისტი, რომელმაც ყველა ადამიანური ნორმა დაარღვია, დეპუტატი გახლდით მაშინ. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ გამოვედი და შემომეხვივნენ ჟურნალისტები კამერებით – მაშინ ჯერ კიდევ თბილისში იყო პარლამენტი, კარგი დრო იყო... იმ ჟურნალისტზე ვთქვი, სანამ ეს აქედან არ წავა, არც

(გაგრძელება 75-ე გვერდზე)

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ჩვენ განუმეორებელ საუკუნეში ვცხოვრობთ – საქართველოში ვერავის ვერაფრით გააკვირვებ, ვერაფრით გააოცებ, ყველას ყველაფერი ნანახი აქვს და ყველაფერი იცის... და მაინც, ვახტანგ სუთიძის წიგნი „დაუვიწყარი შეხვედრა" აუცილებლად უნდა წაიკითხოთ – ეს არის ორიგინალური ქართული კლასიკური წერის მანერასთან მიბრუნება.**

**ვახტანგ სუთიძე თბილისში დაიბადა ამ ოცდაცამეტიოდე წლის წინ. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა დედასთან ერთად ამერიკაში წავიდა და ინგლისური მისთვის მეორე მშობლიური ენა გახდა. პოლიტიკოსობას გეგმავდა – ნიუ-იორკში ერთ-ერთ კოლეჯში პოლიტოლოგიას სწავლობდა... პატარაობიდან უყვარდა კითხვა, წერაც სცადა, მაგრამ, საკუთარი ნაშრომი არ მოეწონა და წერას თავი დაანება. შემდეგ მას, როგორც ძირითადად ხდება ხოლმე სამშობლოდან შორს წასული გონიერი ახალგაზრდების ცხოვრებაში, ეგრეთ წოდებული „რთული დღეები" დაუდგა, მაგრამ, სულიერი მოძღვრის ძალისხმევით, „უარესი დღეები" უკან დარჩა...**

# ვახტანგ სუთიძის წიგნი – „დაუვიწყარი შეხვედრა"

**– ვახტანგ, როგორ დაიწერა „დაუვიწყარი შეხვედრა"?**

– კოლეჯში პოლიტოლოგიის სწავლისას უკვე წაკითხული მქონდა მსოფლიოს კლასიკოსები და განსაკუთრებით მომწონდა შექსპირი. შემდეგ, ქართული მწერლობის წაკითხვა კი არა, თავიდან შესწავლა დავიწყე და, დღეს ჩემი უსაყვარლესი შემოქმედები არიან: შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ნოდარ დუმბაძე... ჭაბუა ამირეჯიბი ჩემთვისაც ისეთივე განუმეორებელი მწერალია, როგორც ნებისმიერი ქართველი მკითხველისთვის... თითქმის ოცდაათს მიღწეულმა გადავწყვიტე, ისევ მწერლობა დამეწყო. სამი წელი იწერებოდა ეს წიგნი. ზოგიერთ მოთხრობაში მოქმედება საქართველოში ვითარდება, ზოგში – ამერიკაში. ბევრი რამ ამ წიგნში ცხოვრებისეულია და მართალია. ეს ჩემი პირველი წიგნია.

**– რას ეტყოდი მკითხველებს, ამ წიგნის ავტორი კი არა, უბრალოდ, მკითხველი რომ იყო?**



– ჩემი აზრით, შვიდივე მოთხრობა იოლად იკითხება, რადგან, ძირითადად, დიალოგებად არის დაწერილი. თითქმის სცენარივითაა: სიუჟეტები სწრაფად იცვლება, თანდათან უფრო დინამიკური და საინტერესო ხდება, მოვლენები არ არის ნაძალადევი და მოქმედება სწრაფად, სინქრონულად გადადის ერთიდან მეორეში. ადვილად იმიტომაც იკითხება, რომ უფრო სათავგადასავლოა, თან, არც ენას ვამახინჯებ, არც რეალობას. იშვიათად მაქვს გამოყენებული უცხო სიტყვები. ჩემი აზრით, მწერალი მხოლოდ იმაზე უნდა წერდეს, რაც მნიშვნელოვანია და აზრიანი, და არა, ყველაფერზე, რაზეც მოეპრიანება. მაქვს რუსული დიალოგებიც, რადგან, აღწერილი მაქვს ემიგრანტების ცხოვრება ამერიკაში. აქა-იქ ჩემი ცხოვრებიდანაც არის ეპიზოდები. ყურადღებას ვამახვილებ უმნიშვნელოვანესზე ცხოვრებაში – მეგობრობაზე, სიყვარულზე, ჭეშმარიტ სულიერებაზე... ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს.



**– ბილწსიტყვაობა თუ გაქვს, რაც ასე მიღებული ფორმაა ამ ბოლო დროს?**

– არა. თუმცა მირჩიეს, ისე წერე, როგორც დღეს ხალხი ლაპარაკობსო, რაც მე არ მომწონს – ეს კარგი არ იქნება. ბევრი ადამიანი ბილწსიტყვაობს და ამის დაწერა, უბრალოდ, უზნეობაა. ასე ვერ დავწერ, კლასიკურ ქართულს ვანიჭებ უპირატესობას. ჩემი აზრით, შეიძლება, ნიჭიერი იყოს ადამიანი, მაგრამ, არასწორად გამოიყენოს ეს ნიჭი, ვთქვათ, როგორც მწერალი სილამაზეს კი არა, უმსგავსობას ემსახუროს იმიტომ, რომ მოდაშია. ამბობენ, ეს ყველაფერი დრომ მოიტანაო. დროს არაფერი მოაქვს, დროსა და გარემოებას ჩვენ ვქმნით. ვეთანხმები ჭაბუა ამირეჯიბს – ძნელია ქართველობა. ჩვენ უნდა მივბაძოთ ჩვენს მწერლებს, არ გადავუხვიოთ ეთიკურ ნორმებს. ბილწსიტყვაობა ყოველთვის იყო, მაგრამ, არ წერდნენ. მიმაჩნია, რომ, როგორიც არის ადამიანი, ისე წერს. ვერაფერს დააბრალებს მოდას. კომუნიზმიც იყო „მოდაში", მაგრამ, არ ნიშნავს, რომ სწორი იყო.

**– რამ გიბიძგა მწერლობისკენ?**

– თავს როცა ცუდად ვგრძნობდი, ხსნად მომევლინა სულიერება, რომელზეც ადრე არ მიფიქრია. სიკვდილს რომ ჩავხედე თვალებში, მივხვდი ჩემს უმთავრეს შეცდომას, რაც ძალიან დამეხმარა საკუთარი თავის შეცნობაში და საქართველოსადმი სიყვარულის გაღრმავებაში.

ჩემმა სულიერმა მოძღვარმა, ამჟამად ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე პეტრემ ჯერ კიდევ სნოში ყოფნისას მაჩუქა სასულიერო ხასიათის წიგნები, რომლებიც ძალიან დამეხმარა, საკუთარ თავში საჭირო და აუცილებელი ძალები აღმომეჩინა. 2010 წლის იანვრიდან სამუდამოდ ჩამოვედი საქართველოში. თითქმის სამი წელი ვწერდი ამ შვიდ მოთხრობას, რომელთა შინაარსიც ადრე მქონდა ჩაწერილი და შემდეგ, წერის დროს მივეცი დასრულებული სახე.




**– ქართულად აზროვნებ?**

– დიახ, ქართულად. ქართულად აზროვნებაზე კარგი ამქვეყნად არაფერია. საქმე ისაა, რომ ქართულად მხოლოდ მაშინ იაზროვნებს ქართველი ადამიანი, თუ თავმდაბლობის, გულწრფელობისა და ლმობიერების არ შერცხვება და საქართველოს წარსულს არ დაივიწყებს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ბევრი ჩვენგანი უფრო დასავლურ აზროვნებას სცემს პატივს, არადა, ქართველისთვის უმთავრესი ქართველობაა.

**– მიგაჩნია თუ არა, რომ შენი წიგნი ქართველობის სწორად აღქმას უწყობს ხელს?**

– დიახ.

**– გმადლობთ ამისთვის.**

*P.S. მკითხველი, რომელიც ქართულ მწერლობას პატივს სცემს, აუცილებლად მოიკითხავს ვახტანგ სუთიძის წიგნს „დაუვიწყარი შეხვედრა" წიგნების მაღაზიათა ქსელში – „ბიბლუსსა" და „პარნასში". სიამოვნებით გაეცნობა ჩვენი თანამემამულის ორიგინალურ ნაზრევს, რომელიც მის მომავალ დიდ და წარმატებულ მხატვრულ შემოქმედებას დაუდებს სათავეს.*

**ქეთევან ჩემია**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **გთხოვთ განმიმარტოთ, შეუძლიათ თუ არა მხარეებს სამოქალაქო საქმეზე დამოუკიდებლად დანიშნონ ექსპერტიზა და, თუ შეუძლიათ, როგორ ხდება მხარის მიერ ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტის დასკვნის წარდგენა სასამართლოში?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო საქმეზე მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში, ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. სარჩელის ან შესაგებლის წარდგენისას მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას ექსპერტის დასკვნა მხარემ, შეიძლება, წარმოადგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვისთვის საქმის მომზადების სტადიაზე მისთვის ექსპერტის დასკვნის წარდგენის საჭიროება ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და ასეთი საფუძველი წარმოიშვა ამ სხდომაზე, ან, თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა საქმის მომზადების სტადიაზე. მხა-



რის მიერ ექსპერტის დასკვნის წარმოუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი. ამასთან, სასამართლოს შეუძლია, მხარეს დაუნიშნოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, სამოქალაქო საქმის განხილვისას, განხილვის რომელ სტადიაზე და რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისთვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

კითხვა: **გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში ჩაითვლება ქმედება დანაშაულის მცდელობად, ანუ, რა შემთხვევაში ხდება ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულის მცდელობად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ, დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და, შესაბამისად, ვერ დადგა ის შედეგი, რომელსაც ითვალისწინებდა პირის განზრახვა.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, ქონებრივი დავისას რა შემთხვევაშია დასაშვები სააპელაციო საჩივარი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, სამართლებრივად სწორია თუ არა ტერმინი – „ერთი სარკმლის პრინციპი“ და რა მნიშვნელობა აქვს მას?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ „ერთი სარკმლის პრინციპი“ არის ადმინისტრაციული წარმოების წესი, როდესაც ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას. დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დადასტურება დაკავშირებული უნდა იყოს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან და ამ პირობების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს ლიცენზიის ან ნებართვის მიღების მიზანს.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა ქმედებები ითვლება ამომრჩევლის მოსყიდვად და რა სახის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ამომრჩევლის მოსყიდვად ითვლება, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდში ამომრჩევლისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურეობის გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა. ამომრჩევლის მოსყიდვა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს და ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში გამოიყენება მსჯავრდებულთან სამოქალაქო შეთანხმების გაფორმება და ვინ ახორციელებს სამოქალაქო შეთანხმების დროს მსჯავრდებულის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულებას?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პროკურორს შეუძლია, პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით, მასთან გააფორმოს სამოქალაქო შეთანხმება, თუ მას აქვს სურვილი და შესაძლებლობა, გარკვეულ სფეროში საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გაუზიაროს. სამოქალაქო შეთანხმებით განისაზღვრება პირობით მსჯავრდებულის მოვალეობები, ასევე, დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს აღნიშნული მოვალეობები და რომლის გასვლის შემდეგაც პირობით მსჯავრდებულს შეიძლება გაუუქმდეს პირობითი მსჯავრი და მოეხსნას ნასამართლობა. სამოქალაქო შეთანხმებით პირობით მსჯავრდებულის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ბიურო, რომელიც პროკურორს პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას ამ შეთანხმების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონი საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებისას უკანონო გარიგებების არსებობის შემთხვევაში და ზოგადად რა სახის პასუხისმგებლობაა დაწესებული ტენდერში მონაწილე სუბიექტების მიმართ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში მონაწილეობისას შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება, თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2 წლამდე. ამგვარი ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

**ჟურნალ „თბილისელებს“** საქართველოს მასშტაბით ესაჭიროება სარეკლამო და გაყიდვების აგენტები მოკლევადიანი პროექტისთვის. აუცილებელი მოთხოვნებია: იყოს მოწესრიგებული, მობილიზებული, აქტიური, კომუნიკაბელური და ჰქონდეს ორგანიზატორული ნიჭი.

**გასაუბრება - ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 12 საათიდან 5 საათამდე. გასაუბრების ბოლო ვადა - 31 ოქტომბერი.**

**მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის N47.**

**ტელეფონები: 599 379 773; 571 379 773; 239 23 53; 239 23 52.**

# ინტიმური საუბრები

**ჩემი ძმის უსაქმურობა ყელში ამომივიდა**

შეიძლება, ვინმემ გამამტყუნოს, რომ ერთადერთ ძმაზე გწერთ, მაგრამ, ძალიან არ მომწონს მისი საქციელი და, ზოგადად, ცხოვრებისეული პოზიცია და, მინდა, თვითონ თუ არა, მისმა საცოლემ მაინც წაიკითხოს და გაიგოს, რომ კარგად არ იქცევიან, განსაკუთრებით კი – ჩემი ძმა.

საქმე ისაა, რომ ნიკა (ჩემი ძმა) 34 წლისაა და, შეიძლება ითქვას, ჯერ არსად უმუშავია, რადგან, ყველანაირ სამსახურს არ კადრულობს, რაღაც განსაკუთრებული უნდა და, რაც მთავარია, განსაკუთრებული ხელფასით – სულ იმას გაიძახის, ათას და ათას ხუთას ლარად არ ვიმუშავებო. მე თუ მკითხავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არ უნდა მუშაობა და სიბერემდე დედაჩემის და ჩემს კისერზე აპირებს ცხოვრებას (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა).

ერთ საღამოს ჩემს ძმას მეგობრები ჰყავდა სტუმრად დაბადების დღეზე. გოგოებიც იყვნენ და ბიჭებიც და ათას რამეზე ლაპარაკობდნენ. როცა ცოლისა და ქმრის მოვალეობების თემას მიადგნენ, ჩემმა ძმამ გამოაცხადა: მე პატივს არ ვცემ იმ ქმრებს, ცოლებს რომ „აპახავებენ“ და თვითონ მათ კმაყოფაზე არიან. ასეთი ქმარი წიხლქვეშ უნდა ამოიდო, რადგან, სხვებთან კაცობაზე დებს თავს, სინამდვილეში კი უთავმოყვარეო არაკაციაო. ნათქვამი ყველამ მოუწონა, გოგოებმა ერთგვარი შურითაც კი გახედეს ნიკას შეყვარებულს, რომელიც ამაყად იჯდა – ნახეთ, როგორ ბიჭს ვუყვარვარო. სხვათა შორის, ელენეც არ მუშაობს, რადგან, ნიკა არ აძლევს უფლებას. არადა, ყოველ პაემანზე წასასვლელად 50-დან 100 ლარამდე გვართმევს ხან – მე, ხან – დედაჩემს, ნაკლებს არ კადრულობს. თან, რომ ჰკითხო, 1 500-ლარიან სამსახურსაც თაკილობს – არ ეკადრება ბიჭს. ის ქალბატონიც, რა თქმა უნდა, მშვენივრად იფერებს კაფე-რესტორნებსაც და ძვირფას საჩუქრებსაც (დამავიწყდა, მეთქვა, რომ ჩემმა ძმამ ნორმალური სუნამო აღარ შემარჩინა, კოსმეტიკასა და ბიჟუტერიაზე რომ აღარაფერი ვთქვა). თუმცა, იმას რას ვერჩი, ჩემი ძმაა უვარგისი. ესე იგი, რა გამოდის – ცოლის (ან საცოლის) „პახაობის“ ხარჯზე ვერ იცხოვრებს, მაგრამ, მასზე ცხრა წლით უმცროსი, გაუთხოვარი და (ანუ – მე) და ავადმყოფი დედა რომ „პახაობენ“ დილიდან საღამომდე და კაპიკს არ გვიტოვებს, იმიტომ არა უშავს, რომ არავინ იცის ამის შესახებ?!



შეიძლება, ძალიან უხეშად ვამბობ, მაგრამ, იმიტომ არ მჯერა ქართველი კაცების ვაჟკაცობის, რომ სინამდვილეში, მაპატიეთ და, მათი უმრავლესობა „ფუფლოა“, „სიაფანდი“, ყალბი და უსაქმური. იმიტომაც არის ჩვენი ქვეყნის საქმე კარგად, რომ ქართველი კაცების დიდი ნაწილი ცოლებს ვიღაც უცხოელი ბებრების „სუდნოების“ სათრევად გზავნიან და ასეთი სიმწრითა და დამცირებით გამომუშავებულ ფულს, რომელსაც ცოლები უგზავნიან, საყვარლებში ან ლოთობაში ხარჯავენ. ამიტომ, მირჩევნია, ვიღაც სოფლელ გლეხის ბიჭს გავყვე ცოლად, რომელიც მუშაობას სირცხვილად და დამცირებად არ მიიჩნევს, ვიდრე დედის, დის ან ცოლის კისერზე შემომჯდარ, გაზულუქებულ უსაქმურს. ჩემს ძმას კი ცოტა ხანს კიდევ ვაცლი და, თუ მუშაობა არ დაიწყო, თავისი შეყვარებულიან-ფრაზებიანად ვასწავლი ჭკუას.

**თათა, 25 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# გახდომისა და სხეულის კორექციის საუკეთესო მეთოდი

**– ქალბატონო მარი, რა ვუყოთ აკრეფილ კილოგრამებს, როცა გვინდა, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ?**

– ადამიანი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში წონაში იმატებს და თუკი ადრე ამ მომატებას მალევე და ადვილად იკლებდა, ახლა უკვე დიდი ძალისხმევითაც ვერ ახერხებს ამას. ზოგიერთი ეგუება ამ ფაქტს, ხელს ჩაიქნევს და განაგრძობს მატებას. ზოგიერთი კი ტანჯვა-წამებით დაკლებულ 2-3 კილოგრამს მალევე ორმაგად იბრუნებს. ისინი, ვინც თვეში ნახევარი კილოგრამის მომატებას არაფრად არ აგდებენ, ერთი წლის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ თურმე ექვსი კილოთი მეტს იწონიან. ვაკუუმ-თერაპია ყველაზე ეფექტური მეთოდია ჭარბ წონასთან და ცელულიტთან ბრძოლაში. სხეულზე პროცედურები კეთდება დიდი და საშუალო ზომის ქილებით. ისინი ქმნიან ძლიერ ვაკუუმს, რის შედეგადაც ცელულიტი ჯერ რბილდება და შემდეგ მცირდება. წარმოიდგინეთ, ერთდროულად დასმული ათი ნახევარლიტრიანი ქილების დიამეტრის ვაკუუმი. ეს ძალიან დიდი ძალაა, გარდა ამისა, თერმულ-მექანიკური ზემოქმედებაც ხდება და კანი, რაც არ უნდა მოიკლოთ, არ დაკარგავს ელასტიკურობას და არ „ჩამოეკიდება“.

**– რამდენი კილოგრამის დაკლებაა შესაძლებელი საშუალოდ და რა ღირს ერთი პროცედურა?**

– 8-10 კილოგრამის დასაკლებად 15-20 პროცედურაა რეკომენდებული, სეანსი ერთი საათი გრძელდება და 35 ლარი ღირს. ერთდროულად პაციენტს ენიშნება სწორი კვება (სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის მიხედვით), თუ არ არის წონის პრობლემა, მაგრამ საჭიროა სხეულის ცალკეული ნაწილების (გალიფე, თეძოები, დუნდულები, წვივები, მხრები) კორექცია, ამ შემთხვევაში იგივე პროცედურები უტარდებათ, ოღონდ დიეტის გარეშე. ზოგიერთი მეკითხება: „თუ დიეტა დავიცავი, ხომ ისედაც დავიკლებ, რაღა საჭიროა მასაჟი?“ გარწმუნებთ, მარტო დიეტის დაცვით ამ ადგილობრივ პრობლემებს ვერ მოიგვარებთ, მოიკლებთ ყველგან, გარდა იმ ადგილებისა. თანაც მიიღებთ ნატანჯ-ნაწამებ სახის გამომეტყველებას. უფრო მეტად გაღიზიანებულები, კონფლიქტურები და დეპრესიულები გახდებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, რა თქმა უნდა, წონის დაკლებისას დანიშნული სწორი კვების რეჟიმის მკაცრი დაცვა აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, „დიეტიდან“ გამოსვლა, ანუ, მიღებული შედეგის შენარჩუნება. იმიტომ რომ, ამ დროს ორგანიზმი არასწორად იღებს საკვებს ცხიმების სახით, აი, საიდან მოდის დიეტის შემდეგ კვლავ წონის მომატება. აუცილებელია, მიეცეს პაციენტს სწორი რჩევა-დარიგებები, თუ როგორ მოიქცეს შემდგომში იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს „რიკოშეტის“ რეაქცია. პროცედურების დროს ჩვენ პარალელურად ვიყენებთ თაფლს, შავ შოკოლადსა და ყავას. მათ გააჩნიათ ანტიცელულიტური მოქმედება. ქილებით დამუშავებულ და გახსნილ ფორებში, კანქვეშა ცხიმიდან ქსოვილებში აღწევენ და შლიან მათ. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ პაციენტები, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებითაც კი უფრო გამხდრად გამოიყურებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან დაკლებულები, რადგან ვიზუალური კლება სანტიმეტრების ხარჯზე ხდება.

**– ამავე მეთოდით ხდება სახეზე ნაოჭების გასწორება. გამიგია, რომ ამ მასაჟის შემდგომ შეიძლება, ლაქები გაჩნდეს, ტანზე კიდევ არა უშავს, მაგრამ სახეზე?**

– მეთოდი იგივეა – ვაკუუმთერაპია, მაგრამ სახეზე, სხეულისგან განსხვავებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ მცირე და საშუალო ზომის პარამეტრებს და შესაბამისად არანაირი ლაქები არ რჩება.

ამ პროცედურების გაკეთება ექიმისგან დიდ სიფრთხილეს, ყურადღების კონცენტრირებას, პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას მოითხოვს. ეს მეთოდი აძლიერებს სისხლის მიკროცირკულაციას კანქვეშ და ნაოჭები ქვევიდან, სიღრმიდან სწორდება. კრემები (რაც უნდა ხარისხიანი და ძვირად ღირებულიც არ უნდა იყოს), კი ზედაპირზე მოქმედებს და მათი ეფექტი მოკლევადიანია. დოზირებული ვაკუუმით სახის კანზე ჩვენ ვახდენთ ღრმა ზემოქმედებას ნაწიბურებზე, ნაოჭებზე. ამ დროს 4-5-ჯერ ძლიერდება მიკროცირკულაცია. „ცოცხლდებიან“ დისტროფიული უჯრედები და „გაზარმაცებულ“ კაპილარებში სისხლის დიდი ნაკადი მიედინება. აი, რაშია ამ მეთოდის უნიკალურობა და შეუდარებელი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი!

**– ამ შემთხვევაში რამდენი პროცედურაა ჩასატარებელი და რა ღირს ერთი მასაჟი?**

– სახის მასაჟი 40-50 წუთი გრძელდება და 25 ლარი ღირს, თავიდან დღეგამოშვებით კეთდება, სანამ სისხლის და ლიმფის მიმოქცევა აღდგება, შემდეგ კი, მიყოლებითაც შეიძლება. პროცედურები არ ტარდება ჩირქოვანი გამონაყარის, ჰერპესისა და სოკოვანი დაავადებების დროს.

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმეტესობა პირველივე სეანსების შემდეგ აღნიშნავს, რომ კანს უბრუნდება ჯანმრთელი ელფერი (ამას განსაკუთრებით მწეველები ამბობენ), წვრილი, მიმიკური ნაოჭების რაოდენობა მცირდება, ხოლო ღრმა, ფუნქციური ნაკეცები ნაკლებად გამომხატველი და თვალში საცემი ხდება (დერმატოლიფტინგის ეფექტი). მომდევნო სეანსების შემდეგ კანის სტრუქტურა მკვეთრად უმჯობესდება. მცირდება შეშუპებები და ლაქები თვალების გარშემო, მყარდება სახის კუნთოვანი კარკასი და პაციენტი 5-8 წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ვაკუუმთერაპია ებრძვის ძველ, უკვე არსებულ და ახალ მიმიკურ ნაოჭებს. გარდა ამისა, კურსის დამთავრების შემდეგ აბსოლუტურად ყველა პაციენტი აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემების მოგვარების გარდა, მკვეთრად გაუმჯობესდა მათი ზოგადი მდგომარეობა. აღნიშნავენ ენერგიის მოზღვავებას, ძალის მოწესრიგებას, უმიზეზო თავის ტკივილებისა და დეპრესიული მოვლენების ალაგებას, უმჯობესდება ადამიანის გუნება-განწყობა და პაციენტი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება.

**ექიმი მარინა ლომიძე 593-30-00-08.**

**სამწუხაროდ, დღეს, სტატისტიკური მონაცემებით, იმპოტენცია საკმაოდ გაახალგაზრდავდა. ეს დაავადება ბევრ მამაკაცს სჭირს, თუმცა აღიარება ძალიან უძნელდებათ. ამის გამო უამრავი ოჯახი ინგრევა. ბევრ ადამიანს კი ფსიქიკური პრობლემები, სწორედ იმპოტენციის ფონზე უვითარდება. ბოლო დროინდელი კვლევებით, ზოგი მეცნიერი იმასაც ამტკიცებს, რომ ამ პრობლემების მომრავლება, კომპიუტერსა და მობილურ ტელეფონს უკავშირდება და მისი ხშირი მომხმარებლები, გაცილებით ადრეულ ასაკში ხდებიან სექსუალური პრობლემების მსხვერპლნი. ამ თემასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ ექიმ-სექსოლოგს, პროფესორ არჩილ ბაქრაძეს, რომელმაც საკმაოდ საყურადღებო და გასათვალისწინებელი რჩევები მოგვაწოდა სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრების, ასევე დარღვევებისა და ზოგადად, სასიყვარულო პარტნიორების ცხოვრების დეტალების შესახებ.**



**ყველაზე ცუდი ის არის, რომ მამაკაცი ფიქრობს, რაკი შეძლო სქესობრივი აქტის ჩატარება, უკვე პოტენტურია**

# არის თუ არა უსაფრთხო ახალგაზრდებისთვის კომპიუტერით სუროგატული სექსი და რატომ არ ნიშნავს საწოლში რაოდენობა კარგ შედეგს

**არჩილ ბაქრაძე**: სიტყვა იმპოტენცია, დიდი ხანია, პრაქტიკიდან ამოიღეს, რადგან, ეს სიტყვა, ნებისმიერი მამაკაცისთვის, ძალიან მძიმე და დამთრგუნველია თავისი ფსიქოლოგიური გათვლებით. რეალურად კი, ეს სიტყვა ნიშნავს, რომ პაციენტს პრობლემა შეექმნა ქალთან და ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია. ამიტომ, ბოლო ათწლეულებია, ექიმები ხმარობენ არა სიტყვა იმპოტენციას, არამედ ერექციულ უკმარისობას. აქვე გეტყვით, რომ პოტენცია, არის ქალის დაკმაყოფილების უნარი, ხოლო ქალის დაკმაყოფილება კი, არ ნიშნავს სრულფასოვან ერექციას მამაკაცის მხრიდან და მოკლე სქესობრივ აქტს. ქალის დაკმაყოფილებას სჭირდება ხანგრძლივი სქესობრივი აქტი და მამაკაცს უნდა შეეძლოს სქესობრივი ცხოვრების პროცესის გახანგრძლივება. საკითხს ასე თუ მივუდგებით მაშინ იმპოტენცია ძალიან ხშირია. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მამაკაცი ამ ფაქტს არ აღიარებს და ფიქრობს, რაკი შეძლო სქესობრივი აქტის ჩატარება, უკვე პოტენტურია. ასე, არ ხდება. ზოგადად კი, სიტყვა ნორმა, სექსოლოგიაში არ არსებობს. საშუალოდ, სირცხვილი რომ არ იყოს კაცისთვის ინტიმურ ვითარებაში ქალის გვერდით დაწოლა, სქესობრივი აქტის ჩატარება-გახანგრძლივება 5-7 წუთის განმავლობაში მაინც უნდა შეეძლოს. ამით უნდა აჩვენოს თავის პარტნიორს, რომ ზრუნავს მასზე. სამწუხაროდ, რეალობაში ასე არ ხდება – ბევრ მამაკაცს ვერ შეაგნებინებ, რომ ის იმპოტენტია და არ აქვს სრულფასოვანი სექსი ქალთან.

***– ეს როგორ გავიგოთ?***

– ის, რომ მამაკაცს შეუძლია, ღამის განმავლობაში ხუთჯერ დაამყაროს სქესობრივი კონტაქტი ქალთან, არ ნიშნავს, რომ მისი პოტენცია ზენიტშია. ამ დროს ქალი ვერ განიცდის კმაყოფილებას და რჩება აღზნებული. ასე რომ, რაოდენობა არ ნიშნავს მაგარ კაცობას სექსში. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ სქესობრივი აქტის რაოდენობა, მის ხარისხს არ ცვლის. ჯობია, ხუთჯერ და თითოწუთიანი სქესობრივ კავშირს, ღამეში ერთი და ხუთწუთიანი კავშირი. ერექციული უკმარისობა, მოსახლეობის უმრავლესობას ახასიათებს, რომელსაც არ აღიარებენ. ამ კუთხით თუ მივუდგებით, გამოდის რომ მოსახლეობის დაახლოვებით 97 პროცენტი იმპოტენტია. მარტო აქტის ჩატარება არ ნიშნავს სრულფასოვან სქესობრივ ცხოვრებას, როგორც ამას მამაკაცთა უმრავლესობა მიიჩნევს

***– ამ დროს პარტნიორ ქალსაც ხომ გააჩნია?***

– რასაკვირველია, სქესობრივი თანაცხოვრების დროს, ქალ-პარტნიორსაც დიდი როლი ეკისრება, მაგრამ მაინც მამაკაცია ლიდერი *(იცინის)*. დროთა განმავლობაში, ყველა მამაკაცი სუსტდება და უჩნდება პრობლემა სექსში. მაგრამ მთავარია, ამ დროს, რამდენს უნდა პრობლემის გადალახვა და რამდენი ზრუნავს საკუთარ თავზეც და პარტნიორზეც. დამიჯერეთ, ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება. მაგალითად, არ არის გამორიცხული, 18 წლის ბიჭს პოტენცია მაღალი ჰქონდეს, მაგრამ სექსუალური გამოცდილება ანუ ქალის დაკმაყოფილების უნარი, ნაკლები. 40 წლის მამაკაცს კი შესაძლოა, ისეთი ერექცია არა, მაგრამ გამოცდილება აქვს სექსში და ამით ჯობნის 18 წლის ახალგაზრდას.

***– ბატონო არჩილ, თანამედროვე ტექნიკის მიღწევები თუ მოქმედებს სქესობრივი ცხოვრების ხარისხზე? სხვათა შორის, უცხოეთში ჩატარებულმა, ბოლო დროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მობილური ტელეფონი და კომპიუტერი, საკმაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებაზე.***

– თანამედროვეობის ტექნიკური მიღწევების ნეგატიური გავლენა არის თუ არა კავშირში მამაკაცის პოტენციასთან, ეს სადავო საკითხია. ამ კვლევების დასკვნები მეც ვნახე, თუმცა არ ვენდობი. მობილურმა ტელეფონმა და კომპიუტერმა, მე თუ მკითხავთ, სიყვარულზე მხოლოდ დადებითად იმოქმედა. უამრავმა ადამიანმა გაიცნო ერთმანეთი, ემოციურად გაენდნენ ერთმანეთს და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდებს შორის მომრავლდა, ვირტუალური სექსიც კი *(იცინის)*. ბევრი ახალგაზრდა, სტრიპტიზს უყურებს „სკაიპით" და ამით ტკბება. ამაში ცუდი რა არის? ეს სუროგატული სექსია.

***– და, ეს სუროგატული სექსი ნეგატიურად არ აისახება ახალგაზრდებზე?***

– არა, რატომ? გააჩნია, რა სექსუალური კულტურისაა ადამიანი. ასე რომ, თანამედროვე ტექნიკური მიღწევები მხოლოდ აიოლებს სექსუალურ კომუნიკაციას. 1988 წლიდან მაგიდაზე მიდევს კომპიუტერი და ჯიბით ვატარებ მობილურ ტელეფონს, მაგრამ არანაირად არ უმოქმედია ამას ჩემს პოტენციაზე. ამიტომ ვამბობ, უცხოეთში ჩატარებული კვლევების შედეგებს პოტენციასთან დაკავშირებით, არ ვეთანხმები და არც ვენდობი-მეთქი. თუმცა, სხვა საკითხია, მეცნიერებმა იმუშაონ გამოსხივების შემცირებაზე. ერექციული პრობლემების ზრდა, მობილურის, კომპიუტერისა თუ დაბალი სექსუალური კულტურის ბრალია, ძნელი სათქმელია. თუმცა, ნებისმიერი მამაკაცის „ჟიგოლოს" სტანდარტამდე მიყვანა, შესაძლებელია. სხვათა შორის, კლიმატი და საცხოვრებელი გარემოც მოქმედებს ადამიანის სექსუალურ პოტენციაზე. საქართველო კი ამ მხრივ იდეალური ადგილია. კუბაში, სადაც ცხელა, მაისურებსა და ტრუსებში დარბის ყველა, აბა, იქ შოკის მომგვრელი რომ ვერ იქნება სექსი, ფაქტია. აი, როცა ურთიერთობაში მისაღწევად გაქვს საქმე კაცს, მაშინ ხდება სქესობრივი კავშირი უფრო სასიამოვნო და ვნებიანი. ასე რომ, ჩვენს სექსუალურ ენერგეტიკასა და პოტენციაზე, საქართველოს „ედემური" კლიმატიც რომ ახდენს გავლენას, ეს ფაქტია.

**ნონა დათეშიძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ახალი სერიალი „ჩვენი ამბავი” უკვე რამდენიმე კვირაა, მაყურებლის განწყობაზე ზრუნავს. ჩვენი რესპონდენტი მისი ერთ-ერთი პერსონაჟი – თამუნა, იგივე ნინო შავგულიძეა. როგორც ინტერვიუდან შევიტყვეთ, ნინოსა და თამუნას ბევრი რამ აქვთ საერთო და ძალიან ცოტა – განსხვავებული. რით არის ნინო დაკავებული სერიალის გარდა, რატომ ვერ იცლის მოსაწყენად და რაში გაუმართლა მას, ამ და სხვა კითხვის პასუხებს, უკვე მისივე ნაამბობიდან შეიტყობთ.**

# ვის ნერვებზე თამაშობს ნინო შავგულიძე და რატომ ეჭვიანობს ის ყველაზე და ყველაფერზე

**– ამ სერიალში როგორ აღმოჩნდი?**

– რაც კი ქასთინგები ჩატარებულა „ღამის შოუ სტუდიოს” მიერ, მონაწილეობას ყველგან ვიღებდი, მაგრამ არ მიმართლებდა. პილოტის ჩაწერამდეც კი მივსულვარ, მაგრამ მერე სხვას ამტკიცებდნენ. ამ შემთხვევაში გამიმართლა და როლზე დამამტკიცეს, რამაც ძალიან გამახარა.

**– რით ჰგავხარ და რით არა – შენს გმირს?**

– ბევრი რამით ვგავარ – გაწეწილი თმით, მეც თამუნასნაირად ეჭვიანი ვარ. არ ვგავარ იმით, რომ ჩემი გმირი თავის ეჭვიანობას გამოხატავს, მე კი – არა. თუ ვიეჭვიანე, ამას არასდროს ვიტყვი. თამუნა თუ აბსოლუტურად ყველა ქალზე ეჭვიანობს, მე არა მარტო ქალებზე, არამედ ყველაფერზე ვეჭვიანობ. ეს მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში ხდება და არა – მეგობრებთან. ჩემს პერსონაჟს ძალიან ლაღი ხასიათი აქვს, ყოველთვის პოზიტიური და დადებითია. ამითაც ვგავარ თამუნას, რადგან არასდროს მცალია მოსაწყენად. მაშინაც კი, თუ რამე ცუდი ხდება ჩემს ცხოვრებაში, ვცდილობ, პოზიტიური მხარე დავინახო.

**– ტაფების ყიდვაში არ ჰგავხარ თამუნას?**

– არანაირად. სხვათა შორის, ქუჩაში ყველა მეკითხება, ვაიმე, იმ ყვითელ ტაფებს მართლა არ სჭირდება ზეთი? რა თქმა უნდა, ყველას ვპასუხობ, რომ ეს ხუმრობაა. ამ ტაფებს ზეთი სჭირდება და არ მოტყუვდნენ. ტაფების ყიდვით ნამდვილად არ გამოვირჩევი. ამით თამუნას ნამდვილად არ ვგავარ.

**– მაყურებელის ყურადღებას, ალბათ, სხვა მხრივაც გრძნობ, თუნდაც ქუჩაში.**

– ძალიან ბევრს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს და ჩემს დანახვაზე ცხვირს იბზუებს. მათ ნოსტალგია აქვთ წინა სერიალის და უნდათ, ძველი „შუა ქალაქი,” ძველი შემადგენლობით დაბრუნდეს. ზოგი პირიქით, ძალიან დადებითაც გვხვდება და უპირატესობას სიახლეს ანიჭებს. ამბობენ, რომ ჩვენი ახალი პროექტი ძალიან მოსწონთ. პრინციპში, ეს ისეთი პროექტია, როგორიც ქართულ ტელესივრცეში ჯერ არ ყოფილა. განსხვავებული ფორმატია, გვყავს მთხრობელი და ასე შემდეგ. ამიტომ, მაყურებლისთვის ეს ყველაფერი სიახლეა, შეჩვევა სჭირდება, ისევე როგორც პერსონაჟების ხასიათს.

**– მაყურებელმა პირველი სერიის გასვლისთანავე გიცნო ქუჩაში?**

– რადგან უცხოეთში მივდიოდი, პირველად ჩემი პრომოები გადაიღეს, რომელიც ტელევიზიით გავიდა. თავიდან ვერ ხვდებოდნენ,

**ურთიერთობის დასრულების შემდეგ, თავს იმდენად მშვიდად ვგრძნობ, ვხვდები, მარტო ყოფნა უკეთესია**

რისი რეკლამა იყო. სულ რამდენიმე ფრაზას ვამბობდი: „გიორგი სად ხარ? კარგი მაშინ.“ პრომოები სულ სატელეფონო ზარებზე იყო აგებული. ზოგს ტელეფონის რეკლამა ეგონა, ზოგს ჯაკუზის და ასე შემდეგ. საბოლოო ჯამში, ყველა მიხვდა, რომ წინ ახალი სერიალი ელოდათ „იმედის“ ეთერში. მაყურებელი, რა თქმა უნდა, თავიდანვე გვცნობდა, იმდენჯერ ჰქონდა ეს პრომოები ნანახი.

**– რაზე არ იტყვი არასდროს უარს?**

– რაც კარგია, მასზე არასდროს ვიტყვი უარს.

**– მიზანდასახული ხარ?**

– კი. მაგალითად, ყოველთვის ძალიან მინდოდა, რადიოში მუსიკალური წამყვანი ვყოფილიყავი. გავიარე ქასთინგი და მუსიკალური წამყვანი გავხდი. ეს გადავლახე. ასევე ძალიან მინდოდა, მსახიობი გავმხდარიყავი. უკვე მსახიობიც ვარ. თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე თუ არა, მაშინვე სოხუმის თეატრში შტატში ამიყვანეს. „ნაით შოუს” ბოლო ქასთინგზე რომ ვიყავი, მაშინ მართლა ის მიზანი მქონდა, რომ სერიალში მოვხვედრილიყავი. გამოდის, რომ მიზანდასახულიც ვყოფილვარ.



**მამაკაცი შემაწუხებლად ყურადღებიანი უნდა იყოს**

**– რადიოშიც მუშაობ, რასაც საკმაოდ ბევრი დრო მიაქვს. როგორ უთავსებ ერთმანეთს სერიალის გადაღებებს და რადიოს?**

– რადიო ერთადერთი სამსახურია, რომელსაც შეგიძლია, ნებისმიერი სხვა რამ შეუთავსო. რადიოში 4 დღე ვმუშაობ, ხოლო „ნაით შოუ სტუდიოში” – სამი. ასე რომ ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს. ამ ყველაფერთან ერთად, სოხუმის თეატრის მსახიობიც ვარ და მალე, ხუთშაბათობით სპექტაკლებიც დაგვეწყება... და კიდევ რომელიმე რეჟისორმა თუ დაიწყო ახალ სპექტაკლზე მუშაობა და მეც დამაკავა, აი, მერე რა მეშველება, უკვე არ ვიცი. ერთი მხრივ, კარგია, ამდენი საქმე რომ მაქვს, რადგან მოდუნებას ვერ ვასწრებ, სულ მზადყოფნაში ვარ, სულ სადღაც მეჩქარება და ასე შემდეგ. ამ სერიალამდე „მიუზიკ ბოქსის“ ტელევიზიაშიც ვმუშაობდი გადაცემის წამყვანი ვიყავი. ასევე ვმუშაობდი „მედიათეკაში.“ სამწუხაროდ, ამ ორს დავემშვიდობე დროის უქმარისობის გამო.

**– რას გვეტყვი შენს პარტნიორებზე?**

– ჩემი პარტნიორები ყველაზე კარგი ადამიანები არიან, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. უპირველესად, ჩემი მეუღლე – როლანდ ოქროპირიძე, რომელიც არაჩვეულებრივი და ნიჭიერი მსახიობია. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს აბსოლუტურად ყველასთან, ვინც სერიალის ძირითად შემადგენლობაშია. ფანტასტიკური ადამიანები არიან. სერიალამდე ძალიან ბევრ მათგანს საერთოდ არ ვიცნობდი, მათ შორის, ჩემს მეუღლესაც.

**– ოჯახში პირევლი მსახიობი ხარ?**

– კი.

**– გიორგი შავგულიძესთან თუ გაქვს ნათესაური კავშირი?**

– სამწუხაროდ, გარდა გვარისა, გიორგი შავგულიძესთან არანაირი ნათესაური კავშირი არ მაქვს.

**– ახლა ის მითხარი, პირად ცხოვრებაში რა ხდება? ეს ინფორმაცია მაყურებელს დააინტერესებს.**

– ამ ეტაპზე პირად ცხოვრებაში სიმშვიდეა – არავინ არ არის, მარტო ვარ.

**– მაშინ ის მითხარი, როგორი ხარ შეყვარებული?**

– არც ისეთი სახარბიელო და კარგი ვარ. მარტო ბევრად უფრო ლაღი და ხალისიანი ვარ, ვიდრე შეყვარებულობისას.

**– რატომ?**

– ალბათ იმიტომ, რომ ეჭვიანობის სცენები მღლის. ურთიერთობის დასრულების შემდეგ, თავს იმდენად მშვიდად ვგრძნობ, ვხვდები, მარტო ყოფნა უკეთესია. თან, სულ გადარბენაზე ვარ და სიყვარულისთვის, ფაქტობრივად, დრო აღარ მრჩება.

**– როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომელიც შენს გულს მოიგებს?**

– მამაკაცი შემაწუხებლად ყურადღებიანი უნდა იყოს.

**– ასეთი მამაკაცები არიან?**

– კი, მაგრამ ვინც ასეთი შემხვედრია სამწუხაროდ, მე არ მომწონს. რა გავაკეთო, არ ვიცი.

**– შემაწუხებლად ყურადღებიანობის გარდა, კიდევ რას ითხოვ მამაკაცისგან?**

– ოჯახს უნდა სცემდეს პატივს და უპირველესად, ერთგული უნდა იყოს. არ მესმის იმ მამაკაცების, რომლებიც ამბობენ: მერე რა, უკვე 5 წელია, ცოლი მყავს. ერთი გოგო მეჩალიჩებოდა და ერთხელ ვიყავი მასთანო. ჩემი აზრით, ჯობია, 30 წლამდე არ დაოჯახდე და უკვე ჩამოყალიბებულმა იპოვო შენი სულის მონათესავე ადამიანი და ლამაზად შეაბერდეთ ერთმანეთს. არაფრით არ მესმის მისი, ვისაც ცოლი ჰყავს და მაინც გვერდზე იხედება.

**– შენ თუ ხარ ერთგული და ძალიან ყურადღებიანი?**

– მე ზედმეტად ერთგული და შემაწუხებლად ყურადღებიანი ვარ. ანუ, როგორიც მე ვარ, ისეთ მამაკაცებს ვანიჭებ უპირატესობას.

**– ფეთქებადი ხარ?**

– შეიძლება, ძალიან დიდხანს ვითმინო რამე და მერე უცებ ავფეთქდე. „მორიელი“ ვარ და მინდა გითხრა, რაც მას ახასიათებს, ყველაფერი ერთად ვარ. ბოლო დროს ჭკუა ვისწავლე და შეძლებისდაგვარად, აღარ ვფეთქდები. მშვიდად ვხვდები ყველაფერს. ამით ჩემს ნერვებს ვუფრთხილდები.

**– სხვის ნერვებზე თამაში თუ გიყვარს?**

– გააჩნია ვისი. ხანდახან ძალიან სასიამოვნოა სხვის ნერვებზე თამაში, მით უმეტეს, რომ ცოტა მწარე ენის პატრონი ვარ.

**მარიკა ხიდურელი**



# რატომ ვერ ელევა კაცი ქალს, რომელსაც ის აღარ უყვარს და რას აკეთებს მის შესანარჩუნებლად

**ამბობენ, რომ თუ ქალს მართლა უყვარს, მას ვერავინ და ვეღარაფერი შეაჩერებს. ყველაფერზე წავა, ოღონდ კი იმ ადამიანის გვერდით იყოს, ვისთვისაც სიცოცხლესაც კი გაწირავდა. ამ მხრივ, სუსტი სქესის წარმომადგენლები აშკარად უსწრებენ მამაკაცებს. თუ ეს გრძნობა ძლიერი, გულწრფელი და ყოვლის მომცველია, მაშინ ქალი წარმოუდგენელ რამეებზეა წამსვლელი. სხვა საქმეა, აქვს თუ არა მის საქციელს გამართლება. შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ სიყვარული სახიფათოა, მაგრამ, პრევენციაც რომ არ არსებობს?! ერთი სიტყვით, თუ ქალი შეყვარებულია, მისგან ყველაფერს უნდა მოელოდე... თუმცა, არანაკლებ არაადეკვატურად იქცევა შეყვარებული მამაკაციც: ის მზად არის, ცოლს ღალატიც კი აპატიოს და ყველა საშუალებით ცდილობს მის შენარჩუნებას.**

**ქეთა** ***(34 წლის):*** ზუსტად ვიცი, რა რეზონანსსაც გამოიწვევს ჩემი გულახდილი საუბარი, როგორი რეაქცია მოჰყვება ამას საზოგადოების მხრიდან, მაგრამ, ყველაფერზე თანახმა ვარ. არ მიმაჩნია, რომ რამე დანაშაული ჩავიდინე, არც მრცხვენია. სხვა ქალებისგან განსხვავებით, პატიოსნადაც კი მოვიქეცი.

„ჩემო სიხარულო და ბედნიერებავ; ერთადერთო და შეუდარებელო...“ – როცა ასეთ სიტყვებს ვისმენ, შიგნით რაღაც მითბება და მთელ სხეულში მეღვრება. ამ ყველაფრისთვის, მზად ვარ, ავიტანო ყველანაირი დისკომფორტი, გავუძლო გაჭირვებასა და განსაცდელებს, მომავალში კი, მოხდეს, რაც მოსახდენია...

**– ქმარი არ გეუბნებოდათ ასეთ საალერსო სიტყვებს?**

– რა არის, იცით? ყველაზე კარგ ქმარსაც კი ჰგონია, რომ ცოლთან შეყვარებულობანას თამაში უნდა დაამთავროს. რატომღაც დარწმუნებულები არიან, რომ, თუ ცოლს ელემენტარულ პირობებს შეუქმნი, მისთვის ესეც სრულიად საკმარისია.

**– ანუ, თქვენ თამაში გინდოდათ?**

– არა. მინდა, კარგად გამიგოთ. ადამიანი რობოტი არ არის, მას ემოციებიც აქვს, გრძნობებიც. ცხოველსაც კი სჭირდება სითბო, სიყვარული და ყურადღება. მე დაბადების დღეზე ან რამე დღესასწაულზე მოტანილი საჩუქარი, თუნდაც ძალიან ძვირფასი, აბსოლუტურად არ მივსებს ამ ყველაფრის დეფიციტს. პრობლემა ისიც არის, რომ, სიყვარულიც კვდება, თუ არ მოუვლი, მოვლა კი სწორედ პარტნიორის მიმართ სითბოს მუდმივი გამოხატვაა.

**– კაცებს სხვანაირი ლოგიკა აქვთ. ისინი მიიჩნევენ, რომ სიტყვები არაფერს ნიშნავს... ქცევაა მთავარი.**

– ჰო, ქართველი კაცები ვითომ ვაჟკაცობენ და თავს იკავებენ საალერსო სიტყვების თქმისგან, მაგრამ მე შევხვდი კაცს და მივხვდი, რომ, საბედნიეროდ, ყველა ასე არ ფიქრობს. ახლა ძალიან ბევრი რამ ვიცი ისეთი, რაზეც ადრე საერთოდ არ მქონდა წარმოდგენა.

**– მაგალითად?**

– მაგალითად, ის, რომ ჩემს ოჯახში უკვე აღარ იყო გრძნობა – სიყვარულმა დაგვტოვა. თურმე, ეს ისე მაწუხებდა, მერეღა მივხვდი, რა იყო ჩემი მუდმივი ნერვიულობის, გაღიზიანების, ჩხუბის მიზეზი.

**– ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ ქმარი საერთოდ აღარ მიყვარდათ?**

– დიახ. ბოლო ექვსი წელი გრძნობა საერთოდ აღარ მქონდა. უბრალოდ, ამას ვერ ვაცნობიერებდი. საკუთარ თავს ვაბრალებდი და ვნერვიულობდი, რა მემართება-მეთქი.

**– სიყვარულით გათხოვდით?**

– დიახ და, დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ჩემი ქმარი იყო ის ერთადერთი მამაკაცი, რომელსაც ოდესმე გვერდით ვინატრებდი. ორი შვილიც გავაჩინე და, ბედნიერი ვარ-მეთქი, ვფიქრობდი. ქმრისთვის არ შემინიშნავს ღალატის მცდელობა, ამ მხრივ, სასაყვედურო არაფერი მაქვს. რომ გითხრათ, ვჩხუბობდით-მეთქი, ესეც არ იქნება მართალი. უბრალოდ, ქმრის თვისებები, ჩვევები, რომლებსაც ადრე საერთოდ ვერ ვამჩნევდი, ახლა თანდათან მაღიზიანებდა... მაკლდა სიტყვები – თბილი, ახლობლური, გამათამამებელი... ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს, მაგრამ, ჩემთვის ეს ყველაფერი უმნიშვნელოვანესია. სიცივე იგრძნობოდა ჩვენს ურთიერთობაში, რომელმაც ბოლოს სულიც კი შემიხუთა და, როგორც პიროვნება, დეგრადაციისკენ წავედი.

**– რას გულისხმობთ?**

– ხასიათი შემეცვალა: აღმოვაჩინე, რომ აგრესიული გავხდი; ვფეთქდებოდი სისულელეებზე; ვაწყობდი სკანდალებს. მერე კი ვნანობდი, მაგრამ, ბოლოს იქამდე მივედი, რომ საკუთარი თავის მიმართ გამიჩნდა ანტიპათია – როგორი აუტანელი და საზიზღარი ვარ, ჩემში ქალსაც კი ვეღარავინ ხედავს-მეთქი. გეუბნებით, ბოლო რამდენიმე წელი კოშმარში ვიყავი.

**– ქმართან დალაპარაკება არ გიცდიათ?**

– არა. ვფიქრობდი, რომ პრობლემა ჩემში იყო და ქმართან დალაპარაკებით მას მხოლოდ გავაღრმავებდი. გულახდილად გეტყვით, შიშიც კი მქონდა, რომ ქმარი მიმატოვებდა.

**– თქვენ თუ ეუბნებოდით ქმარს იმ სიტყვებს, რომელთა მოსმენის აუცილებლობას თავად გრძნობდით?**

– ვეუბნებოდი – იყო ეგეთი დროც, მაგრამ, მისი მხრიდან საპირისპირო თბილი ტალღა რომ არ წამოვიდა, ჩემდაუნებურად, ნელ-ნელა, გავცივდი და გავუხეშდი. სწორად გამიგეთ: ქმარს კი არ ვადანაშაულებ – იმას არაფერი დაუშავებია. უბრალოდ, ვერ გამიგო და...

**– და, ამ დროს გამოჩნდა ის, ვინც გაგიგოთ?**

– დიახ. მაგრამ, ეს არავისი დანაშაული არ არის. მოვლენათა დამთხვევაც ხდება. ეტყობა, გარდაუვალობის მსხვერპლი გავხდი.

**– თავს მსხვერპლად მიიჩნევთ?**

– გააჩნია, მომხდარს ვინ რა კუთხით შეხედავს. პირადად მე, ისეთი სავსე ვარ, მსხვერპლი ვარ-მეთქი, როგორ უნდა ვთქვა? ენა როგორ მომიბრუნდება, მაგრამ, როგორც შვილების დედა, როგორც ოჯახური ფასეულობების დამცველი, რა თქმა უნდა, ვარ დაზარალებული. იცით, რა საშინელებაა სრული ინერტულობა და გულგრილობა?! – ეს სკანდალზე გაცილებით უარესია. ვიცი ცოლ-ქმარი, რომლებიც სკანდალის მერე უფრო ეჯაჭვებიან ერთმანეთს და ვნებაც უმძაფრდებათ. ჩემი ქმარი შემიძლია დავადანაშაულო იმაში, რომ არაფერი გააკეთა ჩვენი სიყვარულის გადასარჩენად. „არ არის სიყვარული?! არა უშავს, ალბათ, ასეც უნდა იყოს,“ – აი, ეს დავინახე მე მის ქმედებებში.

**– თუმცა, თქვენ ისიც თქვით, რომ გპატიობდათ ღალატს, ოღონდ თქვენი ოჯახი არ დანგრეულიყო.**

– დიახ, ცოლად მაინც ვუნდოდი და ახლაც ვუნდივარ. რატომაც არა?! მისთვის ოჯახი სხვანაირია, ჩემთვის – სხვანაირი. ხვდებით, რასაც ვგულისხმობ? მისთვის არ არის ტრაგედია, ცოლ-ქმარი დღეების განმავლობაში რომ სხვათა შორის ელაპარაკება და ეკონტაქტება ერთმანეთს, ჩემთვის კი ეს საშინელებაა. მე მინდა ემოციები, ვნება, მოფერება, სასიყვარულო სიტყვები...

**– მატერიალურად უზრუნველგყოფდათ ქმარი?**

– დიახ, ძალიან კარგადაც. რომ საკმაოდ კომფორტული, უზრუნველყოფილი გარემო შევიქმნა. მაგრამ, უკვე გითხარით – ეს არ არის

**ქმრები, რატომღაც დარწმუნებულები არიან, რომ, თუ ქალს კომფორტს შეუქმნი, მისთვის ესეც სრულიად საკმარისია**

ჩემთვის მთავარი და ვერც ვერასოდეს იქნება, ეს არ არის ცხოვრება. მისთვის ხელსაყრელია მუდმივად დალაგებული სახლი, მოწესრიგებული გარდერობი, მომზადებული საკვები, თანაც – ძალიან გემრიელი...

**– ამ ყველაფრის შესანარჩუნებლად, მზად იყო, ცოლის გვერდით საყვარელი აეტანა?**

– გვერდით საყვარლიან ცოლს ვერ აიტანდა, რა თქმა უნდა, მაგრამ, თუ იმას დავშორდებოდი, მაპატიებდა და ჩვეულებრივად გაგრძელდებოდა ცხოვრება. მაგრამ, მე არც დაშორება მიფიქრია და არც ის, რომ, სხვა კაცზე შეყვარებული, ისევ ჩემი ქმრის გვერდით გავაგრძელებდი ცხოვრებას. არავითარ შემთხვევაში! იმ უზარმაზარ გრძნობას, მოულოდნელად რომ დამეცა თავზე და მთელი ცხოვრება შემიცვალა, ამით ჩრდილს ვერ მივაყენებდი. პირდაპირ ვუთხარი ეს ჩემს ქმარს. მე უსირცხვილო არ ვარ და თავმოყვარეობაც გამაჩნია, მით უმეტეს, ვუფრთხილდები სხვის თავმოყვარეობასაც, ამ შემთხვევაში – ჩემი ქმრისას. ვერ მივცემდი თავს უფლებას, დღისით ერთ კაცს ჩავწოლოდი ლოგინში, საღამოს კი მეორისთვის ღვეზელები და კატლეტები მომემზადებინა. ვიღაცეებს შეუძლიათ ეს, მე – არა. „საყვარელი“ – ეს სტატუსიც საშინლად არ

# უკრაინაში ავტოკატასტროფაში დაღუპული 25 წლის ბიჭის ერთადერთ შვილს ქუთაისში მცხოვრები მამიდა მოლდოვეთში ეძებს

***30 წლის ანა ჯინჭარაძე ეძებს 2 წლის ვალოდია გუცს და დაახლოებით 32-35 წლის ნატალია გუცს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ძმისშვილს – ვალოდიას (დაბადებულს 2011 წლის 21 აგვისტოს) და მის დედას – ნატალია გუცს. ჩემი ძმისშვილი ამჟამად 2 წლის უნდა იყოს. დედამისი კი – დაახლოებით 32-35 წლის. ჩემი ძმა, ლაშა ჭინჭარაძე (დაბადებული 1988 წლის 31 იანვარს), ავტოკატასტროფაში დაიღუპა უკრაინაში (2013 წელს). ძმისშვილის შესახებ მისგანვე გავიგე სრულიად შემთხვევით, მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. ბავშვი მე არასდროს მინახავს, მაქვს მხოლოდ მისი ფოტოსურათი. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ მის მოძებნაში. ჩვენ მათ მოლდოვეთში ვეძებთ.



**– ანა, მოგვიყევი შენი ისტორია, როგორ გაიგე ძმისშვილის არსებობის შესახებ და რატომ არ გინახავს ბავშვი აქამდე?**

– ჩემი ძმა, ლაშა, შვიდი წლის წინ წავიდა რუსეთში სამუშაოდ. ის პოდმოსკოვიეში, პოდოლსკში ცხოვრობდა, სადაც გაიცნო კიდეც ნატალია გუცი. ჩემს ძმასა და ნატალიას პოდოლსკში ყოფნის დროს ჰქონდათ ურთიერთობა. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და ის ქალი დაორსულდა, მაგრამ, ბავშვის გაჩენა თავის სამშობლოში, მოლდოვეთში გადაწყვიტა, რადგან, იქ გარკვეული შეღავათები ექნებოდა მშობიარობასთან დაკავშირებით. ჩემს ძმას ეყოლა ვაჟი და მას ვალოდია დაარქვეს. 2013 წელს ჩემი ძმა კვლავ საქართველოში დაბრუნდა საბუთების მოუწესრიგებლობის და დეპორტის გამო. 2013 წლის 19 მაისს ლაშა უკრაინაში წავიდა, რადგან, გაიგო, რომ უკრაინიდან მოლდოვეთში სავიზო რეჟიმი არ იყო. სამწუხაროდ, იქ ლაშა ავტოკატასტროფაში მოყვა და ისე დაიღუპა, რომ შვილის ნახვა არ დასცალდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოში ყოფნის დროს, მან მითხრა, რომ შვილი ჰყავს, მიამბო თავისი ისტორია და ბავშვის ფოტოც ასე მოხვდა ჩემს ხელთ. მას შემდეგ, რაც ლაშა გარდაიცვალა, მე და ჩემი ოჯახი ყველანაირად ვცდილობდით ნატალიას მოძებნას, მაგრამ, სამწუხაროდ, მის შესახებ ცოტა რამ ვიცით. ჩვენს ხელთ არსებულ ტელეფონის ნომერზე რომ დავრეკეთ (ანუ, ნატალიას სახლში), ყურმილი დედამისმა აიღო. ჩვენ ავუხსენით სიტუაცია და ლაშას გარდაცვალების შესახებაც ვუთხარით. ის ქალი შეგვპირდა, რომ ყველაფერს გადასცემდა თავის ქალიშვილს, ანუ, ბავშვის დედას, მაგრამ, მას შემდეგ რამდენჯერაც დავრეკეთ, ყურმილს არავინ აიღო.



**– ანუ, ბავშვის დედამ შენი ძმის სიკვდილის ამბავი არ იცის?**

– თუ დედამისმა არ გააგებინა, მაშინ, არ ეცოდინება, ხოლო, თუ უთხრა ჩვენი უბედურების შესახებ, მაშინ, რატომ აღარ დაგვიკავშირდა ნატალია, არ ვიცი. დედამისმა მაშინ ჩვენი ნომერი არ ჩაიწერა, რადგან, თქვა, ტელეფონზე დაფიქსირდა თქვენი ნომერი და ჩავიწერო. არ ვიცი, რა ვიფიქრო. შეიძლება, უბრალოდ, მან ნომერი დაკარგა, ან, იქნებ, სხვა რამეშია საქმე.

**– სოციალურ ქსელებში თუ გიცდია მოძებნა?**

– როგორც ვიცი, მას ჰქონდა გვერდი „ფეისბუქზე", მაგრამ, ცოტა ხნის წინ, გაურკვეველი მიზეზის გამო, წაშალა. ჩვენ, უბრალოდ, ბავშვის ნახვა და ჩვენი ძმის ერთადერთ შვილთან კავშირი გვინდა.

**– როგორ ფიქრობ, შეიძლება, რომ ბავშვის დედა თქვენი სურვილის წინააღმდეგი იყოს?**

– არ ვიცი, ვერ გეტყვით... ყოველ შემთხვევაში, იმაში, რომ ჩემი ძმისშვილის ნახვა მინდა, პირადად მე ცუდს ვერაფერს ვხედავ. მინდა, როგორმე დავუკავშირდე იმ ქალს და ყველაფერი ავუხსნა. როგორც ვიცი, მას ჩემს ძმასთან უსიამოვნება არ ჰქონია და ბავშვიც მათი სიყვარულის ნაყოფი იყო. ამჟამად ბავშვი დედის გვარზეა, რადგან, ჩემი ძმისგან ვიცი, რომ არ ჰქონდათ ხელი მოწერილი.

**– მოლდოვეთში რომელ ქალაქში ეძებთ ძმისშვილსა და ბავშვის დედას?**



– როგორც მე ვიცი, ისინი მოლდოვეთის ქალაქ ედინციში უნდა ცხოვრობდნენ. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ მათ მოძებნაში. ის ბავშვი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ მე ის არასდროს მინახავს, ძალიან მიყვარს – ის ხომ ჩემი ძმისშვილია... ბავშვის ნახვა და მასზე ზრუნვა გაგვიადვილებს ლაშას დაკარგვის ტკივილს.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

მომწონს. შვილების წინაშეც ხომ უნდა ვყოფილიყავი პირნათელი.

**– და... მიატოვეთ მათი მამა? ეს არ არის მათ მიმართ ჩადენილი დანაშაული?**

– მათ ჰყავთ მამა, უყვართ ერთმანეთი და ურთიერთობაში ხელს არასდროს შევუშლი. ოდესმე გამიგებენ, ტყუილში ცხოვრებას რატომ ვარჩიე, დამენგრია ძველი და დამეწყო ახალი. ამ კაცს, რომელიც ახლა ჩემ გვერდით არის, ქვეყნის დასალიერში გავყვები. იმიტომ, რომ ვჭირდები და – ამას ვგრძნობ, რადგან, პირდაპირ მეუბნება: ჩემი ჰაერი ხარ, რომლითაც ვსუნთქავო.

**ისეთი სავსე ვარ, როგორ უნდა ვთქვა, მსხვერპლი გავხდი-მეთქი, მაგრამ, როგორც შვილების დედა, როგორც ოჯახური ფასეულობების დამცველი, მსხვერპლადაც მოვიაზრები**

**– თქვენ ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ხართ. რატომ ფიქრობთ, რომ არ განმეორდება იგივე და სიცივე თქვენს შორისაც არ ჩადგება.**

– მე ამას არ ვფიქრობ. პროგნოზები ამინდის არ მართლდება და, ვინ იტყვის ზუსტად, რა იქნება ხვალ ადამიანის ცხოვრებაში, მით უმეტეს – წყვილის ურთიერთობაში?! თუმცა, ჩემი ქმარი არც ურთიერთობის პირველ ეტაპზე მანებივრებდა სასიყვარულო ეპითეტებით... მან თვითონ მიპოვა – ჩემი მანქანის გვერდით გაჩერდა და მითხრა: იცი, რა ლამაზი ხარო?! დავიბენი. ვერც დავიჯერე, რომ მე მეუბნებოდა – გადაჩვეული ვიყავი კაცისგან ასეთ სიტყვებს.

**– თქვენი ახალი პარტნიორი თქვენი ასაკის არის?**

– არა, ექვსი წლით უმცროსია, მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს? თქვენ ფიქრობთ, 28 წლის კაცი ყველა ასეთი თბილი და ალერსიანია, ჩემი ქმრის თანატოლები კი – ცივები და ინდეფერენტულები? ვერაფრით ვერ დაგეთანხმებით. თავიდან ვეწინააღმდეგებოდი გრძნობას, მაგრამ, ვინ მოგეშვა?! ასეთი პრინციპული, ჯიუტი და მომთხოვნი, არავინ მინახავს. ყოველდღე ერთგული ძაღლივით მელოდებოდა სამსახურთან და ისეთ სიტყვებს მეუბნებოდა, გული მიჩერდებოდა. და ეს ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, წარმოგიდგენიათ?! ვიცი, იტყვით, რომ კაცები ქალების შესაბმელად უარესებს აკეთებენ, მაგრამ თვალები?! იმხელა სიყვარული დავინახე მის თვალებში, რომ დავუჯერე... მერე აღმოვაჩინე, რომ ამ ადამიანმა მოახერხა, ყველა დღე დღესასწაულად ექცია ჩემთვის. მიხაროდა გაღვიძება და სამსახურში წასვლაც კი – იცით, ეს რამდენს ნიშნავს მაშინ, როცა 34 წლის ასაკში გგონია, რომ ცხოვრება დამთავრდა და შენს თავს კარგი აღარაფერი მოხდება?! მიმიღო ჩემი შვილებიანად და მათაც ზუსტად ასე ექცევა – ზედ ჰყვება და სულში ისვამს. ყველაფერზე წავალ ამ კაცისთვის და ზუსტად ეს ვუთხარი ჩემს ქმარს. მიპასუხა – არ მეგონა, ძუკნა თუ იყავიო. რა ვუყო, მას თავისი სიმართლე აქვს. ღმერთმა აპოვნინოს ბედნიერება, – მაშინ, შეიძლება, გამიგოს კიდეც.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ქმარზე რვა წლით უფროსი ვარ. რომ არა დიდი სიყვარული, ამ სარისკო ნაბიჯს, ალბათ, არ გადავდგამდი. თითქოს არც ისეთი კატასტროფული სხვაობაა ასაკში, მაგრამ, რას ვატყობ, იცით? ადამიანები, ჩემი ახლობლებიც კი, სერიოზულად არ აღიქვამენ ჩვენს ურთიერთობას და ოჯახს. ძალიან ვბრაზობ და მეშინია, რამე ნეგატიური გავლენა არ იქონიოს ამან ჩემს ქმარზე. რატომ ჰგონია ამ ხალხს, რომ, რადგან ჩემი ქმარი ჩემზე უმცროსია, მიმატოვებს?!**

გამოხმაურება: საზოგადოების რეაქცია ამ ტიპის წყვილებზე ჯერ ისევ ისეთია, როგორიც ათეული წლების წინ იყო. სტერეოტიპები ძნელად დასაძლევი და დასანგრევია. შეეცადეთ, არ გაღიზიანდეთ ამაზე, არ აჰყვეთ პროვოკაციას და ქმართან ურთიერთობა თავად არ გააფუჭოთ ან ეჭვიანობით, ან სიტუაციების გარჩევით. იყავით მის გვერდით და შეეცადეთ, შეიქმნათ საკუთარი მიკროსამყარო. თანდათანობით, თქვენი ოჯახი აღარ იქნება ინტერესისა და დაკვირვების ობიექტი და მოისვენებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ქართველი გლეხი მთელი წლის განმავლობაში უვლის ვენახს, რომ შემოდგომაზე ყურძნის კარგი მოსავალი მიიღოს და, შესაბამისად, საუკეთესო ღვინო დააყენოს. თუმცა, დღევანდელობასთან შედარებით, ძველად ქართველ გლეხს ამ ყველაფერთან განსხვავებული მიდგომა ჰქონდა და ყურძნის მოვლისა თუ ღვინის დაყენების სხვადასხვა წესიც იცოდა, რაც, სამწუხაროდ, დღეს უკვე დავიწყებასაა მიცემული.**

# როგორ ურევდა ქართველი გლეხი საუკეთესო ღვინის დასაყენებლად ყურძნის სხვადასხვა ჯიშს და რატომ არ სვამდა ის ერთი წლის „ყმაწვილ" ღვინოს

**ნოდარ მამისაშვილი:** საქართველოსთან ყველაზე უფრო კარგად, ინფორმაციულად, ხედვის კუთხის თვალსაზრისით, ახლოსაა „დიდი გველის" თანავარსკვლავედი. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, „დიდ გველს" ჰქონდა ძალიან საინტერესო ბიბლიური მნიშვნელობა. კიდევ უფრო ადრე კი ეგვიპტეში ის იყო სიბრძნისა და უსასრულობის, მარადისობის სიმბოლო: თუ გველი პირში კუდს ჩაიდებდა, ესე იგი, წრე გამოდიოდა და წრე იყო მარადისობა.

**– როგორც ცნობილია, სავსე მთვარე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე.**

– გარდა იმისა, რომ მთვარე უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, ზღვის მიმოქცევებზეც მოქმედებს. სავსე მთვარეს, რომელიც ემთხვევა „დიდი გველის" თანავარსკვლავედს, ბუნებრივია, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა და ზემოქმედება ექნებოდა. ის, ვინც სავსე მთვარის დროს ძალიან მგრძნობიარე იყო, თავისებურ ფსიქოშეშფოთებას განიცდიდა ექვსი თვის შემდეგ – უფრო მგრძნობიარე ხდებოდა და უფრო მეტად შეიცნობდა იმას, რა ხდებოდა მის გარშემო. ანუ, ისინი, ვინც აპრილის პერიოდს განსაკუთრებულად განიცდიან, უფრო მგრძნობიარეები აღმოჩნდებიან ხოლმე სექტემბერში. სავსე მთვარის რიტუალი, რომელიც მარტ-აპრილში იწყებოდა, მთელი ქართული აზროვნების ერთ-ერთ სპეციფიკურ თვისებას ქმნიდა და ამტკიცებდა. ასეთი ფსიქოლოგიური გამოცდების ხანაა სექტემბერი. შესაბამისად, ეს თვე მძიმეა ქართველებისთვის.



**მარანს გათბობა სჭირდებოდა, მაგრამ, ცეცხლს ვერ დაანთებდნენ, ამიტომ, გლეხი საწნახელში აწყობდა მტევნებს. ყურძენს კი ასეთი თვისება აქვს: როდესაც ერთმანეთსაა ჩახუტებული, თავისით თბება**

**– რას ითვალისწინებდა ქართველი გლეხი ყურძნის დაკრეფისას და როგორ ინახავდა მას მთელი წლის განმავლობაში?**

– ყურძნის მოსაკრეფად და დასაწურად ყველაზე კარგი ტემპერატურაა 23-25 გრადუსი. საქართველო ისეთ ზონაში იყო, რომ რთველიც დაახლოებით ამ პერიოდს მოერგებოდა ხოლმე. მაგრამ, ბუნებას ამ ყველაფერს ვერ შეუკვეთავ, ამ პერიოდში ზოგჯერ უფრო ციოდა და ზოგჯერ უფრო ცხელოდა. ამ შემთხვევაში, ქართველ გლეხს გამომუშავებული ჰქონდა თავისი ტექნოლოგია: რა გააკეთოს, როცა უფრო ცივა და, რა – როცა უფრო ცხელა, რომ ყურძენმა იგრძნოს, თითქოს 23-25-გრადუსიან გარემოშია.

ეს პრობლემა ძირითადად მარანში წყდებოდა. მარანს გათბობა სჭირდებოდა, მაგრამ, ცეცხლს ვერ დაანთებდნენ. ამიტომ, გლეხი საწნახელში აწყობდა მტევნებს. ყურძენს კი ასეთი თვისება აქვს: როდესაც ერთმანეთსაა ჩახუტებული, თავისით თბება და, გლეხმაც იცოდა, რამდენ ხანს უნდა ჰქონოდა ის საწნახელში, რომ სითბო 23-25 გრადუსამდე ასულიყო. ძალიან საინტერესოა გლეხის საქციელი, როდესაც ცხელოდა: ამისთვის სპეციალურად ჰქონდათ სხვენზე შენახული სურნელოვანი ვაშლები, რომლებსაც ჩამოიტანდნენ, გარშემო შემოუწყობდნენ ყურძენს და ასე აგრილებდნენ მას საჭირო ტემპერატურამდე.

მესამე წელს ვაზი ძალიან კარგად ისხამს, თუ ნორმალური ამინდები შეხვდა. თუ ვაზმა მესამე წელს 100 მტევანი დაისხა, ხოლო მეოთხე, მეხუთე წელს – 120, 140, ძველი გლეხი იმ ოც და ორმოც მტევანს მოაცლიდა, რადგან, მისი ნორმა იყო 100 და ვაზი უნდა გაძლიერებულიყო. „მოდი ვნახოთ ვენახი" – ეს უძველესი რიტუალია. მე შევსწრებივარ ასეთ რამეს: ხე არ ისხამდა და პატრონი მას მოჭრით ემუქრებოდა; მეზობლები კი იდგნენ და ეხვეწებოდნენ, არ მოჭრაო. ჩემდა გასაკვირად, ის ხე მერე მართლა ისხამდა ნაყოფს. აგრესიის დროს ფესვები იწყებს ზრდას, ხოლო, წყალი რომ კარგად ავიდეს ზევით და მოისხას ნაყოფი – ხვეწნა-მუდარა უწყობს ხელს. ვენახსაც უნდა მოესხა, თორემ, თხას შეუშვებდნენ და შეაჭმევინებდნენ. ამიტომ, თხას მოიყვანდნენ და ვაზის რტოებს ფოთლებიანად ურტყამდნენ ცხვირ-პირში – ამას შეჭამ, თუ არ დაისხამსო. ამ დროს იქვე მღეროდნენ სიმღერას – „თხამ ვენახი შეჭამა:" „მოდი, ვნახოთ ვენახი, ვინ შეჭამა თხა"... ჭაჭის დაყენების დროს კი ტახი მიჰყავდათ, რომელსაც მერე კლავდნენ. ამ დროს პურიც თავისებურად ცხვებოდა.

**– ქართველებს ღვინის დაყენების უამრავი წესი ჰქონდათ, რომლებიც დღეს დავიწყებას მიეცა.**

– ქართველებს მართლაც ჰქონდათ ღვინის დაყენების უამრავი წესი, გარდა იმისა, რომ ისინი ჯიშთა შერევასაც ახარმოებდნენ. თუ რომელი ღვინო რომელთან უნდა შერეულიყო – ესეც გლეხის ძალიან დიდი დაკვირვების შედეგად ხდებოდა. ალბათ, თავის დროზე ქართველმა კაცმაც გასინჯა ღვინოები და არა მარტო გასინჯა, ჯიშებიც შეაჯვარა. ასეთი შეჯვარებული ღვინოა „ხიდისთავური" – ეს მარტო ყურძნის ჯიში კი არ არის, შეჯვარების წესიცაა; ასევეა „მანავის მწვანეც", რომელიც სუფთადაც ყენდება და შეჯვარებითაც. ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს „დედინაცვალზე დაყენებული" ღვინო. ღვინის დედა რომ არის, ანუ, თუ შეგინიშნავთ, ყურძნის მარცვალს ფქვილივით რომ აყრია ზემოდან რაღაც, ამას ურეცხავენ და ისე წურავენ. მერე, რომელ ჯიშსაც შეარჩევენ, იმ ჯიშის ყურძნის ჭაჭას აყრიან ზედ, ამიტომაც ჰქვია „დედინაცვალზე დაყენებული", არაჩვეულებრივი გემო აქვს. ბევრს, ალბათ, ვერც კი წარმოუდგენია, რომ „ოჯალეში" ფრანგული ჯიშია; ასეთები სხვებიც არის, მაგრამ, ყველამ „იცის ქართული". საეკლესიო ღვინოს „ქრისტეს ცრემლს" ეძახდნენ, რადგან, თითოეულ მარცვალს ცალ-ცალკე იღებდნენ და ხელით ჭყლეტდნენ. მარცვლის მანქანაში გატარება ან ფეხით გაჭყლეტა არ შეიძლებოდა, ის მხოლოდ ხელით უნდა დაეწურათ და, თან, ბოლომდე არა. როდესაც ჭაჭა დარჩებოდა, ის გადადიოდა სხვა ყურძენზე და ასე ხდებოდა სხვადასხვა ჯიშის ყურძნის შერევა. ასე იყო „ქრისტეს ცრემლის" მადლი, რომელსაც მართლა სხვანაირი მადლი ჰქონდა.

**ზოგჯერ ქვევრს წყალი „სწყურია." ასეთი გამონათქვამიც არსებობს: წყალი თუ არ ჩაასხი, ღვინო დაიწვებაო და, მართლაც, შეიძლება, ღვინოს ტრუსის სუნი აუვიდეს**

**– ალბათ, ქვევრების მოვლასაც თავისი წესი ჰქონდა?**

– რა თქმა უნდა. ქართველი გლეხი ყველა პერიოდს აქცევდა ყურადღებას, მაგალითად: როდის ჯობდა, ენახა, ქვევრში რა მდგომარეობა, ხომ არ არის საჭირო ღვინის გადაღება და ასე შემდეგ. ამისთვის კი საქართველოში ერთ კონკრეტულ დროს ვერ დაადგენ, რადგან, ზოგი მაღლობზეა, მთიან ადგილზე, ზოგი – დაბლობზე; ხან კარგი ამინდია, ხან – ცუდი. ამიტომ, ქართველ კაცს ქვევრში ჩახედვის შესანიშნავი საზომი ერთეული ჰქონდა: ვაზი კვირტს რომ გამოიბამდა, მაშინ უნდა ენახა ქვევრი. ზოგჯერ ქვევრს წყალი „სწყურია." ასეთი გამონათქვამიც არსებობს: წყალი თუ არ ჩაასხი, ღვინო დაიწვებაო და, მართლაც, შეიძლება, ღვინოს ტრუსის სუნი აუვიდეს. ასე რომ, ღვინო სათუთად მოსავლელი რამ არის. გარდა ამისა, წლოვანებაში ღვინო თანდათან კეთილშობილდება. ძველად ერთი წლის ღვინოზე ამბობდნენ: ყმაწვილია და მაგის დალევა როგორ შეიძლებაო. მინიმუმ, ორი წლის ღვინო უნდა ყოფილიყო, რომ დაელიათ. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ ქვევრში ასხამდნენ ღვინოს. ქვევრს უნდა ესუნთქა. თამარ მეფის დროს უჩვეულოდ საინტერესო ხერხს მიმართავდნენ: გვალვიან ადგილებში ქვევრები ირწყვებოდა, წყალი გვერდზე ჩამოსდიოდა ქვევრს, ჟონავდა და ასეთ ქვევრში ჩასხმული ღვინო ძალიან კარგი გამოდიოდა. თამარ მეფემ, რომელმაც საქართველოში ძალიან ბევრი პრობლემა გადაჭრა, მეღვინეობის თვალსაზრისითაც საოცარი უნარი და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა: მან ბერები გაგზავნა ხაშმში, რომ „საფერავი" დაეთესათ. მოხდა საოცრება, ეს კიდევ უფრო დიდი მისტიკაა, მართლმადიდებლურად რომ ვთქვათ, ღვთის დიდი წყალობა – ის მიწა, რომელიც თითქოს ხაშმი იყო, აჯნიანი, შეიცვალა, ანუ, ის იქცა რაიონად, სადაც მსოფლიოში საუკეთესო ჯიშის „საფერავი" მოდის. „საფერავი" უხვად სასმელი ღვინო არ არის. ადამიანს, რომელიც მას ზომიერად დალევს, თავის ტკივილი არასდროს შეაწუხებს.

**– ღვინოსაც აქვს მეხსიერება?**

– ყველამ იცის, რომ წყალს მეხსიერება აქვს, ღვინოც ხომ სითხეა და ისიც ბევრ რამეს იმახსოვრებს. ამიტომაც, პირდაპირ კი არ წურავდნენ ღვინის, ჯერ სამხიარულო რიტუალს ჩაატარებდნენ, გახალისდებოდნენ და ამ ჟიჟილ-ხივილში იწყებდნენ დაწურვას, რომ ცუდი განწყობა არ გადასულიყო ჯერ ღვინოზე, შემდეგ კი – ღვინიდან იმ ადამიანებზე, ვინც მას დალევდა..

**ნათია უტიაშვილი**

# თბილისის რომელ სასტუმროში ჰქონდა თვითმკვლელობის პირველი მცდელობა სერგეი ესენინს, სად იყო გაჩერებული თბილისში სტუმრად მყოფი ჯონ სტაინბეკი და რომელი სასტუმროს ფოიე მოხატა ლადო გუდიაშვილმა

*თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს, მდებარეობდა ერთ დროს ქალაქის ყველაზე ცნობილი სასტუმრო – „ორიანტი,” რომელიც შემდგომში „მხატვრის სახლად” აქციეს კომუნისტებმა. 1992 წელს, ეგრეთ წოდებული „თბილისის ომის” დროს, შენობა მთლიანად განადგურდა – დაიწვა და დაინგრა და, 21 წლის განმავლობაში ქაშუეთის ეკლესიისა და კინოთეატრ „რუსთაველის” შორის არსებული ტერიტორია პრაქტიკულად ცარიელი იყო. ამჟამად ტერიტორია კერძო საკუთრებაშია*



გოლოვინის გამზირი 1860-იანი წლების დასაწყისში, ქაშუეთის ძველი ეკლესია და ადგილი, სადაც აშენდა სასტუმრო „ორიანტი”

*და მიმდინარეობს ახალი შენობის მშენებლობა, თუმცა, მას უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს, რადგან მათი აზრით, პროექტი არ შეესაბამება ქალაქის ამ ნაწილის იერს და ამახინჯებს გარემოს. ამ თემის აქტუალობის გამო გთავაზობთ თბილისის ამ ისტორიული ადგილის შესახებ ცნობებს ფოტომასალის თანხლებით.*







გრამოფონისა და „ზინგერის” მაღაზიები „ორიანტის” პირველ სართულზე

## „ორიანტი”

მეცხრამეტე საუკუნის თბილისის სასტუმროთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ორიანტი”. მისი შენობა, რომელიც 1865-1867 წლებში აიგო ოტო სიმონსონის პროექტით, თავიდან საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატას ეკავა. 1894 წელს შენობა ნ. მირიმანოვმა შეიძინა და ალბერტ ზალცმანის პროექტით სასტუმროდ გადააკეთა. ამ გრძელ, სამსართულიან ნაგებობას, რომლის ფასადებიც რენესანსული ეკლექტიზმის დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენდა, თვალსაჩინო ადგილი ეკავა გოლოვინის პროსპექტის განაშენიანებაში. შენობის პირველი სართული ფართო ვიტრინებს ჰქონდა დათმობილი და აქ იყო განთავსებული გრამოფონების, ზინგერის საკერავი მანქანებისა და ტანსაცმლის მაღაზიები. სასტუმროს ჰქონდა სარდაფი, რომელიც სხვადასხვა მიზნით გამოიყენებოდა. პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში აქ იყო წიგნების ცენტრალური მაღაზია.



სასტუმრო „ორიანტი” (1890-იანი წლები, დ. ერმაკოვის ფოტო)

„ორიანტი” 1895 წლის აპრილში გაიხსნა. ახლად გახსნილ სასტუმროს 80 ნომერი ჰქონდა და ფასი 1-15 მანეთს შორის მერყეობდა. „ორიანტი” თავიდანვე მაღალი კლასის სასტუმროდ დასახელდა და ის ღირსეულ კონკურენციას უწევდა „კავკაზსა” და „ლონდონს” – იმ დროის საუკეთესო თბილისურ სასტუმროებს. ამერიკელი ჟურნალისტის, ჯულიან რალფის აზრით, „ორიანტი” არა მხოლოდ თბილისში, არამედ, მთელი რუსეთის იმპერიაში საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა. რალფს თავის მოგონებებში ნახსენები ჰყავდა სასტუმროს მმართველი, შვეიცარიელი ა. ფრანსიური, რომელიც „ორიანტს” გახსნის დღიდან ინახავდა. მოგვიანებით სასტუმროს მმართველი გახდა ალექსეი როტი.



სასტუმრო „ორიანტი” და თბილისის ჰაუპტვახტი

1900 წელს „ორიანტში” გაჩერდა თბილისში ჩამოსული ირანის შაჰის, მოზაფერ ალ-დინის ამალა, თავად შაჰი კი მთავარმართებლის სასახლეში ცხოვრობდა. რუსეთის იმპერიის იმ ხუთ სასტუმროთაგან, რომლებმაც 1895 წელს ხელშეკრულებები დადეს ველოსიპედისტ-ტურისტთა საზოგადოებასთან ამ საზოგადოების წევრთათვის შეღავათების შესახებ, ერთ-ერთი „ორიანტი“ იყო. „ლონდონის” დახურვისა და „პალას ოტელის” დაწვის შემდეგ „ორიანტი” ქალაქის მთავარი სასტუმრო გახდა. პირველი რესპუბლიკის პერიოდში აქ ხშირად ჩერდებოდნენ უცხო სახელმწიფოთა დელეგაციები.

„ორიანტი” თბილისის იმ იშვიათ სასტუმროთაგანი იყო, რომელმაც თავდაპირველი ფუნქცია საბჭოთა პერიოდშიც შეინარჩუნა. მას შენარჩუნებული ჰქონდა ძველი პრესტიჟულობა



სასტუმრო „ინტურისტი” და კინოთეატრი „რუსთაველი” საბჭოთა დროს

და, 1930-იან წლებამდე – ძველი სახელწოდებაც. აქ ჩერდებოდა ყველა მნიშვნელოვანი სტუმარი – ცნობილი მწერლებით დაწყებული პარტიული ფუნქციონერებით დამთავრებული. 1924

(გაგრძელება 33-ე გვერდზე)

**მართლმადიდებლური სარწმუნოება თავისუფალი სარწმუნოებაა. ის, ვინც ეკლესიაში დადის, კარგად აცნობიერებს ეკლესიურ ცხოვრებას და ხვდება, რომ ყველას აქვს იმის კეთების უფლება, რაც თავად სურს. შესაბამისად, მის ამ არჩევანს არ კრძალავს წმიდა ეკლესია, პირიქით, ეხმარება, რომ ეს თავისუფლება საკუთარ თავში განავითაროს. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# როდის ეკისრება მღვდელს ეკლესიის მხრიდან სასჯელი და როგორი ქალის ცოლად შერთვის უფლება არ აქვს სასულიერო პირს

– ადამიანი, რომელიც აპირებს სასულიერო პირად გახდომას, ან, ყოველ შემთხვევაში, უჩნდება ამის სურვილი, უნდა გამოირჩეოდეს მართალი ცხოვრების წესით. პავლე მოციქული წერს: სასულიერო პირი, რომელიც ხელდასხმით მიიღებს სულიწმიდის მადლს, უნდა იყოს თავისი ცხოვრებით გამორჩეული და, ასევე, უნდა გამოირჩეოდეს მრავალი სათნოებით. ის უნდა იყოს ერთი ცოლის ქმარი. საეკლესიო კანონიკის თანახმად, ქვრივს, განათხოვარ ან მრუშ ქალს სასულიერო პირად გახდომის კანდიდატი ვერ შეირთავდა, და თუ ეს მაინც მოხდებოდა, ის ვერ მიიღებდა კანონიერ ხელდასხმას, ვერ შევიდოდა სამღვდელო ხარისხში. ასევე, სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო: არაანგარი, არავერცხლისმოყვარე და, თან, ყველა ის თვისება უნდა ჰქონოდა, რაც მის ღირსებას წარმოაჩენდა, რადგან, ის უნდა გამხდარიყო მაგალითი ძალიან ბევრისთვის, რადგან, ბევრი ადამიანი სასულიერო პირს უყურებს როგორც იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ხატს და, მაშინ, რა თქმა უნდა, არ მივიღებთ იმ შედეგს, რაც აუცილებელია და ვერც ეკლესია ჩამოყალიბდებოდა და განვითარდებოდა. საუკუნეების განმავლობაში ეკლესიაში ძალიან ბევრი შფოთი, ცდომილება, განხეთქილება მომხდარა. სასულიერო პირების პიროვნული ღირსებები ძალიან დიდ როლს ასრულებდა ქრისტიანობის სულიერ განვითარებაში. ამიტომ, ბუნებრივია, ვინც აპირებს, გახდეს სასულიერო პირი, რა თქმა უნდა, ის უნდა იყოს მოწოდებით პატიოსანი ადამიანი, უნდა ჰქონდეს სამაგალითო ოჯახი. პავლე მოციქულის ეპისტოლეში წერია, რომ სასულიერო პირს, ეპისკოპოსს, შეეძლო, ჰყოლოდა ერთი მეუღლე, ისევე, როგორც მღვდელმსახურს, ხუცესს, მაგრამ, ეს კანონი მოგვიანებით ეპისკოპოსებისთვის შეიცვალა. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ ნელ-ნელა დამკვიდრდა, თუმცა, ადრეც იყო ამაზე საუბარი, რომ ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო უცოლო, რათა მას საკუთარი თავი, შემოქმედებითი ასპარეზი მიეძღვნა თავისი მრევლისთვის, ეპარქიისთვის, სადაც ის კონკრეტულად მსახურობდა. მაგრამ, თუ ადამიანი აპირებს, გახდეს დიაკვანი ან მღვდელი, მან აუცილებლად უნდა შეირთოს ცოლი, რადგან, თუ ის არ იქნება ცოლიანი და ისე მიიღებს ხელდასხმას, ავტომატურად გახდება შავი სამღვდელოების წარმომადგენელი და ვეღარ მოიყვანს ცოლს. ეს კანონი დღესაც ძალაშია, ანუ, სანამ ადამიანი გახდება თეთრი სამღვდელოება დიაკონი ან ხუცესი, აუცილებლად უნდა იყოს ცოლიანი.

**– როგორი უნდა იყოს სასულიერო პირის ცოლი?**

– სასულიერო პირის მეუღლე უნდა გამოირჩეოდეს უბიწოებით, თავმდაბლობით, წესიერებით, რადგან, მათი ოჯახი სარკე უნდა იყოს მრევლთან ურთიერთობისას, რომ არავინ დაბრკოლდეს. ეს ყველაფერი მოეთხოვება როგორც სასულიერო პირს, ასევე, მთელ მის ოჯახს. მომავალი სასულიერო პირი უნდა შეეცადოს, რომ შეარჩიოს თავმდაბლობით, წესიერებით გამორჩეული მეუღლე. როგორც სასულიერო პირი იღვწის, შრომობს, არანაკლებად უნდა შრომობდეს მისი მეუღლეც. მას უფლისგან მოეთხოვება პასუხი ულოცველობაზე, საქმის, ადამიანების მიმართ უდიერ მიდგომაზე, არასწორ ცხოვრებაზე, ანუ, ყოველივეზე, რაზეც პასუხი მოეთხოვება მის მეუღლეს, რადგან, ქრისტეში ორივე ერთობას წარმოადგენს. კანონის თანახმად, ერისკაცს, რომელიც ორჯერ იყო დაქორწინებული, არ აქვს უფლება, სასულიერო პირი გახდეს – ეს კანონი დღესაც მოქმედებს, არ ძველდება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საუკუნის წინ დადგინდა. დღეს ბევრ საერო პირს, ვისაც სასულიერო პირად გახდომა სურდა, ამ მიზეზის გამო ეთქვა უარი – ის, ვისაც ორი ცოლი ჰყავდა, ვეღარ გახდებოდა სასულიერო პირი.



**შეიძლება, მოძღვარი პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანი იყოს, მოწესრიგებული, გარეგნულ მხარესაც აკმაყოფილებდეს, მაგრამ, თუ არ ექნება ინტელექტუალური საღვთისმეტყველო განათლება, ვერ შეცვლის საკუთარი სამრევლოს სულიერ მდგომარეობას**

**– როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან სასულიერო პირებს: ეპისკოპოსს – მღვდელთან, მღვდელს – დიაკვანთან?**

– ეკლესიაში სამი იერარქიული საფეხურია: ყველაზე უმაღლესი არის მღვდელმთავრის – ეპისკოპოსის საფეხური; შემდეგ – ხუცესის, მღვდლის საფეხური და ბოლოს – დიაკვნის. ეპისკოპოსის გარეშე მის ეპარქიაში არაფერი ხდება, მღვდელსაც კი არ აქვს ნებისმიერი საიდუმლოს ჩატარების უფლება. ჩვენ დღეს წირვას ვატარებთ თუ სხვადასხვა საიდუმლოებას აღვასრულებთ ან ვქადაგებთ, ეს დამოკიდებულია ეპისკოპოსის კურთხევაზე. მღვდელი დიაკვანს ვერ მისცემს უფლებას, დარჩეს ან

**თუ ის მეორედ კიდევ ჩაიდენს იმავე ცოდვას, მხილებული იქნება და საერთოდ განიკვეთება საეკლესიო ერთობიდან. ის ქრისტიანის სახელის ტარების უფლებასაც კარგავს და მრევლად ყოფნის პატივიც ერთმევა**

გადავიდეს სხვა ეპარქიაში – ყველაფერს აღასრულებს ეპისკოპოსი, რომელსაც არა მხოლოდ სასულიერო წესდებით გააჩნია ძალაუფლება, არამედ, ხელი მიუწვდება საერო ხელისუფლებაზეც. როდესაც სასულიერო პირი სხვა ეპარქიაში თვითნებურად აღასრულებს სხვადასხვა საეკლესიო საიდუმლოს, ამ შემთხვევაში, სასჯელის ფორმა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რას შესცოდავს ადამიანი. საეკლესიო კანონები არა მხოლოდ მათი გადასვლის წესს აწესრიგებს, არამედ, სასულიერო პირის ცხოვრებასაც. ის არ უნდა იყოს ანგარი, ვერცხლისმოყვარე, ღმერთმა დაიფაროს და არ ჩავარდეს მრუშობის ცოდვაში, არ შემოიტანოს განხეთქილება, შფოთი ეკლესიაში. როდესაც სასულიერო პირი დააშავებს რამეს, მას ადგილობრივი მღვდელმთავრის მიერ დაეკისრება სასჯელი, ანუ, მას, შეიძლება, რამდენიმე წლით აეკრძალოს მღვდელმსახურება, თუმცა, მღვდლის ხარისხში ისევ რჩება – ამას ცოდვის სიმძიმე და ეპარქიის მღვდელმთავრის გადაწყვეტილება განაპირობებს. შემდეგ, თუ ის ჩავარდება სინანულში, მას აძლევენ მღვდელმსახურების აღსრულების უფლებას. თუ სასულიერო პირი მხილებული იქნება ისეთ მძიმე ცოდვებში, როგორიც არის მრუშობა, ეკლესიაში განხეთქილების, მწვალებლობის შემოტანა და არც ამჟღავნებს სინანულს, ამ დროს ის სასულიერო ხარისხსაც კარგავს. მაგრამ, ის რჩება ეკლესიის წიაღში, მრევლის ხარისხში და შეუძლია წირვა-ლოცვაზე დასწრება, რაღაც პერიოდის მერე კი – აღსარების ჩაბარება და ზიარება. მაგრამ, თუ ის მეორედ კიდევ ჩაიდენს იმავე ცოდვას, მხილებული იქნება და საერთოდ განიკვეთება საეკლესიო ერთობიდან. ის ქრისტიანის სახელის ტარების უფლებასაც კარგავს და მრევლად ყოფნის პატივიც ერთმევა.

**– რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სასულიერო პირი?**

– ქრისტიანობა საკუთარ თავზე მუშაობა, მხილებაა და არა სხვების განკითხვა. ჩვენ წმიდა წერილი, მაცხოვარი გვიკრძალავს ადამიანების განკითხვას და, მით უმეტეს, გვეკრძალება სასულიერო პირების მიმართ ასეთი დამოკიდებულება. რაც შეეხება იმ კრიტერიუმებს, რომლითაც ხალხი არჩევს სასულიერო პირს, როგორც უკვე აღვნიშნე, ის უნდა იყოს ჭეშმარიტად მორწმუნე – სხვანაირად ის ვერ გახდება მაგალითი სხვა ადამიანებისთვის, ვერ წაუძღვება მათ ცხონებისკენ, უფლის წიაღში დასაბრუნებლად; პირიქით, ის მათ დააბრკოლებს. მეორე და მესამე კრიტერიუმები – ეს არის მოძღვრის ინტელექტუალური და გარეგნული მხარე, გარეგნულ მხარეში კი შედის ყველაფერი: ჩაცმა-დახურვა, საუბარი, მოძრაობა, გადაადგილება, ადამიანებთან ურთიერთობა, ზრდილობა, დახვეწილობა. რაც შეეხება ინტელექტუალურ მხარეს, ძალიან ბევრს უთქვამს, მოძღვრის თვისებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მისი სულიერი მდგომარეობააო. სულიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი განათლება, შემეცნება, რადგან, სხვა შემთხვევაში, ის სხვა ადამიანს არა მხოლოდ სულიერად, არამედ, ინტელექტუალურადაც ვერ ასწავლის. შეიძლება, მოძღვარი პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანი იყოს, მოწესრიგებული, ზნეობრივი, მესამე კრიტერიუმსაც, ანუ, გარეგნულ მხარესაც აკმაყოფილებდეს, მაგრამ, თუ არ ექნება ინტელექტუალური საღვთისმეტყველო განათლება, ვერ შეცვლის საკუთარი სამრევლოს სულიერ მდგომარეობას.

**ნათია უტიაშვილი**

## სასწაულები, რომლებიც მამა სებასტიანეს ლოცვით აღესრულებოდა

*მათ შორის, ვინც მცირე სამწყსოსთან ერთად საკუთარ თავში ოპტის უდაბნოს ნათელს ატარებდა, იყო სქიმარქიმანდრიტი სებასტიანე – ბერი სებასტიან ყარაგანდელი (ერისკაცობაში სტეფანე ფომინი – 1884-1966 წლებში).*

*მოგითხრობთ რამდენიმე ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან.*

### არ მოვიხსენიებ

მამა სებასტიანე ყველას თავისი სასწაულებრივი კურნებისა და მართლმჭვრეტელობის ნიჭით აოცებდა.

მონასტრიდან გამოყოლილი წესის მიხედვით, მას განსაკუთრებით უყვარდა გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი მსახურება და ყოველდღიურად იხდიდა პანაშვიდებს. თავის სამწყსოსაც განსაკუთრებით გარდაცვლილთათვის ლოცვას ავალებდა.

– განუსვენე, უფალო, სულთა მონათა შენთა დაძინებულთა... ვინ მომაწოდა ეს მოსახსენიებელი: ივანე, სიმონი, ოლგა, მარიამი? – იკითხა ერთხელ პანაშვიდისას მამა სებასტიანემ.

– მე, მამაო, – უპასუხა უცნობმა ქალმა.

– სიმონი როდის გარდაიცვალა?

– დიდი ხნის წინ, მამაო.

– აიღეთ თქვენი მოსახსენიებელი, მე არ მოვიხსენიებ. მომიტანეთ მისი გარდაცვალების მოწმობა.

– ბავშვი ხომ არა ვარ? – შეიცხადა ქალმა.

– კარგი, მაგრამ, ცნობა მაინც მომიტანეთ...

მართლაც აღმოჩნდა, რომ ცრუმორწმუნეობით ამ ქალს მოსახსენიებელში ცოცხალი ადამიანის სახელი ჰქონდა შეტანილი.

### მგზავრების გადარჩენა

მამა სებასტიანე ხშირად ეხმარებოდა მათ, ვინც მისგან მოშორებით მყოფი, გულში მოუხმობდა და ლოცვას სთხოვდა. ერთხელ მისი სულიერი შვილი სახლში ავტობუსით ბრუნდებოდა. მძღოლმა გადაწყვიტა, წინა ავტობუსს დასწეოდა და გზა მინდორზე გადაჭრა. ავტობუსი სწრაფად მიჰქროდა და აქეთ-იქით ეხეთქებოდა. მგზავრები შეშინდნენ, ბავშვები ატირდნენ, ვიღაც ცუდად გახდა. მძღოლი აზარტში იყო შესული და ვერაფერს ამჩნევდა. „მამაო, მიშველე, მამაო, გადამარჩინე“, – ჩურჩულებდა შეშინებული ქალი. უეცრად ავტობუსმა სვლა შეანელა. ის ავტობუსი, რომელსაც მისდევდნენ, გზაზე იდგა და მძღოლი საბურავს ცვლიდა.

მეორე დღეს დღესასწაულის ღამისთევის ლოცვა ტარდებოდა. როგორც კი ქალმა გადაწყვიტა, გადატანილი განსაცდელის შესახებ მოეთხრო, მამა სებასტიანემ დაასწრო მას და ჰკითხა:

– ეს თქვენ მეძახდით გუშინ: მამაო, მიშველე, მამაო, გადამარჩინეო?

– დიახ, – უპასუხა ქალმა.

– როცა მეძახდით, აუცილებლად ყველაფერი უნდა მითხრათ: ვინ მომიწოდებს, რისგან უნდა ვიხსნა... თორემ, სხვანაირად, ჩემთვის ძნელია – მესმის „მიშველე“, მაგრამ, ვინ ვიხსნა? რისგან?.. კარგია, რომ მშვიდობით მიხვედით სახლში...

### გაუხსნელი წერილი

ერთ-ერთი მონაზვნის ქალიშვილი მძიმედ ავად გახდა. გოგონა ყოველდღე კრუნჩხვებში ვარდებოდა, მკვდარივით ეცემოდა, ხელ-ფეხი ერთმეოდა. როდესაც ექიმებმა უკანასკნელი იმედი დაკარგეს, დედამ გადაწყვიტა, ეს ამბავი მამა სებასტიანესთვის ყარაგანდაში მიეწერა. წერილი დიაკვნის მისამართით გაგზავნა, რათა მას მოძღვრისთვის გადაეცა. როდესაც კონვერტი ყუთში ჩაუშვა, ქალმა უეცრად რაღაც სიმსუბუქე იგრძნო სულში. საღამოს გოგონას შეტევები შეუწყდა, სენი უკვალოდ გაქრა.

ამ დროს კი დიაკონი ჯიბით დაატარებდა გაუხსნელ წერილს. ერთი თვის შემდეგ, როგორც იქნა, გადაწყვიტა, დაჭმუჭნილი და გაცვეთილი წერილი გადაეცა მამა სებასტიანესთვის.

– წაგიკითხოთ? – ჰკითხა ბერს.

– უკვე საჭირო აღარ არის, – უპასუხა მამა სებასტიანემ – გოგონა უკვე გამოჯანმრთელებული იყო.

## მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეიძლება თუ არა კომპიუტერის, ტელევიზორის, რადიოსა და სხვა მისთანების კურთხევა?**

**პასუხი**: უნდა ვიცოდეთ, რომ თვითონ საგანში კი არ არის ჩაბუდებული ცოდვა, არამედ იმაში, თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება ის. კომპიუტერი შეიძლება, სათამაშოთაც ვაქციოთ და შეიძლება, საღვთო წიგნებიც ვბეჭდოთ მისი დახმარებით. ან, თუნდაც, ავიღოთ ფოტოაპარატი, მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა საერო სიამოვნებისთვისაც და სიწმიდეებისა და ეკლესია-მონასტრების აღსაბეჭდავად. ამრიგად, თუ მოცემული საგანი გამოიყენება არა ცოდვის ჩასადენად, შეიძლება, მისი კურთხევა.



**კითხვა: რომელი ფსალმუნები უნდა ვიკითხოთ, როდესაც საფრთხის ქვეშ ვიმყოფებით?**

**პასუხი**: იკითხეთ მე-3, 53-ე, მე-80, 142-ე ფსალმუნები. გამოარჩიეთ ამ ფსალმუნებიდან თქვენთვის მისანდობელი სიტყვები და ხშირ-ხშირად იკითხეთ უფლისადმი რწმენითა და მოწიწებით აღვსილებმა.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მარხვის დროს ისეთი საკვების მიღება, რაც ეკლესიურად დაშვებულია, მაგრამ განსაკუთრებულ სიამოვნებას გვგვრის?**

**პასუხი**: მარხვის დროს ასეთი საკვებისგან უმჯობესია, თავი შეიკავოთ. გემოთმოყვარეობა ცოდვაა. გაძღომა კი ცოდვაა თვით სამარხვო კერძითაც.

**კითხვა: რატომ ატარებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესისა და უნეტარესის წოდებას ერთდროულად?**

**პასუხი**: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული – „უწმინდესი და უნეტარესი“ შემოღებულია 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის დროიდან. მანამდე უწმინდესის ტიტულს ატარებდა აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსი, უნეტარესისას – დასავლეთ საქართველოსი. ხოლო ავტოკეფალიის შემდეგ ახალარჩეული მწყემსმთავარი კირიონ მეორე იწოდა უწმინდესად და უნეტარესად.

## წმიდა მამათა შეგონებანი

### „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“

ერთხელ ღირსი მაკარი ეგვიპტელ მოწაფესთან ერთად ნიტრიის მთაზე მიდიოდა. მან წინ გაგზავნა მოწაფე. მას გზად წარმართი ქურუმი შემოხვდა, რომელსაც ასე მიმართა: „მისმინე, დემონო, საით მიემართები?“ უდიერმა სიტყვამ ქურუმი განარისხა, მოწაფე სცემა და გზა განაგრძო. ღირსი მაკარიც შემოხვდა ქურუმს და ასე მიმართა მას: „კეთილი მგზავრობა, კეთილო ადამიანო!“ წარმართი გააოცა ბერის ასეთმა მიმართვამ, შეჩერდა და წმიდანს უთხრა: „შენმა მოსალმებამ განმაცვიფრა. ვხედავ, რომ ღვთიური კაცი ხარ! აი, სულ ახლახან შევხვდი შენს მსგავს ბერს, რომელმაც მაწყენინა. მე იგი გზაზე ცოცხალმკვდარი დავტოვე“. შემდგომ ამისა, ქურუმმა სთხოვა, რომ ისიც თავისნაირ კეთილშობილ ბერად ექცია და ქრისტე აღიარა.

ასე რომ, ავი სიტყვა კეთილსაც კი გააბოროტებს, კეთილი სიტყვა კი ბოროტსაც კეთილად აქცევს.

### ლომი, რომელიც წყალს უზიდავდა ბერებს სავანეში

ღირს გერასიმე იორდანელს ცხოველები უყვარდა, აჭმევდა მათ, ეფერებოდა და მკურნალობდა.

ერთხელ, დიდმარხვაში, იგი იორდანეს უდაბნოში მიდიოდა და შეხვდა ლომს, რომელსაც შერჭობილი ეკლისაგან თათი სტკიოდა და უკვე გასიებოდა. მან გაუსუფთავა ჭრილობა, შეუხვია და გაუშვა. მაგრამ, ლომი, თითქოსდა მადლიერების ნიშნად, არ სცილდებოდა მას და უკან დაჰყვებოდა თავის კეთილისმყოფელს.

ამ დღიდან წმიდანი აჭმევდა ცხოველს და დაავალა სახედრის მოვლა, რომელსაც მონასტრისათვის წყალი მოჰქონდა. სახედრის სიკვდილის შემდეგ ლომმა თვითონ დაიწყო წყლის ზიდვა სავანის საჭიროებისთვის.

ღირსი გერასიმეს გარდაცვალების შემდგომ ლომი დიდხანს დარდობდა, მის საფლავს არ სცილდებოდა და იქვე მოკვდა.

### ღირსი მამა ვარლაამ ხუტინელის წინასწარმეტყველება

ერთხელ ღირსი ვარლაამ ხუტინელი ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსთან მივიდა, რომელმაც ერთი კვირის შემდეგ კვლავ მიიპატიჟა ბერი. „თუ ღვთის ნება იქნება, – უპაუხა ღირსმა მამამ, – პეტრეპავლობის მარხვის პირველი კვირის პარასკევს მოვალ თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოებასთან ციგით“. მთავარეპისკოპოსი გაოცდა, მაგრამ, განმარტება არ უთხოვია.

აღნიშნული პარასკევის წინა ღამეს დიდი თოვლი მოვიდა და ძალიან გაყინა. ღირსი მამა, დაპირებისამებრ, მღვდელმთავართან ციგით მივიდა. მთავარეპისკოპოსი წუხდა, რომ, შესაძლოა, ნათესები დაზიანებულიყო. „ნუ დარდობ, მეუფეო, – უთხრა ღირსმა მამამ, – ყინვამ მოაშთო მატლები, რომლებიც ხორბალს მიწაშივე გააფუჭებდნენ, თოვლი კი მხოლოდ გამოკვებავს გამომშრალ მიწას“.

მართლაც, მეორე დღეს ძლიერმა სიცხემ თოვლი გაადნო, წყალმა კი გამოფიტული მიწა მორწყა, ხოლო ნათესის ფესვებში ყინვისგან დამზრალი მატლები იპოვეს. ამის შედეგად, იმ წელს ისეთი მოსავალი მოვიდა, რომლის მსგავსიც მცხოვრებლებს დიდი ხანია, არ ენახათ.

ამ მოვლენის აღსანიშნავად პეტრეპავლობის მარხვის ყოველ პირველ პარასკევს ნოვგოროდიდან ხუტინის მონასტერში აღესრულებოდა საზეიმო ლიტანიობა. ამ დღეს ეკლესია ღირსი მამა ვარლაამ ხუტინელის ხსენებას აღნიშნავს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# „ბარსელონის" რომელი ვარსკვლავი თამაშობდა ფეხბურთის სალვადორ დალისთან ერთად და ვის ჰქონდა ყველაზე ტრაგიკული ბედი ესპანურ ფეხბურთში

*ესპანური ფეხბურთის გრანდის, კატალონიური „ბარსელონის" ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო ახალი მწვრთნელისა და ფეხბურთელების ხელში. საუბარია პარაგვაელ სპეციალისტზე ხერარდო მარტინოსა და ბრაზილიელ სუპერვარსკვლავ ნეიმარზე. ისინი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის კიდევ უფრო გასაძლიერებლად მიიწვიეს კლუბის ხელმძღვანელებმა და, შედეგებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ წელს „ბარსელონა" ყველა ტურნირში ფავორიტის სტატუსით იქნება, ხოლო, სანამ გუნდი ახალი რეკორდების დამყარებისთვის ემზადება, საინტერესო იქნება, გავეცნოთ კლუბის ისტორიაში საუკეთესო ათ ბომბარდირს, რომელთა შორის ლიდერობას არავის უთმობს არგენტინელი ლიონელ მესი. შემდეგ კი მოდიან:*

**მარიანო მარტინი: „ბარსელონაში" თამაშობდა 1940-1948 წლებში – 124 გოლი.**

ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრ-ფორვარდი „ბარსელონის" ისტორიაში, რომელსაც გამოარჩევდა სისწრაფე, დარტყმა და საგოლე ალღო. იმ პერიოდისთვის შესანიშნავი შედეგის გამო მარტინს „საჯარიმოს ეშმაკს" უწოდებდნენ. 22 წლის ასაკში მარტინი ესპანეთის ნაკრების წევრი იყო, ხოლო 23 წლის ასაკში ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა 23 მატჩში გატანილი 30 გოლით. 1944 წლის 14 თებერვალს კარიერის პიკზე მყოფ მარტინმა მძიმე ტრავმა მიიღო – ჯვარედინი მყესები გაუწყდა, რაც იმ დროინდელი მედიცინისთვის უკურნებელ ტრავმად ითვლებოდა. მარტინი რამდენიმე წელი მკურნალობდა ტრავმას და დაუბრუნდა თამაშს, თუმცა, საკუთარი თავის აჩრდილად ჩანდა მოედანზე და მალევე მოუწია კარიერის დასრულება.



**რივალდო: „ბარსელონაში" თამაშობდა 1997-2002 წლებში – 130 გოლი.**

ჟოან გასპარის პრეზიდენტობის პერიოდში „ბარსელონა" არასტაბილური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა და მისი ერთადერთი ნათელი წერტილი ბრაზილიელი რივალდო იყო – „ბარსას" ჭეშმარიტი ლიდერი, რომლის გოლებით გუნდმა არაერთ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. მაგალითისთვის საკმარისია 2000-2001 წლების სეზონის ბოლო მატჩი „ვალენსიასთან", როდესაც გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა და გამარჯვების მომტანი გოლი რივალდომ ბოლო წუთებში „მაკრატელა" დარტყმით გაიტანა. რივალდო 2002 წელს წავიდა „ბარსელონიდან" და ეს, პირველ ყოვლისა, ლუის ვან გაალის ბრალი იყო – მწვრთნელი მუდამ უცვლიდა მას პოზიციებს მოედანზე, რაც ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს არ სიამოვნებდა.




**სამუელ ეტოო: 2004-2009 წლები – 130 გოლი.**

კამერუნელი სამუელ ეტოო „ბარსელონის" ბოლო წლების საუკეთესო ორი ეტაპის საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი იყო. საუბარია ფრანკ რაიკარდის ხოსეპ გუარდიოლას დროინდელ გუნდზე, სადაც ეტოო ჯერ რონალდინიოსთან, შემდგომ კი ტიერი ანრისთან და ლიონელ მესისთან ერთად, მსოფლიოს საუკეთესო შეტევის ხაზს ქმნიდა. ეტოო იდეალური პარტნიორი იყო თითოეული მათგანისთვის და მისი შედეგიანი თამაშით „ბარსელონამ" არაერთ მატჩში მოიპოვა წარმატება.

**ანხელ აროჩა: 1926-1933 წლები – 134 გოლი.**

ანხელ აროჩა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ბედის მქონე ფეხბურთელია ესპანური ფეხბურთის ისტორიაში. მან თამაში კანარის კუნძულებზე დაიწყო და მალევე ჩაირიცხა კატალონიურ გუნდში, რომელთან ერთადაც მხოლოდ ორ ტურნირში გაიმარჯვა: 1928 წლის ესპანეთის თასი და 1929 წლის პირველი ესპანური ჩემპიონატი. აროჩამ სრული ექვსი სეზონი გაატარა „ბარსელონაში", რის შემდეგაც „ატლეტიკო ავიასიონში" გადავიდა. მან კარიერა 29 წლის ასაკში დაასრულა და ორ წელიწადში, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, ტრაგიკულად დაიღუპა.

**პაულინო ალკანტარა: 1912-1916; 1918-1927 წლები – 142 გოლი.**

„ბარსელონის" პირველი დიდი ვარსკვლავი დღემდე ითვლება ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად კლუბის ისტორიაში, თუმცა, ალკანტარას გატანილი 369 გოლიდან უმეტესობა ამხანაგურ მატჩებზე მოდის, ხოლო ოფიციალურ მატჩებში მას მხოლოდ 142 გოლი დაუგროვდა. ალკანტარა წარმოშობით ფილიპინებიდან იყო და 1916 წელს იგი ისტორიულ სამშობლოში გამეგზავრა, სადაც მცირე ხანს ექიმ-დერმატოლოგად მუშაობდა. შემდგომ ის კვლავ დაბრუნდა კატალონიაში და სამედიცინო საქმიანობას შესანიშნავად უთავსებდა ფეხბურთის თამაშს.

**ხოსეპ ესკოლა: 1934-1949 წლები – 167 გოლი.**

ბარსელონაში დაბადებულმა ესკოლამ კარიერა მშობლიურ კლუბში დაიწყო და რამდენიმე ტურნირში გამარჯვებაც მოიპოვა. იმ პერიოდში ესკოლასა და მადრიდელი გოლკიპერის, რიკარდო ზამორას დაპირისპირება ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იყო. სამოქალაქო ომის პერიოდში „ბარსელონა" ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა ტურნირზე და უკან რამდენიმე ფეხბურთელის გარეშე დაბრუნდა, მათ შორის იყო ესკოლაც, რომელმაც თავი აარიდა ომს. გენერალ ფრანკოს რეჟიმის გამარჯვების შემდეგ, ყველა გაქცეული სპორტსმენი დეზერტირად გამოცხადდა და მათ 6 წლით აეკრძალათ სპორტული ასპარეზობა, თუმცა, „ბარსელონის" ხელმძღვანელობამ მოახერხა და ესკოლა მაინც დააბრუნა გუნდში, სადაც ესკოლამ კიდევ რამდენიმე წელი ითამაშა, თუმცა, უკვე საკუთარი თავის აჩრდილი იყო.

**ხოსეპ სამიტიერი: 1919-1932 წლები – 176 გოლი.**

19 წლის ხოსეპ სამიტიერი ფეხბურთს სალვადორ დალისთან ერთად თამაშობდა და, როდესაც „ბარსელონასთან" კონტრაქტი გააფორმა, პირველი ხელფასის სახით საათი და შარვალ-კოსტიუმი მიიღო. ფილიგრანული ტექნიკისა და მოედნის შესანიშნავი ხედვის გამო სამიტიერის „ჯადოქარს" უწოდებდნენ, ხოლო სისწრაფის გამო „კალია" მას უკვე ქომაგებმა შეარქვეს. 1933 წელს სამიტიერის უსიამოვნება მოუვიდა კლუბის ხელმძღვანელობასთან და ის მადრიდში გადავიდა. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სამიტიერი კატალონიაში სკაუტად დაბრუნდა და გუნდში ლადისლაო კუბალას მოყვანა მის სახელთან ასოცირდება. ამბობენ, რომ სამიტიერი გენერალ ფრანკოსთან მეგობრობდა.

**ლადისლაო კუბალა: 1950-1961 წლები – 194 გოლი.**

კუბალას აღმოსავლეთ ევროპის საფეხბურთო მონსტრს უწოდებდნენ. ის უნიკალური მიღწევით არის ცნობილი. კუბალა სამ ევროპულ ნაკრებში თამაშობდა და ყველგან სხვადასხვა სახელით: უნგრეთში მას ლასლო ერქვა, ჩეხოსლოვაკიაში – ლადისლავი, ხოლო ესპანეთში ლადისლაო. ლადისლაოს სახელს უკავშირდება „ბარსელონას" არაერთი წარმატება, მათ შორის – ინდივიდუალური პრიზებიც. 1999 წელს კუბალა „ბარსელონისს" ქომაგებმა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო მსოფლიო ფეხბურთის სტატისტიკის სამსახურმა ის მეოცე საუკუნის 30 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოიხსენია. კუბალას უამრავი გოლი აქვს გატანილი „ბარსას" მაისურით. ის საჯარიმო დარტყმების ოსტატი და კუთხურის ნიშნულიდან კარში ჩახვევის უბადლო შემსრულებელი იყო და ერთ მატჩში მას 7 გოლიც კი გაუტანია.

**სესარ როდრიგესი: 1942-1955 წლები – 232 გოლი.**

„ბარსელონა" სესარ როდრიგესის პირველი პროფესიონალური კლუბი იყო, სადაც მან თავისი მრავალწლიანი კარიერა დაიწყო. მას მხოლოდ რამდენიმე წლის გაცდენა მოუხდა, ისიც ჯარში გაწვევის გამო. სესარს სტაბილურად გაჰქონდა ერთ სეზონში 10 გოლი და იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ გუნდი ნაკლებ მატჩებს ატარებდა ჩემპიონატში, ვიდრე ახლა, მისი შედეგიანობა აღსანიშავია. სესარ როდრიგესი 50-იანი წლების „ბარსელონას" ლეგენდარული შეტევის ხაზის ლიდერი იყო.

**ლიონელ მესი: 2004 წლიდან დღემდე – 324 გოლი.**

ამ მომენტისთვის „ბარსელონის" არგენტინ-




ელ ლიდერს, ლიონელ მესის, 324 გოლი აქვს გატანილი და, ცხადია, რომ ის ამ ნიშნულზე შეჩერებას არ აპირებს. 26 წლის ფეხბურთელი მისმა კერპმა, დიეგო მარადონამ, უკვე დაასახელა მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად და, ალბათ, ეს ტიტული საკმარისია, რომ მესის დახასიათება დავასრულოთ.

**უშანგი რუხაძე**

## ლებრონ ჯეიმსი სკოლის დროინდელ შეყვარებულზე დაქორწინდა

NBA-ს ორგზის ჩემპიონმა „მაიამი ჰითის" რიგებში, ლებრონ ჯეიმსმა, თავის დიდი ხნის მეგობარ გოგონაზე, სკოლის დროინდელ შეყვარებულზე – სავან ბრინსონზე იქორწინა. ჯეიმსისა და ბრინსონის ქორწილს 200-მდე მოწვეული სტუმარი დაესწრო, თუმცა, ცერემონია იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ დაზუსტებით უცნობია, თუ ვინ იყო ქორწილში. ანონიმური წყაროს ინფორმაციით, სტუმრები სპეციალური ტენტების ქვეშ იმყოფებოდნენ, რათა პაპარაცებს ვერტმფრენებიდან არ მოეხერხებინათ გადაღება; ასევე, აკრძალული იყო მობილური ტელეფონებით სარგებლობა და ფოტოების გადაღება. ერთადერთი, რაც ცნობილი გახდა ჟურნალისტებისთვის, ის გახლავთ, რომ სტუმრებს შორის ნამდვილად იმყოფებოდნენ ლებრონის თანაგუნდელები – კრის ბოში და დუეინ უეიდი.



## რაფაელა ფიკოს პირობა

ცნობილმა იტალიელმა მოდელმა და ლამაზმანმა რაფაელა ფიკომ პირობა დადო, რომ, თუკი ნეაპოლის „ნაპოლი" იტალიის ჩემპიონატის ან ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდება, ის გაშიშვლდება. „დიახ, მე ამას გავაკეთებ და, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად მომიწევს გახდა," – განაცხადა რაფაელა ფიკომ, რომელიც წარსულში მარიო ბალოტელის გერლფრენდი და „მილანის" ქომაგი იყო, თუმცა, დროთა განმავლობაში „ნაპოლის" ქომაგად „გადაკვალიფიცირდა."

## რონალდოს პოკერომანია

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის, 1994 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონის, რონალდოს პოკერით გატაცების შესახებ უკვე ყველასთვის არის ცნობილი.



რონალდო სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების მონაწილე და „პოკერსტარსის" ელჩია; ის ისევე ვირტუოზულად თამაშობს პოკერს, როგორც ფეხბურთის მსოფლიოს საუკეთესო სტადიონებზე. რამდენიმე ხნის წინ რონალდო „პოკერსტარსის" სარეკლამო რგოლში გადაიღეს და ვეტერანმა ფეხბურთელმა პოკერის თამაშისთვის აუცილებელი „ფიშკებით" ნამდვილი შოუ დადგა. რეკლამის მნახველების რაოდენობამ „იუთუბზე" რამდენიმე მილიონს გადააჭარბა.

## რონალდუს ახალი „სათამაშო"

კრიშტიანუ რონალდუ ახალი ჰიბრიდული ავტომობილის – „ფერარის" მარკის სუპერკარის მფლობელი გახდა. ავტომობილი რონალდუს 1,3 მილიონი ევრო დაუჯდა. ცნობილი იტალიური ავტომწარმოებელი მსგავსი მოდელის „ფერარის" მხოლოდ 499 ეგზემპლარის გამოშვებას გეგმავს და რონალდუ ერთ-ერთი იღბლიანი მყიდველი აღმოჩნდა. ამბობენ, რომ ახალი ავტომობილის შეძენით ფეხბურთელმა „რეალთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება მიულოცა საკუთარ თავს. ცნობისთვის, რონალდუ მანამდეც ფლობდა „ფერარის" მარკის ავტომობილს, თუმცა, 2009 წელს მანჩესტერში ავარიაში მოყვა და მანქანა ჯართად აქცია.

## ირინა შეიკის გულახდილი ფოტოსესია

მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალ VMAN-ის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რუსმა სუპერმოდელმა ირინა შეიკმა, რომელსაც ისედაც არ აკლია გულახდილი ფოტოსესიები, მონაწილეობა მიიღო გადაღებებში, რითაც თავისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები კიდევ ერთხელ ჩაყარა შოკში. მანამდე შეიკი უარს აცხადებდა „ფლეიბოის" მსგავს გამოცემებთან თანამშრომლობაზე, თუმცა, როგორც ჩანს, გამონაკლისი დაუშვა და, თეთრი ტრუსების ამარამ, ტბაზე მოაწყო პოზირება. ფოტოები იმდენად სექსუალური და გულახდილი გამოვიდა, რომ ჟურნალის რედაქციამ აბსოლუტურად ყველას დაბეჭდვა განიზრახა.

## გამოქვეყნდა ყველაზე პატიოსანი ქალაქების რეიტინგი

მსოფლიოს ქალაქები შეაფასეს პატიოსნების თავისებური რეიტინგის მიხედვით. ამისთვის 16 ქვეყანაში ჩაატარეს კვლევები „კლასიკური" ტესტის გამოყენებით:

თითოეულ ქალაქში შესამჩნევ ადგილას დატოვეს 12-12 საფულე ოჯახის ფოტოებით, საკონტაქტო მონაცემებითა და თანხით, რომელიც 30 ფუნტი სტერლინგის ეკვივალენტი იყო. ჯამში, 192 საფულიდან „პატრონს" ნახევარზე ცოტა ნაკლები დაუბრუნეს. ამავე დროს, ქალაქების შედეგები ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებოდა.

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში 12-დან 11 საფულე დააბრუნეს, მაშინ, როცა ლისაბონში (პორტუგალია) – მხოლოდ ერთი, ისიც, ჰოლანდიელმა ტურისტებმა მოძებნეს „პატრონი".

მეორე ადგილზე „პატიოსნების მიხედვით", როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, აღმოჩნდა ინდოეთის ქალაქი მუმბაი. აქ 12-დან 9 საფულე დააბრუნეს, მაშინ, როცა ფინანსურად გაცილებით მდიდარ შვეიცარიის ქალაქ ციურიხში მხოლოდ ოთხი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა.

8-8 საფულე დააბრუნეს ბუდაპეშტსა და ნიუ-იორკში. კრიმინალური თვალსაზრისით არასაიმედო მოსკოვი, 7 დაბრუნებული საფულით, მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

გაქცეული რუსი ოლიგარქებისა და ბიზნესმენების საყვარელ ქალაქ ლონდონში 12 საფულიდან „პატრონებს" მხოლოდ ხუთი დაუბრუნდათ, ერთი საფულით ნაკლები კი – ბერლინში.

კვლევის შედეგების განხილვისას აღმოჩნდა, რომ, არა მარტო ფინანსური კეთილდღეობა, არამედ, ასაკი და სქესიც კი არანაირად არ განაპირობებს ადამიანთა პატიოსნების დონეს. სხვადასხვა იყო, აგრეთვე, მიზეზები, რომლებმაც ადამიანები აიძულეს, დაებრუნებინათ ნაპოვნი ნივთები.

მაგალითად, განსაკუთრებული სიტუაციების თანამშრომელმა მოსკოვიდან განმარტა, რომ ნაპოვნი საფულე მან დააბრუნა ოფიცრის მოვალეობის გრძნობის გამო. ხოლო ორი შვილის დედამ მუმბაიდან განაცხადა, რომ პატიოსნებას მას მშობლები უნერგავდნენ – ასე აღიზარდა.

მეორე მხრივ, კვლევებმა გამოავლინა ადამიანები, რომლებმაც ურცხვად მიითვისეს სხვისი ქონება. ნიუ-იორკის მცხოვრებმა, აიღო თუ არა საფულე, უახლოეს მაღაზიაში შევიდა და სიგარეტი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ასეთი ანტიგმირი ავტომობილ „მაზდას" მფლობელი აღმოჩნდა...

## ოკეანეში „კოსმოსური შავი ხვრელი" აღმოაჩინეს

ციურიხის (შვეიცარია) უმაღლესი ტექნიკური სკოლისა და მაიამის უნივერსიტეტის მეცნიერები აცხადებენ, რომ „შავი ხვრელის" ნიშნები არა მარტო კოსმოსურ სივრცეში, არამედ, დედამიწაზეც არსებობს. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ გიგანტური ძაბრები, რომელთა დანახვაც შეუძლებელია, რეალურად არსებობენ.

გრიგალები შემჩნეულ იქნა ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში. თანამგზავრიდან გადაღებული სურათების ანალიზიდან გამომდინარე, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ისინი ოკეანიდან იმდაგვარადვე ისრუტავენ წყალს, როგორც „შავი ხვრელები" შთანთქავენ სინათლეს კოსმოსში. ეს „ძაბრები" იმდენად მკვრივად არიან გარშემორტყმულნი წყლის მოძრავი ნაკადებით, რომ ყველაფერი, რაც მათში ხვდება – ნაგავი, ზეთი, ცოცხალი არსებები და წყალიც კი – სამუდამოდ ქრება.



სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ მიღებული შედეგები დაეხმარებათ, გადაწყვიტონ რიგი საკითხებისა, მათ შორის, გრიგალების გავლენა მსოფლიო ოკეანის ტემპერატურაზე, აგრეთვე, მისი დაბინძურების მიზეზები. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ, მორევებს, რომლებიც თბილი და მარილიანი ატლანტის ოკეანის წყლის გადატანის ცირკულაციას აძლიერებენ ჩრდილოეთის მიმართულებით, გააჩნიათ შემაკავებელი ეფექტი. როგორც ჩანს, ისინი არბილებენ ზღვის ყინულის დნობას გლობალური დათბობის პირობებში.



## გადაღლისა და დაძაბულობის მოსახსნელად ჭამეთ ბევრი საქონლის ღვიძლი, ბროწეული და ანანასი

კარგი გუნება-განწყობისა და სასიცოცხლო ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებლად აკონტროლეთ წნევა, სისხლძარღვების ჯანმრთელობა და წონა. გადაღლა, სტრესი და არასწორი კვება ცვეთს სისხლძარღვებს, უკარგავს ელასტიკურობას, იხშობა წვრილი ძარღვები, რასაც სპაზმები, თავის ტკივილი და მთელი რიგი უსიამოვნებები მოსდევს.

ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევისა და ინსულტის რისკ-ფაქტორებს შორის პირველ ადგილზეა ჰიპერტონია.

კოორდინაციის დაკარგვის, თავბრუხვევის, თავის ტვინის სპაზმების დროს უნდა მიიღოთ მცენარეებზე დამზადებული წამლები, რომლებიც აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, წნევას, წმენდს კაპილარებს ცხიმოვანი დანალექებისგან, აღადგენს ძარღვების ელასტიკურობას და ასე შემდეგ.

დაძაბულობისა და გადაღლის დროს უნდა მიირთვათ საქონლის ღვიძლი ან ტვინი, ბროწეული, ანანასი, ავოკადო, ხორბლის ღერღილის ნაწარმი, ბევრი ხილი და ბოსტნეული.

C ვიტამინი, რომელსაც უხვად შეიცავს ფორთოხალი და გრეიპფრუტი, წმენდს ტვინის სისხლძარღვებს. კვებით რაციონში აუცილებლად ჩართეთ მინერალური ნივთიერებებით მდიდარი ზღვის პროდუქტებიც, რაც აუმჯობესებენ ადამიანის გონებრივ აქტივობას.

## გაიწმინდეთ სისხლი და დაეხმარეთ ორგანიზმს ადვილად გამოჯანმრთელებაში

ორგანიზმის გაწმენდა გულისხმობს წიდების გამოდევნას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ღვიძლიდან, თირკმელებიდან და სისხლიდან. სისხლში გროვდება ისეთი ნივთიერებები, რომლებიც გამოდევნილი უნდა იყოს ორგანიზმიდან. ესენია მიმოცვლისთვის უსარგებლო და საზიანო პროდუქტები. თუ ორგანიზმში რაღაც წესრიგში არ არის, სისხლში მათი შემადგენლობა იზრდება, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას აუარესებს.

პირველად იმ ორგანოს უნდა უმკურნალოთ, რომლის გამოც არის ეს გამოწვეული. მაგრამ, პერიოდულად სისხლის გაწმენდა რეკომენდებულია თუნდაც იმიტომ, რომ, ლიპიდური ბალანსის დარღვევისა და სისხლში ქოლესტერინის მომატების შედეგად, ის ზედმეტად სქელდება, ვეღარ ახერხებს უწვრილეს კაპილარებში გავლას და უჯრედების კვებას ჟანგბადითა და სხვა საკვები ნივთიერებებით. ეს საშიშროება 35-40 წლის შემდეგ თითქმის ყველა ადამიანს ემუქრება.

ხალხურ მედიცინაში სისხლის გაწმენდის რამდენიმე რეცეპტი არსებობს. მაგალითად: 2 ჭიქა ნატურალური ღვინო, 1 ჭიქა დანაყილი კამის თესლი და 2 სადილის კოვზი ვალერიანის დანაყილი ძირები ჩაყარეთ მოზრდილ თერმოსში, დაასხით ორი ლიტრი მდუღარე წყალი და ერთი დღე-ღამის განმავლობაში გააჩერეთ. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი, ერთი თვის განმავლობაში.

სისხლს კარგად წმენდს სამკურნალო ბალახებიც, რომელთაგან ზოგიერთს სხვა სამკურნალო თვისებებიც აქვს. კერძოდ, მინის ჭურჭელში ჩაყარეთ 1 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ჭინჭარი, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ თავზე მჭიდროდ და დადგით ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დილით და საღამოს, ერთი თვის განმავლობაში. ეს ნაყენი არა მარტო წმენდს სისხლს, არამედ, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის აღდგენას.

აადუღეთ 6 ჩაის ჭიქა წყალი, ჩაყარეთ მასში 1 ჩაის კოვზი ოროვანდის დაქუცმაცებული ფესვები და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე. დაუმატეთ 2 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ჭინჭარი და ისევ ადუღეთ ათი წუთი დაბალ ცეცხლზე. შემდეგ გადმოდგით, დაუმატეთ 2-2 ჩაის კოვზი მინდვრის სამყურა, ანწლის ნაყოფი და ბაღის პიტნის ფოთლები. 5 წუთი გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში, შემდეგ კი გადაწურეთ. შეგიძლიათ, დაამატოთ ცოტაოდენი ნატურალური თაფლი. სვით ნახევარი ჭიქა, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში ერთხელ. ეს ნაყენი, გარდა იმისა, რომ სისხლს წმენდს, ასევე, კარგად მოქმედებს კუჭზე, ნერვულ სისტემასა და სისხლის მიმოქცევაზე.

სისხლის გასაწმენდად ეფექტურია წითელი ხილ-ბოსტნეულის ჭამა. მიირთვით შტოში, ჭარხალი, ალუბალი, ყურძენი, მაყვალი და ასე შემდეგ.

შტოში ამ მხრივ ყველაზე სასარგებლოა. ძალიან შედეგიანია შტოშის წვენის მიღების სამკვირიანი კურსი. პირველ კვირაში სვით ნახევარ-ნახევარი ჭიქა, დღეში სამჯერ; შემდეგ კვირაში – ნახევარი ჭიქა დღეში ორჯერ; მესამე კვირას კი – დღეში ნახევარი ჭიქა.

ნებისმიერი დაავადება გაცილებით უფრო სწრაფად იკურნება, თუ ერთდროულად სისხლსაც გაიწმენდთ. ამიტომ, ნებისმიერ სამკურნალო ნახარშს დაუმატეთ სისხლის გამწმენდი ერთი ან ორი სახის ბალახეული, მაგალითად, მინდვრის სამყურა, ანწლის ყვავილი, ჭინჭარი. მათი დოზები კი იგივეა, რაც სპეციალურ გამწმენდ ნაკრებში.

## კომში მხედველობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ხილია

მხედველობის გასაძლიერებლად და ხველების სამკურნალოდ კომში შეუცვლელია. ნაყენი ასე უნდა მოამზადოთ: კომშის 2 ფოთოლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და თავდახურულ ჭურჭელში ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ დაახლოებით ნახევარი საათით, შემდეგ, გადაწურეთ და დალიეთ ნახევარი ჭიქა ჭამის წინ, დარჩენილი ნახევარი ჭიქა ნაყენი კი – ჭამის შემდეგ. კურსი ორი კვირის განმავლობაში ჩაიტარეთ და თავად დარწმუნდებით, რომ ხველაც შეგიჩერდებათ და მხედველობაც გაგიუმჯობესდებათ.

ასევე, ხველების დროს კარგია კომშის გულისა და კურკების ნახარშის მიღება. კერძოდ, გაჭერით კომში შუაზე. ამოაჭერით გული კურკებიანად, დაასხით 2 ჭიქა ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ დაახლოებით 10-15 წუთი. დალიეთ 1 ჩაის ჭიქა, დღეში ორჯერ, თბილი, ჭამის შემდეგ – დილით და საღამოს.

წნევის დასაწევად, შეგიძლიათ, შემდეგი ნაყენი მოამზადოთ: 4 ცალ კომშის ფოთოლს დაასხით 1 ლიტრი წყალი და ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში. ნაყენი დალიეთ დღეში ორჯერ, ჭამის წინ ან შემდეგ. ეს ნაყენი, ასევე, კარგია მომატებული პროტრომბინის დროსაც, რადგან, ის მის დონეს არეგულირებს.

## ლიმონი სკლეროზს აგარიდებთ და ნერვულ სისტემას დაგიმშვიდებთ

ლიმონი ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემასა და შრომის უნარზე. სკლეროზის მოახლოებისას გირჩევთ, სისტემატურად მიირთვათ ლიმონი და სვათ მისი ახალგამოწურული წვენი.

ლიმონის სურნელი კარგად მოქმედებს გონებრივი გადაღლის, ყურადღების გაფანტვის, აპათიის, დეპრესიისა და ჰორმონული ბალანსის დარღვევის დროს. ის ნებისმიერი ადამიანის რაციონის აუცილებელი პროდუქტია. ლიმონი მდიდარია ასკორბინის მჟავით, რაც ამაღლებს ორგანიზმის მედეგობას სხვადასხვა ინფექციებისადმი. მისი წვენი შეიცავს დიდი რაოდენობით C ვიტამინს, შაქარს, ლიმონის მჟავას; რბილობსა და ცედრაში კი არის პექტინები, ფიტონციდები, ეთერზეთები, კალიუმისა და სპილენძის მარილები და სხვა მიკროელემენტები.

ლიმონის წვენი კარგია ციებ-ცხელების დროს, წყურვილის მოსაკლავად და საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მას იყენებენ ორგანიზმში ვიტამინების ნაკლებობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ანთებების, შემცირებული მჟავიანობის ფონზე

მიმდინარე გასტრიტის, ნიკრისის ქარისა და კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

წყალში გაზავებული ლიმონის წვენი კარგია ბუასილის დროს. გარეგანი მოხმარებისთვის კი ლიმონის წვენს იყენებენ კანის სოკოვანი დაავადებებისა და ქავილის სამკურნალოდ. მას იყენებენ ბევრი სამკურნალო მალამოსა და ლოსიონის დამზადების დროს.

## მოამზადეთ ორგანიზმი ზამთრისთვის

იმისთვის, რომ ძალები აღიდგინოთ, ორგანიზმმა ვიტამინების ნაკლებობა არ განიცადოს და ზამთრის მოახლოებას მომზადებული შეხვდეთ, აუცილებელია, გაითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

* გულის მუშაობისა და ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კანიანად გახეხეთ ერთი ცალი ლიმონი და ერთი ცალი ფორთოხალი, შემდეგ კარგად გაწურეთ და მიღებულ წვენს დაუმატეთ იმავე რაოდენობის გოგრის წვენი ან ანადუღარი ცივი წყალი. დალიეთ დღეში ერთხელ, დილის საათებში. ეს რეცეპტი ჰემოგლობინის დონესაც არეგულირებს და სისხლსაც წმენდს.

* 500 გრამ თაფლს დაუმატეთ 500 მილილიტრი ალოეს წვენი და 500 მილილიტრი ნატურალური შავი ღვინო. დადგით ცეცხლზე და წამოადუღეთ. მიიღეთ 30 მილილიტრი, დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

* 1 ჩაის კოვზი ასკილის ნაყოფი გარეცხეთ, დანაყეთ, ჩაყარეთ ნახევარ ლიტრ მდუღარე წყალში და ადუღეთ ხუთი წუთი. დადგით ოთახის ტემპერატურაზე და 5-6 საათის შემდეგ გაწურეთ დოლბანდში. წვენს დაუმატეთ 2 ცალი ბროწეულის წვენი, 2 ლიმონის წვენი და 1 ჩაის ჭიქა თაფლი. მიიღეთ ყავის ჭიქით დღეში ორჯერ, ჭამამდე ორი საათით ადრე.

## კრაზანას ნახარში აუმჯობესებს ვენური სისხლის მიმოქცევას

მცენარე კრაზანა შეიცავს სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას და აქვს უამრავი ფარმაკოლოგიური თვისება. ყველაზე აქტიური ნაერთებია ფლავონოიდები, რომლებიც ხსნის სპაზმებს სანაღვლე გზებიდან, ნაწლავებიდან, სისხლძარღვებიდან და შარდსადენის გლუვი კუნთებიდან, რაც აუმჯობესებს ნაღვლის გამოდინებას, ეწინააღმდეგება შეგუბებით პროცესებს ნაღვლის ბუშტში და ამგვარად იცავს ორგანიზმს კენჭების წარმოქმნისგან. ფლავონოიდები, აგრეთვე, აღადგენს ნორმალურ პერისტალტიკას, აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მონელებით ფუნქციას.

კრაზანა, ასევე, ხსნის სისხლძარღვთა, განსაკუთრებით კი – კაპილარების სპაზმს; აუმჯობესებს ვენური სისხლის მიმოქცევას და ზოგიერთი შინაგანი ორგანოს სისხლით მომარაგებას; შარდმდენია, ხელს უშლის შარდსაწვეთების კედლის მოდუნებას და არეგულირებს თირკმლის ფილტრაციის დონეს. კრაზანას ახასიათებს ანტიანთებითი და ანტიმიკრობული მოქმედება და ზრდის კუჭის სეკრეციას.

კრაზანას შემცველი პრეპარატები ფართოდ გამოიყენება კანის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმელების დაავადებისას. მის ნაყენს პირში სავლებადაც იყენებენ ღრძილების ანთების ან სტომატიტის დროს, კომპრესების სახით კი – სისხლმდენი და ინფიცირებული ჭრილობების დასამუშავებლად.

კრაზანას პრეპარატები, ასევე, გამოიყენება სანაღვლე გზების ფუნქციური დარღვევებისას, ჰეპატიტების, ნაღვლის შეგუბების, ნაღვლის ბუშტის ანთების, ნაღველკენჭოვანი დაავადებების საწყისი სიმპტომების, დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტების, თირკმელების ფუნქციის დაქვეითების, თირკმელკენჭოვანი დაავადების დროს.



ნახარში ასე უნდა მოამზადოთ: ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში 1 კოვზი დანამცეცებული მცენარე, დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, მოათავსეთ წყლის ორთქლზე და ნახევარი საათი გააჩერეთ. გადმოდგით, გააგრილეთ, გაწურეთ და შეინახეთ გრილ ადგილას, ერთი დღე-ღამის განმავლობაში. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: 1,5 წლის ბავშვს კოღოს ნაკბენი უმიზეზდება და დიდხანს არ გადასდის. შეიძლება თუ არა ბავშვისთვის ნაკბენზე გულყვითელას ნაყენის წასმა?**

**პასუხი**: თუ ნაკბენი გამიზეზებულია, ანუ, მას უკვე დაერთო მეორადი ინფექცია, გირჩევთ, თავი შეიკავოთ გულყვითელას გამოყენებისგან და წაუსვათ რომელიმე ანტისეპტიკური მალამო.

**კითხვა: რა ნივთიერებებს შეიცავს დაფნა და რა სამკურნალო თვისებები გააჩნია მას?**

**პასუხი**: დაფნა შესანიშნავი ბუნებრივი ანტიბიოტიკია. მას გააჩნია ანთების და შეშუპების საწინააღმდეგო კარგად გამოხატული თვისებები. მისი ნახარში აქტიურად გამოიყენება სისხლში გლუკოზის მომატებული კონცენტრაციის დასაქვეითებლად, ხშირად მას მიმართავენ კოსმეტიკური პროცედურებისთვის, გამონაყარის სამკურნალოდ, რადგან, აქვს კარგად გამოხატული ანტიბაქტერიული უნარი და აძლიერებს იმუნიტეტს.

**კითხვა: მართალია თუ არა, რომ თუ დედას რეზუსუარყოფითი სისხლი აქვს, ბავშვი კი რეზუსდადებითია, არ უნდა მოაწოვოს ძუძუ? რა შეიძლება ამან გამოიწვიოს?**

**პასუხი**: ასეთ შემთხვევაში ძუძუთი კვება არ არის უკუნაჩვენები.

**კითხვა: მყავს 3 წლის შვილი, რომელსაც აწუხებს შეკრულობა. დროდადრო ვასმევ სენადეს. საშიში ხომ არ არის? სხვა საშუალებას ხომ ვერ მირჩევთ?**

**პასუხი**: ჯობია, ამ ასაკის ბავშვს დუფალაკის სიროპი მისცეთ, თუმცა, აუცილებელია კვების რეჟიმის მოწესრიგება (ხილის, ბოსტნეულის, მწვანილის, წყლის მიღება). თუ ყაბზობა არ მოიხსნა, უნდა მიმართოთ ექიმს.

**კითხვა: თუ ახალშობილი ხელოვნურ კვებაზეა, მერამდენე თვიდან შეიძლება წყლის მიცება?**

**პასუხი**: წყალი ბავშვს მიეცით დაბადებიდანვე, მოთხოვნილების მიხედვით.

**კითხვა: თითქმის ერთი წელია გათხოვილი ვარ, თუმცა, ჯერ არ დავფეხმძიმებულვარ. რა გამოკვლევები უნდა ჩავიტარო, რომ გავიგე ყველაფერი წესრგიში მაქვს თუ არა ციკლი მოწესრიგებული მაქვს.**

**პასუხი**: გამოსაკვლევია ორივე პარტნიორი. ქალი უშვილობის დროს უნდა მივიდეს კონსულტაციაზე ენდოკრინოლოგთან; ჩაიტაროს ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლების ჰორმონული კვლევა, სასქესო ჰორმონების გამოკვლევა, ბაქტერიოლოგიური და ვირუსოლოგიური კვლევა. საშვილოსნოს მილების გამტარობა; საჭიროა, ასევე, ანტისპერმული ანტისხეულების (იმუნოლოგიური შეუთავსებლობა) კონტროლი სისხლსა და საშვილოსნოს ყელის ლორწოში (პოსტკოიტალური ტესტი). ასეთ კვლევას ატარებენ მამაკაცებშიც. მამაკაცის უშვილობაზე ეჭვის შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა იკვლევენ სპერმას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# როგორ დაკარგა ლიანა ისაკაძემ ნახევარმილიონიანი ვიოლინო და როგორ გადარჩა ის ხორცსაკეპ მანქანაში კატლეტივით გატარებას

*ავგისტოს ბოლოს ლიანა ისაკაძე საქართველოს თავის ორკესტრით ეწვია და ბათუმსა და თბილისში კლასიკური მუსიკის არაჩვეულებრივი საღამოები გამართა, რომელსაც ჩვეული ოვაციები არ აკლდა. კლასიკური მუსიკის მოყვარულებსაც და დანარჩენ საზოგადოებასაც, ალბათ, ერთნაირად აინტერესებს როგორია ქალბატონი ლიანა სცენის მიღმა, რა აწუხებს, რა უხარია, როგორია მისი ყოფა, ურთიერთობა ნაცნობ-მეგობრებთან, მეუღლესთან, როგორი ხასიათისა და თვისებების ადამიანია. ქალბატონმა ლიანამ თავის დანაპირები შეასრულა და ექსკლუზიური ინტერვიუ მოგვცა, საიდანაც ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებთ, მათ შორის იმასაც, თუ როგორ მოჰპარეს ზაგრებში, კონცერტის წინ ნახევარმილიონიანი ვიოლინო.*

**– ქალბატონო ლიანა, მინდა, საუბრის დასაწყისში თქვენი პედაგოგის დავით ოისტრახის შესახებ გვიამბოთ, რომელსაც ერთი**



**ძალიან საინტერესო ისტორია უკავშირდება. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ თქვენ ორი წლის განმავლობაში იყავით მისი ასისტენტი. ხშირად გეპატიჟებოდათ კონცერტებზე. 1974 წელს ამსტერდამში კი, სადაც თქვენ და თქვენს ძმას, ვიოლონჩელისტ ელდარ ისაკაძეს ბრამსის ორმაგი კონცერტი უნდა შეგესრულებინათ, ასეთი რამ მოხდა – კონცერტის წინ ოისტრახი მოულოდნელად გარდაიცვალა.**



– დიახ, რეპეტიციას რომ მოვრჩით, საღამოს ოისტრახმა ქუჩაში გასეირნება გადაწყვიტა. ღამის 4 საათზე მისი ცოლი მირეკავს – ლიანა სასწრაფოდ მოდი, დავითი კვდებაო. ორჯერ ჰქონდა გადატანილი ინფარქტი, ეს მესამე იყო. რასაკვირველია, უცებ გავვარდი, მაგრამ რომ შევედი, ნახვა ვეღარ მოვასწარი, წამებში, ჩემს თვალწინ გარდაიცვალა. როგორც მამა-შვილს ისე გვიყვარდა ერთმანეთი. მერე, მოსკოვიდან კულტურის მინისტრმა დარეკა. მე მომიხდა მასთან დალაპარაკება, მოვუყევი რა და როგორ მოხდა. თურმე ამ ლაპარაკის შემდეგ, სადღაც ერთ საათში, მასაც ინფარქტი მოუვიდა და გარდაიცვალა. იმდენად უყვარდა, რომ მისი გარდაცვალება ვერ გადაიტანა. ჩემთვის კიდევ უფრო მძიმე იყო ერთი მომენტი. თვითმფრინავით გადავასვენეთ. სატვირთოში მისი კუბო იდო, მე კი სალონში ვიჯექი და ხელში მისი ვიოლინო მეჭირა. ასეთი საშინელი მომენტი არასდროს მქონია



**– ისე, ცხოვრებაში თუ შეგხვედრიათ წინააღმდეგობები? მგონია, რომ, როგორც მსოფლიოში სახელგანთქმულ მევიოლინეს, ყველა კარი ღია გაქვთ, ყველგან უდიდესი პატივისცემით გხვდებიან. შესაბამისად, ბარიერებიც არ უნდა გქონდეთ.**



ალექსი მაჭავარიანთან ერთად

– ბარიერები, რამდენიც გინდათ... მეც ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ? ერთადერთი, როცა გამოუვალი მდგომარეობაა, მძიმე სიტუაციაში ვარ, ვფიქრობ, როგორ გადავირჩინო თავი – ამ დროს ვიღებ ვიოლინოს ხელში და ბახს ვუკრავ. როგორც კი ბახის დაკვრას ვიწყებ, იმწუთას ყველა პრობლემა მავიწყდება და კარგ ხასიათზე ვდგები. როგორც ჩანს, ღმერთი გადამარჩენს ხოლმე. ჩემთვის ძალიან მძიმე გადასატანი იყო მამაჩემის, დედაჩემის, ჩემი ძმის გარდაცვალება. ელდარი გერმანიაში, რვა წლის წინ გარდაიცვალა, ავადმყოფობით. ძალიან კარგი ვიოლონჩელისტი იყო. ამიტომ ხშირად დამყავდა მთელს მსოფლიოში როგორც ჩემი პარტნიორი, ყველგან ერთად ვუკრავდით. ბავშვობიდან ადევნებდა თვალ-ყურს ჩემს განვითარებას – როგორ ვმეცადინეობდი. ზოგჯერ შენიშვნებს მაძლევდა და ამაზე ვბრაზდებოდი, ვჩხუბობდით. იმიტომ რომ, მასწავლებელი სხვას მეუბნებოდა, ის სხვას და ვიბნეოდი, აღარ ვიცოდი ვისთვის დამეჯერებინა. მე მათთვის მინდოდა ყველა წარმატება, მათთვის ვაკეთებდი ყველაფერს, ახლა, ერთადერთი, უფალი დამრჩა. უნდა გავამართლო ის მისია, რაც ღმერთმა დამაკისრა.

**– რატომ? თქვენს მეუღლესაც ხომ უხარია მსოფლიოში განთქმული მევიოლინე ცოლი რომ ჰყავს?**

– რასაკვირველია, მაგრამ მეუღლე მაინც მეუღლეა. გასტროლებზე, თვითმფრინავში ან სასტუმროში მარტო რომ დავრჩებოდი, ეგრევე ჩემს სამყაროში ვეშვებოდი – ავტომატურად ვწერდი რაღაცეებს, აზრები რომ მომდიოდა. ვწერდი ბილეთზე, ნებისმიერ ქაღალდზე, რაც იმ მომენტში ხელთ მომხვდებოდა. მეორე დღეს რომ ვკითხულობდი, თვითონ მიკვირდა – ნუთუ, ეს ჩემი დაწერილია. მერე, ეს დაგროვილი ქაღალდები სახლში მომქონდა, ხან სად დავყრიდი ხან – სად. მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, საუბრისას ქართულ-რუსულ, გერმანულ სიტყვებს ერთმანეთში ვურევდი და სასაცილოდ გამომდიოდა. თურმე თამაზი, აი, ამ ყველაფერს ჩუმად აგროვებდა და ერთ დღესაც გამოსცა წიგნი.

**– წავიკითხე თქვენი მედიტაციები და ძალიან მომეწონა. ჩანს, რომ ურთიერთობებში ძალიან უბრალო, კარგი იუმორის მქონე, ლაღი ადამიანი ხართ. ამაზე თქვენი განსაკუთრებული ღიმილიც მეტყველებს. ზოგიერთ ადგილას ისეთი რაღაცეები წერია, მეცინებოდა. მაგალითად: „მე არა ვარ დაბალი წრიდან გამოსული, ამიტომ მე არ შეიძლება, ვიარო რაიმეს საშოვნელად. დაბალი წრიდან გამოსული ხარ შენ და შენ უნდა იარო. ქმარი: ვიელი, რა თქმა უნდა. მაშინ ნუ მაყენებ შეურაცხყოფას. დაჯექი, თუ ჭამა გინდა და თუ არ გინდა – წადი, აგერ ჭამე ბალახი...", „მორჩი წერას თორემ წამოვიდა ახლა ცხვირში კულაკი"... „მომე „ზაპისნაია კნიჟკა", ქმარი იცინის – რა ვთქვი ახლა ამისთანა..."**

– თამაზი უაღრესად განვითარებული ადამიანია. უნიკალურ ესეებს წერს, ამიტომ მან შეაფასა ეს როგორც გენიოსობა, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკა, მაგრამ ჩემი პირადი ჩანაწერები იყო და არ მინდოდა, გამოქვეყნებულიყო. აი, ამაზე იყო სკანდალები, მაგრამ მაგას ვინ აჯობებს *(იცინის)*.

**– ანტონიო სტრადივარიუსი სიმებიანი ინსტრუმენტების ცნობილი იტალიელი ოსტატი იყო და მისი 650-მდე ინსტრუმენტია შემონახული. 1721 წელს მის მიერ დამზადე-**



ლიანა ისაკაძე კონკურსზე

**ბული უნიკალური ვიოლინო, აუქციონზე 15 მილიონ დოლარად გაიყიდა. 1964 წელს მოსკოვის ინსტრუმენტების სახელმწიფო კოლექციამ სწორედ ეს ვიოლინო გადმოგცათ გამონაკლისის სახით. გვიამბეთ ამის შესახებ.**

– დიახ, მოსკოვის ინსტრუმენტების სახლემწიფო კოლექციამ მე დამითმო ეს ინსტრუმენტი, რადგან პარიზში კონცერტები მქონდა, სადაც გავიმარჯვე. მას შემდეგ თვრამეტი წელი ვუკრავდი ამ ვიოლინოზე. საერთოდ, ვინც ფესტივალზე მიდიოდა, საუკეთესო ვიოლინოს აძლევდნენ, რომ გაემარჯვა და საბჭოთა კავშირი ესახელებინა, მაგრამ არავის უტოვებდნენ. მე კი ამდენი წლით დამიტოვეს. ეს უკვე იყო გამონაკლისი.



**– მართალია, რომ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში უცნაური ამბავი შეგემთხვათ – ვიოლინო მოგპარეს?**

– აი, კიდევ კარგი, რომ სტრადივარიუსის ვიოლინო ჩავაბარე, თორემ ეგ რომ დაკარგულიყო, მილიონების გადახდა არ ამცდებოდა. სად მქონდა ამხელა ფულის გადახდის თავი. კონცერტის შემდეგ ფილარმონიის დირექტორის მანქანაში, უკანა დასაჯდომზე დავდე ვიოლინო, უძვირფასესი კაბა, ფეხსაცმელები და რესტორანში შევედით ერთი საათით. რომ გამოვედით, არაფერი აღარ დამხვდა. გამოვიძახეთ პოლიცია, წაგვიყვანეს განყოფილებაში, სადაც შეადგინეს აქტი. საელჩოში დავრეკე, შევარდნაძესთანაც მომიხდა დაკავშირება, ყველა ავაწრიალე. ორ საათში შეეძლოთ იტალიაში გადაეტანათ და იქ უკვე ვეღარავინ იპოვიდა. სწორედ ეს ვიფიქრე,



ამიტომ ინტერპოლიც კი ჩაერთო ამ საქმეში. შემდეგი კონცერტები უნდა დამეკრა. დირექტორმა მითხრა: ვიოლინოს გარეშე როგორ გახვალთ კონცერტზე, მაშინ უკან დაბრუნდით მოსკოვშიო. მე ვუთხარი: ჩემი ვიოლინოს გარეშე ფეხს არ გავადგამ არსად-მეთქი. მიშოვეს რაღაც ქარხნული ინსტრუმენტი. ამ ინსტრუმენტით ჩავატარე სამი კონცერტი და მეოთხე დღეს მირეკავს პოლიცია ზაგრებიდან – თქვენი ვიოლინო ვიპოვეთო. აი, მაშინ კი ამიტყდა ისტერიული ტირილი სიხარულისგან. იმ დროს ჩამოსული იყო ალექსი იუბიმოვი, რომელიც ასისტენტობას მიწევდა ზაგრების კონცერტებზე. მოვუყევი რაც მოხდა. მეორე დღეს, დილის ექვს საათზე წასულა ეკლესიაში, უპოვია ვიღაც მამაო, უყიდია უბრალო ჯვარი და მამა იოანესთვის უთხოვია, ეს ჯვარი აკურთხეთ და ილოცეთ, რომ ლიანამ ვიოლინო იპოვოსო. წარმოგიდგენიათ და მეოთხე დღეს მართლაც გამოჩნდა. მას შემდეგ ის ჯვარი ვიოლინოს ფუტლარში მიდევს. ჩემდა საბედნიეროდ, იმ ქურდს, თურმე დიდხანს ეძებდნენ. პოლიციის უფროსს ვუთხარი: ეს კაცი იმდენად სულელია, რომ აღარ დაიჭიროთ, არც კი იცოდა რა ეჭირა ხელში-მეთქი. რესტორანში შესულა და ვიღაც ბოშასთვის, რომელიც იმ რესტორანში უკრავდა, უნდოდა, 200 მარკად მიეყიდა ნახევარმილიონიანი ვიოლინო.


და-ძმა ლიანა და ელდარ ისაკაძეები

**– მსგავს თავგადასავლებში კიდევ აღმოჩენილხართ?**

– მე სულ თავგადასავლებში ვარ. ერთხელ კუბაში ვართ. მეგობრებმა ჩანჩქერის სანახავად წამიყვანეს, რომელიც 30 მეტრიანია. ახლა აქ გავივლი-მეთქი. იქ გასვლა როგორ შეიძლებოდა, მაგრამ მე თუ რამე დავიჟინე, აუცილებლად უნდა გავაკეთო. ჯერ თითი შევწიე, მაინტერესებდა, რა მოხდებოდა, კინაღამ მომაჭრა ისეთი სიმძლავრით მოედინებოდა, მერე შევედი. რისკიანი ვარ, თუმცა ისეთ რისკზე მაინც არ წავალ, თუ ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ იქედან ცოცხალი გამოვალ. ერთხელ, მოსკოვის გარეუბანში მეგობრები ხიდზე გავედით, რომლის ქვემოთ მდინარე გადიოდა, ეს იყო ელექტროჰესი. ძალიან მიყვარს წყალში თავით გადახტომა და ვიფიქრე გადავხტები-მეთქი. გადავხტი. მეორე მხარეს პროპელერებია, სადაც რაც მოჰყვება, ყველაფერს კატლეტივით ატარებს. ღრმად ჩავყვინთე, თურმე წყალმა წამიღო და მომაქცია სწორედ ამ პროპელერების მხარეს. ერთი კი მოვასწარი დაყვირება, რომ გაეგოთ პროპელერში ვვარდებოდი. არ ვიცი, შიშისგან თუ წყლის სიმძლავრისგან, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს აღარც ხელები მქონდა და აღარც ფეხები, სუნთქვაც შემეკრა. ცოტაც და ვიცი, წყალმა ხორცსაკეპში უნდა შემათრიოს. ამ დროს გამოიქცა ერთი და ჩახტა წყალში. ატეხეს ყვირილი, მთელი ამბები, გადაკეტეს „კრანი“. მაგრამ, სანამ „კრანს“ გადაკეტავდნენ, ვიფიქრე, როგორ შეიძლებოდა ხელები და ფეხები წამრთმეოდა. მოვიკრიბე ძალები და დავიწყე საწინააღმდეგო. მიმართულებით ცურვა, რომ ზემოთ ამოვსულიყავი. ეს რომ არ მომეფიქრებინა, ვარიანტი არ იყო, გადავრჩენილიყავი. ნახევარ საათში ისევ შევედი წყალში.

**– როგორც ჩანს, მუსიკაშიც გიყვართ პატარა ექსპერიმენტები, იმიტომ რომ, მახსოვს, 1988 წელს ვენაში თქვენ მოგიძღვნეს ფესტივალი, სადაც გამოდიოდით როგორც სოლისტი, დირიჟორი და ჯაზური მუსიკოსი, საინტერესო ვარიაციები გქონდათ. ლიანა ისაკაძე და ჯაზი – ქართველი საზოგადოებისთვის თქვენი ეს მხარე უცნობია.**

– დიახ, ეს ფესტივალი მაშინ ჯაზს მივუძღვენი. ამ საღამოზე ცნობილ ჯაზმენებთან ერთად ვუკრავდი და მაშინ შემარქვეს „გრაპელი კაბაში"



**– იმავე წელს საბჭოთა კავშირის რეფორმისტული პარლამენტის წევრად აგირჩიეს. გორბაჩოვს ახლდით იტალიაში ვიზიტის დროს, მიპატიჟებული იყავით ამერიკის სენატის მიერ ვაშინგტონში... თქვენი ცხოვრების არც ეს მხარეა ცნობილი.**

– დამირეკეს და მითხრეს, ქალთა კომიტეტემა წარგადგინათ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატადო. ძალიან დიდი ბოდიშით, მაგრამ პოლიტიკის საერთოდ არაფერი გამეგება-მეთქი. რადგან უკვე კანდიდატი ბრძანდებით, კენჭისყრა უნდა გაიმართოს და გთხოვთ, მობრძანდეთო. ვერ მოვალ-მეთქი. თუ არ მოხვალთ, ამით შეურაცხყოფას მიაყენებთ იმ საზოგადოებას, ვინც თქვენ წარგადგინათო. შემრცხვა, ვიფიქრე, მართლა ცუდად არ გამომივიდეს-მეთქი და წავედი. ვზივარ გადაჭედილ დარბაზში და აცხადებენ გვარებს. უცებ ჩემი გვარი რომ გამოაცხადეს და მთელ-



მა დარბაზმა ხელები აწია, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. სამი წელი ვიყავი პარლამენტში, მერე დავტოვე, აღარ ვესწრებოდი, ჩემი ორკესტრი წავიყვანე გერმანიაში. სხვათა შორის, ისე შევედი როლში, ვერ აგიწერთ. იცით, როგორი აღმოჩნდა ეს პოლიტიკა, როგორც შახმატი. აუჰ, რა სკანდალებს დავესწარი, მაგრამ არ მოვყვები. პოლიტიკაში არასოდეს შევალ, ღმერთმა დამიფაროს. ჩემი მოვალეობაა ღმერთის წინაშე ვიყო პატიოსანი და ვემსახურო მუსიკას.

**ეკა პატარაია**

(25-ე გვერდიდან)

# თბილისის რომელ სასტუმროში ჰქონდა თვითმკვლელობის პირველი მცდელობა სერგეი ესენინს, სად იყო გაჩერებული თბილისში სტუმრად მყოფი ჯონ სტაინბეკი და რომელი სასტუმროს ფოიე მოხატა ლადო გუდიაშვილმა

წელს „ორიანტში" ცხოვრობდა სერგეი ესენინი და სწორედ მაშინ, სასტუმროს ფოიეში შედგა რუსი პოეტისა და ქართველი გიორგი ლეონიძის შეხვედრა. სწორედ „ორიანტში" სცადა პირველად თავის მოკვლა ესენინმა, იმ ჯერზე წარუმატებლად. 1927 წელს „ორიანტში" გაჩერდა თეოდორ დრაიზერი, 1928 წელს – მიხაილ


ხედი რუსთაველის გამზირზე (მხატვრის სახლი და ქაშუეთის ეკლესია)

ბულგაკოვი, 1932 წელს – კორნეი ჩუკოვსკი, 1933 წელს – ბორის პასტერნაკი და ნიკოლაი ტიხონოვი, 1947 წელს კი – ჯონ სტაინბეკი, თუმცა, იმ დროისთვის სასტუმროს უკვე „ინტურისტი" ერქვა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის წლებში „ორიანტმა" ერთგვარად კულტურული პროფილი შეიძინა: 1918 წელს სასტუმროში რამდენიმე ოთახი ეკავა ჟურნალ ARS-ის რედაქციასა და არტისტერიუმს, რომელსაც პოეტი გოროდეცკი ხელმძღვანელობდა. იმ წლის აპრილში რედაქციაში გამართულ დიდ გამოფენაში რუსული ავანგარდის წამყვან წარმომადგენლებთან ერთად, რომელთა შორის კაზიმირ მალევიჩი იყო წარმოდგენილი, თბილისელმა მხატვრებმაც – გუდიაშვილმა და ზდანევიჩმა მიიღეს მონაწილეობა. 1928 წლის მაისში „ორიანტში" მოეწყო პარიზიდან ახალდაბრუნებული დავით კაკაბაძის გამოფენა. 1929 წელს ლადო გუდიაშვილმა მოხატა სასტუმროს ფოიე, მაგრამ, ნახატები მალევე ჩამოფხიკეს და გადაღებეს. ცნობილია, რომ „ორიანტის" შენობაში ცხოვრობდა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის, მელორ სტურუას ოჯახი. სწორედ „ორიანტში" დაეწყო მელორის დედას, ნინა სტურუა-აბულაძეს მშობიარობა და ის ფაეტონით გადაიყვანეს საავადმყოფოში. 1936 წელს „ორიანტის" ნომერში გარდაიცვალა სავარაუდოდ, ლავრენტი ბერიას მიერ მოწამლული აფხაზი ბოლშევიკი ნესტორ ლაკობა.

1977 წელს სასტუმრო „ინტურისტი" გაუქმდა


„მხატვრის სახლის" ადგილას მშენებარე ნაგებობის პროექტი

და მის ნაცვლად შენობაში მხატვრის სახლმა დაიდო ბინა. 1992 წელს კი „მხატვრის სახლს" ხანძარი გაუჩნდა და ის მთლიანად განადგურდა.

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: დ. ხოშტარია, „თბილისის ძველი სასტუმროები" (გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2011).**



**სამწუხაროდ, ცხოვრების დაძაბული რიტმის გამო, ვერ ვაანალიზებთ თავს გადამხდარი უცნაური ამბების შინაარსს, რომელიც გაკვირვებას იწვევს და თითქოს რაღაცაზეც მიგვანიშნებს. ვცდილობთ, ესა თუ ის მოვლენა თუ ფაქტი, რაიმე კანონზომიერებას მივაწეროთ, ან არც კი ვიფიქროთ მასზე – თითქოს არც ყოფილა. თუმცა, როცა ასეთი დამთხვევები გვაწუხებს და ხშირად გვახსენებს თავს, მერე ვფიქრდებით და ახსნას ვეძებთ. პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსი, ბატონი ვახტანგი ამტკიცებს, რომ ადამიანის ცხოვრებაში უამრავი ფაქტია, რომელიც ერთმანეთს ჰგავს და ეს სულაც არ არის დამთხვევა. ეს კანონზომიერებასთან კავშირშია და მასზე რეაგირება აუცილებლად უნდა მოვახდინოთ.**

# როდის მეორდება ფაქტები ადამიანების ცხოვრებაში და არის თუ არა სიზმარი ჩვენივე ბედის ანარეკლი

**ვახტანგი**: დამთხვევები უბრალოდ არ ხდება. კანონზომიერებას ექვემდებარება დედამიწის ყველა მცხოვრები რეალურ სამყაროში. ასეთ მოვლენათა წარმოქმნის უნარი კი სამყაროს ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა და დამთხვევები, შესაძლოა, დროსა და სივრცეში მოხდეს. მრავალი წელია, რაც პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსთა და მეცნიერთა დიდი ნაწილი ცდილობს, უცნაურ დამთხვევათა საიდუმლო გაიგოს და ახსნას. ზოგი ასეთ ფაქტებს მისტიკურსაც მიაწერს, მაგრამ, ეს ტყუილია. ხშირად, ადამიანები მსგავს რამეებს ყურადღებას არ ვაქცევთ და ამით არ ვირთულებთ ისედაც დაძაბულ ცხოვრებას. სწორედ აქ ვცდებით. ნებისმიერი ადამიანი უნდა იმახსოვრებდეს იმ დღესა და რიცხვს, როცა რაიმე უცნაური მოხდა მის ცხოვრებაში, რადგან, ასეთი ფაქტი, არ არის გამორიცხული, კვლავ განმეორდეს და იმავე დროსა და სივრცეში დაგაბრუნოთ, როცა ის პირველად მოხდა. თუ კარგად დააკვირდებით და ყურადღებას მიაქცევთ თქვენს ცხოვრებაში არსებულ მისტიკურ დღეებსა და ციფრებს, თავადაც მიხვდებით, რომ ასეთი დამთხვევები არც ისე იშვიათია. ერთმა ჩემმა ნათესავმა, რომელიც საკმაოდ წარმატებული იყო, პირადი ცხოვრება ვერ აიწყო, ორჯერ დაქორწინდა და ორჯერვე კრახით დასრულდა მისი ქორწინება. მოვიდა ჩემთან, დავსხედით, ვისაუბრეთ და აღმოჩნდა, რომ ორივე ქორწილის თარიღი ერთსა და იმავე დღეს დაემთხვა; ორივე ცოლთან ორ-ორი წელიწადი იცხოვრა და ორივეს სახელი ასო ნ-ზე იწყებოდა. აბა, მითხარით, ეს დამთხვევა არ არის?! ეზოთერიკოსები ასეთ დამთხვევებს თანმიმდევრობის კანონებს ვუწოდებთ. კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში ხდება მისი სერიული გამეორებები და, არ არის გამორიცხული, მთელი ცხოვრება მისი გავლენის ქვეშ იყოთ. ამისგან დაზღვეული არავინაა და ეს ეგრეთ წოდებული „სერიული კანონები" ჩვენივე ბედის საფუძველში დევს.

**– ამ ეგრეთ წოდებული „სერიული კანონებისგან" თავდაცვა არ შეგვიძლია?**

– მე, უბრალოდ, ფაქტი და რეალური სახე დაგანახვეთ ამ, ეგრეთ წოდებული ბედის საფუძველში ჩადებული „სერიული კანონის", თორემ, მისი ნეგატიური ზეგავლენისგან თავდაცვა როგორ არ შეიძლება. თუ გადავხედავთ განვლილ ცხოვრებას, როგორც იტყვიან, დროსა და სივრცეში შეინიშნება ჩვენი არსებობის თანდაყოლილი შეზღუდვები და მას უნდა დავემორჩილოთ. თუ ხვდებით, რომ მაგალითად, ორშაბათობით ან სამშაბათობით, 2, 3 ან 8 რიცხვში საქმე კარგად არ გამოგდით, ჩხუბი გინევთ, იქმნება პრობლემები საყვარელ ადამიანთან და ასე შემდეგ, ესე იგი, ამ დღეებსა და რიცხვებში განსაკუთრებით უნდა დაკვირვებოდით საკუთარ საქციელსა და სიტყვებს. ზოგადად, ყველა ადამიანს აქვს თავისი თარსი და ნეგატიური რიცხვი, დღე და ამ დღეებსა და რიცხვებს უნდა მოერიდოთ. ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოთ სიზმრებს. ადამიანების უმრავლესობა, აღიარებს ამას თუ არა, სიზმარს მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ყოველთვის ცდილობენ, დილას გაღვიძებულებმა ახსნან, კარგის მაუწყებელია ის, თუ – ცუდის. თუ ფიქრობენ, რომ საფრთხის მომასწავებელი სიზმარი ნახეს, მის განეიტრალებას სხვადასხვა ხერხით ცდილობენ, რომელთა შორისაა ძველი ხალხური მეთოდებიც.

**ყველა ადამიანს აქვს თავისი თარსი, ნეგატიური რიცხვი და დღე და ამ დღეებსა და რიცხვებს უნდა მოერიდოთ**

**– კერძოდ, რომელ ხალხურ მეთოდებს გულისხმობთ?**

– მაგალითად, სიზმრის მოყოლა გამდინარე წყლისთვის, რათა ის მას გაჰყვეს; სანთლის დანთება და მის წინ ღამეული კოშმარის, უთქმელად გააზრება, რომ ის მის ალს გაჰყვეს და ასე შემდეგ. დღისით დაგროვილი უარყოფითი ენერგია, ღამით ხილვად გადაიქცევა და ის მომავლის წინასწარმეტყველი ხდება. სიზმრის ფენომენი ყველა დროში მძაფრ ინტერესს იწვევდა. თუმცა, მისი ახსნა, ყოველ შემთხვევაში ბოლომდე, ვერავინ შეძლო.

**– არსებობს აზრი, რომ ძილში, როდესაც ადამიანი სიზმარს ხედავს, დრო გაცილებით სწრაფად გარბის, ვიდრე ცხადში. ამაზე რას გვეტყვით?**

– იმ მოქმედებას, რომელიც ადამიანს ესიზმრება, იმდენივე დრო სჭირდება, რამდენიც რეალობაში. ამ დასკვნამდე მეცნიერთა ის ნაწილი მივიდა, ვინც კვლევებს ღამეულ კოშმარებსა თუ ზმანებაზე, პარაფსიქოლოგებისა და ეზოთერიკოსების გარეშე ატარებდა. ამიტომ, ამ აზრს, ბევრი მკვლევარი არ ეთანხმება. თუმცა, ახლა ამაზე ვერავინ იდავებს. ეს ჯერ კიდევ კვლევის საგანია. მაგრამ, ის კი ნამდვილად დადგენილია, რომ წლის განმავლობაში, არსებობს დღეები, როცა სიზმარს ადამიანმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს და ყურადღების გარეშე არ დატოვოს. ასეთ დღეებში ნანახი სიზმრები, უდავოდ, წინასწარმეტყველურია და ეს ბევრმა ადამიანმა საკუთარ თავზე გამოსცადა. მაგალითად, ასეთი დღეებია სავსე მთვარეობიდან მესამე, მეოთხე და მეშვიდე. ასევე, ყოველი თვის პირველი და ბოლო შაბათ-კვირა. ამ დღეებს განსაკუთრებულად მაგიური ძალა აქვს და ამ დროს ნანახი სიზმარი მომავალს გვიწინასწარმეტყველებს. როცა ადამიანები სიზმრის უარყოფით შედეგებზე იწყებენ ფიქრს და შიში იპყრობთ, ავტომატურად, უარყოფით ენერგიას იზიდავენ, რაც ცუდ შედეგებს იწვევს. შესაძლოა, უარყოფითმა ენერგიამ არა მხოლოდ ამ ადამიანზე იმოქმედოს ცუდად, არამედ მასზეც, ვისაც სიზმარი ეხება, რადგან ფიქრისას უარყოფითი ენერგია მიმართულებას პოულობს. არ არის გამორიცხული, ღამით ისეთი წინასწარმეტყველური სიზმარი ნახოთ, ეგრეთ წოდებულ მომავლის კურსორადაც კი შეიძლება, ჩაითვალოს და მას ყურადღებაც არ მიაქციოთ. ასე, საკუთარ თავს ავნებთ და უფრო მეტად გაგიჭირდებათ იმ საკითხებისა და მოვლენების გააზრება, რომელიც წინ გელით, სიზმარში ნანახი კი ამას გაგიადვილებდათ. ასე რომ, ყველა საფუძველი არსებობს იმისა, სიზმარს ყური ვუგდოთ, გავიაზროთ და მის მინიშნებას მივყვეთ.

**ნონა დათეშიძე**

## ჯადოსნური წვრილმანები

მამაკაცები ამას ძნელად გაიგებენ, სამაგიეროდ, ქალბატონებისთვის სასარგებლო და მისაღებია: არის წვრილმანები, ერთი შეხედვით არც ისე მნიშვნელოვანი, რეალურად კი ქალის „მარჯვენა ხელია“ თვითშეფასების კრიტერიუმის ამაღლების საქმეში. ნებისმიერ ქალს, თუ ის თავს ჭეშმარიტ ქალად გრძნობს, აქვს პატარ-პატარა სიამოვნებანი, მაგალითად, ზოგიერთს ერთი ვარდი უხალისებს ცხოვრებას. თუ ასეთი ქალების კატეგორიას მიეკუთვნებით, ნუ დაელოდებით სხვას – გაინებივრეთ თავი და უყიდეთ საკუთარ თავს თუნდაც ერთი ცალი ვარდი.

კარგი ფოტო: ერთმა კინოვარსკვლავმა თქვა, როცა საკუთარი თავი ულამაზოდ მეჩვენება, მაშინვე ვიწყებ ჩემი კარგი ფოტოსურათების დათვალიერებასო. სცადეთ თქვენც!

გემრიელი, სურნელოვანი ჩაი, რომელსაც განსაკუთრებულად ლამაზი ფინჯნიდან მიირთმევთ, თქვენს განწყობას ერთიორად აამაღლებს. თუ ამ დროს საყვარელ მელოდრამასაც უყურებთ, ეფექტი გაცილებით უკეთესი იქნება.

სათვალეც ნამდვილად შეგვიძლია შევიტანოთ იმ წვრილმანების სიაში, რომლებიც ჩვენს პიროვნებას საკუთარ თვალში ერთიორად ამაღლებს. ძვირფასი, გემოვნებიანი აქსესუარი ნებისმიერ ქალს აძლევს ამაყად თავის აწევის საშუალებას.

ჩანთა: ნებისმიერმა ჭეშმარიტმა ქალმა იცის მისი პირდაპირი და არაპირდაპირი დანიშნულება. ეს აქსესუარი ძლიერ ზემოქმედებას ახდენს პიროვნების (ქალის) თვითშეფასებაზე. ახალი, ლამაზი, ძვირფასი ჩანთა ნეგატიური ემოციებისგანაც კი გაგათავისუფლებთ, სიხარულს მოგგვრით და საკუთარი თავის რწმენასაც შეგმატებთ.

## მაუშვი, გაატარე...

როცა არ გინდა, გამაღიზიანებელ ფაქტორებზე ნერვები აიშალო, უნდა შეძლო ნეგატიური ემოციის, ინფორმაციის იგნორირება. ყველაზე კარგი საშუალება კი ის არის, საერთოდ მოსცილდე ამ „გამღიზიანებელს“, მაგრამ, ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. შედარებით მარტივია, გამღიზიანებლის ყურადღების მიღმა დატოვება, ანუ, იგნორირება, თუმცა, თავისი წესები ამ მეთოდსაც აქვს: პირველი წესია – ითამაშო და „არ დაინახო“ ის, ვინც აშკარა პროვოკაციაზე მოდის. მისი „განიარაღების“ საუკეთესო საშუალებაა ღიმილი და პატარა ეშმაკობა: დავუშვათ, მან რაღაც არასასიამოვნო გითხრათ, ან გკითხათ. ღიმილით სთხოვეთ, გაიმეოროს ნათქვამი – ვითომ ვერ გაიგონეთ... მერე ისევ ჰკითხეთ ანუ, ვითომ ისევ ვერ გაიგონეთ... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პროვოკაციის სურვილი აუცილებლად გაუქრება...

გრძნობთ, რომ, სადაც არის, აფეთქდებით? შეეცადეთ, ოპონენტი სასაცილო, სულელურ ან სამარცხვინო პოზიციაში წარმოიდგინოთ; ან, ისეთ მდგომარეობაში, როცა ადამიანი ნატრობს – ნეტავი სადმე დავიმალოო. თუ წარმოსახვის ნიჭი ოდნავ მაინც გაქვთ, მოახერხებთ გამღიზიანებელი ფაქტორების განეიტრალებას და აგრესიის „გატარებას“...

## დაიცავი შენი სივრცე!

ყველა ადამიანს აქვს „პირადი სივრცე“, რომლის ხელყოფისთვის შეიძლება ხელმყოფი დაისაჯოს. სულერთია, ვინ იქნება ის – უბრალოდ ნაცნობი თუ თქვენთვის ახლობელი, საყვარელი ადამიანი. არავის არასოდეს მისცეთ უფლება, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს თქვენს გუნება-განწყობაზე. ამაში ცუდი არაფერია. პირიქით, თუ ამას არ გააკეთებთ, ძალიან მალე იგრძნობთ, როგორ შარში გაყავით თავი... ჯერ გუნება-განწყობას შეგიცვლიან, მერე – ფიქრს და გრძნობებს. ისე გახდებით ამ ადამიანზე დამოკიდებული და ისე შეძლებს ის თქვენს მანიპულირებას, ვერც მიხვდებით. სიყვარული უპირობო მორჩილებას არ ნიშნავს. ერთმანეთში არ აგერიოთ თავისუფალი, ლაღი გრძნობა და მონობა... თუ ამას ვერ შეძლებთ, საკუთარ თავს მორალური განადგურებისთვის გაწირავთ.

როგორც წესი, სხვა ადამიანების კონტროლის სურვილი უჩნდება მას, ვინც საკუთარ თავს ვერ აკონტროლებს. ასეთების ცხოვრება არ არის იოლი და ცდილობენ, სხვებიც დაიმსგავსონ. უნდა გიხაროდეთ, რომ ასეთი არ ხართ.

თუ საკუთარ სივრცეს არ დაიცავთ, მოხდება კიდევ ერთი სავალალო ფაქტი: თქვენ დაკარგავთ თქვენი ენერგიის დიდ ნაწილს. შეიძლება, ადამიანს ძალიანაც უყვარდეთ, მაგრამ შეუცნობლად ცდილობდეს თქვენს პირად სივრცეში შეღწევას, მით უმეტეს, თუ ის საპირისპირო სქესისაა. ამ შემთხვევაში, საფრთხე ორმაგდება – სიყვარულით მოსული „აგრესორი“ და ეს აგრესია გაცილებით საშიშია.

## წარმატების საიდუმლო

როცა ქალს თვითშეფასების მაღალი კრიტერიუმი აქვს, ის უკვე უზარმაზარ ნაბიჯს დგამს წარმატებისკენ. სამწუხარო რეალობაა ის, რომ ჩვენს თანამემამულეებს, ანუ ჩვენ და ჩვენს მეგობრებს, ეს კრიტერიუმი შემაშფოთებლად დაბალი გვაქვს. სამაგიეროდ, არსებობს ქვეყნები პლანეტაზე, სადაც წარმატებული და თავდაჯერებული ქალები გაცილებით მეტია.

პირველობას არავის უთმობენ ამერიკელები, ინგლისელები, შვედები და ესპანელები.

რატომ ცხოვრობენ ამერიკელი ქალები კარგად, პატივს სცემენ საკუთარ პიროვნებას და აღწევენ დასახულ მიზნებს? – ამბობენ, რომ ამ ყველაფრის მიზეზი არის ის, რომ ამერიკელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ფსიქოთერაპიას. ამერიკაში „საკუთარი პიროვნების პატივისცემის ნაციონალური ასოციაციაც“ კი არსებობს.

ამერიკელი ქალისთვის მნიშვნელოვანია: სოციალური სტატუსი, შემოსავალი, კარიერა, ოჯახი, შვილები, მეგობრები, თვითრეალიზაცია შემოქმედებითი კუთხით, იმ ადამიანების პატივისცემის დამსახურება, ვისაც მათთვის ძვირფასია.

შვედი ქალი ამბობს, თუ რაღაც არ მოგწონს საკუთარ თავში, შეიცვალე ბიუსჰალტერის მოდელი. ასწიე შენი მკერდი მაღლა და ყველაფერი გამოვაო.

ესპანელი ქალის წარმატების საიდუმლო სექსსა და შოკოლადშია – ყოველ შემთხვევაში, მათ ასე მიაჩნიათ.

მოკლედ, თუ თვითშეფასების კრიტერიუმში მოიკოჭლებთ, მიბაძეთ ამერიკელებს, შვედებს ან ესპანელებს. ერთ-ერთი მეთოდი აუცილებლად გაამართლებს.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# საღ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ავსტრალიელმა ვარსკვლავმა რასელ ქროუმ და რომელი ტერორისტული ორგანიზაცია აპირებდა მის გატაცებას

***2014 წელს მსოფლიოს კინოეკრანებზე ბიბლიური ეპიკური ფილმის, დარენ არონოფსკის „ნოეს" პრემიერა შედგება. ფილმის მთავარი გმირის, ნოეს როლს ასრულებს ავსტრალიელი სუპერვარსკვლავი რასელ ქროუ – მსახიობი, რომელმაც უკვე არაერთი ისტორიული პერსონაჟი განასახიერა დიდ ეკრანზე, მათ შორის, რომაელი გლადიატორის – მაქსიმუსისა და ბრიტანული ლეგენდების გმირის – რობინ ჰუდის როლები. აღსანიშნავია, რომ „ნოეს" საპრემიერო წელს ქროუ 50 წლის გახდება.***

* მისი სრული სახელი და გვარია რასელ აირა ქროუ. დაიბადა 1964 წლის 7 აპრილს, ველინგტონში, ახალ ზელანდიაში, ალექს და ჯოსელინ ქროუების ოჯახში. რასელი თავისი მშობლების მეორე შვილი იყო – მას ჰყავს უფროსი ძმა – ტერი ქროუ. როდესაც რასელი 4 წლის გახდა, ოჯახი სიდნეიში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო 5 წლის ასაკში რასელის დებიუტი შედგა ავსტრალიური ტელესერიალის – „სპაიფორსის" ერთ-ერთ ეპიზოდში. სერიალის პროდიუსერი რასელის დედის ნათლია იყო. 14 წლის ასაკში რასელი ოჯახთან ერთად კვლავ ახალ ზელანდიაში დაბრუნდა, ამჯერად ოკლენდში. ოჯახის შემოსავლის წყარო იყო პატარა რესტორანი, სახელწოდებით – „მფრინავი დოქი." რესტორანში დასაქმების გამო, რასელს ადრეულ ასაკშივე მოუწია სწავლის, კერძოდ სკოლის მიტოვება. ის რეტსორანში ოფიციანტად და ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა.

* 1980-იან წლებში რასელ ქროუ მუსიკალური ჯგუფის – „რას ლე როქის" წევრი იყო, რომლის სახელწოდება მის სასცენო ფსევდონიმს იმეორებდა. მოგვიანებით რასელმა საკუთარი ჯგუფი ჩამოაყალიბა და „რომან ანტიქსი" უწოდა. შემდგომში ეს ჯგუფი მთლიანი შემადგენლობით რასელ ქროუს ახალ ჯგუფში – „30 ოდ ფუტ ოფ გრანტსში" გაწევრიანდა. რასელი ჯგუფის ვოკალისტი და ლიდერი იყო 1991-2005 წლებში. ჯგუფის დაშლის შემდეგ რასელმა სოლო კარიერა წამოიწყო, რომელიც, მის სამსახიობო კარიერასთან შედარებით, მეტ-ნაკლებად წარმატებულია.

* 21 წლის ასაკში რასელ ქროუს სიდნეის დრამატული ხელოვნების ნაციონალურ ინსტიტუტში სწავლის დაწყება ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა, ამ იდეაზე მან უარი თქვა და მოგვიანებით აღიარა, რომ მას ურჩიეს, ტყუილად დრო არ დაეკარგა სწავლაში.

* რასელ ქროუ რაგბის დიდი მოყვარულია და ის ფლობს სარაგბო კლუბს – „საუტ სიდნეი რებიტოუზს", ერთ-ერთ უძველეს კლუბს ავსტრალიაში. გარდა ამისა, ქროუ გატაცებულია კრიკეტით, კრივითა და ფეხბურთით. ცნობისთვის, მისი კლუბის აქტიური ქომაგები არიან ტომ კრუზი და ბერტ რეინოლდსი.



რასელ ქროუ ერთადერთი მსახიობი იყო, რომელმაც ცხენზე ჯდომა იცოდა

* რასელ ქროუ ყველაზე ასაკოვანი მსახიობია, რომელსაც მოუწია რობინ ჰუდის განსახიერება ეკრანზე – გადაღებების მომენტისთვის ის 45 წლის იყო.

* ახალ ზელანდიაში ცხოვრების დროს რასელ ქროუმ გახსნა საკუთარი ღამის კლუბი „ზი ვენიუ", რომელმაც მხოლოდ ცხრა თვე იარსება. დახურვის მიზეზი კი ბანალური იყო: რასელ ქროუს არ ჰქონდა აღებული აუცილებელი ლიცენზია.

* კალიფორნიაში გუბერნატორის არჩევნების პერიოდში, რასელ ქროუ აქტიურად უჭერდა მხარს არნოლდ შვარცენეგერის კანდიდატურას, არა იმიტომ, რომ რესპუბლიკურ პარტიას უჭერდა მხარს, არამედ, უბრალოდ, პირადი სიმპათიების გამო.

* როცა რასელ ქროუ ჰოლივუდში არ არის დაკავებული, ის თავისუფალ დროს მშობლიურ ავსტრალიაში ატარებს. მას აქვს ორი სახლი – სიდნეისა და ტაუნსვილში, ასევე, 320 ჰექტარი ფართობის რანჩო ახალ სამხრეთ უელსში.

* რასელ ქროუს კარიერის ათვლის წერტილად ითვლება ავსტრალიური დრამა „თავგადაპარსულები", სადაც მან სკინჰედების ბანდის ლიდერის როლი განასახიერა. ფილმი ეკრანებზე 1992 წელს გამოვიდა და, არაოფიციალური ვერსიის თანახმად, მისი მთავარი პერსონაჟით შერონ სტოუნი დაინტერესდა, რომელმაც მოგვიანებით ქროუ მიიწვია თავის ფილმში, ვესტერნში – „სწრაფი და მკვდარი".

* რასელ ქროუ სპირტიანი სასმელების მოყვარულია და, როდესაც მას ფილმში „ლოსანჯელესის საიდუმლოებანი," აკრძალული ჰქონდა ალკოჰოლის მიღება თავისი ცხოვრების ამ პერიოდს ცუდად იხსენებს – მისი თქმით, საშინელება იყო ექვსი თვე ალკოჰოლის გარეშე.

* 2010 წლის 12 აპრილს რასელ ქროუს ჰოლივუდის დიდების ხეივანში გაუხსნეს ვარსკვლავი, რომელიც ენტონი ჰოპკინსის ვარსკვლავის მეზობლად განთავსდა.

* ცნობილია, რომ რასელ ქროუ ისინჯებოდა მთავარ როლებზე ორ ბლოკბასტერში: როსომახას როლზე „ადამიან იქსებში" და არაგორნის როლზე „ბეჭდების მბრძანებელში".

* რასელ ქროუსა და ჯეკი ჩანს ერთ დღეს აქვთ დაბადების დღე, უბრალოდ, ჯეკი ჩანი ზუსტად ათი წლით უფროსია რასელზე.

* რასელ ქროუს ორჯერ აქვს მიღებული ჰონორარის სახით 20 მილიონი დოლარი, ფილმებისთვის: „ზღვის მბრძანებელი" და „რობინ ჰუდი".

* ჰოლივუდში რასელ ქროუს საუკეთესო მეგობრები არიან ნიკოლ კიდმანი და ჯოდი ფოსტერი.

* როდესაც რასელი 10 წლის იყო, რაგბის თამაშის დროს წინა კბილი მოიტეხა და კბილის ჩასმა მხოლოდ 25 წლის ასაკში, რეჟისორის დაჟინებული თხოვნით მოახერხა ფილმ „გზაჯვარედინის" დაწყებამდე. რეჟისორის თქმით, რასელი უარს აცხადებდა სტომატოლოგის მომსახურების გადახდაზე და ამიტომ მას მოუწია კბილის იმპლანტის საფასურის გადახდა.

* ფილმ „გზაჯვარედინის" გადასაღებ მოედანზე რასელმა გაიცნო მომღერალი და მსახიობი დანიელ სპენსერი, რომელზეც 2003 წელს დაქორწინდა. რასელს ორი შვილი ჰყავს, 2003 წელს დაბადებული ჩარლი და 2006 წელს დაბადებული ტენსიონი. ცხრაწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, 2012 წელს, წყვილი განქორწინდა.

* რასელ ქროუს გახმაურებული რომანი ჰქონდა მსახიობ მეგ რაიანთან, რომელიც „სიცოცხლის დადასტურების" გადაღებების დროს გაიცნო. რასელის გამო მეგ რაიანი ქმარს გაეყარა და ყველა ელოდა ვარსკვლავების დაქორწინებას, თუმცა, საბოლოოდ, ქროუ და რაიანი ერთმანეთს დაშორდნენ.

* „რობინ ჰუდის" გადაღებების დროს .

* რასელ ქროუს ფეთქებადი ხასიათი აქვს, რის გამოც არაერთხელ მოხვედრილა სკანდალურ ქრონიკებში. 2002 წელს რასელმა სასტუმროს პორტიეს ტელეფონი ესროლა და, შედეგად, მას ექვსნიშნა ციფრის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწია.

* 2013 წელს კინოეკრანებზე გამოსულ მიუზიკლში „საბრალონი", რომელიც ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით გადაიღეს, რასელ ქროუმ ინსპექტორ ჟავერის როლი შეასრულა და ყველა სცენაში თავად ასრულებდა სიმღერას.

* 2005 წელს რასელ ქროუმ ჟურნალ GQ-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2001 წლის მარტში გაფრთხილებული იყო ამერიკის სადაზვერვო სამსახურის მიერ, რომ „ალქაედას" ტერორისტული ორგანიზაცია მის გატაცებას გეგმავდა.

* რასელ ქროუმ 2010 წელს თავი დაანება სიგარეტის მოწევას (აღსანიშნავია, რომ ის 10 წლის ასაკიდან იყო აქტიური მწეველი). დევიდ ლეტერმანის შოუში მიწვეულმა მსახიობმა აღიარა, რომ 36 წლის განმავლობაში დღეში საშუალოდ 60 ღერ სიგარეტს ეწეოდა.

**უშანგი რუხაძე**



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..................................

მარიკა 599 24 28 31

# როგორ გამოიყენა სტალინმა ადოლფ ჰიტლერი ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ



პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ძირეულად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა, დასაბამი მიეცა ახალ საერთაშორისო ურთიერთობებს. გამოჩენილ პოლიტიკოსთა ძველმა თაობამ: ლოიდ ჯორჯმა, ჟორჟ კლემანსომ, ვუდრო ვილსონმა და სხვებმა, ადგილი დაუთმეს ახალ ლიდერებს – ადოლფ ჰიტლერს, ბენიტო მუსოლინის, უინსტონ ჩერჩილს, ფრანკლინ რუზველტს, იოსებ სტალინს. ახალი მსოფლიოს, კაცობრიობის ბედი ამ ადამიანებზე იყო დამოკიდებული. დიდი პოლიტიკის ახალი ეტაპის პირველი სცენები პარიზის კონფერენციაზე (1919 წელი) გათამაშდა. ამ კონფერენციამ პირველი მსოფლიო ომის შედეგები შეაჯამა. ამავე ეტაპის უკანასკნელი სცენები პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წელი) გათამაშდა. ამ კონფერენციამ მეორე მსოფლიო ომის შედეგები შეაჯამა. ამ დიდი ეპოქის სცენარის ავტორი, რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელიც იოსებ სტალინი იყო, დანარჩენებმა ამ მისიის შესრულება ვერ შეძლეს, თუმცა, ისინი უაღრესად განათლებული, განსაკუთრებული გონიერებით დაჯილდოებული დიდი პოლიტიკოსები იყვნენ. სტალინი რომ ჩინებულთა შორის რჩეული იყო, ამას ყოველგვარი შეფარვის გარეშე აღიარებდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, აშკარა აღიარებისაგან თავს იკავებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, რაც შეეხება ადოლფ ჰიტლერს, ის იძულებული გახდა, ნაცისტური გერმანიის კრახამდე ცოტა ხნით ადრე, 1945 წლის აპრილში, ეღიარებინა: მე რომ ისეთივე პოლიტიკა გამეტარებინა, როგორსაც სტალინი ატარებდა ომის წინ, გერმანია ამ ომში არ დამარცხდებოდაო. როგორც დიდი რეჟისორისთვის სპექტაკლის დასაწყისშივე ცნობილია მისი ფინალური სცენა, ასევე ცნობილი იყო სტალინისთვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის ფინალი. 1945 წლის 8-9 მაისს, ღამით, სტალინს გერმანიიდან დაურეკეს და მოახსენეს, რომ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. დიდმა რეჟისორმა ყურმილი აუღელვებლად დადო და ორად-ორი სიტყვა წარმოთქვა: „დაიგრალსია სვოლოჩ".

მოვლენები კი ამ დღემდე ასე ვითარდებოდა: პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა – ინგლისმა და საფრანგეთმა მაქსიმალურად მკაცრად დასაჯეს დამარცხებული გერმანია: წაართვეს მას სტრატეგიული ტერიტორიები, გერმანიას ჩამოერთვა სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, სამხედრო ფლოტი, აეკრძალა დიდი და ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა, სამხედრო ქარხნების მშენებლობა და სხვა. გერმანიას არა თუ მეორე, არამედ მესამეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევა ელოდა. ამ დროისთვის, საბჭოთა რუსეთი (შემდეგომ საბჭოთა კავშირი) პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, იზოლირებულია დანარჩენი მსოფლიოსთვის. ეს სასიკვდილო საფრთხე იყო, რადგან ტრადიციულად, რუსეთისთვის ევროპა წარმოადგენდა წიაღისეული სიმდიდრისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სარეალიზაციო ბაზარს. ევროპას შეეძლო, რუსეთი დაეტოვებინა ვალუტის გარეშე, ანუ დაენგრია მისი ეკონომიკა. რუსეთი ვერ შექმნიდა სამრეწველო სიმძლავრეებს, ვერ გაწვრთნიდა და შეაიარაღებდა არმიას, ასე ფიქრობდნენ დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწეები, მაგრამ დიდ რეჟისორს სულ სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა. ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ბოიკოტირებულმა საბჭოთა კავშირმა აქცენტი გერმანიაზე აილო და მალე მასთან დაამყარა მჭიდრო სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობა. როგორც ხშირად ხდებოდა, სტალინი ამ შემთხვევაშიც ორ კურდღელს იჭერდა: ერთი მხრივ, გერმანიაში წიაღისეული სიმდიდრის (განსაკუთრებით ნავთობის) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (განსაკუთრებით ხორბლის) ექსპორტით დიდი რაოდენობით ვალუტა შემოჰქონდა ქვეყანაში. ვალუტის ნაწილს გერმანია საბჭოთა კავშირს მანქანა-იარაღებითა და სხვა ტექნიკით უნაზღაურებდა. მეორე მხრივ, სტალინმა არასასურველი ფაქტის წინაშე დააყენა ინგლისი და საფრანგეთი. უნდოდათ თუ არა, ამ ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე უნდა ეფიქრათ. სხვა შემთხვევაში, ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიკა დაზარალდებოდა, ხოლო გერმანიისა წელში გაიმართებოდა. უკვე მეოცე საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისთვის სტალინმა დასახულ მიზანს სრულად მიაღწია – საბჭოთა კავშირიდან ევროპაში დიდი რაოდენობით გადიოდა ნავთობი, მანგანუმი, ხე-ტყე, ხორბალი და სხვა. ქვეყანაში შემოსული ვალუტით და ევროპაში ძალზე იაფად შეძენილი ტექნიკით სტალინი გამალებით წვრთნიდა და აიარაღებდა უზარმაზარ არმიას, რათა შემდეგ კრემლიდან თავისი ნება ეკარნახა ევროპის ქვეყნებისთვის. ცხადია, გამოცდილი და გონიერი ევროპელი დიპლომატები ყოველივე ამას კარგად ხედავდნენ, მაგრამ მოჯადოებული წრიდან ვერ გამოდიოდნენ: თუ ინგლისი და საფრანგეთი სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირს შეწყვეტდა საბჭოთა კავშირთან, ამით ამ ქვეყნების ეკონომიკა ძალზე დაზარალდებოდა, საბჭოთა კავშირი კი ნედლეულს შეუფერხებლად გაასაღებდა გერმანიაში.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში გერმანიაში ნაცისტები (1933 წელი) მოვიდნენ, სტალინის ხელში აღმოჩნდა კიდევ ძლიერი კოზირი. ადოლფ ჰიტლერის პარტიას ოფიციალურად ასე ეწოდებოდა: გერმანიის ნაციონალსოციალისტური მუშათა პარტია. სოციალისტი ადოლფ ჰიტლერისა და კომუნისტი იოსებ სტალინის ალიანსმა დიდი შიში დათესა ევროპაში. სტალინმა კარგად უწყოდა, რომ შეშინებულის კიდევ უფრო შეშინება ადვილი საქმეა. საბჭოთა ბელადმა ძალზე ახლო და კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა ჰიტლერთან. ეს ურთიერთობა იმდენად ახლო იყო, რომ აღშფოთება ვერ დამალა გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ცნობილმა მოღვაწემ (ლიდერმა) ერნსტ ტელმანმა. გერმანელი კომუნისტების საპროტესტო გამოსვლამ შვება მოჰგვარა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ ლიდერებს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან სტალინი ურთიერთობას არ გაამწვავებდა. ეს შეარყევდა გერმანია-საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური ლიდერები ამჯერადაც მწარედ მოტყუვდნენ. თვითკმაყოფილებით შეპყრობილ ევროპელ პოლიტიკოსებს სტალინმა ახალი სიურპრიზი შესთავაზა. მისთვის პოლიტიკა ჭადრაკის დაფა იყო. ევროპული პოლიტიკის ჭადრაკის დაფაზე ერნსტ ტელმანი პაიკს წარმოადგენდა, ხოლო ადოლფ ჰიტლერი – მეფეს. სტალინი კი მეფეს პაიკში არ გაცვლიდა. ამიტომ იყო, რომ დაუფიქრებლად გაწირა ტელმანი და გერმანიის მთელი კომუნისტური პარტია. ამის შემდეგ ჰიტლერისა და სტალინის ურთიერთობაში ნდობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა. სოციალისტი და კომუნისტი ბელადები ყველაფერში კარგად უგებდნენ ერთმანეთს. აშკარა გახდა მათი საერთო მიზანი: ერთხელ და სამუდამოდ დაენგრიათ „ბებრი ევროპა". სტალინი ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ დიდი რეჟისორი ჯერჯერობით გამარჯვებას არ ზეიმობდა. ის ინგლის-საფრანგეთის მხრიდან დაშვებულ მორიგ უხეშ შეცდომას ელოდა. მოლოდინმა არ დააყოვნა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოვიდნენ იმ მშფოთვარე დროისთვის სრულიად შეუფერებელი პოლიტიკური მოღვაწეები: ინგლისის პრემიერ-მინისტრი – ნევილი ჩემბრელენი და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი – ედუარდ დალადიე. ამის შემდეგ, შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ევროპაში რეალურად ორი მოთამაშე დარჩა: იოსებ სტალინი და ადოლფ ჰიტლერი. ორივე მოთამაშეს თავისი სცენარი ჰქონდა, რომლის დეტალებიც ჯერ არავინ იცოდა, მით უმეტეს, არაფერი უწყოდა ამის შესახებ ჩემბერლენმა და დალადიემ, რომლებიც უკვე განწირულნი ჩანდნენ. მიუხედავად ამისა, სტალინმა და ჰიტლერმა ისინი აიძულეს, წაგებული პარტია ბოლომდე ეთამაშათ.

ევროპული პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე ფიგურები ჯერ კიდევ მრავლად იყო... იოსებ სტალინი და ადოლფ ჰიტლერი მორიგ სვლებზე ფიქრობდნენ...

**ვახტანგ გურულის**
**მასალების მიხედვით მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ გავწმინდოთ საცხოვრებელ ბინაში დაგროვილი დაბინძურებული აურა

მუსიკა უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენზე. მას შეუძლია, დაგვეხმაროს სულიერი წონასწორობის აღდგენაში, გაგვივითაროს ინტელექტი, განგვკურნოს, მოგვიხსნას ტკივილი და ასე შემდეგ. ეს ძალა მუსიკას ნამდვილად გააჩნია, რაც არაერთი კვლევით არის დადასტურებული.

თუ გსურთ, ნებისმიერი მელოდიისგან მაქსიმალური სარგებლობა მიიღოთ, წინასწარ უნდა გაარკვიოთ, თქვენს ემოციურ მდგომარეობაზე რომელი მუსიკალური ნაწარმოები მოქმედებს უფრო მეტად და, კერძოდ, რა გავლენას ახდენს.

მაგალითად, რესტორანში, ბარში, კაფეში მშვიდი, კლასიკური მუსიკა ან მსუბუქი ჯაზი აჯადოებს სტუმრებს და იქ მეტხანს ყოვნდებიან. შესაბამისად, იმატებს შეკვეთაც, რაც ამ დაწესებულების ფინანსური შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს.

სავაჭრო ადგილებში სასიამოვნო, ემოციური და წყნარი მუსიკა უნდა ისმოდეს, რომლის ზემოქმედებითაც მყიდველი დაკარგავს დროის შეგრძნებას და ფულს უსარგებლო ნივთებშიც კი არ დაინანებს.

სწრაფი კვების ობიექტების მფლობელებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ რიტმულ, სწრაფ და თანამედროვე მუსიკას. ასეთი მელოდიის წყალობით, ამ ობიექტებში ხალხის ნაკადი გაორმაგდება.

თუ ადამიანმა იცის, რომელი მუსიკა რა გავლენას ახდენს მასზე, შესაძლოა, ამით საკუთარი ბედიც კი შეცვალოს უკეთესობისკენ.

თუ გსურთ, ზედმეტი წონა მოიშოროთ და იდეალურ ფორმაში ჩადგეთ, ფიზიკური ვარჯიშისა და ჭამის დროსაც კი უსმინეთ მუსიკას.

თუ იცით, რომ მძიმე და დაძაბული სამუშაო დღე გელით, დილიდანვე ჩართეთ სახლში ენერგიული მუსიკა.

თუ ღამით ცუდად გეძინათ და ვერ გამოიძინეთ, მოკალათდით სავარძელში და მშვიდ და წყნარ მელოდიას მოუსმინეთ – ის თქვენს აგზნებულ ნერვულ სისტემას მალამოდ დაედება. მაგრამ, აქ მეორე ფაქტორიც არსებობს, კერძოდ, თუ ასეთ მუსიკას დიდხანს მოუსმენთ, შეიძლება, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს.

სტრესის დროს კარგია საგალობლების მოსმენა – ის ორგანიზმისა და ნერვული სისტემის დამშვიდებას უწყობს ხელს.

ბახის, ჰენდელის, ვივალდის წყნარი მელოდიები დაბალ ხმაზე ჩართეთ და უსმინეთ მუშაობის ან სწავლის დროს.

ჰაიდნისა და მოცარტის ნაწარმოებები ამაღლებს ყურადღების კონცენტრაციას, აუმჯობესებს მეხსიერებასა და აღქმის უნარს.

შოპენის, ლისტისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები კარგია შეყვარებული წყვილებისთვის, რადგან ისინი აღვიძებენ და მკვეთრად აძლიერებენ ურთიერთსიმპათიას, გულწრფელ გრძნობებს.

რაველის მუსიკა აღვივებს სასიამოვნო განცდებს.

ჯაზი, ბლუზი და სხვა აფრიკული მიმდინარეობები მეგობრულ წრეში შეხვედრების დროს მხიარული განწყობის შექმნას უწყობს ხელს.

რაც შეეხება როკის გავლენას, ამაზე არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს. რეალურად, ასეთი ჟანრის მუსიკა გვაახლოებს კოსმიურ ძალებთან, აფხიზლებს გრძნობებს, ამაღლებს აქტიურობის უნარს და თავის ტკივილსაც კი აყუჩებს. მაგრამ, თუ გადაჭარბებული დოზით მოუსმენთ, მაშინ კოსმოსიდან დაგიბრუნდებათ უარყოფითი, ნეგატიური ზეგავლენა და, შესაძლოა, ამან დაძაბულობა და სტრესიც კი გამოიწვიოს.

რეპი აღადგენს ენერგიას.

თუ გსურთ, ქვეცნობიერად დაბრუნდეთ წარსულში და კვლავ შეიგრძნოთ მაშინ განცდილი სიამოვნება, მოუსმინეთ იმ მუსიკას, რომელსაც იმ ბედნიერ დღეებში უსმენდით და ეს განცდა კვლავ განმეორდება.

ასევე, საცხოვრებელი ბინა მოაწყვეთ ისე, რომ ოჯახის თითოეულ წევრს სიმყუდროვისა და ჰარმონიის შეგრძნება ჰქონდეს. ამისთვის კი საჭიროა, დააფიქსიროთ თქვენს სახლში აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მხარეები; ასევე, უნდა იცოდეთ, რომელი კუთხე რისი ზონაა, საიდან შემოედინება დადებითი ენერგია, გაედინება უარყოფითი და ასე შემდეგ. მოკლედ, სანამ ბინის მოწყობას დაიწყებთ, ჯერ ზონები უნდა გამოიკვლიოთ, რაშიც კომპასი დაგეხმარებათ. მაგალითად:

* სახლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი სიყვარულის ზონაა.
* სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი – სიმდიდრის.
* ჩრდილოეთი ნაწილი კი – კარიერის.

ამ ზონების გარკვევის შემდეგ, თავად შეგიძლიათ ყველა ზონის გააქტიურება.

თუ სიყვარულის ზონის გააქტიურება გინდათ, იმ კუთხეში უნდა დააწყოთ შესაბამისი ატრიბუტიკა, კერძოდ, ლოტოსის ყვავილი ან პიონები; ასევე, მინის იხვის სტატუეტი. ლოტოსის ყვავილის გამოსახულებას შესწევს უნარი, ცოლ-ქმრის ჰარმონიულად და სიყვარულით ცხოვრებას შეუწყოს ხელი. ის, ასევე, კარგია საქმიანი ადამიანებისა და ბიზნესმენებისთვის.

სიმდიდრის მოსაზიდად, ჩინური ასტროლოგიის მიხედვით, საფულეში ჩადეთ ჩინური მონეტები, რომლებზეც იეროგლიფებია გამოსახული.

აუცილებელია, შესასვლელში დაკიდოთ ზარები, რადგან, მათი ჟღარუნი ნეგატიურ ენერგიას ანეიტრალებს და წმენდს დაბინძურებულ აურას, რაც სახლში სწორედ ამ ადგილას გროვდება.

კრისტალი ყველაზე ძლიერი თილისმაა, რომელიც ნებისმიერ ზონას ააქტიურებს, ანეიტრალებს ნებისმიერ უარყოფით ენერგიას. მზის სხივის მოხვედრისთანავე, ის დადებით ენერგიას ასხივებს; ასევე, ებრძვის კოსმოსიდან წამოსულ ნეგატიურ ძალებს. კარგია, თუ სამუშაო მაგიდაზე კრისტალის ბურთს დადებთ – ის გონების კონცენტრაციაში დაგეხმარებათ. თუ ოთახში მზე არ შემოდის, მაშინ კრისტალი ცოტა ხნით მზეზე გაიტანეთ, რომ ის კოსმოსიდან წამოსული პოზიტიური ენერგიით „დაიტენოს“ და შემდეგ შეიტანეთ სახლში – ამით ოჯახში მზისა და კოსმოსის პოზიტიურ ენერგიებს შეიტანთ.

ასევე, კარგია სტატუეტები, რომლებსაც ბაყაყის, სპილოს ან თევზის გამოსახულება აქვს. მაგალითად, ბაყაყი, რომელსაც პირში ოქროსფერი მონეტა უდევს, სიმდიდრისა და წარმატების მომტანია. ის სახლის შესასვლელის კუთხეში, კარისკენ ზურგით, იატაკზე დადეთ. სპილო ბიზნესის დამცველად მოიაზრება, ამიტომ, მაგიდაზე ისე დადგით, რომ ხორთუმი კარისკენ ჰქონდეს მიმართული. თევზიც ფულს იზიდავს. რაც შეეხება „ფულის ხეს,“ ისიც სიმდიდრეს მოიზიდავს სახლში და სამხრეთ-აღმოსავლეთ, ანუ, სიმდიდრის ზონაში უნდა დადგათ. სწორედ ამისთვის არის აუცილებელი კომპასი, რომ გავიგოთ, სად რომელი მხარეა.

აღმოსავლეთი ოჯახის სიძლიერის მხარედ ითვლება, დასავლეთი – ბავშვების მხარეა და, ასევე, კარგი ზონაა შემოქმედებითი ადამიანებისთვის.

ყველა ადამიანს აქვს დადებითი და უარყოფითი მიმართულება. სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრება, რომელ მხარეს ჯობია დაიძინოთ, ან, თუნდაც, სად დადგათ სამუშაო მაგიდა. ამის გამოთვლა კი დაბადების წლის მიხედვით ხდება. მაგალითად, თუ ოჯახის ორი წევრი ერთ წელიწადშია დაბადებული, მათ ერთნაირი მიმართულება აქვთ. მათთვის კარგია სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მხარე, სამუშაო მაგიდა ერთმანეთის პირისპირ უნდა დადგან და ამით დადებითი ენერგიის გაცვლა-გამოცვლა მოხდება. გადაიკითხეთ თქვენი ჰოროსკოპი წლების მიხედვით და მათიც, ვისთანაც გიწევთ ურთიერთობა და, ამის მიხედვით მიხვდებით ყველაფერს. მაგალითად, გველისა და ლომის ნიშნით დაბადებულების გვერდიგვერდ ჯდომა არ არის სასურველი.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1990 წლის 20 ივლისს, საღამოს საათებში. რომელი პროფესიება ჩემთვის წარმატებების მომტანი სამომავლოდ?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანი პროფესიებია: პედიატრია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე, კომერცია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 7 მაისს. მინდა უცხოეთში წასვლა და ძალების მოსინჯვა. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელ ქვეყანაში გამიმართლებს?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, თუმცა, არც ცუდია. ქვეყნებიდან კი მისაღებია: უკრაინა, პოლონეთი, ირლანდია, კვიპროსი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, მოლდავეთი, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ბულგარეთი, ისრაელი, კუნძული შრი-ლანკა, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, სამხრეთ კორეა, კუნძული მალტა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

7 ოქტომბერი, **ორშაბათი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

12 ოქტომბერი, **შაბათი** 19.45 - **„სულიერი არსებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

13 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

7 ოქტომბერი, **ორშაბათი** 13.00 - **„კინკასის უცნაური გარდაცვალება"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: მერაბ ბრეკაშვილი, ნინო შავგულიძე, დავით ველიჯანაშვილი, მარინა სოლომონია, ნუკრი კონსტანტინოვი, პაატა კიკვაძე, გიორგი გასვიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 13.00 - **„სილამაზის დედოფალი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, პაატა პაპუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

7 ოქტომბერი, **ორშაბათი** 19.00 - **„ტარტიუფი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 5 - 14 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

7 ოქტომბერი, **ორშაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

9 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

10 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ძვირფასო პამელა"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 10, 13 ლარი), რეჟისორი კოტე აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„ხვალ შობაა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, გიორგი შანიძე, გუგა კახიანი, ანა ნიკოლაშვილი, კახა შარტავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

12 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, გიორგი ყიფშიძე, ვანო თარხნიშვილი, ნიკა წერედიანი, თემო ნატროშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

7 ოქტომბერი, **ორშაბათი** 15.00 - **„საგალობელი /საიდუმლო ბაღი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 5 - 25 ლარი), თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

7 ოქტომბერი, **ორშაბათი** 17.00 - **„ფინიტა ლა კომედია"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ჭიათურა. რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ლილი თავაძე, ანზორ ცაბაძე, ამირან ნასყიდაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 18.00 - **„ხოლსტომერი. ცხენის ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ვალერი ხარიუტჩენკო, ლუსია არტიომოვა, აპოლონ კუბლაშვილი, მარიშა კიტია, არჩილ ბარათაშვილი, მიშა არჯევანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ლაშა გურგენიძე, სოფიო ლომჯარია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

11-12 ოქტომბერი, **პარასკევი-შაბათი** 18.00 - **„მაიაკოვსკი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ივანე ქურასბედიანი, ლუდმილა არტიემოვა-მღებრიშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, აპოლონ კუბლაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

7 ოქტომბერი, **ორშაბათი** 22.00 - **„ტროელი ქალები"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 299-63-14.**

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„კრიმანჭული"** - (ბილეთის ფასი - 5.50 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

11 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„წმინდა გიორგი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 21.30 - **„ზაფხულის ღამის სიზმარი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

11 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

12 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

13 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 13.00 - **„მზის სხივი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მაია მალხაზიშვილი, ნინო პაპიაშვილი, ლიკა მაცხონაშვილი, მაია სულხანიშვილი, ვამეხ ჯანგიძე, მალხაზ გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 45 წუთი;***

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 14.00 - **„ზამთრის ზღაპარი"** - პრემიერა - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90.**

10, 13 ოქტომბერი, **ხუთშაბათი**, **კვირა** 20.00 - „რამონა" - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

11 ოქტომბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

12 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ილიაუნის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

8 ოქტომბერი, **სამშაბათი** 18.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება ბუბა ბასიშვილისა და გოგა ქაჩიბაიასი. მონაწილეობენ: ეკა აბშილავა, ნინო ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## ორშაბათი 7 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ. მხ.ფ **"ნიღბის შვილი"** **12.40** მხ.ფ **"დომბე და ვაჟი"** **14.30** ტ.სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **17.55** ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **00.20** მხ.ფ **"პაჯი მურატი – ფილმი" რომელიც არ დაიდგა"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **16** სერ. **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ **"უკანასკნელი სიმღერა"** (კ. პრესტონი) პრემიერა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15** სერიალი "ღრუბლებს მიღმა" (გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **16.00** **სერიალი "რთული გზა"** **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.20** მხ/ფ **"ვალსი პეჩორაზე"**. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში"** **13.10** ქართული მულტფილმი **13.30** დოკ/ფ "სვანეთი - ცოცხალი მითი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.35** სპექტაკლი - **"გუშინდელნი"** **17.05** კონცერტი - საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ჭიდაობას რა უნდა"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** სღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "შორ ვართ" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. III **23.40** მოკ/ფ **"კედელი"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბერნარდა ალბას სახლი"**.

## სამშაბათი 8 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ."კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** ან. ფ. "საოცარი მისტერ ბარნანდერი" **12.40** მხ.ფ **"სად ხარ"** **14.30** ტ.სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **17.55** ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** მხ.ფ **"და ყველაფერი განათდა"** **00.20** ღამის კ/ჩვენება – მხ.ფ **"ნაპერწკალი"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი:"თემურ თათარაშვილი" **1** ნაწილი (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **17** სერ. **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"სერფერების დრო"** (ბ. ლინდა) პრემიერა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** სპექტაკლი - "გუშინდელნი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. III **11.05** მოკ/ფ **"კედელი"** **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჭიდაობას რა უნდა"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** დოკ/ფ "ჩემი ბიძა პეტრე ოცხელი" **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - ანს."კელაპტარი" **17.05** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ **"ჰობოი"** **20.00** ღია აუდიტორია. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - ოთარ ჭილაძე II ნაწ. (მანანა კვაჭანტირაძე) **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **02.15** ნიამორი.

გაგრძელება 45-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**7 – 13 ოქტომბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„თვითმფრინავები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„გრავიტაცია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.45, 17.15, 19.50, 22.15 - **„გრძელი ნათელი დღეები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.15, 14.30 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.30, 20.00 - **„გრძელი ნათელი დღეები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„ეს დასასრულია"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„რანერ რანერ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„ცისფერთვალება ჟასმინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„გრავიტაცია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00 - **„თვითმფრინავები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„გრძელი ნათელი დღეები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.00, 15.50 - **„თვითმფრინავები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.50, 20.00, 22.30 - **„გრავიტაცია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.30, 15.00 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.15 - **„გრძელი ნათელი დღეები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ცისფერთვალება ჟასმინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ფარშიანი „ნიჟარები“









**საჭირო ინგრედიენტები:** 600-700 გრამი შერეული ფარში; ნახევარი თავი ხახვი – ფარშში შესარევად, 1 შეკვრა ნიჟარების ფორმის მაკარონი, 2 ცალი ყაბაყი, 7-8 ცალი პომიდორი, 2 კბილი ნიორი, 2-3 ცალი დაფნის ფოთოლი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ყაბაყი გათალეთ და გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე; პომიდორიც სახეხზე გახეხეთ, შეურიეთ ყაბაყს და შეაზავეთ მარილითა და პილპილით. თუ ეს მასა საკმარისად ნოტიო არ იქნება, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ცოტა წყალი. ფარში და მაკარონის ნიჟარები ფენა-ფენა ჩააწყვეთ ღრმა ტაფაში (თუ ნიჟარები დიდი ზომისაა ფარში შიგნით ჩატენეთ), მოასხით პომიდვრის და ყაბაყის სოუსი, დადგით ძლიერ ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. მერე დაუკელით ცეცხლს და დაახურეთ თავსახური, ოცი წუთის შემდეგ კი ცეცხლს ისევ მოუმატეთ. გადმოდგმის წინ დაუმატეთ ნიორი და დაფნის ფოთოლი. მიირთვით არაყანთან ერთად.

# გემრიელი სალათა








**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 200 გრამი ლორი (ან მოხარშული ძეხვი), 0,5 კონა სალათის ფოთოლი, 1 ცალი კვერცხი, ცოტა მაგარი ყველი, 2 სადილის კოვზი 20-პროცენტიანი ნაღები, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 0,5 კონა მწვანე ხახვი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 ქილა ზეთისხილი, მარილი და მაიონეზი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ლორი დაჭერით წვრილ ჩხირებად. ერთ თასში მოათავსეთ ნაღები, გახეხილი ყველი, ფქვილი, დაქუცმაცებული მწვანე ხახვი, კვერცხი და აურიეთ კარგად. ამ ცომით გამოაცხვეთ თხელი ბლინი და დაჭერით მომცრო ნაჭრებად. სალათის ფოთლები ხელით დაფლითეთ. ზეთისხილი დაჭერით რგოლებად (უკურკო შეიძინეთ და გაგიადვილდებათ), სოკო და ხახვიც დაჭერით და მოხრაკეთ სრულ მომზადებამდე. ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ სასალათეში და მოასხით ცოტა მაიონეზი. შეაზავეთ მარილით.

# ღვეზელი ლავაში











**საჭირო ინგრედიენტები:** 0,5 კილოგრამი ქლიავი, 2 ცალი თხელი ლავაში, 1,5 ჭიქა შაქარი, 2 ცალი კვერცხი, 3 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, შაქრის პუდრი.

**მომზადების წესი:** შაქარში (1 ჭიქა აიღეთ) შეურიეთ ძმარი და დადგით ცეცხლზე. შაქარი ბოლომდე გაადნეთ და აადუღეთ. გარეცხეთ ქლიავი, გამოაცალეთ კურკები და დაჭერით თითოეული 8 ნაჭრად. ჩაუმატეთ მდუღარე შაქარს, ოღონდ, ძალიან ფრთხილად და კარგად ამოურიეთ.

გათქვიფეთ 2 კვერცხი ნახევარ ჭიქა შაქართან ერთად. კარგად რომ აფუვდება, გაშალეთ ორი ლავაში (ერთიმეორის ზევიდან) და წაუსვით კვერცხისა და შაქრის მუსი, ზემოდან კი გადაუსვით ოდნავ გაგრილებული ქლიავი. გადაახვიეთ ლავაში რულეტივით, ნაპირები შიგნით შეუკეცეთ და გამოაცხვეთ 160-170 გრადუსზე. 20-22 წუთის შემდეგ უგემრიელესი შტრუდელი (გერმანული ღვეზელი) მზად იქნება. თბილსვე მოაყარეთ შაქრის პუდრი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ანანასისა და სტაფილოს სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი სტაფილო, 1 ცალი ბროწეულის მარცვლები, 1 პატარა ანანასი, 1 კონა რეჰანი, 2-3 სადილის კოვზი თაფლი, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სტაფილო მსხვილად გახეხეთ. ანანასი გაფცქვენით, ამოაჭერით გულის მაგარი ნაწილი და პატარა ნაჭრებად დაჭერით. თაფლში აურიეთ მარილი, წიწაკა, ლიმონის წვენი, 100 მილილიტრი წყალი დაურიეთ, სანამ არ გაიხსნება. სტაფილო, ბროწეულის მარცვლები, ანანასი და რეჰანი თასში ფენა-ფენა ჩააწყვეთ, მოასხით სოუსი და 10 წუთი გააჩერეთ.



# ორაგულის კატლეტი



**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ორაგულის ფილე, 100-150 გრამი შაშხი, 1 ცალი კვერცხი, 3 სადილის კოვზი საფანელი, 2 თავი ხახვი, 2-3 კბილი ნიორი, 1 კონა კამა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზის ფილე დანით ძალიან წვრილად დაკეპეთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული შაშხი და ნიორი. მომზადებული ინგრედიენტები ერთად აზილეთ, შეურიეთ უმი კვერცხი და სანელებლები. ფარში დაყავით პატარა ბურთულებად, ამოავლეთ საფანელში და გაცხელებულ ზეთში დაბრაწეთ. ცალკე, სქელძირიან ქვაბში ჩაასხით ცოტა წყალი, ჩაუმატეთ დანაყილი ნიორი და დაჭრილი კამა და 10 წუთი ხარშეთ. სუფრაზე გატანის წინ კატლეტებს კამიანი სოუსი მოასხით.

# კურდღლის ჩახოხბილი

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი კურდღლის ხორცი, 4-5 თავი ხახვი, 1 კილოგრამი დაჭყლეტილი პომიდორი, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 ჭიქა წყალი, 2 ჩაის კოვზი შაქარი, 1 კონა ქინძი, 1 კონა ოხრახუში, 1 კონა რეჰანი, 100-150 გრამი კარაქი, 2 კბილი ნიორი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით, კარაქსა და დაჭრილ ხახვთან ერთად მოათავსეთ ქვაბში, მოაყარეთ მარილი, წიწაკა და მოშუშეთ. დაუმატეთ პომიდორი, წყალში გახსნილი ტომატ-პასტა, შაქარი და განაგრძეთ შუშვა. როცა მომზადდება, დაუმატეთ დანაყილი ნიორი, წვრილად დაჭრილი მწვანილი და ერთხელ წამოადუღეთ.



მე-40 გვერდიდან

## ოთხშაბათი 9 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ."კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/მხ.ფ "**როგორ მივირთვათ შემზარავი ჭიაყელები**" **12.40** მხ.ფ "**სად ხარ**" **14.30** ტ.სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი" **17.55** ტ.სერ "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "ჩვენი ეზო" **19.30** "მეხსიერება" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** მხ/ფ "**აზრეშუმი**" **00.20** მხ.ფ "**შემოჭრა**" (ნ.კიდმანი).

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ (**06.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" 18 სერ. **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **23.30** დოკ./ფ. ბგერებს შორის დუმილი **00.00** მხ/ფ "**მიმტანები**" პრემიერა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** "ნანუკას შოუ" - დაწყება **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"** **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აზები" (გამ.) **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**მონანიება**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.10** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია. **12.50** მოკ/ფ "**პოზორი**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** დოკ/ფ "ნათელი იგი" **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - ანს. "შინ" **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ალყა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** "თვინი" ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "დავითი და კონსტანტინე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**მონანიება**" II ნაწ. **02.15** ნიამორი.

## ხუთშაბათი 10 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ."კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/მხ.ფ "**ბენსი დრიუ**" **12.40** მხ.ფ "**დედა**" **14.30** ტ.სერ "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" **17.55** ტ.სერ "**ზღვარს მიღმა**" **19.00** "სამხედრო გადაცემა" **19.30** დ/ფ "დიზაინი" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** მხ.ფ "**მე ვარ ლეგენდა**".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.**14.40** კაცების შოუ (**05.10.13** გ/ჩ) **15.05** კაცების შოუ (გაგრძელება) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" 19 სერ. **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**მეოთხე დონის კონტაქტი**" (მ.იოვოვიჩი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აზები" **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**მონანიება**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05, 18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "დავითი და კონსტანტინე" **11.25, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ალყა**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.45** დოკ/ფ "სიაუშ ქართველი". **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - ანს."მამული" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მოცურავე**" **20.40** ძილი ნებისა **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მოკ/ფ "**წერილი ნაძვებს**" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**წუწას სკოლა**".

## პარასკევი 11 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ.""კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/მხ.ფ "განძთა კუნძული" **12.40** მხ.ფ "**დედა**" **14.30** ტ.სერ "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.55** ტ.სერ "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **19.30** დ/ფ "დიზაინი" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.15** მხ.ფ "**ტროა**" (ბ. პიტი) **00.20** მხ.ფ "**კიბორჩხალა სადილზე**".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (**06.10.13** გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ, გაიჩერე (**06.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **20** სერ. **21.50** თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ."**კამორას კლანი**" მე—**10** სერია **01.00** მხ/ფ "**სისხლიანი განაჩენი**" (უ. დეფო).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე"

**16.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა" 12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **07.15** მხ/ფ "**ნუცას სკოლა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მოკ/ფ "**წერილი ნაძვებს**" **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მოცურავე**" **13.25** ქართული მულტფილმი **14.00** დოკ/ფ "ხელოვნების ქურუმი" გოგი გეგეჭკორი **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** ფილმი-კონცერტი "წელიწადის დრონი" **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ/ფ "**თემო**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **01.00** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**".

## შაბათი 12 ოქტომბერი

**08.00** ან/ფ. "მხიარული თითები" **10.00** "პეპე და მეგობრები" **11.00 10** საბ. ან/სერ."კრიპტო სუპერ ძაღლი" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: **1**) ლექსო თორაძე **2**) დავით ოძელაშვილი **14.00** ფილმი ნოსტალგია: "**მამიკოები**" (პ.რიშარი) **16.30** ქართული ტ/ფილმები: "**მე მოვედი**", "**სერენადა**" **18.00** "ეტალონი" **18.55** "გურმანია" **19.30** დ/ფ "დიზაინი" **20.50** "სოციალური თოქ შოუ" **22.20** "წითელი ზონა" **23.20** მხ.ფ "**ნორმა რეი**" **01.20** დ/ფ "სუფრაჟისტები".

**08.00** ან/ფ ავატარი" **09.00** მხ/ფ "**პრინცესას თავგადასავალი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ეკოვიზია **12.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **8** სერ. **13.00** სერ."**ჰანა მონტანა**" **14.30** ახალი ქართული ხმა (**08.10.13** გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **20.55** ფულთან თამაში **22.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" მე—**9** სერ. **23.00** კაცების შოუ **00.00** სერ."**კამორას კლანი**" მე-**11** სერია **01.00** მხ/ფ "**წვრილფეხა თაღლითები**" (ვ. ალენი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები. **15.30** "ნანუკას შოუ". გ/ჩ **18.50** გააცინე და მოიგე. **20.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** რა? სად? როდის? **00.00** პოკერი **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**7.00, 0.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "ასი" 10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00 სერიალი "სკანდალი" 0.30, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი ). **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**თემო**" **13.30** სათავეებთან **14.05** ღია აუდიტორია. **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა **18.05** დოკ/ფ "რწმენის აღორძინება" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** მოკ/ფ "**გამსვლელი პაიკი**" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები. **01.25** მხ/ფ "**დანტეს პიკი**".

## კვირა 13 ოქტომბერი

**08.00** საბ/ფ. "ალასკა" **10.00** "ეტალონი" **10.55 10** საბ. ან/სერ."კრიპტო სუპერ ძაღლი" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" –"**ყვარყვარე**" სოხუმის თეატრის სპექტაკლი **15.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **16.30** დ/ფ "დიზაინი" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** I არხი წარმოგიდგენთ – **1**) "ქართული ხმები" **2000** წელი **2**) ნიკოლოზ რაჭველი "ღია ცის ქვეშ" **20.30** "პროფესია რეპორტიორი" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ფილმი ფილმზე "გიორგი სააკაძე" **21.30** მხ.ფ "**როგორ მოკლა მხდალმა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი**" (ბ. პიტი) **00.00** მხ.ფ "**გამართლებული სისასტიკე**".

**08.00** ან/ფ ავატარი" **09.00** მხ/ფ "**ვენდი ვუ**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" მე-**9** სერია **13.00** სერ."**ჰანა მონტანა**" **14.30** ქ.მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **16.20** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **17.40** იმედის გმირები **18.00, 19.05** ცეკვავენ ვარსკვლავები (**10.10.13** გ/ჩ) **20.55** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" მე-**10** სერია **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **00.00** სერ."**კამორას კლანი**" მე-**12** სერია **01.00** მხ/ფ "**კანი, რომელშიც ვცხოვრობ**" (ა.ბანდერასი) **03.00** მხ/ფ "**ჩამსკრაბერი**" (გ. კლოუნი) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **14.00** შერეკილები. **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ.

**7.00, 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "ასი" 10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.30, 0.00** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00 სერიალი "სკანდალი" 1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.40** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი). **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი. **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **13.15** ქრისტიანული ხელოვნება **13.55** სათავეებთან **14.20** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება. **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სალვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები. **19.45** მხ/ფ "**ნეილონის ნაძვის ხე**". **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** მხ/ფ "**გაქცევა შოუშენკოდან**".

## ვერძი

მოიმატებს თქვენი ენერგოპოტენციალი და უკეთ გააანალიზებთ ირგვლივ მიმდინარე პროცესებს. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება კარიერული ზრდის სტიმულს მოგცემთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში კი ეცადეთ, მეტად გულღია გახდეთ.

## კურო

დასახეთ რეალური გეგმები და ეცადეთ, დროულად იმოქმედოთ. მოიმატებს გადაადგილებებისა და კონტაქტების რაოდენობა. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა მითქმა-მოთქმის საბაბი გახდება. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ. ეს კარგი დროა მავნე ჩვევებისთვის თავის დასანებებლად.

## ტყუპები

არ ენდოთ უცხო ადამიანებს და გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია. არ გაგიჭირდებათ ადამიანების გაგება, თუმცა, სხვების დახმარების იმედი ნუ გექნებათ. ახალი სასიყვარულო კავშირი სტიმულს მოგცემთ და მიზნების სწრაფად მიღწევისკენ გიბიძგებთ.

## კირჩხიბი

პირადი პრობლემების გამო გაგიჭირდებათ მუშაობა და პროფესიონალური საქმეების შესრულება. გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიჩინეთ გონიერება. საქმიან პარტნიორულ ურთიერთობებში იყავით მეტად თავშეკავებული. საყვარელ ადამიანს დროულად წაუყენეთ პრეტენზიები, სანამ სიტუაცია დაიძაბება.

## ლომი

გაზრდილი ინტელექტუალური შესაძლებლობები და შინაგანი წონასწორობა დაგეხმარებათ სირთულეების წარმატებით გადალახვასა და მიზნების მიღწევაში. მოთმინებით ადვილად დაძლევთ ბარიერებს. მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე, საყვარელი ადამიანი კი კიდევ უფრო მეტ სტიმულს მოგცემთ გვერდში დგომით.

## ქალწული

გაიზრდება თქვენი პოპულარობა და საქმიანი აქტივობა. საქმიან პარტნიორებთან იყავით მომთმენი და ამით წარმატებით გაართმევთ თავს ნებისმიერ სირთულეს. საყვარელი ადამიანის პრობლემების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ – ეს თქვენდამი მის დამოკიდებულებას უფრო თბილს გახდის.

## სასწორი

მოიმატებს ენერგიულობა და ახალი შემართებით შეუდგებით ჩანაფიქრების განხორციელებას. გაიზრდება გადაადგილებების რაოდენობა. პროფესიონალურ საქმეებში მაქსიმალურად დაიხარჯეთ. ახლო გარემოცვაში, არ არის გამორიცხული ახალი სასიყვარულო კავშირი დაამყაროთ, რაც სწრაფად განვითარდება და ბევრ სიამოვნებას მოგიტანთ.

## მორიელი

კარგია კვალიფიკაციის ამაღლება. გაზრდილი ინტელექტუალური შესაძლებლობები კი კარიერაში წარმატებებს გიქადით. კოლეგებთან იყავით მეტად გულისხმიერი. ნუ გარისკავთ და ეცადეთ, ხელმომჭირნედ ხარჯოთ ფული. მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანსა და მშობლებს.

## მშვილდოსანი

პირადი ცხოვრება მოსვენების საშუალებას არ მოგცემთ. ეცადეთ, დროულად გაერკვეთ სასიყვარულო ცხოვრებაში და გააკეთოთ სწორი არჩევანი. შეგეცვლებათ ცხოვრებისეული მიზნები. აკონტროლეთ სიტყვები. მომგებიანი ოპერაციები, ჯობია, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად ჩაატაროთ.

## თხის რქა

დროულად დაგეგმეთ მომავლის გეგმები. გაგიადვილდებათ მიზნის მიღწევა. გარშემო მყოფები დაგეხმარებიან პროფესიონალურ ზრდაში. ჯობია, საქმიანი მოგზაურობა დროებით გადადოთ. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში მიიღოთ სასიამოვნო ინფორმაცია, რომელიც მთლიანად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

## მერწყული

კარგი დროა კონტრაქტების დასადებად. გაგიჩნდებათ რისკზე წასვლის სურვილი. ბედი გაგიღიმებთ საბანკო საქმეებსა და კომერციაში. წარმატებას მოგიტანთ შემოქმედებითი საქმიანობა. გაიზრდება შემოსავალიც. მოერიდეთ სპონტანურ სასიყვარულო კავშირებს.

## თევზები

საქმიანი კავშირების დამყარებისას გააზრებულად გააკეთეთ არჩევანი. გაიზრდება აქტიური მოქმედების სურვილი, თუმცა, გარშემო მყოფებთან დაპირისპირება მოგიწევთ. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა დამყარდება.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 3 ნოემბერი, 12 სთ: 47 წთ.**

## ორშაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

თვითშემეცნების დროა. მოიმატებს სქესობრივი ლტოლვა. შესაძლებელია ფინანსური და ბიზნესპროექტების შემუშავება. კარგია მშენებლობა, საზოგადოებრივი აქტივობა. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და ახლობლებს. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, მარგალიტი, ონიქსი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გაუკეთეთ ახლობლებს საჩუქრები. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, ლაბრადორი ან ჯესპილიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

## ოთხშაბათი

მოიმატებს ილუზიების ალბათობა. არ ვარგა მშენებლობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, აქვამარინი, წითელი იასპი ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ინტელექტუალური განვითარება, სწავლა, იურიდიული საქმიანობა, სასამართლო პროცესები, უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

## ხუთშაბათი

ამ დღეს შეიძლება ადამიანებზე დიდი ზეგავლენის მოხდენა სიტყვით და აზრებით, ამიტომ, კარგად გააანალიზეთ, სანამ რამეს გაიფიქრებთ ან იტყვით. მოერიდეთ ტყუილებს. არ ვარგა მშენებლობის დაწყება. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, იისფერი, წითელი, ყვითელი, ჩალისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ონიქსი, იასპი ან ქრიზოპრაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, საზარდული.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

## პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს პასუხისმგებლობის გრძნობა. ატარეთ მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, აქატი ან მწვანე იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, ახალ კავშირებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, მანქანის შეძენა. სუსტდება კბილები, სახსრები, ძვლები, ხერხემალი, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ავანტიურულ მოქმედებებს, სიჯიუტის გამოვლენას, ფინანსურ ოპერაციებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, ახალ კავშირებს. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, მწვანე, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აკვამარინი, საფირონი ან ცირკონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ თმის შეჭრას. კარგია ექიმებთან კონსულტაცია, ახლობლებთან ურთიერთობა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ფეხის კუნთები, სახსრები, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

## კვირა
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებს, ტრადიციებს, ბავშვებს. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი, ვარდისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საზოგადოებრივი საქმიანობა, ინტელექტუალური და სულიერი განვითარება, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა, სისხლძარღვები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის და მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ძერყორაშვილი-ტიკურიშვილი

**ტიკურიშვილის** გვარის ფუძედ გამოყენებულია სახელი **ტიკარა**. ვარაუდობენ, რომ ეს სახელი **ტიკთან** არის დაკავშირებული – **ტიკის** გამომყვანი, გამკეთებელი, ესე იგი, ხელობა-საქმიანობის გვარი უნდა იყოს. ამავე ფუძითაა წარმოქმნილი **ტიკარაძე, ტიკარიძე, ტიკაძე, ტიკიშვილი, ტიკურაშვილი.**

**ტიკურიშვილები** მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩანან დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ გოლთეთში. 1873 წლის აღწერით, მებატონე ანტონ ყორღანაშვილის დროებით ვალდებულ გლეხებად მოიხსენიებიან ანდრე, ზურაბ და გაბრიელ **ტიკურიშვილები**. გოლთეთში მოსვლისას **ტიკურიშვილებს** გვარი შეუცვლიათ, აქ მოსვლამდე მათი ადრინდელი გვარი **ძერყორაშვილი** ყოფილა. **ძერ-ყორა-შვილები** ახალგორის მხარიდან გადმოსულან.

**ძერყორაშვილ-ტიკურიშვილებიდან** გაჩენილი გვარებია: **ბეკარიშვილი, მახარაშვილი, ხრიკული. მახარაშვილი** არის დამოუკიდებლად გაჩენილი გვარიც.

საქართველოში 48 **ძერყორაშვილი** ცხოვრობს: ახალგორში – 35, თბილისში – 8, რუსთავში – 5.

33 **ბეკარიშვილი**. თეთრიწყაროში 16, თბილისში 14, ახმეტაში 1. არიან სხვაგანაც.

283 **ხრიკული**: ბორჯომში – 105, თბილისში – 65, ახალციხეში – 24. არიან სხვაგანაც.

### ლოლიაშვილი

გვარის ფუძედ გამოყენებულია ქალის საკუთარი სახელი **ლოლი, ლოლა.**

„იოვე **ლოლიაშვილი** დიდ თონეთში მოიხსენიება 1843 წლის აღწერაში“.

**ლოლიაშვილები** მოიხსენიებიან სოფელ საღარაშენში.

საქართველოში 81 **ლოლიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 19, ქარელში – 9, გარდაბანში – 3. არიან სხვაგანაც.

### ლუქუნიძე

გვარის ფუძე, სავარაუდოდ, არის საკუთარი სახელი **ლუკა, ლუკიანე**, რაც ლათინურად „მანათობელს“, „ბრწყინვალეს“ ნიშნავს. მომდინარეობს სიტყვისგან **ლუქსი** – „სინათლე“. მასვე უკავშირდება ფრანგულის გზით გავრცელებული სიტყვა „**ლუქსი**,“ რომელიც აღნიშნავს სასტუმროს საუკეთესო ნომერს. ასევე, სავარაუდოდ, ამ გვარის თავდაპირველი ძირი იყო **ლუხუმი, ლუხუმა.**

1700 წელს მოხსენიებულია „პაპუნა სადუნიშვილი-**ლუქუნის** ძეს ეწერა სამასპინძლო“.

საქართველოში 125 **ლუქუნიძე** ცხოვრობს: ქარელში – 91, ბორჯომში – 7, თბილისში – 2. არიან სხვაგანაც.

### ამირხანაშვილი-ამირხანოვი

ქართული გვარი **ამირხანაშვილი**, რომელიც ზოგჯერ რუსული ფორმანტი **ოვით** გვხვდება გაფორმებული (მაგალითად, **ამირხანოვი**), ნაწარმოებია მამაკაცის საკუთარი სახელიდან **ამირხანა**. ეს სახელი გვხვდება 1537-1538 წლებშიც. 1646 წელს კი უკვე მოიხსენიება როგორც გვარი, ისე თიკუნი – ამირხანაანი.

**ამირხანაშვილი** და **ამირხანოვი** ქართული გვარებია, **ამირხანიანი** კი – სომხური. ქართველებსა და სომხებს საერთო სახელები ბევრი გაგვაჩნია. ყველა ისინი, როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ, ვისესხეთ უცხო ხალხისგან და, სწორედ ამიტომ გვაქვს მსგავსი




ფუძის გვარები. აქ არაფერია უცნაური და დასაძრახისი, ასევე იქცეოდნენ სხვა ერებიც.

საქართველოში 694 **ამირხანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 244, ნინოწმინდაში – 160, ახალქალაქში – 98. არიან სხვაგანაც.

### კახიშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **კახაბერი**. მისი – კნინობით-ალერსობითი ფორმაა **კახა**. აქედანაა გვარი **კახიშვილი**. **კახაბერიდან** არის წარმოქმნილი ქართული გვარები: **კახაბერაშვილი, კახაბერიძე, კახაბრიშვილი, კახაია, კახაშვილი, კახაძე, კახაჯორაული, კახიანი, კახიაშვილი, კახიშვილი, კახიძე.**

**კახიშვილები** თავადები იყვნენ. მათ გვარი **ვახვახიშვილიდან** მიიღეს. „თოთხმეტი თავადი **ვახვახიშვილი**, იყვნენ პირველ სამცხის თავადნი, **ვახვახად** წოდებულნი, მეფობასა დიმიტრისა, წელსა 1294-ისა, ხოლო უკანასკნელ მოვიდნენ კახეთსა შინა თელავს და დასახლდნენ მუნ და იწოდებიან **ვახვახისშვილნად**, თავადად, აგრეთვე, ბაზიერთ-ხუცისშვილადაც. ხოლო სახლის კაცნი ამათნი იწოდებიან **ყორჩიბაშისშვილებად** და **კახისშვილებად**... **ყორჩიბაშისულსა** გაუთვისდათ სახელისა გამო, რომელ **ყორჩიბაში** სპარსულად ნიშნავს აბჯართუხუცესობას, ხოლო **კახისშვილთ** მამულ სახელისა გამო გაუთვისდათ“ (იოანე ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა).

საქართველოში 420 **კახიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 192, კასპში – 44, ახალციხეში – 33. არიან სხვაგანაც.

### ციმაკურიძე

აზნაური **ციმაკურიძეები** თავდაპირველად ჩანდნენ ახალციხეში და „მუნიდგან იმერეთს და ამათგანი გარდმოვიდნენ ქართლს და დაეშვნენ და ჩანდნენ ვახტანგ მეფისავე დროსა აზნაურად წელსა 1717 და არიან რომელნიმე სამეფოც და საკათალიკოზოც იმერეთს და ქართლსა შინა მოსახლენი და მოხსენებულნი ტრაკტატსა შინაცა“ (იოანე ბაგრატიონი. „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა ოჯახებისა“). „**ციმაკურიძე** – სათაქთაქიშვილო აზნაური“.

აზნაური **ციმაკურიძეები** თავად თაქთაქიშვილის აზნაურები იყვნენ. აზნაური **ციმაკურიძეები** შეტანილნი არიან 1783 წლის 24 ივნისს ხელმოწერილ გეორგიევსკის ტრაქტატის თანდართულ სიაში. **ციმაკურიძე** თავად ამილახორისშვილის აზნაურიც არის.

საქართველოში 529 **ციმაკურიძე** ცხოვრობს: თბილისში – 255, ბოლნისში – 75, საჩხერეში – 48. არიან სხვაგანაც.

### კვეკვესქირი

ამ გვარის ისტორიაზე მომუშავე პირები გვარის შემადგენლობაში მონაწილე ფუძეს – **კვეკვეს**, მამაკაცის საკუთარ სახელს – **კვირიკეს** უკავშირებენ. წმიდა **კვირიკეს** შესატყვისებია ქართულში – უფლისა, აქედანაა გვარი – უფლისაშვილი; ბერძნული **კვირა, კვირიოს** („უფალი“, „ბატონი“), საიდანაც ნაწარმოებია კვირიკე, საფუძვლად უდევს, ასევე, არაერთ სხვა სახელსაც, მაგალითად: კაცის სახელები – **კვირიონ (კირიონ), კვირაისი (კიროსი), კირიაკ, კირიან**. ამათგან წარმოქმნილია ქალის სახელებიც: **კირა, კირიაკა, კირიანა** და სხვანი.

**კვირიკედან** მომდინარეობს ქართული გვარები: **კვირიკაშვილი, კვირიკაძე, კვეკვესქირი, კვეკვესკირი** (სუფიქსად გამოყენებული სქირი, სკირი, მეგრულში შვილს ნიშნავს – **კვეკვეშვილი**). მეგრულში **კვირიკეს** ვარიანტებია: **კვეკე, კვეკვე, კვერკვე**. სოფლის სახელწოდებაა **წინაკვერკვე** – „წმიდა **კვირიკე**“.

საქართველოში 20 **კვეკესქირი** ცხოვრობს: თბილისში – 17, ბორჯომში – 3.

852 **კვეკვესკირი**: ზუგდიდში – 293, თბილისში – 228, წალენჯიხაში – 89. არიან სხვაგანაც.

115 **კვეკვესქირი**; ზუგდიდში – 73, თბილისში – 24, სენაკში – 4. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის**
**მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# სასურველი შედეგისკენ მიმავალი იოლი გზა

***თანამედროვე ნორმების მიხედვით, კალორიების საშუალო დღეღამური ნორმა ქალებისთვის შეადგენს 1 800-2 000 კილოკალორიას, მისი ფიზიკური დატვირთულობის გათვალისწინებით. შესაბამისად, წონაში დაკლების სურვილის შემთხვევაში, თანაც ისე, რომ ორგანიზმი არ გამოიფიტოს და დასუსტდეს, მან უნდა მიიღოს დღეში 1 400-1 600 კილოკალორია. ზოგს, შეიძლება, ეს ცოტა მოეჩვენოს, მაგრამ, უმჯობესია, სასურველ შედეგს მივაღწიოთ ნელი ნაბიჯით და წონის აღდგენის საშიშროების გარეშე.***

### სითხე

ზოგადად, სითხის მიღების საშუალო ნორმაა 1,5-დან 2 ლიტრამდე, ხოლო, თუ მიმდინარეობს გახდომის პროცესი, მაშინ – უფრო მეტიც. მაგრამ, წყლის რაოდენობის გაზრდა უნდა მოხდეს მხოლოდ ექიმ-დიეტოლოგის რჩევით, რომელიც გაითვალისწინებს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას.



გახსოვდეთ: წყალი ერთნაირი რაოდენობით უნდა სვათ წლის ნებისმიერ დროს (ზოგიერთს ჰგონია, რომ ზამთარში ნაკლები სითხის მიღებაა საჭირო, რაც არასწორია). გარდა ამისა, უმჯობესია, სვათ ჩვეულებრივი სასმელი წყალი ან ხილისა და ბალახების (ან – მწვანე) ჩაი უშაქროდ.

### მენიუ

პროდუქტები იყოფა 4 ჯგუფად:

1. მარცვლეული და კარტოფილი.
2. თევზი, ხორცი, კვერცხი, ზღვის პროდუქტები, რძის პროდუქტები.
3. ცხიმის შემცველი პროდუქტები და შაქარი.
4. ხილი და ბოსტნეული

თქვენი დიეტოლოგის დახმარებით, ამ პროდუქტების გამოყენებით შეადგინეთ ყოველდღიური მენიუ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული კომპონენტის ენერგეტიკული ღირებულება, რათა არ გადააჭარბოთ კალორიების დღიურ ნორმას.

### მოვათვინიეროთ მადა

ამისთვის საჭიროა, შევიმუშაოთ კვების რეჟიმი. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, დღის პირველ ნახევარში საკვებისგან მაქსიმალურად თავის შეკავება გვიბიძგებს დღის მეორე ნახევარში ზომაზე მეტის ჭამისკენ. ამიტომ, მკაცრად უნდა დაიცვათ კვებასა და კვებას შორის შუალედების ხანგრძლივობა – 3-4 საათი და მაქსიმალურად შეეცადეთ, რომ ყოველდღე ზუსტად ერთსა და იმავე საათზე მიირთვათ.

თუ ისე მოხდა, რომ ამ 3-4 საათის განმავლობაში ძალიან მოგშივდათ, დალიეთ 1 ჭიქა უშაქრო მწვანე ჩაი (ცივი ან ცხელი, მნიშვნელობა არ აქვს), ან, მიირთვით უმი კომბოსტოს 1-2 ცალი ფოთოლი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი ვაშლი ან 1 ჭიქა უცხიმო მაწონი (ცხადია, ამ პროდუქტებიდან ერთ-ერთი, და არა ყველა ერთად).

შიმშილის დასაოკებლად არსებობს სპეციალური ვარჯიშიც: დადექით სწორად. შესუნთქვისას გამოზნიქეთ მკერდი და შეისუნთქეთ მუცელი; ამოსუნთქვისას კი პირიქით – შეზნიქეთ მკერდი და მაქსიმალურად „გამობერეთ“ მუცელი. ვარჯიში გაიმეორეთ 30-40-ჯერ.

### როგორ შევინარჩუნოთ შედეგი

თუ წონაში კლება ორგანიზმისთვის სტრესების გარეშე მიმდინარეობდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შეიმუშავა საკვების გადამუშავების სწორი ჩვევები და, შესაბამისად, წონის შენარჩუნებაც არ გაგიჭირდებათ, მაგრამ, ამის მიუხედავად, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება კვების რეჟიმს დიეტის დასრულების შემდეგაც: მიირთვით დღეში 4-5-ჯერ, ცოტ-ცოტა და, ამასთან, მენიუში ჩართეთ დღეში 500 გრამი ცოცხალი ბოსტნეული.

წარმატებებს გისურვებთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ და რა სიხშირით გავიკეთოთ სახის კანის პილინგი და კომპრესი სახლის პირობებში?**

**პასუხი:** კვირაში ერთხელ ან ორჯერ გაიკეთეთ სახის კანის ღრმად გაწმენდა: პირის დაბანის შემდეგ მთელ სახეზე დაიფინეთ ცხელ წყალში დასველებული და ოდნავ გაწურული (წყალი რომ არ ჩამოგეწვეთოთ) სქელი პირსახოცი და ცოტა ხანს გაიჩერეთ, რომ კანი კარგად დარბილდეს (სახე არ დაიწვათ), ამის მერე წაისვით პილინგი, რომელსაც იყენებთ ხოლმე; ჩამოიცვით სახეზე ცელოფნის ქუდი (ან პარკი), ოღონდ, რამდენიმე ადგილას გახვრიტეთ, რომ ისუნთქოთ) და წამოწექით 10-15 წუთით. შემდეგ დოლბანდის ტამპონით მთელი სახე მსუბუქად დაიმასაჟეთ, ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით მკვებავი.

განსაკუთრებული შედეგი აქვს კონტრასტულ კომპრესებს: მოიმზადეთ ორი სქელი პირსახოცი. ერთი დაასველეთ საშუალოდ ცხელ წყალში, მეორე – ცივში. მთელ სახეზე (კომპრესის გაკეთება ძალიან კარგია ყელზე და დეკოლტეზეც) მჭიდროდ დაიფინეთ ჯერ ცხელი პირსახოცი და აცადეთ, გაცივდეს, შემდეგ კი ის ცივ წყალში დასველებული პირსახოცით შეცვალეთ. პროცედურა გაიმეორეთ 3-4-ჯერ, შემდეგ კი წაისვით მკვებავი.

**კითხვა: როგორ გავიკეთოთ ლოსიონის დამატენიანებელი ნიღაბი?**

**პასუხი:** წინასწარ მოიმარაგეთ მიტკლის რამდენიმე ხელსახოცი (დაახლოებით ხელისგულის ზომის); ჯერ დაასველეთ წყლით და მაგრად გაწურეთ, შემდეგ კი გაჟღინთეთ თქვენი კანის შესაფერისი ლოსიონით და კომპრესივით (მჭიდროდ) დაიფინეს სახეზე 10-15 წუთის განმავლობაში. მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრობას: ჯერ უნდა დაიფინოთ ცხვირზე და ტუჩების გარშემო; შემდეგ – შუბლზე, ლოყებზე (თვალების ჩათვლით) და ბოლოს – ნიკაპზე (ღაბაბის ჩათვლით).

**კითხვა: როგორ გავიკეთო ლოსიონის დამატენიანებელი ნიღაბი?**

**პასუხი:** წინასწარ მოიმარაგეთ მიტკლის რამდენიმე ხელსახოცი (დაახლოებით ხელისგულის ზომის); ჯერ დაასველეთ წყლით და მაგრად გაწურეთ, შემდეგ კი



გაჟღინთეთ თქვენი კანის შესაფერისი ლოსიონით და კომპრესივით (მჭიდროდ) დაიფინეთ სახეზე 10-15 წუთის განმავლობაში. მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრობას: ჯერ უნდა დაიფინოთ ცხვირზე და ტუჩების გარშემო, შემდეგ – შუბლზე, ლოყებზე (თვალების ჩათვლით) და ბოლოს – ნიკაპზე (ღაბაბის ჩათვლით).

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# სათანადოდ გამოვიყენოთ შემოდგომის ნობათი

***საქართველო წელიწადის ნებისმიერ დროს არ უჩივის ხილის მრავალფეროვნებას, მაგრამ შემოდგომა ამ მხრივ განსაკუთრებულია, მით უფრო, რომ „ჩვენს“ ხილს ეგზოტიკური ქვეყნებიდან შემოტანილი ათასგვარი სასარგებლო ხილი ემატება. ამიტომ, უგუნურება იქნება, არ გამოვიყენოთ ისინი ორგანიზმის გასაკაჟებლად და გარეგნობის მოსაწესრიგებლად.***



**ბროწეული** „ზარმაცი“ კუჭის ერთ-ერთი საუკეთესო მასტიმულირებელი საშუალებაა. მისგან მზადდება უნიკალური ზეთი, რომელიც იცავს ორგანიზმს კიბოსგან, აახალგაზრდავებს და მდიდარია ცხიმების დამშლელი F და E ვიტამინებით.

**ანანასი** წმენდს სისხლს და ააქტიურებს იმუნურ სისტემას; სასარგებლოა ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის საწინააღმდეგოდ. მასში შემავალი ალფაჰიდროქსილური მჟავები აღადგენს კანის მკვდარ უჯრედებს, ავსებს ტენით და ხელს უწყობს კოლაგენის გამომუშავებას. ანანასის ნილაბი ასწორებს და ხავერდოვანს ხდის კანის ზედა ფენას.

**პაპაია** აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს მხედველობას, წვავს ცხიმებს, აღადგენს ღვიძლის ფუნქციებს.

**მანგო** შეიცავს მსუბუქ დამამშვიდებელ ნივთიერებას. ერთი ცალი ნაყოფი შეიცავს კალიუმის სადღეღამისო ნორმას, რაც აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობისთვის. ნივთიერება მანგოფერინი, რომელსაც შეიცავს მანგოს ხე, ანელებს კიბოს განვითარების პროცესს. გარდა ამისა, მანგოს ზეთი შესანიშნავად ატენიანებს კანს.

# ვინ იყო „ცაცია“, რომელიც საბჭოთა შავი სამყაროს შეცვლას ცდილობდა

თეთრი „ვოლგა გაზ-24“ ელიტური სახლის სადარბაზოსთან შეჩერდა. იქიდან შუახნის ღიპიანი მამაკაცი გადმოვიდა და სადარბაზოში შევიდა. ლიფტი გამოიძახა და დაელოდა. ირგვლივ არავინ იყო, მხოლოდ ლიფტის ხმა არღვევდა სიჩუმეს.

– უკაცრავად, თქვენ პეტრე ჩხიკვაძე ხართ? – მოესმა ღიპიანს და შეტრიალდა.

– დიახ, გახლავართ, – დაუდასტურა მან უცნობს, რომელსაც გაეღიმა და მიუგო:

– მშვიდობით, – თან, სამი ტკაცუნის

**„ქურუმა“ ვაკელი ძველი ბიჭი იყო და მილიციას მან მკვლელის ფოტორობოტი შეადგენინა**

ხმა გაისმა და მაყუჩიანი პისტოლეტიდან გასროლილი ტყვიები კაცს მუცელში, გულსა და შუბლში მოხვდა.

ეს ამბავი 1973 წლის 28 მაისს მოხდა ვაკეში, იმ დროისთვის ერთ-ერთი ფეშენებელური სახლის სადარბაზოში. მოკლული იყო 47 წლის თბილისელი იატაკქვეშა მილიონერი პეტრე აპოლონის ძე ჩხიკვაძე. იმავე დღეს ქალაქის პროკურატურამ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა და გამოძიება ნოდარ ჯაფარიძეს დაევალა.

### მოკვლევა

ნოდარ ჯაფარიძე ენერგიულად შეუდგა ჩხიკვაძის საქმის გამოძიებას და ელიტური სახლისა და მისი მეზობელი კორპუსების ყველა მობინადრე დაკითხა. შედეგმა არ დააყოვნა და ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელიც ამ საქმის მასალებში „ინკოგნიტოდ“ მოიხსენიებოდა, ჯაფარიძეს უთხრა:

– ფანჯრიდან ვიყურებოდი, ჩემს ვაჟს ველოდებოდი, რომელიც სამსახურიდან უნდა მოსულიყო. ამ დროს ტელეფონის ჯიხურთან მდგომ „მოსკვიჩში“ თეთრპულოვერიანი მამაკაცი ჩაჯდა და წავიდა.

„ინკოგნიტომ“ ჯაფარიძეს „მოსკვიჩის“ნომერი ჩააწერინა, მაგრამ მძღოლის სახე ვერ აღწერა, რადგან ის მისგან ზურგით იდგა. თუმცა, თქვა, რომ უცნობი ცაცია იყო.

– ეგ როგორ დაადგინეთ?

– მან „მოსკვიჩის“ კარი მარცხენა ხელით გააღო და სახელურიც მარცხენათივე ჩამოსწია.

„ინკოგნიტომ“ ჯაფარიძეს ისიც უთხრა, რომ „მოსკვიჩის“ მძღოლის სახე ვინმე „ქურუმამ“ დაინახაო. თურმე ის იმ დროს ქუჩაში იყო და მძღოლისკენ მიდიოდა და, სავარაუდოდ, სახესაც დაინახავდაო.

ქურუმა ვაკელი ძველი ბიჭი იყო და მილიციაში რომ მიიყვანეს, ხმას არ იღებდა. თუმცა, შესაბამისად რომ დაამუშავეს, „მოსკვიჩის“ მძღოლის სახე დაწვრილებით აღწერა. მისი თქმით, ის კაცი იყო ხუჭუჭთმიანი, მარცხენა წარბზე იარით, ნიკაპი კი – ჩაჩხვლეტილი. ჯაფარიძემ ისიც გაარკვია, რომ აღნიშნულნომრიანი „მოსკვიჩი“ ჩხიკვაძის მკვლელობის დროს იყო გატაცებული. მოვიდა, აგრეთვე, ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხიც და დადგინდა, რომ „მაკაროვის“ სისტემის იარაღი, რომლიდანაც ჩხიკვაძე მოკლეს, ვინმე ალექსი კოკაიას მკვლელობაშიც ფიგურირებდა. 1972 წელს, კოკაია ქუთაისში მოკლეს და ის საქმეც გაუხსნელი იყო. მოწმეების ჩვენებით, იქაც ვინმე „ცაცია“ ფიგურირებდა, რომლის პიროვნებაც გამოძიებამ ვერ დაადგინა.

### კვალი

ქურუმას აღწერილობის მიხედვით, ჯაფარიძემ ფოტორობოტი შეადგინა და ბოროტმოქმედთა კარტოთეკას შეადარა, მაგრამ ამან ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. გამომძიებელი ალექსი კოკაიას მკვლელობის საქმესაც გაეცნო და დაადგინა, რომ მოკლული კოკაია წარსულში სამჯერ ნასამართლევი ყაჩაღი, მეტსახელად „ბრუტო“ იყო. მის საქმეში კი ბრუტოს მკვლელობის არც მიზეზი და არც მოტივი არ იყო დასახელებული. ის, უბრალოდ, საფიჩხიაზე იპოვეს მკვდარი. ცაცია კი იმ კუთხით ფიგურირებდა საქმეში, რომ



ბრუტოს მეუღლემ, ცისანა ქარდავამ, გამომძიებელს უთხრა:

– ჩემი მეუღლე სახლიდან გასვლის წინ ჩემთვის უცნობ პიროვნებას ესაუბრა, რომელსაც „ცაციათი“ მიმართავდაო.

ჯაფარიძემ მკვლელობის იარაღის, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის წარმომავლობის დადგენა სცადა და გაარკვია, რომ პისტოლეტი ამ ნომრით 1971 წელს დაიკარგა ქალაქ როსტოვის სამხედრო ნაწილიდან. მაშინ ამ საქმის გამო სამი ადამიანი დასაჯეს და ერთ-ერთ მათგანს – კაპიტან კლიმენკოს, ერთწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. კლიმენკო ამ ამბის გამო სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს. ის როსტოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ერთადერთი რეალური ხელჩასაჭიდი ჩხიკვაძის მკვლელობის საქმეში იარაღი იყო და ჯაფარიძე როსტოვში ყოფილ კაპიტანთან, ანატოლი კლიმენკოსთან გაემგზავრა. შერისხული ოფიცერი ქალაქის ცენტრალურ უნივერმაღში მუშად მუშაობდა. ჯაფარიძემ ის შესვენებაზე მოიხელთა და უთხრა:

– „არუჟეიკის“ საქმეზე გაწუხებთ.

– იცით, რას გეტყვით, – თქვა კლიმენკომ, – ამ საქმემ მე კარიერა გამიფუჭა, თუმცა აბსოლუტურად მართალი ვიყავი და მაინც მე დამსაჯეს.

– სწორედ თქვენი კეთილი სახელის აღსადგენად უნდა ითანამშრომლოთ ჩემთან და იქნებ, დადებით შედეგს მივაღწიოთ, – არ მოეშვა ჯაფარიძე კლიმენკოს.

კლიმენკო ჯერ უარზე იდგა. ბოლოს მაინც ჯაფარიძის ნებას დაჰყვა და თქვა:

– სამხედრო ნაწილში მე შეიარაღებასთან არანაირი შეხება არ მქონდა. იმ ღამეს, როცა იქიდან „მაკაროვი“ და ორი ცალი დასაკეცი „აკაესი“ დაიკარგა, ჩემი მეგობრის, ვასკა პოტაპოვის თხოვნით ვმორიგეობდი. სწორედ ვასკა იყო „არუჟეიკის“ (შეიარაღების) უფროსი და ისიც პირობითად დასაჯეს. მორიგეობისას ჩამეძინა და დილას რომ გავიღვიძე, „არუჟეიკა“ უკვე გატეხილი იყო. მე ვამტკიცებდი, რომ წყალში დასაძინებელი ჩამიყვარეს-მეთქი, თუმცა არავინ მომისმინა. არც ჩემი ეჭვი გაიზიარეს, რომ „არუჟეიკა“ თენგიზ ყუფარაძის წაღებული იყო.

– ეგ ვინღაა?

– ჩვენთან „ზავხოზად“ მუშაობდა. არ გეწყინოს, გამომძიებელო, ის შენი თანამემამულეა, მაგრამ ასეთი დამპალი და ამბიციური კაცი ცხოვრებაში არ შემხვედრია.

– რატომ გგონია, რომ იარაღი მან გაიტაცა?

– თუნდაც იმიტომ, რომ იმ ღამეს მისი მათარიდან დავლიე წყალი. ის კი მოწამლული იყო, – თქვა კლიმენკომ.

– ეგ ყუფარაძე ცაცია ხომ არაა?

– შენ რა იცი? – შეცბა კლიმენკო.

– ესაა? – ჰკითხა ჯაფარიძემ და კლიმენკოს ცაციას ფოტორობოტი უჩვენა.

– ეგაა, – თქვა კლიმენკომ.

ჯაფარიძემ ოფიციალური ჩვენება ჩამოართვა კაპიტანს, შემდეგ თბილისში დაბრუნდა და თენგიზ იასონის ძე ყუფარაძის

ძებნას შეუდგა, რომელიც ოფიციალურად წყალტუბოში იყო რეგისტრირებული. ჯაფარიძემ შეგნებულად აირჩია ჩუმი გზა, რათა საკმარისი სამხილები მოეპოვებინა და ცაცია ფაქტებით დაეჭირა. ორკვირიანი კვლევა-ძიების შემდეგ, აგენტურული მონაცემების წყალობით, ჯაფარიძემ დაადგინა, რომ ყუფარაძე სოლოლაკში, ერთ-ერთ ძველ სახლში ქირაობდა ბინას.

### ბერლინის ოპერაცია

ნოდარ ჯაფარიძე გამოცდილი თანამშრომელი იყო და ინფორმატორთა კარგად ორგანიზებული ქსელი ჰქონდა. ამიტომ მან სოლოლაკელი „ყურცქვიტა“ დაიბარა და დაადგინა, რომ ცაცია 20-21 წლის ბიჭების „სულიერი მოძღვარი“ გახლდათ და მათგან ორგანიზებულ ბანდას აყალიბებდა.

– უფროსო, – უთხრა ყურცქვიტამ ჯაფარიძეს, – მაგან გვითხრა, რომ რეკეტიორობა უნდა დავიწყოთო და რაღაც მაფიაზე გვიყვებოდა. რა ჯანდაბაა, ნეტავ?

ყურცქვიტას მონათხრობიდან ჯაფარიძე მიხვდა, რომ ცაცია კარგად ორგანიზებულ გამომძალველთა დაჯგუფებას ქმნიდა, რაც იმ პერიოდისთვის სიახლე იყო და გადაწყვიტა, ინიციატივა საკუთარ თავზე აელო. მან ამ საქმეში 22 წლის გურამ ნებიერიძე ჩართო, რომელსაც მილიციის სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა მოსკოვში. ნებიერიძე სოლოლაკში დაასახლეს, ლეგენდა შეუდგინეს და ერთ მშვენიერ დღეს ის ცაციას ბინაში მოხვდა. ჯაფარიძის ჩანაფიქრით, გამომძალველთა ბანდის პროვოცირება უნდა მომხდარიყო და მთელ გადამალულ არსენალთან ერთად ცაცია უნდა აეყვანათ. ნოდარ ჯაფარიძე ძველი ყაიდის ჩეკისტი იყო და თავისი ახალგაზრდა კოლეგებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ სრულყოფილ ოპერაციებს ატარებდა. სანამ ყველაფერს ბოლომდე არ გათვლიდა, ნაბიჯს არ გადადგამდა. მართალია, მას შეეძლო ყუფარაძის დაკავება, დამუშავება და ბინის ჩხრეკა, მაგრამ შედეგისთვის რომ ვერ მიეღწია, მაშინ ცაცია უნდა გაეშვა. ამით კი საშიშ ბოროტმოქმედს სამუდამოდ დაკარგავდა. სწორედ ამიტომ აირჩია ჯაფარიძემ ნებიერიძის ვარიანტი და ორთვიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, ცაციასთან შეგზავნილმა აგენტმა უფროსს უპატაკა:

## „ცაცია“ და მისი 12 ბანდიტი მილიციამ ერთი გასროლის გარეშე აიყვანა

– ნოდარ გიორგიევიჩ, ცაციას სრული ნდობა მოვიპოვე. მასთან საუბარში გავარკვიე, ჩხიკვაძე იმის გამო მოკლა, რომ მან 50 ათასი მანეთის გადახდა არ ისურვა. ცაცია მილიონის შოვნას გეგმავს და გრანდიოზული დაჯგუფების შექმნას აპირებს. სულ ალ კაპონე აკერია პირზე და საბჭოთა „შავი სამყაროს“ ამერიკულ ყაიდაზე გადაყვანა უნდა.

– საქმე თუ შესთავაზე?

– თანახმაა. ზეგ ყველანი ერთად წავალთ ამ საქმეზე და აბა, თქვენ იცით, ერთი გასროლის გარეშე უნდა აგვიყვანოთ.

– დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი ისეა ორგანიზებული, როგორც ბერლინის ოპერაციის დროს. მთავარია, ცაციამ არაფერი იყნოსოს და თავის იარაღიანად წამოვიდეს ამ საქმეზე.

ნოდარ ჯაფარიძის ჩანაფიქრმა გაამართლა და ცაცია, რომელიც „მაკაროვით“ და როსტოვის სამხედრო ნაწილიდან გატაცებული „აკაესის“ ავტომატებით, აგრეთვე, ორი „ნაგანით“ იყო შეიარაღებული, თავის თორმეტკაციან ბანდასთან ერთად, დიღომში, ზარაფხანაზე თავდასასხმელად გაემართა. ნებიერიძემ ცაცია დაარწმუნა, რომ იქ 60 კილოგრამი ოქრო და 350 ათასი მანეთი ინახებოდა. როცა ცამეტივე მძარცველი ფაბრიკის ეზოში შევიდა, უეცრად ოთხი მხრიდან მძლავრი პროჟექტორები აინთო და ბანდიტები გაანათა, ნოდარ ჯაფარიძემ კი მეგაფონით გამოაცხადა:

– ალყაში ხართ, ერთი გასროლა და გაუფრთხილებლად გაგიხსნით ცეცხლს!

ყველამ იარაღი დაყარა, როდესაც მილიციელებს ხელბორკილდადებული ცაცია მიჰყავდათ, ჯაფარიძემ ნებიერიძეს უთხრა:

– ბერლინის ოპერაციაში პროჟექტორების ეფექტს ვგულისხმობდი...

ყუფარაძემ, იგივე ცაციამ, ყველა მკვლელობა აღიარა და ის ორთაჭალის ციხეში დახვრიტეს...

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

### 7 ოქტომბერი

1571 – ლეპანტოს ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ მიგელ დე სერვანტესმა მარცხენა ხელი დაკარგა.

1971 – გამოვიდა 13 წლის მაიკლ ჯექსონის პირველი სინგლი.

### 8 ოქტომბერი

1085 – ვენეციაში აკურთხეს სან-მარკოს (წმიდა მარკოზის) ტაძარი.

1818 – კრივის მატჩის დროს პირველად იქნა გამოყენებული სპეციალური ხელთათმანები.

1980 – უკანასკნელად გამოვიდა სცენაზე ბობ მარლი.

### 9 ოქტომბერი

1872 – აარონ მონტგომერიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში გახსნა პირველი მაღაზია ფოსტით.

1962 – ედიტ პიაფისა და თეო სარაპოს ქორწილი.

1963 – ჰაერში აიჭრა პირველი ვერტმფრენი – „მი-8“.

### 10 ოქტომბერი

1975 – ელიზაბეტ ტეილორი ცოლად გაჰყვა რიჩარდ ბარტონს. ბარტონი მისი მეექვსე ქმარი იყო.

1976 – 98 წლის ბერძენმა დიმიტრი იორდანიდისმა 7 საათსა და 33 წუთში გაირბინა მარათონული დისტანცია.

1980 – ალჟირში მოხდა 7,5-ბალიანი მიწისძვრა. თითქმის მთლიანად დაინგრა ქალაქი ალ-ასლანსი. დაიღუპა 6 ათასი ადამიანი, უსახლკაროდ დარჩა 250 ათასი.

1995 – მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში გარი კასპაროვმა მოუგო ინდოელ გროსმაისტერ ვიში ანანდს და ამით შეინარჩუნა ტიტული.

### 11 ოქტომბერი

1881 – ამერიკელმა დევიდ ჰენდერსონმა დააპატენტა პირველი ფოტოფირი.

1931 – საბჭოთა კავშირში მიიღეს გადაწყვეტილება კერძო ვაჭრობის სრული ლიკვიდაციის შესახებ.

1939 – მეცნიერებმა: ენრიკო ფერმიმ, ლეო სილარდმა და იუჯი ვიგნერმა დაწერეს წერილი ფაშისტურ გერმანიაში ატომური ბომბის შექმნის საშიშროების შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა ალბერტ აინშტაინიც. წერილი მანვე გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ფრანკლინ რუზველტს.

1961 – სემიპალატინსკის პოლიგონზე მოახდინეს პირველი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.

1968 – ამერიკელებმა კოსმოსში გაუშვეს პირველი კოსმოსური ხომალდი – „აპოლონ 7“, რომლის ბორტზეც ადამიანები იყვნენ.

1976 – პეკინში დააპატიმრეს „ოთხთა ბანდა“ მაო ძედუნის მეთაურობით. ეს იყო ჩინეთში საფუძვლიანი ცვლილებების დასაწყისი.

### 12 ოქტომბერი

1492 – კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის ოფიციალური თარიღი.

1960 – ნიკიტა ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე გამოსვლისას, ტრიბუნაზე თავისი ფეხსაცმლის დარტყმა დაიწყო. სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ცდილობდა ამის გამო ახმაურებულ დარბაზში წესრიგის დამყარებას, ხელში შემოატყდა ჩაქუჩი.

1968 – მეხიკოში გაიხსნა მეცხრამეტე ოლიმპიური თამაშები.

### 13 ოქტომბერი

1792 – საფუძველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთა რეზიდენციას, რომელსაც შემდეგ „თეთრი სახლი“ ეწოდა. 1800 წელს მისი პირველი ბინადრები გახდნენ პრეზიდენტი ჯონ ადამსი და მისი მეუღლე – აბიგეილი.

1963 – „ბითლზის“ გამოსვლა ნახა 15 მილიონმა ტელემაყურებელმა დიდ ბრიტანეთში, რასაც მოჰყვა ფანების ვნებათაღელვა, სახელწოდებით – „ბითლომანია“.

**მისი ნამუშევრები დღეს ამერიკის საუკეთესო მუზეუმებს ამშვენებს. უცხოეთში ის ყველაზე ძვირად ღირებული ქართველი მხატვარია, საქრთველოში კი, თავის ნამუშევრებს, უბრალოდ, არ ყიდის ერთი მიზეზით – ხალხს შეძენის საშუალება არ აქვს. სამაგიეროდ, აქვს უამრავი გამოფენა. ხატები, ოჯახური ფოტოები, კოჭები, შურდულები, ნალები, მანდილოსნების ქუდები, მარაოები, ძველებური ხანჯლები, ხმლები, ჩონჩხის ნაწილები – ამ ყველაფერს მხატვარი მთელი ცხოვრება აგროვებდა, ხატავდა და თავის კოლაჟებსა და პოპ-არტებში იყენებდა. მაგრამ, არავინ იცის, მან საყოველთაო აღიარებამდე რა ტანჯვა-წამება გამოიარა – როგორ ექცა ამერიკაში 23-წლიანი ცხოვრება ჯოჯოხეთად. „ღირსების ორდენის“ კავალერს საქართველოში დაბრუნება პატრიარქის სიტყვებმა გადააწყვეტინა, როცა უწმინდესმა იანვარში, სამების ტაძარში მისი ნამუშევრების გამოფენაზე თქვა: ვლადიმერ კანდელაკი გენიალური მხატვარია, მას სამყაროს თავისებური, საოცარი ხედვა აქვს და ის საქართველოს სჭირდებაო. რამდენიმე თვის წინ ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სწორედ მას გადასცა თავისი მშობლების ფოტო და სთხოვა, დაეხატა, მხატვარს ახალი ნამუშევარიც ისეთივე არაჩვეულებრივი გამოუვიდა, როგორიც ყველა დანარჩენი.**

# როგორ გააკოტრეს ცნობილი მხატვარი ვლადიმერ კანდელაკი საქართველოში და რატომ ადანაშაულებდნენ მას ლონდონში სექსუალურ ძალადობაში

**– ბატონო ვლადიმერ, უპირველესად, დიდი მადლობა მინდა, გადაგიხადოთ ინტერვიუსთვის. როგორც ვიცი, 23 წელი ცხოვრობდით ქვეყანაში, სადაც, შეიძლება ითქვას, ცხოვრება ჯოჯოხეთად გიქციეს. მოგვიყევით როგორ აღმოჩნდით საეჭვო რეპუტაციის ხალხის ხელში?**

– საქართველო-ამერიკა-საბჭოთა კავშირის ფირმა „ლილეო-არტის” მიწვევით, 1990 წელს სამი თვით ამერიკაში გავემგზავრე. ფირმის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ თბილისში. ბევრი ქართველი მხატვრის სტუდია ინახულეს და არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. კონტრაქტი ბინით, სტუდიით, თარჯიმნით უზრუნველყოფას, მანქანით მომსახურებას, ამერიკაში ჩემი ჩასვლისთანავე ფილადელფიასა და სხვა ცენტრალურ ქალაქებში გამოფენების მოწყობას, ალბომის, პრინტისა და რეპროდუქციების გამოცემას ითვალისწინებდა. თავიდანვე გაუგებარი სიტუაცია შეიქმნა. თავიანთ საქმეებზე მიდიოდნენ და მე მარტო მტოვებდნენ. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა, სად მეჭამა და როგორ მოვქეულიყავი. მერე არაპრესტიჟულ უბანში გადავედით. მეზობლად, სარდაფში არაოფიციალური გალერეა გახსნეს, ქართველ მხატვართა ნამუშევრები ჰქონდათ შენახული. აზრას გაუგებარი კლიენტების გამოჩენისას ჰკიდებდნენ, როგორც კი ისინი წავიდოდნენ, ხსნიდნენ და ფანჯრებზე ფარდებს აფარებდნენ. ჩემი სურათები ცალკე, ეგრეთ წოდებული სპონსორის, ედუარდის სახლში ინახებოდა. შევეცადე, გამერკვია საერთოდ რა ხდებოდა, მაგრამ... ეს ისევ თავისას ერეკებაო, – ერთმანეთს ეუბნებოდნენ. სიბინძურიდან ამოგათრიეთ, შენ კიდევ უკმაყოფილო ხარო. ჩემთან ასეთი ლაპარაკი არ გაგივათ-მეთქი. პატარა შეხლა-შემოხლა მოგვივიდა. ფილადელფიის მუზეუმში გამოფენის მოწყობის დაპირება რომ არა, იქ ვერავინ ჩამიტყუებდა. მეორე დღეს თბილისში მიემგზავრებოდნენ. დავრჩი მარტო. რასაც დამპირდნენ არაფერი შეასრულეს. სულ ვილაცეები მიდი-მოდიოდნენ. ეტყობა, სპონსორთან რაღაცაზე ვერ რიგდებოდნენ. როგორც ჩანს, იგივე მოხდა მსხვილ ბიზნესმენთან, საყოველთაოდ ცნობილ როკ-ჯგუფის „როლინგსთოუნზის” ყოფილ პრეზიდენტთან დაკავშირებითაც, რომელიც მეუღლესთან ერთად საგანგებოდ ჩამოვიდა ჩემთან ლოს-ანჯელესიდან და ჩემი ნამუშევრებით აღფრთოვანებული, უკანვე გაემგზავრა. მერე გასაღები დამეკარგა და ძვირად ღირებული სლაიდები, ჩოხა და 1 000 დოლარი, რომელიც თავის დროზე მოსკოვში საკავშირო საექსპერტო სალონიდან მივიღე, ედუარდს დავუტოვე შესანახად. ის სლაიდები, აღარ დაუბრუნებია. პასპორტს, კი ჩამოსვლის მერე, ისედაც არ მიბრუნებდნენ. ეს თაღლითი ჩემი ფულით გაემგზავრა მაიამიში თავის საქმეებზე, მე კიდევ ცხრა დღე უკაპიკოდ დამტოვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვშიმშილობდი. მეათე დღეს გამოჩნდა ედუარდი. დიდხანს არ მიბრუნებდა ჩემს ფულს. ერთ ადგილას რუსული რესტორანი აღმოვაჩინე, სადაც ქართული სამზარეულოც ჰქონდათ. მე, ედუარდი და ადვოკატი წავედით. კარგი მომღერალი ჰყავდათ მარიკი, ნოსტალგიურ რომანსებს ასრულებდა და მას ვუსმენდი. როცა გაიგეს მხატვარი ვიყავი, რესტორნის მეპატრონეებმა თავიანთი სავიზიტო ბარათები ჯიბეში ჩუმად ჩამიჩურთეს – ჯობია, ჩვენ გაგყიდოთ, ვიდრე მაგათო. ჯონათანმა (ასე ერქვა ადვოკატს), ყევლა სავიზიტო ბარათი გამომართვა, თუმცა რა, მაინც ვერ გამოვიყენებდი, ტელეფონი არ მქონდა, პრინციპულად არ დამიდგეს.

**– ასეთ სიტუაციაში, ალბათ, გამოსავალს ეძებდით, როგორ დაგეღწიათ თავი იქაურობისთვის.**

– არავის უშვებდნენ ჩემთან. მერე მამა მარკის დახმარებით, საბჭოთა კონსული მესტუმრა. ჩემმა კაბალურმა მდგომარეობამ საშინლად აღაშფოთა, როცა აღმოაჩინა, რომ ჩემს პასპორტში ამერიკულვიზიანი გვერდი ამოგლეჯილი იყო. თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებთო, – მითხრა და საქართველოში დაბრუნებაში დახმარება შემომთავაზა. ცხადია, მხარში დგომა მჭირდებოდა, მაგრამ თბილისში უარა-



ამერიკაში წლების განმავლობაში დაგროვილი ფულით შემეძლო არხეინად მეცხოვრა, მაგრამ მინდოდა, რაღაც შემექმნა, ბაზა მქონოდა თბილისში

ფროდ დაბრუნება არ მინდოდა. მადელინმა მაინც მოახერხა ჩემთან შემოღწევა და გამაცნო პიტერ სტაინერი, რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე პენსილვანიის უნივერსიტეტიდან. ბოლოს და ბოლოს ნამუშევრები დამიბრუნეს, თუმცა ყველა ძალიან ცუდ მდგომარეობაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი თურმე ედუარდის ბინაში იატაკზე ეყარა, ხოლო „ვეფხისტყაოსნის” ილუსტრაციები გარდერობში, პალტოების უკან იყო შეჩურთული. მათი დაგრაგნა არაფრით არ შეიძლებოდა.

**– თქვენი ცოლ-შვილი ჩამოვიდა?**

– დიახ. გიორგი ფილადელფიის პრესტიჟულ სამხატვრო აკადემიაში მოვაწყვე. ჩემი მოკრძალებული ცხოვრება არ მოსწონდა. მსაყვედურობდა, – თბილისში ყველაფერი მქონდა – მანქანაც, სახელოსნოც, აქ კი ყველაზე უარესად ვცხოვრობთ. შენი სწავლება კი მარტო იმით შემოიფარგლება როგორ გამოვიყენო, რაც შეიძლება ცოტა სალებავიო. ნიუ-იორკისკენ ისწრაფოდა. ჯანა (მეუღლე) ქალაქგარეთ, ერთ-ერთ ნაცნობთან გაემგზავრა, იქნებ წავიმუშაოო. როცა მის ამხანაგს ვკითხე, რატომ წავიდა ჩემგან-მეთქი, მითხრა, ფულის გამოო. მე კიდევ ფული არ მქონდა. ასე დავრჩი მარტო. ვსვამდი კიდეც. ძლივს გამქონდა თავი.

ფილადელფიის გამოფენის შემდეგ, მყიდველები მხოლოდ რამდენიმე წლის მერე გამოჩნდნენ. ბოლოს უფრო მეტ თანხებს იძლეოდნენ გრაფიკულ ნამუშევრებშიც კი, მაგრამ, ხანდახან უარს ვამბობდი – ეს ყიდვა-გაყიდვა ყოველთვის მანერვიულებს. თბილისში ჩემს სურათებს არ ვყიდი. გალერეასა და მუზეუმებში ვაბარებ. თავიდან, პირევლივე გამოფენის შემდეგ, სამხატვრო აკადემიაში მუშაობა შემომთავაზეს. ამისთვის კი ინგლისურის შესწავლა იყო საჭირო. სპეციალურად გამომიგზავნეს სახლში პედაგოგები, მაგრამ მეცადინეობების გამო, სამუშაოს ვცდებოდი. ამიტომ, სწავლაზე უარი ვთქვი. კოლექციონერებმა – ლილია და გარიკ რასინებმა საკმაოდ მაღალ ფასად შეიძინეს ჩემი სურათები. ზოგი მათგანი, შემდგომში მათი დახმარებით, ერთ-ერთ ამერიკულ მუზეუმში მოხვდა. ენის უცოდინრობა ხელს მიშლიდა. გამომიჭერდნენ ხოლმე, კარგ გუნებაზე რომ ვიყავი და მეც ვჩუქნიდი არა მარტო სურათებს, ფულსაც.

**– როგორც ვიცი, თბილისში თქვენი სახელობის საქველმოქმედო ფონდი დააარსეთ, რომელიც შემდეგ გაკოტრდა. მერე პატიმრობაშიც აღმოჩნდით...**

– ამერიკაში წლების განმავლობაში დაგროვილი ფულით შემეძლო, არხეინად მეცხოვრა, მაგრამ მინდოდა, რაღაც შემექმნა, ბაზა მქონოდა თბილისში. შევქმენი ფონდი, რომელიც ეკლესიისა და მუზეუმის აშენებას, წიგნების გამოცემას, გამოფენების მოწყობას, სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნას, პედაგოგებისთვის პრემიების დაწესებას ისახავდა მიზნად. აი, ეს წლობით ნაგროვები მთელი ჩემი ქონება ფონდის პრეზიდენტს ჩავაბარე და ამერიკაში გავემგზავრე. მეგონა, რასაც ვაკეთებდი, პატრიოტული საქმე იყო და ჩემი თანამემამულეები არ მიღალატებდნენ. იქიდან ვრეკავდი ხოლმე და ფონდის საქმეებს ვკითხულობდი. ნელ-ნელა ირკვევა, რომ მუზეუმებისა და ტაძრის მშენებლობა ადგილიდანაც არ დაძრულა, მთელი ფინანსები, ღმერთმა უწყის, რაშია ჩადებული. ფონდი გაკოტრდა. ფული აქციებსა და რაღაც გაუგებარ კომპანიებშია ჩადებუ-



უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სწორედ მას გადასცა თავისი მშობლების ფოტო და სთხოვა, დაეხატა, მხატვარს ახალი ნამუშევარიც ისეთივე არაჩვეულებრივი გამოუვიდა, როგორიც ყველა დანარჩენი

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ნისან ზეტ 350", რომლისთვისაც შევიძინე სპორტული ტიპის საჭე. მაგრამ, მისი შეცვლის მცდელობისას აღმოჩნდა, რომ არ მიესადაგება ჩემს ავტომობილს. არადა, მისი შეძენის დროს (საჭე საფრანგეთში ვიყიდე) მითხრეს, რომ ის უნივერსალურია და ყველა ტიპის ავტომობილზე მიდის. შეცდომაში შემიყვანეს თუ რაიმეს არასწორად ვაკეთებ?**

**პასუხი:** თქვენ არავის მოუტყუებიხართ. მართლაც არსებობს უნივერსალური ტიპის საჭე, უბრალოდ, მას დამხმარე დეტალი ესაჭიროება, ეგრეთ წოდებული, გადამყვანი, რომელიც თქვენი ავტომობილის საჭის ღერძზე უნდა დამაგრდეს და მას მოერგოს საჭე. თქვენ სწორედ ეს გადამყვანი გჭირდებათ და კარგი იქნებოდა, თუ მას იქვე, საფრანგეთშივე შეიძენდით. მაგრამ, რადგან უკვე თბილისში ხართ, ამ კონკრეტული დეტალის შეძენა მოგიწევთ.

**კითხვა: მაინტერესებს, რატომ მიიჩნევა „ბეემვე" ყველაზე საშიშ ავტომობილად? ავტოავარიები ძირითადად, სწორედ ამ მარკის ავტომანქანებით ხდება და თან, თითქმის ყველა ფატალური შედეგით სრულდება.**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**პასუხი:** ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში ძალიან დიდი რაოდენობით „ბეემვეა". – რადგან აგრესიულია, ახალგაზრდებს მოსწონთ: უამრავ ლამაზ მანევრს ასრულებს, იქნება ეს „ზანოსით" გავლა, დრიფტი თუ სხვა. ამას კი, თავისი უკანაწამყვანობის ხარჯზე ახერხებს. სწორედ უკანა წამყვანი თვლები ხდება, ძირითად შემთხვევებში „ბეემვეს" ავტოავარიის მიზეზი... და რატომ? ამ საკითხს ცოტა ჩავუღრმავდეთ. თუკი, ავტომობილს, თუნდაც 20-25 კილომეტრ-საათში სიჩქარით გააქანებთ, საჭეს რომელიმე მხარეს ოდნავ მოუხვევთ და ხელის მუხრუჭს ამოწევთ, ავტომობილი მოცურდება. რიგ შემთხვევებში, ეს საკმარისი იქნება, ის 180 გრადუსითაც კი შემობრუნდეს. აქედან დასკვნა: უკანა საბურავების ბრუნვის რაიმე სახით შეფერხებისას და მით უმეტეს, გაჭედვისას, ავტომობილი მოცურების სიმულაციას ახდენს. თუ ამას გადავიტანთ „ბეემვეზე", რომელიც უკანაწამყვანია, გეტყვით, რომ გაზის პედალზე ოდნავი შეხებაც კი, უკანა თვლებს ბრუნვაში ძალიან სწრაფად მოიყვანს, მით უმეტეს, თუ ის ძლიერი ძრავითაა აღჭურვილი. თუკი არ არის იდეალური ზედაპირი, რაც ჩვენთან პრაქტიკულად არ არსებობს, ავტომობილი მოცურებას იწყებს, მით უმეტეს, სველ გზაზე და იმ საბურავებით, რომელსაც ჩვენთან მოიხმარენ. მათ პრაქტიკულად, მოდება საერთოდ აღარ აქვს. მეორე – აქსელერაციის, ანუ გაზის პედლიდან ფეხის სწრაფი აშვება სიმულირებს ისე, თითქოს ხელის მუხრუჭი ამოსწიეთ. ვინაიდან „ბეემვე" სპორტული ტიპისაა, ის ცდილობს, სიჩქარე სწრაფად დააგდოს. უკანა თვლების მკვეთრი შენელება, თუკი ამას არათანაბარი გზის საფარიც დაემატა, ბლოკირებას იწვევს, რის შედეგადაც ავტომობილი ცურდება. მდგომარეობა რთულდება, თუ ამ დროს რომელიმე მხარეს მანევრს ასრულებდით, ანუ საჭე უხვევდა. მოცურება ამ დროს გაცილებით საშიში ხდება. „ბეემვეს" მძღოლები, როგორც უკვე ვთქვით, ძირითადად ახალგაზრდები არიან. მათ არ ჰყოფნით გამოცდილება და ოსტატობა, რომ ასეთ მდგომარეობაში თავი არ ჩაიგდონ, ან გამოსავალი იპოვონ. ანუ, „ბეემვეს" გაზის პედალზე ფეხის მკვეთრმა დაჭერამ და აშვებამ, შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოთ. მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი – „ბეემვეში" არის ძალიან პატარა სასიცოცხლო სივრცე – ის სივრცე, რომელიც შეჯახებისას ადამიანს იცავს. ყველაზე დიდ „ბეემვეშიც" კი, სალონში სივიწროვეა, განსაკუთრებით უკანა მგზავრებისთვის, რომლებიც „ბეემვეს" ნებისმიერ მოდელში ჩაჭეჭყილები სხედან. მძღოლიც თითქოს კომფორტულად ზის, მაგრამ ავარიისას აღმოჩნდება, რომ მისი სხეულის მდგომარეობა შეჯახებისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: რატომ მიიჩნევა იაპონური ავტომობილი ყველაზე ხარისხიანად?**

**პასუხი:** იაპონური მანქანების პოპულარობას მარტივი მიზეზები აქვს. ხარისხის მოყვარული ხალხი ხარისხიან ნივთებს ქმნის. ისინი მაღალტექნოლოგიურად ამუშავებენ ნებისმიერ დეტალს. მართალია, ევროპული მანქანებიც საკმაოდ მაღალი ხარისხისაა, მაგრამ იმავე დონის მანქანა ევროპაში გაცილებით ძვირი ღირს. სიიაფეს ისიც განაპირობებს, რომ იაპონელები ძალიან ხშირად იცვლიან მანქანებს, ანუ ბევრი მანქანა იყიდება ზოგადად და თან, იაპონელი მწარმოებლები ევროპასთან შედარებით, გაცილებით უფრო ხშირად, ანუ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ უშვებენ ახალ მოდელებს.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

---

ლი, ყველაფერი გაიყინა. ვერ აგიწერთ, როგორ მიჭირდა, როგორ ვერ ვართმევდი თავს საქმეებს. ფონდის ყოფილმა პრეზიდენტმა მეც გამიმწარა სიცოცხლე და ბევრ სხვასაც.

2000 წლის 1 ივნისს ამერიკაში უნდა გავმგზავრებულიყავი, გადადება აღარ შეიძლებოდა. ლონდონამდე ხუთი საათი უნდა გვეფრინა. დრო რომ გამეყვანა, ჩემი ალბომები ამოვიღე და გადავშალე. გვერდით ჩავლილ სტიუარდესებს რამდენჯერმე ვთხოვე მოწევის უფლება. ვიცოდი, რომ სხვა რეისებზე მწეველებისთვის საგანგებო ადგილი იყო გამოყოფილი. ერთ-ერთი სტიუარდესა თავაზიანად მომიჯდა გვერდით. შევეცადე, კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა, ვიფიქრე, დეკლარაციის შევსებაში დამეხმარება და თან, ჩემს ალბომებს დავათვალიერებინებ-მეთქი. ბოლოს თავაზიანად ვეამბორე ხელზე, ლოყაზეც და პასპორტი გავუწოდე. ვერაფერი გავაგებინე. მოკლედ, ფრენა დასასრულს მიუახლოვდა. მოუთმენლად ველოდები ამერიკის რეისამდე დარჩენილ ორსაათიან შესვენებას ლონდონში, როცა შევძლებდი მშვიდად მომეწია აეროპორტის ბარში. გავემართე სატრანზიტო დარბაზისკენ და გასასვლელში პოლიციელები მაჩერებენ. „თქვენ დაპატიმრებული ხართ!" ჩემი ამერიკაში გაფრენის დროს გადასცილდა, დავწრმუნდი, რომ ჩემს გაშვებას არავინ აპირებდა. წამიკითხეს ბრალდება, სადაც ეწერა, რომ თვითმფრინავში მოწევა, სმა და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, სექსუალური ძალადობა დანაშაულიაო. ვერ გამეგო, ლამაზი ქალის ხელზე და ლოყაზე ამბორს და სურათების დათვალიერებას, რა კავშირი ჰქონდა სექსთან. თბილისიდან ამბავი ჩამომიტანეს, რომ მის უწმინდესობას, ილია მეორეს ჩემი დაპატიმრების შესახებ გაეგო და ქართული ეკლესიის სახელით ჩემს დასაცავად შუამდგომლობის წერილს ამზადებდა. მაგრამ, საქართველოში ინგლისის ელჩთან შეხვედრის შემდეგ, ეს თხოვნა შეუჩერებია, რადგან ელჩს დაუდასტურებია ჩემთვის წაყენებული სერიოზული ბრალდება სექსუალური ძალადობის შესახებ. მსგავს დანაშაულს ეკლესია მკვლელობის ტოლფასად მიიჩნევს. ლონდონში ჩემ ყოფნასთან დაკავშირებული თემურ მამაცაშვილისა და მისი მეუღლის, ირინას ოჯახი. მათი სახით მე წრფელი მეგობრები მყავდა, რომლებიც ყოველთვის მეხმარებოდნენ. პოლიციიის მეთვალყურეობის ქვეშ გატარებული ექვსი თვის განმავლობაში თავი თავისუფლად არ მიგრძნია. კონსულმა ირაკლი ჟორდანიამ, რომლის მხარდაჭერას და დახმარებას ყოველდღიურად ვგრძნობდი, თავისთან მიგვიპატიჟა, თვითონ მოგვიმზადა სადილი და კარგი მასპინძლობა გაგვიწია... ლონდონში გავიგე, რომ ფილადელფიაში ჩემი სტუდია დაეყადაღებინათ მთელი ჩემი სურათებითა და ქონებით. ასობით ჩემი სურათი სასწრაფოდ კაპიკებად უნდა გაყიდულიყო აუქციონზე. სრულიად შემთხვევით, ჩემმა მეგობრებმა – იულია და ოლია შევჩენკოებმა ამ პროცესის შეჩერება მოასწრეს. ასე გადავრჩი მეც და ჩემი სურათებიც... წარმოუდგენელი შემთხვევა, რაც თავს გადამხდა, საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ ეს ჩემი მტრების მიერ წინასწარ იყო დაგეგმილი. მათ ჩემი წინსვლის, ჩემი შემოქმედების შეფერხება უნდოდათ. ისინი ჩემივე ფულით მებრძოდნენ.

**ეკა პატარაია**



ძველი ოსეთი
ყარაბას-(........)
ილიას პოემის ყაჩაღი
პატარა გივი
სახურავის საფარი
რუსული თქმულება
ქალაქი გერმანიაში
სახელმწიფო წყნარ ოკეანეში
ქალაქი ესპანეთში
ფრანგი მევახშე
წინასწარმეტყველი ქალი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში
ქალაქი გერმანიაში
ქალის ინგლისური სახელი
საკომუნიკაციო საშუალება
სოხუმის აფხაზური სახელი
საგრაფო სამხრ-აღმოს. ინგლისში
ჭადრაკი ქალღმერთი
არაკანონიერი საყვარელი
ტუჩი
საუბარი
რას შვება ქარი?
აკუსტიკა
იმერეთის რაიცენტრი
თავს ესხმის ხოლმე
ბალერინა ნინო....
მწერალი (.....) ჩიანელი
ცნობილი აბაშიძე
კავშირი (ინგლ.)
სინდისი, ისტიბარი
დიდი შალაშინი
გერმანიის მდინარე
ზოგ სტუდენტს ეძლევა
ყირგიზეთის ქალაქი
კასპის რაიონის სოფელი
(........) შევჩენკო
(.....)-პაჩინო
პატარა ჩიტი
...კლაუსი
„დაისის“ პერსონაჟი
მისამღერი
სატელეფონო სიტყვა
ბატონი ჟანრი
ინდური ეპოსი
ქალის რუსული სახელი
არომატული სანელებელი
კომპოზიტორი (......) კალმანი
ქალის სახელი
(.......) არავიძე
უსინათლოთა ანბანის ავტორი
ხელოვნება
ლექსის ნაწილი
მუსიკალური ინსტრუმენტი
ქალის ინგლისური სახელი
აზიის მოყვარული
ცისარტყელას ქალღმერთი
ინდონეზიის კუნძული
ცურავს
ვივიენი
რიცხვი
ლისი
ტირში კიდია
ვაშლის ღვინო
ჩვენი გაზეთი
ხვიჩია
გერმანიის ქალაქი
გერმან. სახელი
პურს ეკიდება
(......) პიტი
შენთან ახლოს რაც არის
შავი ზღვის კურორტი
სიო
მანქანის ძარის სახეობა
ავისმზრახველი
ჩოგბურთელი ....სამპრასი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | 1 | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 2 | 3 | | | | | | 5 | 1 | 1 | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 4 | 4 | | | | | 6 | 4 | 9 | 8 | 1 | 3 | 5 | 4 | 2 | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | |
| | | | | | 1 | 1 | | | | 1 | 2 | 1 | 4 | 5 | 6 | 6 | 4 | 1 | 1 | 1 | 7 | 2 | 2 | 1 | 3 | 3 | 2 | 3 | 1 | 1 | 2 | 1 | | |
| | | | | | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | 4 | 1 | 1 | 4 | 4 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 5 | 2 | |
| | | | | | 1 | 2 | 10 | 10 | 10 | 10 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 24 |
| | | | 6 | 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 6 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 6 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 6 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 6 | 5 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 6 | 2 | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 6 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 6 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 5 | 3 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 24 | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 15 | 3 | 4 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 16 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 16 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 4 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 8 | 2 | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 6 | 1 | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 4 | 2 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 11 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | 5 | 2 | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 4 | 1 | 4 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 5 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 6 | 2 | 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 8 | 3 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 5 | | 6 | 1 | | 9 |
| 1 | | 2 | | 9 | | | 8 | |
| 8 | | | 2 | 3 | | | 4 | 7 |
| | 2 | 3 | | | 5 | 9 | | |
| 9 | | | 4 | 6 | | | 5 | 2 |
| | 8 | 4 | | | 2 | 6 | | |
| 7 | | 8 | 3 | | 9 | 4 | | 5 |
| | 9 | | | 4 | | | 1 | |
| | 4 | 6 | | 5 | 7 | 2 | | 8 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | 1 | | 6 | | 8 |
| | 6 | | | 2 | | | 3 | |
| 7 | 3 | | | | | 2 | | |
| 5 | | 3 | | | 2 | | 4 | |
| | 1 | | | 7 | | | 2 | |
| 2 | | | 1 | 4 | | | | |
| | 7 | | 2 | | 6 | | | 4 |
| | 5 | | | 8 | | | 7 | |
| | | | 9 | | | 1 | 8 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოთხკუთხედით დაიწყეთ ცხენის თავის ხატვა
2. მიახატეთ ცხენის კისერი და ყურები
3. მიახატეთ ღაგამი
4. გამოკვეთეთ ცხენის თავის ნაკვთები
5. დაასრულეთ ნახატი
6. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რომელ ბიჭუნას უჭირავს ფრანი



## დაითვალე ბუშტები



# მებადური

## (იგავ-არაკი)

ერთი მებადური იყო, თევზაობაში ჯერ კიდევ გამოუცდელი. ერთხელაც, ცალ ხელში ბადე დაიჭირა, მეორეში – სალამური და ზღვაზე ისე წავიდა. ჯერ სალამურს ჩაჰბერა – იფიქრა, თევზები სალამურის ტკბილ ხმაზე მოცვივდებიან და ფერხულს დაუვლიანო. ბევრს ეცადა, მაგრამ, ამაოდ. ბოლოს ბადე ისროლა. როცა მოსწია, ურიცხვი თევზი მოჰყვა. ბადეში თევზები სხმარტალებდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. მებადურმა წამოიძახა:

– ო, თქვე ეშმაკებო! როცა სალამურს ვუკრავდი, მაშინ არ გიცეკვიათ და ახლა რაღა გაცეკვებთო?

ეს იგავი იმაზეა ნათქვამი, ვინც არ იცის, სად და როგორ მოიქცეს.

## რიცხვრებუსი

,,3, 1,,, + ფ 1,,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ზღვის ფრინველი / მუსიკალური ბგერა | | | პატარა ძაღლი | |
| | | | | |
| ფილმი სამი ... კონკია-სათვის | | | ქალის სახელი | |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა**: **შემოდგომაზე კვების რაციონის შეცვლა ყველა ჯიშის ძაღლისთვის ერთნაირად საჭიროა თუ განსხვავებული აზრიც არსებობს?**

**პასუხი**: კვების რაციონის შეცვლა განსაკუთრებით იმ ცხოველებისთვის არის საჭირო, რომლებიც ეზოს პირობებში იმყოფებიან, რადგან, ეზოში მყოფი ძაღლები გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავენ. რაციონის შეცვლა გულისხმობს მისი ენერგეტიკული ღირებულების მომატებას, ანუ, მისი ყუათიანობის გაზრდას, რაც აისახება მასში შემავალი ინგრედიენტების გამრავალფეროვნებითა და ხარისხიანობით. ამ პერიოდისთვის მართლაც სასურველია ვიტამინებისა და მინერალების მიცემა, მაგალითად, მულტივიტამინებისა და მინერალების კომპლექსის სახით, ეს კი უზრუნველყოფს იმუნიტეტისა და ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობის გაზრდას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პერიოდისათვის. უნდა გაითვალისწინოთ, რომ, ჰაერის ტემპერატურის ვარდნასთან ერთად, დამახასიათებელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება, ასევე, ბეწვის ცვენა, რაც დაკავშირებულია შემოდგომის ლინკის პერიოდთან. ამიტომ, ამ პერიოდში ვიტამინების მიცემა აუცილებელია, რადგან ის უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემების შემცირებასა და ბეწვის ხარისხის გაუმჯობესებას. ლინკის პერიოდი, ასევე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში ცხოვრობს ცხოველი, ანუ, ძაღლისთვის, რომელიც ქუჩაშია და მასზე მოქმედებს მზის სხივები და გარემო ტემპერატურის ცვალებადობა, აღნიშნული პერიოდი შედარებით უფრო მალე მთავრდება იმ ძაღლებთან შედარებით, რომლებიც ოთახის პირობებში ცხოვრობენ; გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს ჯიშს, მაგალითად, პუდელს ნაკლებად აღენიშნება შემოდგომაზე ბეწვის ხშირი ცვენა, ლაბრადორსა და დალმატინელს კი ლინკი ეს მთელი წლის განმავლობაში უხანგრძლივდება.

**კითხვა**: **ჩემს ძაღლს ბოლო დროს ბეწვი უწინდებურად აღარ უბზინავს. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი**: შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ, ცხოველის ბეწვის ბზინვარება პირდაპირ კავშირშია მის ჯანმრთელობასთან და კვებასთან. ამიტომ, თუ ძაღლის ბეწვი არ ბზინავს, ეს ფაქტი უყურადღებოდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოთ, რადგან, ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. რაციონში რაიმე საკვები ინგრედიენტის უკმარისობა, იქნება ეს მიკრო თუ მაკროელემენტები, ვიტამინები, პროტეინები და ასე შემდეგ, ადრე თუ გვიან თავისებურ ზეგავლენას ახდენენ ბეწვის საფარველის საერთო მდგომარეობაზე. ჯანმრთელ და სწორად ნაკვებ ცხოველს ყოველთვის უბზინავს ბეწვი. უფრო მეტიც, ცხოველის ბეწვის ხარისხი შეიძლება, მისი ჯანმრთელობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია. ჯანმრთელი ძაღლის ბეწვის მდგომარეობის ნიშნებია: ბზინვა, სიფაფუკე, მოქნილობა და ცხიმოვანი ნადების რაოდენობა. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორი კვება ძაღლის ჯანმრთელობის გარანტიაა, რაც თავისთავად აისახება ბეწვის საფარველზე.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა**: **რისთვის არის საჭირო ნერტერას დანამვა?**

**პასუხი**: დანამვა საჭიროა მცენარის ნაყოფის განვითარებამდე. ეს პროცესი ტენს უფრო მოუმატებს, ტენი კი ხელს შეუწყობს ნერტერას ყვავილობასა და კენკრის სწრაფად დამწიფებას. ყვავილობის პერიოდშიც, განსაკუთრებით კი ზაფხულში, მცენარის ნიადაგი ტენიანი უნდა იყოს.

**კითხვა**: **იოლად იტანს თუ არა მანდევილა სიმშრალეს?**

**პასუხი**: მანდევილას ნიადაგი მშრალი არასდროს დატოვოთ. ზრდის პერიოდში რეგულარულად მორწყეთ ხოლმე. მას მიწა ყოველდღიურად უნდა შეუმოწმოთ, რომ არ გამოშრეს. მართალია, ზამთარში იშვიათად სჭირდება მორწყვა, მაგრამ, ნიადაგი ამ დროსაც არ უნდა იყოს მშრალი. ტენი მანდევილას მარადმწვანე ფოთლების შენარჩუნებაში უწყობს ხელს.

**კითხვა**: **ფინიკის პალმაზე ჩრდილი ცუდად ხომ არ მოქმედებს? ვამჩნევ, რომ კარგად ვერ ხარობს.**

**პასუხი**: თუ თქვენ ფინიკის პალმა ჩრდილში გიდგათ ის ვერ გაიხარებს. მისი გამძლე ფოთლები მზეს იტანს, მაგრამ, ჩრდილს – ვერა. ამიტომ, კარგად განათებულ ადგილას უნდა დადგათ. გირჩევთ, რომ ფინიკის პალმა ზამთრის ბაღში გადაიტანოთ.

**კითხვა**: **ბინაში მაქვს საკმაოდ კარგად გახარებული სენეციო. მეშინია, რომ ზამთრის სიცივემ არ დააზიანოს. ხომ ვერ მეტყვით, რა ზომები მივიღო წინასწარ?**

**პასუხი**: სენეციოს სითბო და მზეზე ყოფნა ნამდვილად მოსწონს. საერთოდ, მისთვის კარგია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი. ეცადეთ, რომ ზამთარში 10 გრადუსზე ნაკლებ ტემპერატურაზე არ ამყოფოთ, რათა ზედმეტმა სიცივემ არ დააზიანოს. გრილ დღეებში ერიდეთ მის ხშირ მორწყვას.

**კითხვა**: **რა პირობებში ხარობს კარგად ანანასი და ვარგისია თუ არა ოთახის პირობებში გაზრდილი ანანასის ნაყოფი?**

**პასუხი**: ანანასისთვის საუკეთესო პირობებია სითბო, კარგი განათება, საშუალო ტენიანობა და კარგი დრენაჟის მქონე მიწა. ოთახის პირობებში ნაყოფის დამწიფებას რამდენიმე თვე სჭირდება, ის საკმარისად ვერ იზრდება და საკვებადაც უვარგისია.

**კითხვა**: **მაინტერესებს, როცა აცივდება, ცრუ არალია ხშირად უნდა მოვრწყა?**

**პასუხი**: ცრუ არალია ანუ დიზიგოტეკა სიმშრალეს უფრო იტანს, ვიდრე ზედმეტ წყალს. მიწას შეშრობა უნდა აცადოთ. უკვე დეკემბრიდან, მთელი ზამთრის განმავლობაში წყლის რაოდენობა უნდა შეამციროთ. ფოთლები რბილი წყლით დაუნამეთ ხოლმე, თორემ, მუქ ფოთლებზე თეთრი ლაქები უჩნდება.

**კითხვა**: **რა ტემპერატურაზე ძლებს კოლეუსი?**

**პასუხი**: კოლეუსს სჭირდება ნორმალური ტემპერატურა, 18-20 გრადუსი, ხოლო ზამთარში მისთვის მინიმუმია 11-12 გრადუსი. მცენარე მოარიდეთ ამაზე უფრო დაბალ ტემპერატურას, რადგან, შეიძლება, ფოთლები დასცვივდეს. თუ ფესვები ტენიანი აქვს, ზოგჯერ მზის გულზე ყოფნასაც აიტანს.

**კითხვა**: **როგორი სინათლე მოსწონს ზამიოკულკასს?**

**პასუხი**: ეს აფრიკული მცენარე იოლად გასაზრდელია. ადვილად ეგუება ოთახის პირობებს და ჩრდილში ყოფნასაც კარგად იტანს, თუმცა, გაბნეულ შუქზე უკეთ იზრდება. სასურველია, თუ მას აღმოსავლეთის ან დასავლეთის ფანჯარაზე დადგამთ.

**მოამზადა**
**თეოგა გოზალიშვილმა**

# რატომ მოკლა მამაკაცმა ცოლი და მისი გარე ბიძაშვილი და სად ჩაუსაფრდა ის მეორე მსხვერპლს მთელი ღამის განმავლობაში



43 წლის რევაზ მ-იანი სასამართლომ დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის ბრალდებით. მას ორი ადამიანის მკვლელობისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. დაცვის მხარის მცდელობის მიუხედავად, შეცვლილიყო დანაშაულის კვალიფიკაცია, სასამართლომ ეს არ გაიზიარა და რევაზ მ-იანი დამნაშავედ მიიჩნია წინასწარ გამოძიებაში წაყენებული ბრალდებით. შემამსუბუქებელ გარემოებად არ იქნა გათვალისწინებული, არც ერთი ის გარემოება, რასაც დაცვის მხარე მოითხოვდა.

დამნაშავემ სასამართლო პროცესზე, წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში მონანიებით აღიარა მეუღლის მკვლელობის ფაქტი. თვითმხილველებმა სასამართლო პროცესზეც დაადასტურეს, რომ დამნაშავე ცდილობდა, გადაერჩინა მეუღლე – 40 წლის ნანა ბ-ია მას შემდეგ, რაც მას დანით ორი ჭრილობა მიაყენა. თუმცა, ამის შემდეგ აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა კიდევ ერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

43 წლის რევაზ მ-იანსა და მის მეუღლეს თანაცხოვრების ათი წელი აკავშირებდათ და ორი შვილიც ჰყავდათ. ოჯახის განცხადებით, წყვილს ურთიერთობაში არასდროს ჰქონია პრობლემები – უფრო მეტიც, როდესაც რევაზ მ-იანი ფინანსური მაქინაციების ბრალდებით ორწლიან პატიმრობას იხდიდა, ქალი თავად უძლვებოდა მამაკაცის გარეშე დარჩენილ ოჯახს, ზრდიდა ორ შვილს. როდის და როგორ დაიწყო პრობლემები ცოლ-ქმრის ურთიერთობაში, ამის შესახებ ოჯახის ახლობლების განცხადებით არავინ არაფერი იცოდა. ეს წყვილი საუკეთესოდ მიიჩნეოდა და მკვლელობა, რომელმაც მათი ახლობელ-ნაცნობთა წრე შეძრა, ყველასათვის წარმოუდგენელი იყო.

მკვლელობის დღეს რევაზ მ-იანი მეუღლესთან ერთად რამდენჯერმე ნახეს. დღისით ცოლი და ქმარი ერთად იყვნენ მეზობლის ოჯახში, სადაც გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცის „ორმოცის" სუფრა იყო გაშლილი. თვითმხილველთა განცხადებით, ნანა ბ-ია სუფრიდან მალე წავიდა, მას მეზობლისთვის უთქვავს: შეუძლოდ ვარ, სახლში წავალ და დავისვენებო. ცოლ-ქმარს ერთმანეთის სიახლოვეს ორი სახლი ჰქონდათ. ერთში ისინი შვილებთან ერთად ცხოვრობდნენ, მეორე ბინა კი ნანა ბ-იას მშობლების დანატოვარი იყო, რომელსაც ცოლ-ქმარი სათავსოდ იყენებდა. მკვლელობა სწორედ ამ სახლში მოხდა. მკვლელობის თვითმხილველმა მანანა ღ-ძემ, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა გარდაცვლილი ქალი, მოგვიანებით სამართალდამცველებთან განაცხადა: „ახალი შებინდებული იყო, მეზობლისგან გამოვედი და სახლში ვბრუნდებოდი. ციოდა და ყველა საკუთარ სახლში იყო გამოკეტილი. როდესაც რევაზ მ-იანის სახლის ჭიშკარს მივუახლოვდი, უცებ სიბნელეში რეზო დავლანდე. თვითონ მომიახლოვდა და დამიძახა, მანანა, ჩქარა მიშველეო. ამის თქმა იყო და ეზოში შევვარდა. მეც უკან მივყევი. ეზოში ორი სახლი დგას – ერთი ძველი, მეორე ახალი. რეზო ძველი ბინისკენ გაიქცა, რომლითაც ცოლ-ქმარი არ სარგებლობდა. ძალიან გამიკვირდა, რეზო რომ იქით გაიქცა. მეც შევყევი და დავინახე, შესასვლელში, ხის ტახტზე შიშველი ნანა იწვა. ვიფიქრე, ცუდად გახდა და რეზო მის საშველად მიხმობს-მეთქი. როცა ახლოს მივედი, საშინელი სურათი დავინახე. ქალს სისხლით ჰქონდა მთელი ტანი მოსვრილი. სისხლიანი იყო რეზოც, თუმცა ეს ეზოში ვერ შევამჩნიე. რეზო რა ხდება, ამიხსენი-მეთქი, – ვუთხარი. მან კი თავში ხელი წაიშინა და ამოიღულღულა, მიშველე მანანა, მგონი, ნანა მოვკალიო. ის დახეული ზეწრით თავად ცდილობდა ნანასათვის სისხლდენის შეჩერებას. არსად ჩანდნენ ბავშვები, რაც ძალიან გამიკვირდა. მერე გავიგე, რომ ბებიასთან იყვნენ სტუმრად სხვა სოფელში. მე ქუჩაში გამოვვარდი და მეზობლებს დავუძახე, სასწრაფო გამოვიძახეთ, მაგრამ როცა მოვიდა, ნანა უკვე გარდაცვლილი იყო. მალე პოლიციაც მოვიდა შემთხვევის ადგილზე, რომელთაც ბინის დატოვება მოგვთხოვეს. რეზოს კვალს ველარ მივაგენით. ვერც იმას მივხვდით, როდის დატოვა მან ბინა. იქვე იყო დანაშაულის იარაღი – დანა, რომელიც რეზოს საკუთრება იყო. ნანას ბევრჯერ დაუჩივლია – ეს კაცი დანის ტარებას ვერ გადაეჩვია და ამის გამო შეიძლება, შარშიც კი გაეხვესო."

სამართალდამცველებმა მეზობლების დაკითხვის შემდეგ, რეზო მ-იანის ძებნა დაიწყეს. მას სოფლის ტერიტორიაზე მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ერთ-ერთმა მეზობელმა განაცხადა, რომ საკუთარი თვალით დაინახა, სოფლის მდინარისკენ მიმავალი მთვრალი მამაკაცი, რომელიც სავარაუდოდ, რეზო მ-იანი უნდა ყოფილიყო. გამოძიებას არ ჰქონდა პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ უნდა მოეკლა მამაკაცს ცოლი, ან რატომ იყო შიშველი გარდაცვლილი ქალი, რომელსაც სოფელში კარგი რეპუტაცია ჰქონდა.

მკვლელობიდან თითქმის ათი საათი იყო გასული, როცა შემთხვევის ადგილიდან 5-6 კილომეტრის დაშორებით, კიდევ ერთი მძიმე დანაშაული მოხდა. 34 წლის მამაკაცი საკუთარ სახლთან მოკლეს. მალხაზ ძ-ძეს დანით ყელის არეში ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, მამაკაცს ყელი ჰქონდა გამოჭრილი. მკვლელობას არ ჰყავდა თვითმხილველი. მისი ოჯახის წევრების განცხადებით, მკვლელი მას ჩუმად დაესხა თავს და მისი ვინაობა გაურკვეველი იყო.

გამოძიებამ ამ ორ მკვლელობას შორის კავშირი ძალიან მალე დაადგინა. როგორც წინასწარი მოკვლევით გაირკვა, გარდაცვლილი ქალი და მამაკაცი ერთმანეთის შორეული ბიძაშვილები იყვნენ, თუმცა ახლო ურთიერთობები არ ჰქონიათ. შუალედი ორ მკვლელობას შორის ათი საათი იყო – სწორედ ის პერიოდი, როცა სამართალდამცველები ნანა ბ-იას ქმარს ეძებდნენ. მოგვიანებით, ის თავად გამოცხადდა პოლიციაში ორი მკვლელობის აღიარებით და თავი დამნაშავედ ცნო.

რა მოხდა მკვლელობის დღეს? რატომ იყო გარდაცვლილი შიშველ მდგომარეობაში? რატომ მოკლა მამაკაცმა ცოლი და რამდენიმე საათის შემდეგ მისი ბიძაშვილი? ამ კითხვებზე დაკავებულმა თავად გასცა პასუხი. გამოძიებამ საკუთარი წყაროებითაც დაადგინა, რომ გარდაცვლილ ქალსა და მამაკაცს წლების წინ ნამდვილად ჰქონდათ რომანი, რომელზედაც მთელი სოფელი ლაპარაკობდა. გარე ბიძაშვილები თანასოფლელებს ბევრჯერ უნახავთ პიკანტურ სიტუაციაში, რის გამოც სულ არსებობდა ეჭვი, რომ მათ ინტიმური ურთიერთობა ნანა ბ-იას დაოჯახების შემდეგაც ჰქონდათ. როგორც გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რევაზ მ-იანმა ცოლსა და მის გარე ბიძაშვილს სწორედ ინტიმური ურთიერთობისას შეუსწრო. მოგვიანებით, მკვლელობის დეტალებზე თავად მკვლელიც ალაპარაკდა: „იმ დღეს ჩემი მეზობლის ორმოცი იყო, მეც და ნანაც დაპატიჟებულები ვიყავით. სუფრასთან თამადა მე ვიყავი და ცოტა ზედმეტი მომივიდა დალევა. ნანამ იცოდა ჩემი ხასიათი – ნასვამს აქეთ-იქით სიარული მიყვარს და მითხრა: მე თავი მტკივა და სახლში მალე გადავალო. არ მახსოვს, რამდენი დრო იყო გასული, ალბათ, ერთი საათი. ნანა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სახლში ასე მალე დავბრუნდებოდი. როცა ეზოში შევედი, პირდაპირ სახლისკენ წავედი. ვიცოდი, რომ ბავშვები ბებიასთან იყვნენ სტუმრად. ნანა სახლში არ დამხვდა, ვიფიქრე, მეზობელთან წავიდა-მეთქი. ეზოში გამოვედი და ძველი სახლისკენ წავედი, რომელიც დაახლოებით 50 მეტრშია ჩვენი სახლიდან. ეს სახლი დაკეტილი გვაქვს და სათავსოდ ვიყენებთ. ერთ-ერთ ოთახში წიწილები გვყავს დაბინავებული. არ ვიცი, მთვრალს რატომ გამიჩნდა წიწილებისკენ წასვლის სურვილი. პირველ სართულზე ორი პატარა ოთახია – ერთი შესასვლელი, სადაც მხოლოდ ხის ტახტი დგას და მეორე პატარა, ცარიელი, სადაც წიწილებია. ამ ორ ოთახს ერთი საერთო ფანჯარა ყოფს, თუმცა შესასვლელი ორივეს ცალ-ცალკე აქვს. როცა ოთახს მივუახლოვდი, უცნაური ხმები შემომესმა. პირდაპირ თავზე დავადექი მეუღლეს ინტიმური ურთიერთობისას მამაკაცთან. რომელიც ზურგიდან ვერ ვიცანი. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ რა ვიგრძენი იმ წუთებში, ლამის თვალთ დამიბნელდა. ჯიბით დანას ყოველთვის ვატარებდი და მაშინვე ამოვიღე. მამაკაცი უცებ გადმოხტა და გაიქცა. მოვასწარი მისი დანახვა – ჩემი ცოლის გარე ბიძაშვილი იყო, სიდედრ-სიმამრის სახლში რამდენჯერმე მყავდა ნანახი. ნანა ტახტზე იწვა, პირდაპირ გულში ჩავარტყი დანა ორჯერ. გონს სისხლის დანახვისას მოვედი, იქვე, რაღაც ზეწარივით ეგდო, ავიღე, დავხიე და იმ ადგილზე დავადე, საიდანაც სისხლი მოსდიოდა. მერე ქუჩაში გამოვვარდი, რომ დამხმარე მეპოვა ვინმე. ჩემი მეზობელი შემომყვა სახლში. მერე სხვებიც მოგროვდნენ. გაქცევა და დამალვა არც მიფიქრია, მაგრამ შურისძიებით აღვსილმა მალხაზის მოკვლაც გადავწყვიტე. სახლიდან სხვა დანა გამოვიტანე, ქურთუკი ჩავიცვი, ტაქსით მის სოფელში წავედი. სახლში შესვლა ვერ გავბედე. ვიცოდი, შვილები ჰყავდა და არ მინდოდა, მათ თვალწინ მომეკლა მამა. რამდენიმე საათი ეზოს ბოლოს ჩასაფრებული ველოდი მამაკაცს, რომელიც ვიცოდი, რომ ტუალეტში მაინც გამოვიდოდა. უკვე სრულიად გამოფხიზლებული ვიყავი, როცა გათენებისას უკვე გამოვიდა გარეთ. ბოლომდე არც იყო გათენებული, ჯერ კიდევ ბნელოდა. იქვე დავხვდი და ყელი გამოვჭერი. ასე ვიძიე მასზე შური"

სოფლის მოსახლეობამ რამდენჯერმე გამოთქვა შუამდგომლობა და სურვილი, რომ დაკავებულ მამაკაცს, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობდა და ორი არასრულწლოვანი შვილის მარჩენალი იყო, სასჯელი შემსუბუქებოდა. მაგრამ, კანონი კანონია და მას ორი ადამიანის მკვლელობისთვის 14-წლიანი პატიმრობა შეეფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-40(666)

პავლე როგოვი 102 წლის ასაკში გარდაიცვალა – დასაძინებლად დაწვა და ველარ გაიღვიძა. ეს უხუცესი, ლეგენდარული კრიმინალი 101-ე კილომეტრის კოლონიის სასაფლაოზეა დაკრძალული. მას არც ცოლშვილი დარჩა და არც ნათესავი, მის საფლავზე დადებულ ქვას კი ერთადერთი სიტყვა აწერია – „რეშკა“.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში მრავალი გასაჭირი მინახავს, დიდი გამოცდილება და ავტორიტეტი მოვიპოვე და თითქმის არაფრის მეშინია, რეშკასა და რეშკასნაირებზე ფიქრი ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნის და ნამდვილად არ მსურს, რომ რომელიმე ციხის ან ზონის სასაფლაოზე დამკრძალონ და ჩემს საფლავზე დადებულ ქვას „კობრა“ დააწერონ.

მე რომ პანთეონში არავინ დამასაფლავებს და ჩემს სახელს რომ ფაბრიკა-ქარხნებსა და დასახლებულ პუნქტებს არ დაარქმევენ, კარგად ვიცი, მაგრამ, არც ციხის სასაფლაოზე წოლა მხიბლავს და, სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე ფიქრიც კი ტანში მზარავს. ერთი შეხედვით, რა მნიშვნელობა აქვს, მკვდარი სად იწვები, მაგრამ უპატრონობის განცდა სიკვდილის შემდეგაც კი არასასიამოვნოა და ალბათ, ყველა ადამიანს უნდა, რომ მის საფლავს მისი შვილები, შვილიშვილები და შთამომავლობა უვლიდეს. ჩემი გაგების ქურდს კი ცოლშვილი არ უნდა ჰყავდეს და, მხოლოდ და მხოლოდ უზენაესის ნების გამოხატულებად მიმაჩნია, რომ მე თათიასგან ვაჟი მყავს და ეს ღვთიური საჩუქარია. ასეთ რამეზე ნეპმანელი ქურდიც კი ვერ იტყვის უარს. ამიტომაც გამეხსნა „მეორე სუნთქვა“ – ჩემი სამოცი წლის მიუხედავად, კვლავ ფორმაში ყოფნას ვცდილობ და ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ ჩემს შვილსა და ცოლს შევხვდე.

ენით აუწერელი, უძლიერესი განცდაა, როდესაც 58 წლის ასაკში შეიტყობ, რომ 20 წლის ვაჟი გყავს და ამ ბედნიერებას ცოტა რამ თუ შეედრება. ეს ამბავი რომ შევიტყვე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მეორედ დავიბადე. ძალების საოცარი მოზღვავება ვიგრძენი და ორი წელი იმ განცდით გავატარე ციხეში, რომ გათავისუფლების მერე ახალი, დიდი, შეუცნობელი, მაგრამ საოცრად ბედნიერი ყოფა მელოდა და ეს განცდა ვერაფერმა ჩაკლა ჩემში. პირიქით, სწორედ ეს განცდა მამოძრავებდა და მან მიბიძგა, როდესაც ბობოლა სამართალდამცველების თვალწინ შევლეწე მთელი სხეულით საიდუმლო, სათადარიგო გასასვლელზე მიმაგრებული სარკე და სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, რა მოხდა, კარი ცხვირწინ მივუხურე და გავუჩინარდი...

– კარი შეამტვრიეთ! დაეწიეთ! არ გაუშვათ! ჩაკალით! – მესმოდა ზურგსუკან გაცოფებული ღრიალი, მაგრამ ათიოდე საფეხური რომ ჩავათავე, უკვე რკინის მასიური კარით გადავუღობე მდევარს გზა, რომლის განგრევასაც მძლავრი ტრაქტორი დასჭირდებოდა...

როგორც ადრე ვთქვი, ჩემი სახლის სათადარიგო საიდუმლო გასასვლელი ჯერ კიდევ ასი წლის წინ, ბაბუაჩემის, გოგი გველესიანის მიერ იყო მოწყობილი და მას ბოლშევიკი არალეგალები იყენებდნენ. მე და ჩემი მეგობრები კი, განსაკუთრებით, ჩვენი ქურდული ცხოვრების გარიჟრაჟზე, ხშირად ვიყენებდით სხვადასხვა ეშმაკურ ხერხებს და ვცდილობდით, რომ ყოველი საქმე ორიგინალურად და ნოვატორულად შეგვესრულებინა. 17 წლის ვიყავი, როდესაც ზორბეგას გაქურდვის იდეა მომივიდა თავში. ზორბეგა, ცნობილი თბილისელი ბარიგა, იმპორტული ასანთითა და სანთლებით დაწყებული, ანაშითა და მორფით დამთავრებული, ყველაფრით ვაჭრობდა. ზორბეგა, ყოფილი მილიციელი იყო, თუმცა, თავის კოლეგებთან კვლავ ჰქონდა ურთიერთობა – შეკრული იყო მათთან, მათ წილს აძლევდა და, ფაქტობრივად, ხელშეუხებელი იყო. ვერცხლისქუჩელი აწზორასგან განსხვავებით, რომელსაც ნარკოტიკი და მსგავსი სისაძაგლე არასდროს გაუყიდია, ზორბეგას ელემენტარული მორალიც კი არ გააჩნდა და ყველაფერს იკადრებდა, ოღონდ ფული მოეხვეჭა. ის ორმოციოდე წლის იყო, ცოლშვილი არ ჰყავდა. ვაკეში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მეხუთე სართულზე, ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, ოთხი წლის უზარმაზარ გერმანულ ნაგაზთან, „ურჩხულთან“ ერთად, რომელიც საგანგებოდ ჰყავდა გაწვრთნილი და სახლიდან რომ გადიოდა მას აშვებულს ტოვებდა ბინაში. ზორბეგა პირველი იყო, ვინც თბილისში, ბინაში რკინის მასიური კარი დააყენა. ერთი მხრივ, რკინის კარი, მეორე მხრივ კი ჭკვიანი და საგანგებოდ გამოწვრთნილი ნაგაზი „ურჩხული“ შეუვალს ხდიდა ბარიგა ზორბეგას ბინას და მას არც ერთი ქურდი არ ეკარებოდა. მე დიდი ხნის განმავლობაში არ მასვენებდა ზორბეგას გაქურდვის იდეა და თითქმის ერთი თვე საგულდაგულოდ დავამუშავე ამ საქმის ყველა დეტალი, დაწვრილებით გავიანგარიშე თითოეული ნიუანსი, ბოლოს ბერძენას მივადექი და ვუთხარი:

– ბერძენ, ძმაო, მინდა, ერთი სერიოზული საქმე შემოგთავაზო და, თუ მომისმენ, გეტყვი.

– დაჯექი, ძმაო და მითხარი, მოგისმენ, რატომ არ მოგისმენ, – მითხრა ბერძენამ, სიგარეტი შემომთავაზა, თვითონაც გააბოლა და სმენად იქცა.

– რას იტყვი, ზორბეგა რომ გავასუფთაოთ? ვფიქრობ, რომ მისი ბაითიდან კარგ კუშს წამოვიღებთ.

– აბა ზორბეგა?! – მკითხა ბერძენამ, რადგან, ვერ წარმოედგინა, რომ ვაკელ ბარიგა ზორბეგაზე ველაპარაკებოდი.

– ვაკეში რომ ცხოვრობს, ახალ კორპუსში, ყველაფრით რომ ბარიგობს ეგ ბოზი, – დავუზუსტე ბერძენას, რომელმაც ბოლომდე არ დაიჯერა, რომ სწორედ იმ ზორბეგაზე ვეუბნებოდი და დააზუსტა:

– ეგ რომელი, დიდი ავჩარკა რომ ჰყავს – „ურჩხულა“?

– ჰო, სწორედ ეგ, – დავუდასტურე ბერძენას, მას კი გაეცინა და მითხრა:

– ხუმრობ, კობრა? მაგის რკინის კარში რომ შევაღწიოთ, მისი ძაღლი შეგვჭამს. თანაც, ეგ ნაბოზარი, თითქმის სულ სახლშია.

– აქვეჩაი ვარ, რომ ყველაფერი გამოგვივა. ერთი თვეა, ამ საქმეზე ვმუშაობ და თითქმის ყველა დეტალი დავამუშავე.

– აბა, მიდი, გამიასნე, – მითხრა ბერძენამ, მაგრამ, სახეზე ეტყობოდა, რომ ამ საქმის წარმატების არ სჯეროდა და მხოლოდ და მხოლოდ ზრდილობის გამო მისმენდა, რომ ჩემთვის არ ეწყენინებინა.

მე ორი ცალი გასაღები დავდე მაგიდაზე და ბერძენას ვუთხარი:

– ეს მისი რკინის კარის გასაღებებია, მე თვითონ დავამზადე. ახლა კი ჩემს გეგმას გაგაცნობ. ეს საქმე სამ ეტაპად დავყავი: პირველი – ძაღლის განეიტრალება; მეორე – ბაითში შესვლა, ჩალიჩი და კუშის ალება; მესამე – ბაითიდან კუშით გამოსვლა და მიმალვა. ყველაზე რთული ამ საქმეში ძაღლის განეიტრალებაა და, აი, როგორ ვაპირებ ამას: ახლა ძაღლებს ატეხილობის პერიოდი აქვთ. რადგან ზორბეგას „ურჩხული“ ხვადია, მას ქუჩის ძუკნას მივუყვანთ და ამგვარად გავანეიტრალებთ.

– შენ ფიქრობ, რომ ეს ასე ადვილია?

– არც ისე ძნელია. კინოლოგებს ველა-



პარაკე და მითხრეს, რომ კარგად გამოწვრთნილი ძაღლი თავის ტერიტორიას არ ტოვებს და მხოლოდ მაშინ ესხმის უცხოს თავს, როდესაც ის მის ტერიტორიაზე შედის. მათ ისიც მითხრეს, რომ, თუკი კარგად გაწვრთნილი მამალი ძაღლი დედალთან, ანუ ძუკნასთან მივა, ანუ, მას გაუიმავს, ის განეიტრალებულია და თავის ტერიტორიას ველარ დაიცავსო. ამგვარად, ჩვენ ატეხილ ძუკნას ზორბეგას კართან მივიყვანთ, თან, მის კარში ამ ძუკნის უკანალში ამოსმულ ნაჭერს შევაცურებთ, მასაც ავტეხავთ, შემდეგ რკინის კარს ატმიჩკებით გავაღებთ და შედეგს დაველოდებით. თუკი ზორბეგას ავჩარკა გარეთ გამოვა და ძუკნას გაუიმავს, მაშინ ჩვენ ბაითში შევალთ და ვიჩალიჩებთ. შემდეგ გამოვალთ და მოვტყდებით. აი, სულ ესაა. რას იტყვი, ნამოხვალ?

– კარგი, ვცადოთ, – მითხრა ბერძენამ და ხელი ხელზე დამირტყა.

დათქმულ დღეს, როდესაც ბარიგა ზორბეგა ბაითიდან გამოვიდა, თავის მანქანაში ჩაჯდა და საპარიკმახეროში გაემგზავრა თმის შესაჭრელად, მე და ბერძენა საქმეს შევუდექით. მე მხარზე უზარმაზარი სპორტული ჩანთა მქონდა გადაკიდებული, რომელშიც პირაკრული ძუკნა ძაღლი იჯდა. მეხუთე სართულზე რომ ავედით და ზორბეგას რკინის კარში ძუკნას უკანალში ამოსმული ნაჭერი შევაცურეთ, „ურჩხულს“ არ დაუხანებია, ისე შეითრია ნაჭერი და აცქმუტდა. ორიოდე წუთის შემდეგ ბერძენას ვუთხარი:

– გატოვია ზორბეგას ძაღლი. შენ ეგ ძუკნა გაამზადე, მე კი კარს გავაღებ.

– ვითომ, გამოვა? – დაეჭვდა ბერძენა, მაგრამ, ძუკნა ეგრეთ წოდებულ სუშილკაში ამოიყვანა და თოკით იქვე, რკინის ძელზე მიაბა, თუმცა, პირი არ აუხსნია, რომ არ დაეყეფა.

მე ზორბეგას ბინის რკინის კარი გავაღე და განზე გადგომა ძლივს მოვასწარი, რადგან, ახურუშებული „ურჩხული“ რაკეტასავით გამოვარდა გარეთ, სუშილკაში შევარდა და პირახვეულ, დაბმულ ძუკნას ეტაკა.

ბერძენა პირდაღებული უყურებდა ამ სცენას, მე კი ხელით მივიპატიჟე ის ღია ბინაში და ვუთხარი:

– პრაშუ! ბაითი ცარიელია!

– ვაა, ასეთი რამე პირველად ვნახე. ხედავ, კობრა, რა მიმზიდველია ქალი?! – ნახევრად ხუმრობით იმეორებდა ბერძენა და გულწრფელად უკვირდა, რომ ჩემმა გეგმამ ასე ზუსტად იმუშავა.

ბარიგა ზორბეგას ბინაში თხუთმეტიოდე წუთი დავყავით და იქიდან ორასი გრამი ოქრო, ოთხი თვალი ბრილიანტი, ორი თვალი ლალი, ათას შვიდასი მანეთი, ექვსასი გრამი ანაშა და ორასი ამპულა მორფი ნამოვიღეთ. გარეთ რომ გამოვედით, „ურჩხული“ კვლავ ძუკნას ყიმავდა და ჩვენთვის არც კი შემოუხედავს. ქუჩაში რომ გავედით და ნაცნობი ტაქსისკენ გავემართეთ, რომელიც მოშორებით გველოდებოდა, როგორც ეტყობა, ძუკნას პირსახვევი მოსძვრა და ისეთი ყმუილი მორთო, რომ მცხეთაში გაიგონებდით.

– მიდი, ურჩხულ, მიდი! საღოლ შენს ვაჟკაცობას, მისცხე და მისცხე მაგ ძუკნას! – სიცილით თქვა ბერძენამ და კიდევ რაღაც დააყოლა, მაგრამ, ძუკნამ ყმუილს უმატა და ველარ გავიგონე...

მორფიანი ამპულები იმავე საღამოს გავანადგურეთ – ორასივე დავამტვრიეთ და კანალიზაციაში ჩავუძახეთ. ანაშის მცირე დოზა ჩვენთვის დავიტოვეთ, დანარჩენი კი, ათას მანეთთან ერთად, ციხეში შევუგზავნეთ ქურდებს და შემდეგ მათ გაანაწილეს. ოქრო და ძვირფასი თვლები კი ვერცხლისქუჩელ ანზორას მივუტანეთ და ბერძენამ მას უთხრა:

– აიღებ ამ ბარახლოს?

– ყველაფერში ათი ათასს გადაგიხდით: ხუთი ახლა, ხუთიც – ერთ კვირაში.

– რას იტყვი, კობრა? – მკითხა ბერძენამ.

– მოსულა, – თავი დავუქნიე პაძელნიკს.

– მოსულა, – უთხრა ბერძენამ ანზორას და დაამატა: – შენ არ გესწავლება, მაგრამ, იცოდე, რომ ეს ტავარი საქართველოდან უნდა გააქრო. ალბათ, უკვე ეძებენ და არ დაიწვა.

– დარდი ნუ გაქვს. ყველაფერი რიგზე იქნება, – დაგვაიმედა ანზორამ, რომელიც უზომოდ გახარებული იყო ამ სარფიანი გარიგებით, რადგან, მინიმუმ 30 ათასი მანეთის ტავარი 10 ათასად ჩაიგდო ხელში. ის სხვა ოთახში გავიდა. ხუთიოდე წუთში დაბრუნდა, 5 ათასი მანეთი მაგიდაზე დადო და თქვა: აი, ძმებო, აქ ხუთი ათასია, ხუთსაც ერთ კვირაში, დღეის სწორს მიიღებთ.

– ანზორ! მე ამ საქმეზე „ძაღლები“ მოსვენებას არ მომცემენ და, ზედმეტი ყურადღება რომ არ მივიქციო, ფულის ასაღებად კობრა მოვა.

– პაჟალუსტა, მობრძანდეს, – მოგვიგო ანზორამ.

ბარიგა ზორბეგას ბაითის გაქურდვამ დიდი რეზონანსი გამოიწვია თბილისში და მილიციამ სვაბოდაზე მყოფი ყველა ქურდი დაკითხა. ააგდეს ბერძენაც. ის მილიციის სამმართველოში წაიყვანეს და დაპატიმრებით ემუქრებოდნენ, თუკი მილიციის დახმარებაზე უარს იტყოდა.

– არ გინდა, უფროსო, ეგ ტუფტა ბაზარი. ჯერ ერთი, არაფერი ვიცი და, რომც ვიცოდე, თავიც რომ მომკვეთო, ხომ იცი, რომ არაფერს ვიტყვი. თუ რამე ფაქტები გაქვს ჩემ წინააღმდეგ, დადე და გამსროკე, თუ არა და, გამიშვი, რას მემართლები? – უთხრა ბერძენამ სამმართველოს სწორედ იმ ოპერს, რომელმაც ერთი წლის წინ ხუჭუჭას დედა შეაგინა და მისგან ფეხებშუა წიხლი მიიღო.

– საეჭვოდ ბაზრობ, ბერძენიშვილო! გამოდის, რომ ზორბეგას ბაითის დაბომბვაში შენი ხელი ურევია, ხომ? – უთხრა ოპერმა ბერძენას, მას კი გაეცინა და მიუგო:

– როგორ ფიქრობთ, ჭკვიანი კაცი ზორბეგას ბაითს სათოფეზეც კი გაეკარებოდა? ან, ჩემი გაკეთებული რომ იყოს ეგ საქმე, ახლა აქ ვიქნებოდი?

– შენ ისეთი შებერტყილი ხარ, ყველაფერია შენგან მოსალოდნელი.

– შაყირობ, არა, უფროსო? რა დროს ხუმრობაა. შენ შენს ჭიას ახარებ, მე კი ტყუილუბრალოდ ვიტანჯები. დავაშავებ – დამიჭირე... ტუფტაზე კი – არ გინდა. ჩემი მოსისხლე ხომ არ ხარ?

– ფაქტებიო, არა, ბერძენიშვილო? ასე არ მითხარი? – მრავალმნიშვნელოვნად თქვა ოპერმა, შემდეგ მაგიდის უჯრიდან სამი ყუთი ამოიღო და ბერძენას უთხრა, – აი, ფაქტები: პირველ ყუთში პისტოლეტია, მეორეში – ოცი ამპულა მორფი, მესამეში კი – ოქროს კულონი, რომელიც შენ პადიეზდში ჩამოაგლიჯე მოქალაქე ანჟელა არაქელოვას და მასზე შენი თითის ანაბეჭდები დარჩა. აირჩიე ერთ-ერთი და გაპრავება ჩემზე იყოს.

– უფროსო, ეგ უკვე მოსისხლეობაა. რას მემართლები, რა დაგიშავე?

– ქურდი ციხეში უნდა იჯდეს, მორჩა და გათავდა! ან, უკიდურეს შემთხვევაში, ინფორმაციით უნდა გვამარაგებდეს. არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი: ვინც მაყუთს გამოდის, თავისუფლებასაც ის იღებს. გასაგებია?

– არა, უფროსო, არაფერი გამოგივა. ციხეში ნაღდი ფაქტებით უნდა ჩამსვა, მაგრამ, თუ ჩამიდებ და გადამეკიდები, იცოდე, ვალში არც მე დაგრჩები. გაბოზებით ვერ გამაბოზებ და ვერც კაპიკს მიიღებ ჩემგან – აი, ჩემი პასუხი, გასაგებია? – მიუგო ბერძენამ ოპერს და მგლური მზერა მიაპყრო, თუმცა, ოპერს ბრიყვულად ჩაეცინა და მიუგო:

– მე რომ შენნაირების მუქარის მეშინ-





ოდეს, აქამდე ასჯერ მკვდარი ვიქნებოდი.

— ჩემნაირს პირველად ხვდები და, გარწმუნებ, რომ სიტყვას არ გავტეხ, — მტკიცედ უთხრა ბერძენამ ოპერს და იმ ხისთავას შეტევის მოსაგერიებლად მოემზადა, რადგან, ოპერი და მისი კოლეგები ცემის დაწყებას აპირებდნენ. ამ დროს, ოთახში ბესარიონ აბრალავა შემოვიდა, რომელიც უკვე მილიციის სამმართველოს უფროსი იყო და თავის ხისთავა ხელქვეითს ჰკითხა:

— რა ხდება აქ?

— დაკავებულის დაკითხვას ვაწარმოებ, ამხანაგო პოლკოვნიკო! — გამოეჯგიმა ოპერი აბრალავას.

— მერე, რა გაარკვიე?

— ასე ამბობს, არაფერი ვიციო.

აბრალავამ მაგიდაზე დალაგებულ ყუთებზე გადაიტანა მზერა და ოპერს ჰკითხა:

— ეგ რაღაა?

ოპერს ფერი ეცვალა, მაგრამ, თავი მოთოკა, ნაძალადევად გაიცინა და აბრალავას მიუგო:

— ეს, ამხანაგო უფროსო, დაკითხვისთვის საჭირო ნივთებია.

— აბა ერთი მიჩვენე ეგ ნივთები!

ოპერმა ყუთები გახსნა. აბრალავამ შიგთავსი რომ დაათვალიერა, ყველაფერს მიხვდა და ოპერს უთხრა:

— გასაგებია. დაკავებული გაუშვი, ეგ ყუთები კი ახლავე შეინახე და დაიმახსოვრე, რომ უჩემოდ ასეთი ნაბიჯი არასდროს გადადგა! გაიგე?

— გავიგე, ამხანაგო უფროსო, ბოდიშს გიხდით! — გამოეჯგიმა ოპერი აბრალავას, რომელიც ოთახიდან გავიდა.

აბრალავასთან ხუჭუჭას მამას დავარეკინე, რომელსაც სადარბაზოსთან დავხვდი და შევეხვეწე, რომ უდანაშაულო ბერძენა ციხეში არ ჩაესვათ.

— ეგ რომელი ბერძენიშვილია, დედამ რომ წინასწარ დაუწერა ციხეში გასაგზავნი წერილები? — მკითხა ვახტანგ ყიფიანმა.

— დიახ, ბატონო ვახტანგ, — მივუგე მას. ხუჭუჭას მამას გაეღიმა და მითხრა:

— როდიდან გავხდი ბატონი? მთელი ცხოვრება ძია ვახოს მეძახდი და ახლა რა დაგემართა? ნუ დარდობ, ათ წუთში ყველაფერს მოვაგვარებ, ერთ საათში კი თქვენი მეგობარი სახლში იქნება.

„თქვენში“, ანუ — ჩვენში, ვახტანგ ყიფიანი ხუჭუჭასაც გულისხმობდა, რადგან, იცოდა, რომ მისი შვილიც ძმაკაცობდა ბერძენასთან. მე ხუჭუჭას შესახებ მინდოდა მეკითხა მამამისისთვის, მაგრამ, ვახტანგ ყიფიანმა თვალი ჩამიკრა, სადარბაზოში შევიდა და კარი მიიხურა... მართლაც, ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ბერძენა სახლში დაბრუნდა. მე მისი სახლის წინ, კიბეებზე ვიჯექი და, ჯერ კიდევ ნიალვრის ქუჩის დასაწყისში შევნიშნე, რომ ტაქსიმ ამოუხვია და ბერძენა მძღოლის გვერდით იჯდა. ის დინჯად გადმოვიდა მანქანიდან და თვალებით მანიშნა, ჩემთან ამოდიო. ბინაში რომ შევედით და კარი მივხურეთ, ჩემს პაძელნიკს გადავეხვიე და ვუთხარი:

— გაგაპრესეს?

— ვერ მოასწრეს ამ ბოზებმა, აბრალავამ შეუშალა ხელი, — მითხრა ბერძენამ და მკითხა:

— შენ იჩალიჩე?

— ჰო, ხუჭუჭას მამას ვთხოვე.

— ჩემი სროკზე გაშვება უნდოდა იმ ბოზს. იცი, რომელს?

— რომელს?

— რომელს და, ხუჭუჭამ რომ კინაღამ ყვერები წააცალა წიხლით.

— მაგარი ამოსცხო, კარგა ხანს ეგდო იატაკზე, მაგრამ, ჩვენც მაგრად დაგვცხეს „ძაღლებმა“ და, აბრალავას რომ არ მოესწრო, თუ ცემით არ მოგვკლავდნენ, ინვალიდობა არ აგვცდებოდა.

— კაროჩე, იმ ბოზმა წინ დამიდო იარაღი, მორფი, ნაყაჩაღარი კულონი და მითხრა: „აირჩიეო“.

— მაგის ბოზი დედაც!.. მთავარია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. კიდევ ერთი საქმე მაქვს მოფიქრებული, „ძაღლებს“ რომ თავგზა ავურიოთ, ლოჟნი სლედზე გავუშვათ და, თან კარგი კუშიც მოვხიოთ, მე მგონი, უნდა ვიჩალიჩოთ ეს საქმე, — ვუთხარი ბერძენას, მან კი გააბოლა და მომიგო:

— აბა, თქვი, გისმენ!

— ახლავე, ახლავე გეტყვი, როგორ უნდა გავასუფთაოთ ანზორა სისხლისმწოველის ბაითი, — გაწელილად ვთქვი მე და ბერძენას რეაქციას დაველოდე, რადგან, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საქმეზეც იტყოდა, შეუსრულებელიაო.

— ვინ ანზორა სისხლისმწოველის? — მკითხა ბერძენამ.

— ნადაშელის, მევახშის, — მშვიდად მივუგე ბერძენას.

— კარგი, რა! პირველი საქმე კიდევ ჰო, იმ „ურჩხულას“ ძუკნა მივუყვანეთ და გაამართლა, მაგრამ, ნადაშელს ხომ მთელი ბოზ-ბანდა ჰყავს სახლში და, მის ბაითში რომც შევიდეთ, სუფთად როგორ ვიმუშავებთ?

ანზორ ნადაშელი ცნობილი თბილისელი

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ა | ვ | ჭ | ა | ლ | ა | | ა | რ | ჯ | ა | კ | ე | ლ | ი |
| ა | | ი | | ზ | ი | ლ | ფ | ი | | ი | | | | | |
| კ | ა | ს | რ | ა | ძ | ე | | რ | | ქ | | | | | |
| რ | | ლ | | ტ | | მ | ე | ა | ნ | ი | | | | | |
| ა | პ | ა | თ | ი | ა | | ს | | ე | | | | | | |
| | ო | | ე | | გ | ი | ტ | ა | რ | ა | | | | | |
| ი | ნ | ა | მ | რ | ა | | რ | | ს | ჰ | | | | | |
| | ი | ს | ი | ა | მ | | ა | მ | ე | რ | ი | კ | ე | ლ | ი |
| ხ | | ა | | დ | ე | ნ | დ | ი | | ი | | ო | | ო | |
| რ | უ | ს | ე | | მ | ზ | ა | დ | | მ | ო | რ | ა | ლ | ი |
| ი | | ი | | | ნ | | | ი | ნ | ა | რ | ო | | ი | ტ |
| კ | ი | ნ | ო | ლ | ო | გ | ი | ა | | ნ | ე | მ | ე | ტ | ი |
| ი | რ | ი | ნ | ო | ნ | ა | კ | | ა | ი | ს | ი | ლ | ა | გ |
| | ი | | ა | დ | ი | დ | ა | | კ | | ტ | | ფ | | |
| | დ | ა | ვ | ი | | ი | | შ | ე | ლ | ე | ბ | უ | ლ | ი |
| თ | ა | ვ | ა | ნ | ი | | ნ | ა | ლ | ი | ა | | ს | ა | ნ |
| ა | | ა | რ | ი | ნ | ა | | კ | ა | პ | | ჭ | | ბ | ა |
| ს | ი | ნ | ი | | გ | ი | რ | ი | | ი | ბ | ა | კ | ა | მ |
| მ | | ს | | რ | ი | ბ | ო | კ | ი | | ა | | ო | | ო |
| ა | ლ | ი | ა | | რ | ო | მ | ი | | ბ | ლ | ო | კ | ი | |
| | ი | | კ | ბ | ი | ლ | ა | | ი | რ | უ | ნ | ა | ნ | ა |
| გ | ო | რ | ი | ო | | ი | ნ | ე | ტ | ა | | ა | | ა | ი |
| | ს | | ა | ბ | ა | ტ | ი | | ი | ს | ა | ი | | ვ | |
| ჩ | ა | რ | ჩ | ი | | ი | ა | ს | პ | ი | | პ | ა | ს | ი |



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 8 | 4 | 3 | 7 | 9 | 5 | 6 |
| 5 | 9 | 7 | 1 | 6 | 8 | 3 | 2 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 5 | 9 | 7 | 1 | 8 |
| 1 | 5 | 2 | 6 | 9 | 3 | 8 | 4 | 7 |
| 8 | 3 | 4 | 5 | 7 | 2 | 1 | 6 | 9 |
| 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 1 | 2 | 3 | 5 |
| 7 | 6 | 1 | 3 | 8 | 5 | 4 | 9 | 2 |
| 3 | 8 | 5 | 9 | 2 | 4 | 6 | 7 | 1 |
| 4 | 2 | 9 | 7 | 1 | 6 | 5 | 8 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 7 | 2 | 9 | 5 | 3 | 6 | 1 |
| 9 | 2 | 1 | 3 | 7 | 6 | 4 | 5 | 8 |
| 5 | 6 | 3 | 1 | 8 | 4 | 7 | 9 | 2 |
| 2 | 8 | 9 | 4 | 5 | 7 | 1 | 3 | 6 |
| 4 | 7 | 5 | 6 | 1 | 3 | 2 | 8 | 9 |
| 3 | 1 | 6 | 9 | 2 | 8 | 5 | 4 | 7 |
| 6 | 5 | 8 | 7 | 3 | 2 | 9 | 1 | 4 |
| 7 | 9 | 4 | 5 | 6 | 1 | 8 | 2 | 3 |
| 1 | 3 | 2 | 8 | 4 | 9 | 6 | 7 | 5 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. როდესაც რომის პაპის არჩევას ვერ მოახერხებენ. 2. ზარების თოკები. 3. ჭადრაკში პაიკს, მეფის გარდა, ნებისმიერ ფიგურად შეუძლია იქცეს, მათ შორის – დედოფლადაც. 4. „ალექსანდრ მეორე (რომის პაპი)“. 5. მათხოვრებისთვის. 6. სვიატოსლავ რიხტერმა (12-ზე – რიხტერის სკალით). 7. საკუთარი ნეკროლოგის. 8. ძილი. 9. გადასახადი მემკვიდრეობაზე. 10. დეზერტირობის.**

მევახშე იყო და თავისი ნაძირალა „კოლეგებისგან“ განსაკუთრებული სისხლისმსმელობით გამოირჩეოდა. ის ბობოლა მილიციელებთან იყო შეკრული, მათ წილს უხდიდა და, ამიტომ, მევახშეობისთვის არ იჭერდნენ. მისი ბინა თბილისის ერთ-ერთ ახალაშენებულ სახლში ნამდვილ ციტადელს ჰგავდა და მასში შეღწევა ურთულესი იყო. თუმცა, ყველაზე დიდ სირთულეს ის წარმოადგენდა, რომ ნადაშელის ბინა არასოდეს რჩებოდა ცარიელი – დღის ნებისმიერ მონაკვეთში იქ აუცილებლად იმყოფებოდა ვინმე. საქმე ის იყო, რომ ანზორ ნადაშელის ხუთოთახიან ბინაში მის გარდა კიდევ ოთხი ქალი ცხოვრობდა: ანზორის და – ელზა, ანზორის მეუღლე – მანანა და ორი ქალიშვილი – მადლენა და ჟუჟუნა. ქურდული კანონების თანახმად კი, ცარიელი თუ არ იყო ბაითი, იქ ფეხი არ უნდა შეგვედგა და ჩვენ მკაცრად ვიცავდით ამ წესს. სწორედ ეს იგულისხმა ბერძენამ და ამიტომ მიაჩნდა მას ანზორას ბაითის გასუფთავება შეუსრულებელ მისიად.

ელზა და მანანა ცნობილი ბოზები იყვნენ და ამ საქმეში არც მადლენა და ჟუჟუნა ჩამორჩებოდნენ თავიანთ დედასა და მამიდას. ანზორა და ელზა პროვინციელები იყვნენ და ჯერ ელზა ჩამოვიდა თბილისში, შემდეგ კი – ანზორა. სწორედ ელზამ გააცნო ანზორას მანანა, რომელიც თვითონ ერთად „საქმიანობისას“ გაიცნო და დაუდაქალდა.

ამ ორ მეძავ ქალს ალვირახსნილობის გამო „მკბენარა ელზა“ და „მედუდუკე მანანა“ უწოდეს.

მოგვიანებით, როდესაც ელზას ძალისხმევით დაქორწინებულ ანზორსა და მანანას მადლენა და ჟუჟუ შეეძინათ, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი გოგონები დედამ და მამიდამ ორ თანამდებობის პირს, წარსულში თავიანთ კლიენტებს, ჩაუგორეს ლოგინში და სწორედ მათი მეშვეობით დააწყებინეს ანზორას „ბიზნესი“.

დროთა განმავლობაში ანზორამ იმდენი ფული იშოვა, რომ მიწურიდან ხუთოთახიან ბინაში გადაინაცვლა და, მართალია, სულიერად არ ამაღლებულა, მაგრამ, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მცხოვრები გახდა.

– ხომ დავუყენეთ თვალები, ხომ გავუშრეთ სისხლი და გამოვწოვეთ „ოქრო-ფული“, ვინც არ გვაფასებდა და დაგვცინოდა, – ეტყოდა ხოლმე ანზორა თავის ბოზ ქალებს და ამპარტავნულად გაივლ-გამოივლიდა თავის უზარმაზარ ბინაში.

სიმდიდრის მიუხედავად, ანზორას, რა თქმა უნდა, არავინ სცემდა პატივს, ყველა დასცინოდა და, რამე რომ მოსვლოდა, მის დასახმარებლად თითსაც არავინ გაანძრევდა, მაგრამ, მევახშეს ეს სრულიადაც არ ადარდებდა და კარგად იცოდა, რომ, ადრე თუ გვიან, რომელიმე მათგანი აუცილებლად მივიდოდა მასთან ფულის სასესხებლად, მის ბადეში გაებმებოდა და ამ ნეტარი წუთების მოლოდინში სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს. მევახშეს სასადილო ოთახის კედელში, ბრიუსოვის ცნობილი სურათის რეპროდუქციის უკან, რომელსაც „პომპეუსის უკანასკნელი დღე“ ეწოდება, უზარმაზარი საიდუმლო სეიფი ჰქონდა დამონტაჟებული და სწორედ იმ სეიფში ინახავდა მთელ თავის ქონებას.



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მევახშე ანზორ ნადაშელის ბინის გაქურდვა მართლაც შეუძლებელი ჩანდა. ბერძენამ ამიტომ შეიტანა ამ საქმის წარმატებაში ეჭვი და ამიტომაც მკითხა – ბაითში სუფთად როგორ ვიმუშავებთო, რაზეც მე მშვიდად მივუგე:

– ძალიან მარტივად – ორი უზარმაზარი გამაძლიერებლისა და ბაბინიანი მაგნიტოფონის მეშვეობით.

– გამაძლიერებლების? – გაიმეორა ბერძენამ, რომელსაც სახეზე ეწერა, რომ საერთოდ აზრზე არ იყო, რას ვგულისხმობდი.

– ხმის გამაძლიერებლების, დინამიკების მეშვეობით. მაგრამ, მანამდე სხვას გეტყვი, – ვუთხარი ბერძენას, სამი ცალი გასაღები მაგიდაზე დავდე და დავამატე: – ეს ნადაშელის ბაითის გასაღებებია. როგორც ყოველთვის, ანაბეჭდები ავიღე და დავამზადე.

– გასაგებია, რომ ბაითში ამ გასაღებებით შევალთ, მაგრამ, შენ ის მითხარი, ბაითიდან როგორ გამოვიტყუებთ იმ ბოზებს? – სიტყვა შემაწყვეტინა ბერძენამ, რომელიც სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდა, ცოტა არ იყოს ღელავდა და ამიტომ ჩამეჭრა სიტყვაში.

– ცოტა მოთმინება და ყველაფერს გაიგებ, – მშვიდად ვუთხარი ბერძენას, – იმ ბოზანდარა ნადაშელების წინა კორპუსში ჩემი ნაცნობი ცხოვრობს და სამი დღის განმავლობაში დურბინდით ვუთვალთვალებდი ანზორას ბაითს. მას სასადილო ოთახში, სურათის უკან სეიფი აქვს და სწორედ ის უნდა დავბომბოთ. ახლა კი მათი გამოტყუების ხერხზე გეტყვით...

– დროზე თქვი, კობრა, თორემ, ისე ამერია გაურკვევლობისგან რამსები, რომ თავი სიზმარში მგონია.

მე ჩამეცინა, ჯიბიდან „სვემას“ ორმოცდახუთწუთიანი ბაბინა ამოვიღე, მაგიდაზე დავდე და ბერძენას ვუთხარი:

– მაგნიტოფონი მოიტანე და მოგასმენინებ.

ბაბინაზე ჩემი მეგობრის შეცვლილი ხმით ხუთწუთიანი ტექსტი იყო ჩაწერილი, რომელიც ნადაშელი ქალების გახრწნილ ბოზობაზე მოუთხრობდა მსმენელებს და მასში ბობოლა თანამდებობის პირებიც იყვნენ მოხსენიებულები. ტექსტი ცხრაჯერ იყო ჩაწერილი და მეორდებოდა. ჩემი გეგმის მთელი ეშმაკობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ღამით, უკუნეთ სიჩუმეში, ეს ჩანაწერი უნდა ჩაგვერთო და ახლომდებარე სახლების მცხოვრებთათვის მოგვესმენინებინა. ამ ჩანაწერს, რა თქმა უნდა, ნადაშელებიც მოისმენდნენ და მის გამორთვასაც მოინდომებდნენ, რისთვისაც ისინი კოლექტიურად დატოვებდნენ სახლს. სწორედ ამით უნდა გვესარგებლა მე და ბერძენას და ანზორა მევახშის ბაითი გაგვესუფთავებინა.

ბერძენამ რომ ჩემი გეგმა მოისმინა, როგორც ყოველთვის, მითხრა:

– ვითომ, ჭამენ ამას?

– ვფიქრობ, რომ კი.

– კარგი, მოვდივარ, – დამეთანხმა ბერძენა და ხელი ხელზე დამირტყა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ანზორა მევახშის ბინის გასაქურდავად მივდიოდით.

ჩემმა გეგმამ, ისევე, როგორც „ურჩხულას“ შემთხვევაში, გაამართლა. ჩემი ჩხირკედელა მეგობრის მეშვეობით, ბაბინიანი მაგნიტოფონი ოსტატურად დავმალეთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სხვენში, ხმის გამაძლიერებლები კი ექვსი სხვადასხვა სახლის სხვენში დავამაგრეთ და, შესრულდა თუ არა ღამის პირველი საათი, ჩანაწერი ჩავრთეთ, შემდეგ ანზორას სართულზე დავიმალეთ და დაველოდეთ... თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ ნადაშელების მთელი ბოზ-ბანდა ქუჩაში გამოეფინა, რომ მაგნიტოფონი მოეძებნათ, გაეთიშათ და „ღამის შოუ“ შეეჩერებინათ, რომელსაც მთელი უბანი ფანჯრებიდან უსმენდა. მე და ბერძენამ კი ამ მომენტით ვისარგებლეთ, ნადაშელების ბინაში შევედით, სეიფი ადვილად გავხსენით და გავასუფთავეთ... უკან რომ ვბრუნდებოდით, ნადაშელების ბოზ-ბანდა ჯერ კიდევ ალმა-დალმა დარბოდა და საყოველთაო მხიარულების ფონზე დაეძებდა მაგნიტოფონს.

ანზორა მევახშის ბაითიდან საკმაოდ დიდი კუში წამოვიღეთ, რომლის უმრავლესობა დაგირავებული ძვირფასეულობა იყო და გირავნობის ხელწერილებში იყო გახვეული. ამას გარდა, სეიფში 20 ათასი მანეთი დაგვხვდა, რომლის ნაწილი საქმეში მონაწილე პაძელნიკებს გავუნაწილეთ, ნაწილი ზონაში შევგზავნეთ, მცირე ნაწილი კი ჩვენთვის დავიტოვეთ. რაც შეეხება დაგირავებულ ოქროს, ისინი ინკოგნიტოდ დავუბრუნეთ პატრონებს, თან, ბარათები დავურთეთ, რომ არსად გამოეჩინათ და მილიციის ყურამდე არ მიეტანათ ეს ამბავი.

– კარგია, რაც კარგად მთავრდება, – მითხრა ბერძენამ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-40(666)**

### რაღაცეების „პონტში"

ქეთიმ აღმოაჩინა, რომ თავისი ცხოვრების ახალ ფაზაში შევიდა. საკუთარ თავს არ უტყდებოდა იმაში, რომ სიჯიუტე მის წისქვილზე არ ასხამდა წყალს. ვახოს იმაზე მყარი ნერვები აღმოაჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდა – არც რეკავდა და არც ცოლთან ურთიერთობის გარკვევას ცდილობდა. ახერხებდა იმას, რომ ბავშვის სანახავად ქეთის სახლში არყოფნის პერიოდში მისულიყო. ერთ დილით კი, კარადაში სიხალვათე შენიშნა და გული შეუქანდა.

– ნანა! – გასძახა ძიძას, – შეგიძლია, ერთი წუთით მოხვიდე?

ბავშვის წვნიანის მომზადებაში გართულმა ძიძამ ვერ გაიგონა მისი ხმა და გაზქურასთან მდგარს არც გამოუხედავს ქეთისთვის.

– ნანა, არ გესმის? – გაღიზიანებული ქეთი აწითლებული გამოვარდა ოთახიდან.

– რა მოხდა? – შეკრთა ქალი.

– გეძახდი...

– მოხდა რამე?

– კარადაში ვახოს პერანგებს ვერ ვპოულობ... რამდენიმე პულოვერიც არ ჩანს...

– ჰო, ვახო რომ იყო ბოლოს, წაიღო... – ისეთი ტონით უპასუხა ნანამ, რომ ქეთი მიხვდა, რასაც გულისხმობდა: აბა, რა გეგონა, ქმარს რომ სახლიდან აგდებდიო.

– აჰა, ესე იგი, ქურდივით შემოიპარა, კარადა დაცალა და წავიდა...

ნანამ ამოიოხრა.



– ქეთი, არ მინდოდა შენთან ამ თემაზე ლაპარაკი, რადგან, მიმაჩნია, რომ შენი ოჯახი მარტო შენი საქმეა, მაგრამ, მგონი, ვახოსთან მართალი არ ხარ.

– ჰო?! – წარბები ასწია ქეთიმ, – თუმცა, არ მიკვირს, შენ ვახო ყოველთვის მოგწონდა, თანაც, ჩემზე მეტად.

ქალი შეცბა:

– ქეთი, ამას როგორ ამბობ?!

– დიახ, არის რაღაც-რაღაცეები, რაზეც აქამდე არ ვლაპარაკობდი. იმიტომ, რომ უკონფლიქტო ადამიანი ვარ, თანაც, ბავშვს უყვარხარ, კარგადაც უვლი...

– ანუ, გინდა, რომ მეც წავიდე? – ხმაში ცრემლი მოეძალა ნანას.

– „მეც წავიდე", ანუ, მე „ბუა" ვარ – ქმარი გავაგდე და ახლა შენც გაგდებ... ვინმეს მე ვეცოდები? ვინმე ფიქრობს, მე რა დღეში ვარ?! ლამის გული გამისკდეს ნერვიულობით, ტირილითაც კი ველარ ვტირი... რაც მარტო ვარ, ყავაც კი არ შემოგითავაზებია ჩემთვის... ვახო რომ სახლში იყო, მაშინ არ გავიწყდებოდა!.. – ნერვებმა უმტყუნა ქეთის. პატარა მარია გაფართოებული თვალებით მიაჩერდა დედას. ნანა ქეთისთან მივიდა და მოეხვია:

– მაპატიე... დამნაშავე ვარ. მაგრამ ვფიქრობდი, ჩემი ზედმეტი ყურადღებით უფრო შევაწუხებ, შეიძლება, საკუთარ თავთან მარტო დარჩენა უფრო წაადგეს-მეთქი. იცი, რა... იტირე... იტირე და მოგეშვება. მერე მობილური აიღე და ვახოს დაურეკე.

ქეთიმ თავი გააქნია.

– აქამდე უნდა დამერეკა, – თქვა სლუკუნ-სლუკუნით და სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, – ახლა უკვე აღარ გამოვა ეს ამბავი. ხომ ნახე, უკვე ტანსაცმელიც წაიღო...

– მხოლოდ რამდენიმე პერანგი...

– თქვა რამე?

– როდის, როცა მიჰქონდა? ისეთი არაფერი. ბავშვის ამბავი გამომკითხა. მაგრამ, ძალიან დათრგუნული მომეჩვენა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა... ტანსაცმლის წაღებაც ბოლო მომენტში გადაწყვიტა... მე ვფიქრობ, ამისთვის არ იყო მოსული.

– ვითომ?! – დაეჭვდა ქეთი, – აბა, რატომ ეცა და მოხვეტა?

ნანამ მხრები აიჩეჩა.

– მგონი, ამით თავისი პროტესტი გამოხატა და მიგახვედრა, რომ რაღაც უნდა გააკეთო.

– რა გავაკეთო? – ქეთის ხმაში სასოწარკვეთა გაისმა, – კვირას დედაჩემთან უნდა გავიდე. რაღაცას ხვდება, მე კი ისიც არ ვიცი, რა ვუთხრა.

– კვირამდე სამი დღეა, მოასწრებ შერიგებას.

– რანაირად? მაგას ჩემი დანახვაც არ უნდა... ასე რომ არ იყოს, ბავშვის სანახავად ისეთ დროს მოვიდოდა, მეც რომ სახლში ვიქნებოდი. სპეციალურად იქცევა ასე.

– იქნებ, კონფლიქტს ერიდება, ამაზე არ გიფიქრია?

ქეთიმ ამოიოხრა:

– ვითომ?

– უეჭველი ეგრეა. კაცების ამბავი არ იცი? მით უმეტეს, რომ შენ გააგდე.

– ძალიან დავიბენი... ვნანობ... ნეტავი, როცა მიდიოდა, მაშინ შემეჩერებინა. ახლა უფრო გართულდა ყველაფერი.

– კიდევ უფრო გართულდება, თუ ზომებს არ მიიღებ. თუ გინდა, როცა მოვა, მესიჯს მოგწერ და გამოიქეცი სამსახურიდან.

– არ ვიცი, მოვიფიქრებ. შენ მაინც მომწერე ესემესი და ვნახოთ.

***

გიგიმ დაუკაკუნებლად შეაღო კაბინეტის კარი. ლევანი მაშინვე წამოდგა და მის შესახვედრად გაემართა.

– მობრძანდით. ბოდიში, რომ თქვენი შეწუხება მომიხდა. მინდოდა, ადგილზე მეჩვენებინა, რისი გაკეთება მინდა.

– არ არის პრობლემა. თქვენ ჩვენი გამორჩეული კლიენტი ხართ, – გაუღიმა გიგიმ.

– ძალიან კარგი. სამაგიეროდ, სადილზე დაგპატიჟებთ. მე და ჩემი მეუღლე ვაპირებდით ახალი, საფირმო კერძის დაგემოვნებას და თქვენც შემოგვიერთდით.

– არა, ნუ შეწუხდებით. მაჩვენეთ, რას ვაკეთებთ და წავალ.

– არავითარ შემთხვევაში! მხოლოდ კერძის დაგემოვნების შემდეგ, – გააპროტესტა ლევანმა და გიგის მკლავში მოჰკიდა ხელი, – წავიდეთ, წავიდეთ, ლიზასაც გაგაცნობთ...

– ლიზას? – გიგიმ ფეხი აითრია.

– დიახ, ჩემს მეუღლეს... ამ ახალი კერძის შექმნის იდეა მისმა მდგომარეობამ შთამაგონა. ფეხმძიმედ არის და ყველაფერს ვერ ჭამს, რაღაც განსაკუთრებული უნდა.

გიგი არასდროს იყო უარზე, რაღაც გემრიელი გაესინჯა, მაგრამ, ამჯერად შეყოყმანდა. სახელმა „ლიზამ" მასში ეჭვი დაბადა და კიდევ ერთხელ შეეცადა, ზრდილობიანად აერიდებინა მიპატიჟება. მაგრამ ლევანმა არაფრით გაუშვა... თითქმის ძალით ჩაიყვანა რესტორნის ზამთრის ბაღში, სადაც სპეციალურად მათთვის იყო სუფრა გაშლილი. უზარმაზარ, შუშის კედელთან, ზურგით იდგა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ფეხის ხმაზე შემობრუნდა...

– გაიცანით – ლიზა, ჩემი მეუღლე.

ქალმა ღიმილით გაუწოდა ხელი და თავიდან ფეხებამდე, დაუფარავი ინტერესით შეათვალიერა. გიგიმ ისიც ვერ მოახერხა, ნაძალადევად გამოეხატა დადებითი ემოცია, მხოლოდ თავი დაუქნია და მაშინვე სუფრას მიუჯდა. „ის არის... ზუკამ ერთხელ ფოტო მაჩვენა და, გამორიცხულია, მეშლებოდეს. თან, სახელიც რომ ემთხვევა?! აუ, რა შარში ვარ! ზუკას რომ ვეტყვი, გადაირევა... გააფრენს... არადა, როგორ დავუმალო... რა თქვა ქმარმა? ფეხმძიმედ არისო? აი, თურმე, ზუკას რატომ დაშორდა... იმ სულელს კი ჰგონია, ეს ქმარს თავს დაანებებს და მასთან მიირბენს. როგორ არის ნათქვამი? – ნეტავი იმდენი არ ვიცოდე, რამდენიც ვიცი..."

– ძალიან ბევრ დროს ხომ არ გაკარგვინებთ? – მიმართა გიგის ლევანმა, – აი, ახლავე მოგვიტანენ ჩემს შედევრს და მერე საქმესაც შევუდგეთ. ლიზა, გიგი იმ სარეკლამო კომპა-

ნიიდან არის, რომელიც ჩემი ბიზნესის აღმავლობას უწყობს ხელს.

– მართლა? – კეკლუცად გაიღიმა ლიზამ და პატარა ბავშვივით მოიჩლიქა ენა.

– ლევანჩიკ, საყვარელო... უნდა გაგვაოცო? ერთი სული მაქვს, როდის გავსინჯავ შენს საფირმო კერძს... ჩემი ნიჭიერი, მზრუნველი ქმარი...

გიგიმ იგრძნო, რომ ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. საჭმელი ლამის ყელში გაეჩხირა... ერთ ადგილას ცქმუტავდა და სადილი წამებად გადაექცა. თან, შეფარვით ლიზას ათვალიერებდა... ბოლოს საკუთარ თავთან აღიარა, რომ ეს ქალი მარტო ზუკას კი არა, ნებისმიერ კაცს აურევდა ჭკუას. „საწყალი ზუკა“... – დაასკვნა თავისთვის.

– ეტყობა, გიგი ახლაც სამუშაოზე ფიქრობს... – იცინოდა ლევანი, – ლიზა, რომ იცოდე, როგორი კარგი ხალხია... თქმაც არ მჭირდება, ისე კარგად ხვდებიან, რა მჭირდება. თქვენი უფროსიც ძალიან მომწონს – ვახტანგი. ის ბიჭიც, რა ჰქვია? სახელი დამავიწყდა...

გიგის წვენი გადასცდა და ხველა აუტყდა.

– ბატონო ლევან, ძალიან გემრიელია თქვენი საფირმო კერძი, – სწრაფად შეცვალა საუბრის თემა...

– ლიზა, შენ რას ფიქრობ, საყვარელო? – ცოლს მიუბრუნდა ლევანი.

– ორიგინალური. აი, სიგარეტის მოწევაც რომ შემეძლოს, ვიტყოდი, რომ შენს რესტორანში სადილობა სიამოვნებაა.

– არა, არა, სიგარეტი შენთვის არ შეიძლება, ექიმმა ხომ გითხრა, ჯანმრთელი შვილი უნდა გამიჩინო.

გიგიმ ველარ გაუძლო:

– ბატონო ლევან, მე კიდევ მაქვს შეკვეთები და, იქნებ გეთქვათ, რის გაკეთებას გეგმავთ... სამსახურში უნდა დავბრუნდე.

– მეც მივდივარ... – წამოდგა ლიზა, – ცოტას გავივლი და საღამოს ისევ შემოგივლი. სახლში წასვლამდე გავისეირნოთ, ხომ დამპირდი?

– აუცილებლად, საყვარელო... საით აპირებ?

ქალმა გადაიკისკისა:

– ახალი ჰობი გამიჩნდა – მაღაზიებში დავდივარ და ბავშვის ტანსაცმელს ვათვალიერებ... – ლიზამ ქმარს ლოყაზე აკოცა, გიგის კეკლუცად დაუქნია ხელი და წავიდა. ლევანმა აღფრთოვანებით გახედა მიმავალს:

– ლიზა საუკეთესოა იმ ყველაფერს შორის, რაც გამაჩნია.

– დიახ, ძალიან ლამაზი ცოლი გყავთ, – იძულებული გახდა, დათანხმებოდა გიგი.

– ჰო... მარტო სილამაზეშიც არ არის საქმე. რაღაც აქვს ისეთი, რაც მუდმივად მხიბლავს და მაჯადოებს... რამდენს ვლაპარაკობ, არა?! ძალიან ბედნიერი ვარ და მეტყობა...

გიგიმ ისევ ამოიოხრა. უკვე აღარ იცოდა, ვინ უფრო მეტად უნდა შესცოდებოდა – ლევანი თუ ზუკა...

***

ვახომ ყურმილი აიღო და თიკოსთან დარეკა.

– მე არავის ვუკითხავარ?

– არა, ბატონო ვახო...

– ეგ „ბატონო“ როდის უნდა მოიშალო? ხომ გითხარი, ვახო დამიძახე-მეთქი! – მოულოდნელად გაღიზიანდა ვახო.

– გავიგე, ვახო... – არ შეიმჩნია თიკომ, – გნებავთ რამე?

– ჰო. გამიგე ერთი, სად შეიძლება, შაბათ-კვირას ბავშვი წავიყვანო.

– ბავშვი? ვისი ბავშვი?

– თიკო, რა მოგივიდა? ჩემს შვილზე გელაპარაკები, მარიაზე...

– უი, უკაცრავად... ახლავე... გნებავთ, კინოთეატრების აფიშას ვნახავ?



– რომელი კინოთეატრების? სამი წლისაც არ არის ჯერ... საბავშვო ცენტრები მაინტერესებს, ტელეფონის ნომრები ამომიწერე და შემომიტანე.

თიკომ ყურმილი დადო:

– ისევ საშინელ გუნებაზეა, დროზე თუ არ შეურიგდა ცოლს, ცუდად არის საქმე.

– ვისზე ლაპარაკობ, ვინ უნდა შეურიგდეს ცოლს, ვინ არის ცუდ გუნებაზე? – სეტყვასავით დააყარა შეკითხვები ოთახში მოულოდნელად შემოსულმა ზუკამ.

თიკომ წყრომით ახედა თავზე წამომდგარ ბიჭს.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა მიამიტი ბავშვის გამომეტყველებით.

– ვგულისხმობ კი არა, გარკვევით გავიგონე, რაც თქვი, – ჩააცივდა ზუკა, – აუ, მითხარი, რა, ვკვდები ცნობისმოყვარეობით.

– ჰმ! და, კიდევ, ჩვენ ვართ ჭორიკნები?! ისე ვთქვი რაღაც, ჩემს პონტში.

– შენი პონტი და ჩემი პონტი არ ვიცი მე... ვახო ცოლს გაშორდა? თიკო, შენ ეს ვინ გითხრა?

– ზუკა, მომეშვი. ჩემი საქმე არ არის შეფის ოჯახური მდგომარეობა და, სხვათა შორის, არც შენი.

– გოგო, ისე მაინტერესებს, უბრალოდ... – ყელი ორი თითით გამოიწია ბიჭმა.

– რაღა მაინცდამაინც ჩემგან უნდა გაიგო? – იუარა თიკომ, – კიდევ გიმეორებ: არ არის ეს ჩვენი საქმე.

ზუკა დაიჭყანა.

– ზოგჯერ როგორ ჭედავ ხოლმე... არადა, მე სულ შენს მხარეს ვარ, – შეახსენა დამუნათებით. თიკო მოლბა და ხმას დაუწია:

– კარგი, გეტყვი... იმ დღეს, აქ რომ დარჩა, ხომ იცი? აეროპორტში დამაგვიანდაო... ჰმ, კარგი ვერსია კი მოიფიქრა... მოკლედ, ქეთი ეჩხუბა თუ ამან იჩხუბა, არ ვიცი, მაგრამ, იმის მერე საშინელ გუნებაზეა და სახლშიც არ დაბრუნებულა.

– შენ რა იცი? ისევ აქ რჩება?

– რომ გელაპარაკები, ესე იგი, ვიცი... არც ყრუ ვარ და არც ბრმა, მით უმეტეს, არც შტერი. მგონი, გიგისთან ცხოვრობს. გიგი კი მალავს ამ ამბავს, მაგრამ, მე სარწმუნო ფაქტები გამაჩნია, რომ ასეა.

– მდა... ვერ არის კარგი ამბავი.

– ჰო, მეც მეწყინა. მომწონდა ქეთი... გადაეკიდება ახლა ვიღაც ბოზს და... ამ კაცებს ჭკუა საერთოდ არა გაქვთ თავში.

– ნუ დასვი დიაგნოზი! იქნებ ურიგდება, ან, იქნებ, უკვე შეურიგდა... მოდი, საერთოდ ნუ ილაპარაკებ ამ თემაზე, კარგი?

თიკო გამწარდა:

– როგორი უსინდისო ხარ! ძალით მათქმევინე და ახლა ჭკუას მარიგებ, არ თქვაო?!

– ნუ ვარდები, საწყენად არ მითქვამს, – ზუკა ხელზე მოეფერა, – ვიცი, რომ კარგი გოგო ხარ.

– რა ვიცი, ყველა ცდილობთ, ნერვები მომიშალოთ – ერთად და ცალ-ცალკე. აგერ, მთავარი ნერვების მომშლელიც მობრძანდა. ერთი ჰკითხე, სად იყო, კლიენტთან მოლაპარაკებაზე, თუ საქეიფოდ. გალეწილი მთვრალის სახე აქვს.

ზუკა კარისკენ შებრუნდა. გიგის მართლაც უბრჭყვიალებდა თვალები და სახეზეც მეწამულისფერი გადაჰკრავდა.

– დათვერი, შე უბედურო?! – წამოსცდა ზუკას და გაიცინა.

– უბრალოდ, დავიღალე. ვახო თავისთან არის, კაბინეტში? – იკითხა და ზუკას მზერა მოარიდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ცოცხლობთ თუ ცხოვრობთ?

*ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რაც მეტია აქტიური ადამიანის ასაკი, მით ახალგაზრდად გრძნობს ის თავს. პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია, რომ ზოგი ადამიანი ტკბება ცხოვრებით, ზოგი კი, უბრალოდ, ცოცხლობს. თქვენ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით?*



**1. რა პრობლემებზე გეწუწუნებიან მეგობრები?**

ა) ფინანსურ პრობლემებზე;

ბ) ურთიერთობის პრობლემებზე;

გ) ჩვეულებრივ, ყოფით პრობლემებზე.

**2. კმაყოფილი ხართ თქვენი ინტიმური ცხოვრებით?**

ა) დიახ, აბსოლუტურად;

ბ) უკეთესიც შეიძლება;

გ) არა. უკმარისობის განცდა მაქვს.

**3 აღწერეთ თქვენი ჩაცმის სტილი:**

ა) მოდის ფეხდაფეხ მიმდევარი;

ბ) ჩვეულებრივ, სპორტული;

გ) ზომიერად აკადემიური.

**4. როდისმე გქონიათ ვალები?**

ა) მქონია რთული პერიოდი და გადამიტანია;

ბ) არა. მძულს ვალები, ვერიდები;

გ) ყოველთვის ვსესხულობ იმას, რამდენის დაბრუნებაც შემიძლია.

**5. მოგწონთ ჯინსი, ძალიან თანამედროვეა, მაგრამ, ერთი ზომით პატარაა. რას მოიმოქმედებთ?**

ა) ვიყიდი სხვა მოდელს, ჩემს ზომას;

ბ) ვიყიდი პატარას, რომელიც მომწონს – თავს მოვიკლავ და დავიკლებ წონაში;

გ) არ ვიცი, უნდა დავფიქრდე.

**6. გჯერათ ჭეშმარიტი სიყვარულის?**

ა) მე ჯერ არ შემხვედრია. პრინციპში, რატომაც არა?!

ბ) აუცილებლად. ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის;

ბ) არა. მთელი ცხოვრება აბსურდს ვერ დაველოდები.

**ნახეთ შედეგები:**

***პასუხების უმრავლესობაა „ა": სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობთ. გაინტერესებთ ყველაფერი. აქტიურად ხართ ჩართული ყველაფერში, რაც თქვენ გარშემოა. ინტერესიანსა და ბობოქარი ბუნების ადამიანს წლები დიდხანს ვერაფერს დააკლებთ.***

***პასუხების უმრავლესობა არის „ბ": აუცილებელი არ არის, ყველაფერს გაუსინჯოთ გემო და საკუთარი ცხოვრება ექსპერიმენტების არენად აქციოთ. ზოგჯერ გაექეცით ყოველდღიურ ერთფეროვნებას და გულიანად გაერთეთ – წაგადგებათ.***

***ვარიანტი „გ": თქვენი ცხოვრება მკაცრად გაქვთ გაწერილი გეგმის მიხედვით. დაფიქრდით, ასე მთელი ცხოვრება „ჩაგადნებათ" ხელებში. უკან მიხედვასაც ვერ მოასწრებთ, რომ აღმოაჩენთ – ძალიან ბევრი სასიამოვნო მომენტი გამოგიტოვებიათ.***

## სიმართლე კაბაში!

სიტყვა „მატრიარქატი" ორი ბერძნული სიტყვის ფესვისგან წარმოიშვა: „დედა" და „ძალაუფლება". თუმცა არსებობს მეორე სიტყვაც – „ნეკოკრატია", რომელიც ქალთა ტოტალიტარიზმს აღნიშნავს.

მატრიარქატის შესახებ მოხსენიებულია „ჩეხურ ქრონიკებში" (1113 წელი). საუბარია ძველისძველ საომარ ციხე-კოშკზე – დევინზე, რომელსაც მხოლოდ მეომარი ქალები იცავდნენ და არაფერში უდებდნენ ტოლს მამაკაცებს.

დღეს დედამიწაზე არის ადგილები, სადაც ქალთა უპირატესობები მკვეთრადაა გამოკვეთილი. იქ კაცების აზრი იგნორირებულია. მაგალითად, ტუარეგები (აფრიკაში მობინადრე ბერბერები) გვარს ქალის ხაზით აგრძელებენ. ისინი, ანუ ქალები, წერენ და მეტყველებენ ენაზე, რომელიც ძველ მუსლიმანურ პერიოდს განეკუთვნება, მაშინ, როცა ამ ტომის კაცები, ჩვეულებრივად, არაბულად ლაპარაკობენ. თუ ტუარეგი ქალი არ გათხოვდა, მას სრული უფლება აქვს, ისე იცხოვროს, როგორც მოესურვება – მას ვერავინ ვერაფერში შეზღუდავს, მით უმეტეს, ვერაფრით გაათხოვებენ მისი ნების გარეშე.

ჩინეთში, სიჩუანისა და იუნანის პროვინციებში, ოჯახის უფროსია უხუცესი ქალი – მოსო. ის არჩევს საქმეებს, თვალყურს ადევნებს მეურნეობას და ზუსტად განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის უფლება-მოვალეობებს. აქ ცოლ-ქმარი არც წყვილად ცხოვრობს და მარტო ღამით ხვდებიან ერთმანეთს, არც ენაში აქვთ სიტყვები „ქმარი" და „ცოლი" – რა საჭიროა?!

## ღვთაებრივი პოპულარობა

ყველაზე ცნობილი ღმერთი-ღვთაება ეგვიპტური მზის ღმერთი „რა" გახლავთ. მასზე იღებენ ფილმებს, წერენ წიგნებს, ამზადებენ სუვენირებს და აკეთებენ ფულს.

„რას" აქვს განსხეულება – ჩიტი, ფენიქსის სახით; ასევე, ხარი მნევისისა და ობელისკის ბენ-ბენის ვიზუალით.

ამ ყველაფრის ახსნას ძალიან დიდი დრო სჭირდება და რამდენიმე მეცნიერიც.

„რა" დღისით ანათებდა მიწას, საღამოს კი ძვირფას ტახტზე დაბრძანდებოდა, ხოლო სხივებს მდინარე ნილოსში ჩაუშვებდა



ხოლმე. „რა" ამბობს: „მე ვიყავი გუშინ; მე ვიცი ხვალინდელი დღე".

პოპულარობაში „რას" ცოტათი ჩამორჩება ბერძნული ღმერთ-ღვთაება – ჰელიოსი. ისიც ცაში ცხოვრობს, იქ ეტლით დასეირნობს და დედამიწაზე სხივებს გზავნის. დღეს მისი გარჩევა აპოლონისგან პრაქტიკულად შეუძლებელია. ტყუპისცალიც ჰყავს – რომაული თება.

ჰელიოსის „საქმენი საგმირონი:" მან „ჩაუშვა" ჰეფესტოსთან მისი მშვენიერი მეუღლე, აფროდიტე – ომის ღმერთთან, არესთან გღალატობსო; გასცა პერსეფონტეს მკვლელი აიდი, რათა მისი ცოლი ჩაეგდო ხელში. ჰელიოსი არ მოსწონდათ დანარჩენ ღმერთებს. სამაგიეროდ, უყვარდათ ბერძნებს. ამიტომაც აღმართეს მისი 36-მეტრიანი ქანდაკება და მას „როდოსის კოლოსი" უწოდეს.

## მხოლოდ ფაქტები

სტატისტიკა საინტერესოც არის და სასარგებლოც. მაგალითად, სტატისტიკა გვამცნობს...

* ერთი საათი მაინც უნდა იმუშაოს ინდოეთში ადამიანმა, რომ ერთი ბოთლი ლუდი იყიდოს. ამერიკელს ისეთივე ლუდის შესაძენად 40 წუთიც ჰყოფნის.

* ამერიკაში, მინიმუმ, 5,7 პროცენტი იღებს დადებით პასუხს ნარკოლოგიურ ტესტებში.

* სოციალური ქსელების აქტიურად მომხმარებელთა 40-მა პროცენტმა აღიარა, რომ უკვე უჭირთ ურთიერთობა რეალურ ადამიანებთან, განსაკუთრებით, მათთან, რომლებიც სწორედ ამ ქსელების საშუალებით გაიცნეს.

* ტელესივრცეში ყველაზე საშინელ და შიშისმომგვრელ სერიალად აღიარეს „მოსიარულე მიცვალებულები" (იგივე „მოსიარულე გვამები"). თითოეულ ეპიზოდში მინიმუმ 38 გვამია და აქედან 91 – პროცენტი ზომბი.

* სერიალ „საიდუმლო მასალების" ერთ-ერთი აგენტის – სკალის ფეხსაცმელები სერიალიდან, აუქციონზე 455 ამერიკულ დოლარად გაიყიდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მოკალი მოღალატე!

## სტენლი ელინი

ყველაფერში დამნაშავე ოლქის პროკურორი იყო. რამ გადააწყვეტინა შუა კვირაში, სამუშაო დღეს, წვეულების მოწყობა და მისი დაპატიჟება?! იძულებული გახდა, სახლში სამი საათით ადრე დაბრუნებულიყო, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა. ქალაქგარეთ ცხოვრობდა, პრესტიჟულ უბანში. სახლამდე ორმოცი წუთს მაინც ანდომებდა. კორნილიუსი ვერ იტანდა დღის წინასწარ გაწერილი განრიგიდან ამოვარდნას... უცებ განათებული ქუჩის ბოლოს ქალის ნაცნობი სილუეტი დაინახა და კისკისიც შემოესმა... არა, ნამდვილად არ მოსჩვენებია – ეს მისი ცოლი იყო, ვიღაც ახალგაზრდა, ქერა მამაკაცთან ჩახვეული. ყელი გაუშრა და შუბლი ოფლმა დაუსველა. კლერი ძალიან ბედნიერი ჩანდა... სენატორს სისხლი მოაწვა თვალებში. ფაქტი ისეთი ჯიუტი იყო, ვერსად გაექცეოდა. რა უნდა ექნა? მისულიყო მათთან და სკანდალი მოეწყო?! უცებ საქმეში გონება ჩაერთო. საქვეყნოდ თავს ვერ მოიჭრიდა – ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ერთ წუთში ქარს ვერ გაატანდა იმას, რასაც ნახევარი ცხოვრება შეალია. მისი მდგომარეობის კაცი უბრალო მდივან ქალზე რომ დაქორწინებულიყო... ნდა, ეს უკვე იყო სკანდალი. რამდენჯერ შეუნიშნავს მეგობრების უცნაური მზერა, როცა ცოლთან ერთად ხედავდნენ. ეტყობა, ელოდებოდნენ და ფიქრობდნენ, ადრე თუ გვიან, ქალი რქებს აუცილებლად დაადგამსო... როგორი ბრმა ყოფილა!.. კაცი კლერის სილამაზემ მოხიბლა. სანამ მასთან მუშაობდა, თავი ყოველთვის მოკრძალებულად ეჭირა. იცვამდა გემოვნებით, მაგრამ, მკაცრი სტილის კოსტიუმებს არჩევდა... ხელი რომ სთხოვა, ტუჩები მაგრად მოკუმა და თავი ოდნავ დააქნია...

სახლში არავინ იყო... კორნილიუსმა მანქანა გააჩერა, საძინებელში ავიდა და სეიფიდან რევოლვერი გამოიღო. „მოვკლავ და ამით დამთავრდება ჩემი სირცხვილი“, – გაიფიქრა. მერე უცებ ბრაზი მოერია: რატომ უნდა მოეკლა თავისი ლამაზი კლერი ვიღაც სხვის ცოლებზე მონადირე ნაძირალას გამო? ის იყო სიკვდილის ღირსი. მოკლავს იმას, ვინც მასა და კლერს შორის ჩადგა და პრობლემაც გადაიჭრება. კლერს ის არ ეყვარება, როგორც შეიძლება, ახლა ჰგონია. უბრალოდ, ახალგაზრდაა და თავგზა აურია გამოუცდელ ქალს... პროკურორმა რევოლვერს დახედა და უცებ წარმოიდგინა, როგორი სათაურები გაჩნდებოდა გაზეთებში მკვლელობის შემდეგ... შეაჟრჟოლა. რევოლვერი უკანვე შეაბრუნა სეიფში და ჩამოჯდა. ერთბაშად ერთი საქმე გაახსენდა: კაცი ცოლის საყვარელს მანქანით დაეჯახა და მოკლა, მაგრამ, მოსამართლემ უდანაშაულოდ ცნო. კორნილიუსმა ვერაფრით დაუმტკიცა, რომ მან ეს შეგნებულად, განზრახ გააკეთა – ადვოკატმა დაამტკიცა, რომ ბრალდებულმა საერთოდ არაფერი იცოდა ცოლის ღალატის შესახებ... აი, როგორ მოიქცევა! ავარია შესანიშნავი იარაღია და სწორედ ამ იარაღს გამოიყენებს. მთავარია, არ აჩქარდეს და ყველაფერი სწორად დაგეგმოს.

კლერი რომ დაბრუნდა, ქმარი მაგიდასთან მჯდარი, მდუმარე და დაფიქრებული ნახა. ცოლის დანახვაზე პროკურორს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ გაეღიმა.

– საყვარელო, რა ადრე მოსულხარ! – უთხრა ქალმა.

– დღეს ხომ სადილად მივდივართ სენატორთან, დაგავიწყდა?

კლერმა თლილი თითები ლოყებზე მსუბუქად შემოიკრა:

– როგორ დამავიწყდა... ახლავე, ახლავე მოვემზადები. შენც ხომ გამოიცვლი? თუ გინდა, აბაზანას მოგიმზადებ...

კაცი უყურებდა ცოლს და ფიქრობდა: როგორი ჭკვიანია. არც კი დაბნეულა, მშვენივრად განაგრძობს მზრუნველი მეუღლის როლის თამაშს. არა, კლერი მისი საკუთრებაა, უნდა იამაყოს ახალგაზრდა და ლამაზი ცოლით. მეტოქე მათი ცხოვრებიდან რომ გაქრება, იდეალურ წყვილს შექმნიან. კლერი შვილსაც გააჩენს და ბედნიერები იქნებიან...

– სად იყავი?

– მანქანით საყიდლებზე გავედი...

– კი მაგრამ, საყიდლებზე ხომ დამხმარე ქალი დადის, შენ რატომ იტვირთავ თავს?

– საყვარელო, ვიცი, რომ მე შენთვის ჩვეულებრივი ცოლი არ ვარ და ჩემგან დიასახლისობას არ მოითხოვ, მაგრამ, დღეს ხომ ოთხშაბათია, ჩვენი დამხმარე ქალი ისვენებს და, ვიფიქრე, ვახშმად რამე გემრიელს მოვამზადებ-მეთქი. დამავიწყდა, წვეულებაზე რომ ვიყავით დაპატიჟებულები.

„ჰმ, ესე იგი, ერთმანეთს ოთხშაბათობით ხვდებიან... კარგად აუწყვიათ: მოსამსახურე სახლში არ არის, ქმარი გვიანობამდე არ დაბრუნდება... კარგია, ავარია ოთხშაბათს მოხდება... ერთი ოთხშაბათი მათ თვალთვალში უნდა გავატარო. სავარაუდოდ, ელექტრომატარებლით ჩამოდის ის ნაძირალა. ჰოდა, იქვე, გადასასვლელზე მოვუღებ ბოლოს. მთავარია, ჩამოსვლის დრო გავიგო“... ამ ფიქრმა ოდნავ გაახალისა. კიბეზე კლერი ჩამოდიოდა. აღფრთოვანებით შეხედა. ისეთი ლამაზი იყო, ვერც ერთი კაცი გულგრილი ვერ დარჩებოდა. პროკურორი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. გაახსენდა, როგორი შურით უყურებდნენ მამაკაცები, როცა გვერდით კლერი ჰყავდა... ამ საუნჯის წართმევა მოინდომა ვიღაც მათხოვარმა? ამას არ დაუშვებდა.

საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად, პროკურორს ერთ კვირაზე მეტი დასჭირდა, მაგრამ, ჩიტი ბდღვნად ღირდა. კორნილიუსი კმაყოფილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე ვნებიანი სცენის მოწმეც კი გახდა კლერისა და მისი საყვარლის მონაწილეობით... ბოლოს ნანატრი დღეც დადგა. პროკურორი წინასწარ ტკბებოდა მოსალოდნელი შედეგით. შურისძიებით თრობა საკმაოდ სასიამოვნო აღმოჩნდა...

დილიდანვე ისე იქცეოდა, თითქოს ძალიან ცუდად იყო. წამალიც კი დალია, აქაოდა, ძალიან შეუძლოდ ვარო. სინამდვილეში, ორი ტაბლეტი ასპირინი გადაყლაპა მოსაჩვენებლად. მდივანს უთხრა, ადრე უნდა წავიდე სახლში, დავისვენო... ნეტავი მძღოლი არ გამეშვა, საჭესთან უარესად არ გავხდეო... ანუ, ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც დაგეგმილი ჰქონდა: დარტყმა ზუსტი იყო და მომაკვდინებელი. მეტოქემ რამდენიმე მეტრი იფრინა და პირქვე დაენარცხა ასფალტს... პროკურორმა მომზადებული ბლავილი ამოუშვა და მანქანიდან გადმოვიდა, ვითომ მუხლიც მოეკვეთა და იქვე ჩაიკეცა. მიზანი მიღწეული იყო... ხალხი, რომელიც შემთხვევის ადგილზე მოგროვდა, მას იცოდებდა... გამოიძახეს სასწრაფო, დაურეკეს ცოლს... კლერი მალევე მოვიდა... პროკურორი გაფაციცებით აკვირდებოდა მის რეაქციას... ქალმა მსხვერპლს დახედა და ზეწარივით გაფითრდა... არაფერი უთქვამს. ქმარს მკლავში მოჰკიდა ხელი და მანქანაში ჩაჯდომაში დაეხმარა... სახლში მისულმა აბაზანა და ცხელი ჩაიც მოუმზადა... კორნილიუსი ნელნელა დამშვიდდა, თვალიც კი მილულა... ემოციებმა მაინც დაღალა... ერთბაშად, რაღაც გაურკვეველმა ხმაურმა გააღვიძა... იმან, რაც



დაინახა, სულით-ხორცამდე შეძრა და ადგილს მიაჯაჭვა: მის წინ რევოლვერმომარჯვებული კლერი იდგა და შეურაცხადის თვალებით უყურებდა:

– შენ ჩემი საყვარელი მოკალი. მე და ჯორჯი მანამდე ვხვდებოდით ერთმანეთს, სანამ შენი ცოლი გავხდებოდი. ღმერთია მოწმე, ვცდილობდი მის დავიწყებას, მაგრამ, სიყვარული ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. არ ვიცი, საიდან გაიგე ჩემი რომანის შესახებ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს შურისძიება იყო... ახლა მე ვიქნები შურისმაძიებლის როლში და ხელიც არ ამიკანკალდება... უნამუსო არ გეგონო, ვაპირებდი, ყველაფერი მეთქვა და პატიოსნად გაგშორებოდი. დარწმუნებული იყავი, ერთ დოლარსაც კი არ წავიღებდი შენგან... შენ მხოლოდ ლამაზი ცოლი გჭირდებოდა თავის მოსაწონებლად... თოჯინა... ყველაფერი გააფუჭე, კორნილიუს!..

პროკურორს გასროლის ხმა არ გაუგონია, მხოლოდ ტკივილი იგრძნო მკერდის არეში და უკუნი სიბნელე ჩამოწვა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# სერიული მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-40(666)

ანას გასაოცრად, მირიანმა კატეგორიულად აუკრძალა რამაზთან შეხვედრა – მისი აზრით, ეს დროის ფუჭად დაკარგვა იყო და



მეტი არაფერი და ასეთი ოპერაცია არაფერს შეჰმატებდა გამოძიებას.

– რატომ? – აღშფოთდა გიორგი მისი პასუხის მოსმენისას, – შენი აზრით, დრო ტყუილად დავკარგეთ და პროგრამისტებიც მოვაცდინეთ?!

– უკვე ვთქვი და ისევ გავიმეორებ: თქვენს ქმედებაში სერიოზულს ვერაფერს ვხედავ. იმასაც კი არ ვიკითხავ, ვის ეკუთვნის ეს იდეა – დარწმუნებული ვარ, რომ ეს შენ მოიფიქრე. მე მხოლოდ ის მაოცებს, ანა როგორ დაითანხმე ამ ავანტიურაზე! – სწრაფად თქვა მირიანმა.

– შენში არანაირი შემოქმედებითობა არ დევს. ორცხობილასავით ტიპი ხარ! – უკმაყოფილოდ მიუგო გიომ.

– რას ნიშნავს „ორცხობილასავით ტიპი“?! – გაღიზიანდა მირიანი.

– ორცხობილასავით გამომხმარი – წესები... კანონები... მოთხოვნები!.. ის, რაც ქაღალდზე არ წერია, შენთვის არ არსებობს! პირს მაინც თუ იბან კოდექსში ჩაუხედავად?!

– კმარა! – გაბრაზდა მირიანი, – დროს ნუ ვკარგავთ. ბევრი სამუშაო გვაქვს!

– არ ხარ მართალი მირიან, – მოულოდნელად ჩაურთო ანამ.

– შენც მე მამტყუნებ?! – გაოცებით გახედა მან, – რაში არ ვარ მართალი?

**ჟურნალი „თბილისელები“ ცნობილ ექიმს, მანანა ალექსიშვილს ულოცავს შვილიშვილის დაბადებას. უფლის წყალობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ პატარა ელენეს!**

– ჩვენ ტყუილად არ დაგვიკარგავს დრო, – ამ სიტყვებთან ერთად ანა საქაღალდეს გადაწვდა, გახსნა და კითხვას შეუდგა: რამაზ დევიძე... 27 წლის. დამთავრებული აქვს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტი. დაფუძნებული აქვს კერძო კომპანია, რომელიც დაკავებულია არქიტექტურული და დიზაინერული პროექტების შექმნით. გატაცებულია ხატვით. ნასამართლევი არ არის. დამნაშავეთა სამყაროსთან ურთიერთობაში შემჩნეული არ არის. უცოლოა... დანარჩენს, შეგიძლია, თავად გადახედო, – თქვა ანამ და საქაღალდე მირიანს წინ დაუდო.

– ეს უკვე სხვა საქმეა. ამით უნდა დაგეწყოთ მუშაობა და არა – ინტერნეტნაცნობობით, – ჩაილაპარაკა მირიანმა.

– რაც შეეხება ინტერნეტნაცნობობას, – განაგრძო ანამ, – არ დაგიმალავ, რომ თავიდან მეც არ მომეწონა გიორგის აზრი. მაგრამ შემდეგ კარგად დავფიქრდი და მივხვდი, რომ ის მართალია. ჩვენ ხომ ჯერჯერობით არავითარი სამხილი არ გაგვაჩნია. ინტერნეტით რამდენიმე წერილის მიწერისთვის, ბრალს ვერავის წავუყენებთ. ასე კი მასთან უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა მოგვეცემა. გამორიცხავ, რომ ეს პიროვნება მართლაც არაფერ შუაშია და ჩვენ მცდარ ვერსიას ვამუშავებთ? შესაძლოა მასთან შეხვედრამ სწორ გზაზე დაგვაყენოს.

– რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ამ ეტაპზე უფრო რეალური ვერსია არ გაგვაჩნია.

– ამიტომაც ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, – თქვა ანამ.

მირიანმა საფეთქლები მოისრისა და შემდეგ თქვა:

– მესმის, მაგრამ ასე მარტივადაც ვერ მივუდგებით ამ საკითხს. მე არ გამოვრიცხავ, რომ იმ პიროვნებას არაფერი აკავშირებს გოგონას გაუპატიურებასთან, მაგრამ ასევე იმასაც ვერ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ის არის მოძალადე. ასეთ შემთხვევაში კი მასთან შენი შეხვედრა დაუშვებელია. ასეთ რისკზე ვერ წავალ!

– მოდი გვერდზე გადავდოთ სენტიმენტები. პირველ რიგში მე გამომძიებელი ვარ! – შენიშნა ანამ.

– ეგ პრობლემა არ არის. მე დავაზღვევ, – სწრაფად დაამატა გიორგიმ.

მირიანი ჩაფიქრდა. გიორგის იდეის არსი მისთვის გასაგები იყო. მის წინაშე ოპერატიული თანამშრომელი რომ ყოფილიყო, წამითაც არ დაფიქრდებოდა, ოპერაციას მაშინვე აუნთებდა მწვანე შუქს. მისთვისაც საინტერესო იყო, როგორ დაიჭერდა თავს რამაზ დევიძე ახალგაზრდა, ლამაზ ქალთან. მაგრამ, ანას არ ჰქონდა ასეთი ოპერაციების გამოცდილება და, ამ დროს, მას ურთიერთობა მოუწევდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პიროვნებასთან, ადამიანთან, რომელმაც გააუპატიურა არასრულწლოვანი გოგონა და შემდეგ მის მოკვლას ცდილობდა. შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა რას მოიმოქმედებდა დევიძე ანას მხრიდან რაიმე შეცდომის დაშვების შემთხვევაში.

– რაზე ფიქრობ? – გიორგის მობეზრდა მისი დუმილი, – ხომ გითხარი, დავაზღვევ. გარანტიას გაძლევ, რომ ანას არაფერი დაუშავდება.

– ერთად დავაზღვევთ. როდის და სად უნდა შეხვდე? – მირიანმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება.

– შვიდ საათზე, ოპერის ბაღში, – უპასუხა ანამ.

მირიანმა საათს დახედა – ექვსი საათი სრულდებოდა.

– დრო არც ისე ბევრი გვაქვს, ყველა მოულოდნელობისგან უნდა დავიზღვიოთ თავი: სპეციალისტებს გამოვიძახებ, ხელჩანთაში კი ჩამწერ და გადამღებ მოწყობილობას ჩაგიმონტაჟებთ, – თქვა მან და ტელეფონს გადაწვდა.

* * *

მირიანმა ოპერის სიახლოვეს შეაჩერა მანქანა და ბაღი შეათვალიერა. დევიძე ჯერჯერობით არსად ჩანდა.

– იგვიანებს, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მის გვერდით, სავარძელზე მჯდომმა გიორგიმ.

– ათი წუთი კიდევ აქვს, – საათს დახედა მირიანმა.

– პირველი პაემნისთვის ეგეც ბევრია, – შენიშნა ანამ.

– რას იზამ? – უკანა სავარძელს მიუბრუნდა მირიანი, – აქ დაელოდები მის გამოჩენას?

– არა... ბაღში წავალ. დაგვიანებისთვის სასაყვედურო მიზეზი მაინც მექნება, – უპასუხა ანამ.

– მაშინ კიდევ ერთხელ შევამოწმოთ აღჭურვილობა, – თქვა მირიანმა და მანქანაში დამონტაჟებული მცირე ზომის მონიტორი ჩართო.

იმავდროულად ანამაც ჩართო თავის ხელჩანთაში ჩამონტაჟებული მოწყობილობა. მონიტორზე მანქანის სალონის გამოსახულება გამოჩნდა. ანამ ხელჩანთა ზემოთ ასწია და კამერა ქუჩისკენ მიმართა. სათვალთვალო მოწყობილობა შესანიშნავად მუშაობდა – მონიტორზე ქუჩა და მოძრავი მანქანები გამოჩნდა.

– კარგია... ძალიან კარგი, – თქვა გიორგიმ, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა მონიტორს, – ხმაც გვაქვს და გამოსახულებაც. ახლა მისი არც ერთი სიტყვა და ჟესტი არ გამოგვეპარება.

– მაშინ, წავედი, – ანამ გიორგისა და მირიანს გაუღიმა, მანქანიდან გადავიდა და ოპერის ბაღის მიმართულებით წავიდა.

ის იყო, ანა ბაღში შევიდა, რომ მოსახვევს წითელი „ტოიოტა“ გამოსცდა. მანქანამ მძიმედ ჩაუარა ბაღს და მომდევნო მოსახვევში მიიმალა. ორიოდ წუთის შემდეგ კი მოსახვევიდან რამაზ დევიძემ გამოაბიჯა, რომელსაც ხელში წითელი ვარდების თაიგული ეჭირა. ის სწრაფი ნაბიჯით შევიდა ბაღში და პირდაპირ ანას მიაშურა, რომელიც მან-

ქანიდან შენიშნა.

– გამარჯობა, – რამაზი ღიმილით მიესალმა ანას და თაიგული გაუწოდა.

– პუნქტუალური ყოფილხართ, – თაიგული ჩამოართვა მან, – ზუსტად შვიდი საათია.

– უფრო ადრე მინდოდა მოსვლა, მაგრამ, ქალაქის ცენტრში ყოველთვის ძნელია მანქანის გაჩერება, – თავი იმართლა რამაზმა.

ანამ ყურადღებით შეათვალიერა თანამოსაუბრე. ის სრულიადაც არ ჰგავდა მოძალადეს: მის წინაშე იდგა ახალგაზრდა, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი, რომელსაც ნაბლისფერი თმა, თაფლისფერი თვალები და ძალიან მეტყველი მზერა ჰქონდა.

– მაშ, რა გეგმები გვაქვს ამ საღამოსთან დაკავშირებით? – განარძო რამაზმა, – არჩევანი თქვენთვის მომინდვია.

– არც კი ვიცი, რა გითხრათ. საკმაოდ დატვირთული დღე მქონდა. ხმაური და ხალხმრავლობა კი ისედაც არ მიყვარს, – ჩაილაპარაკა ანამ.

– რომელიმე მყუდრო კაფე შევარჩიოთ, – შესთავაზა რამაზმა.

– უკეთესი აზრი მაქვს, – გაუღიმა ანამ, – სიმართლე რომ გითხრა ძალიან დამაინტერესა შენმა ნამუშევრებმა, – რატომღაც, „შენობით“ მიმართა კაცს – მაგრამ, ინტერნეტში დადებული ფოტოები დეტალურად დათვალიერების შესაძლებლობას არ იძლევა. სად შეიძლება მათი ნახვა?

– ჩემთან, სახელოსნოში.

– უხერხული ხომ არ იქნება, რომ გესტუმრო?

– არა, რას ამბობ, – „შენობითვე“ უპასუხა რამაზმა, – პირიქით; მე ვერც კი გავიბედავდი ამის შემოთავაზებას... წავიდეთ, მანქანა იმ მოსახვევში დგას, – მიანიშნა ანას და ხელკავი გამოსდო.

ოროდ წუთში წითელი „ტოიოტა“ ისევ გამოჩნდა ქუჩაზე.

– დავიძარით, – მისი დანახვისას ჩაილაპარაკა გიორგიმ, მანქანა ადგილიდან დაძრა და უკან მიჰყვა.

* * *

რამაზს სადად, მაგრამ, გემოვნებით ჰქონდა სახლი მოწყობილი. მეორე სართულის უდიდეს ნაწილს მისი სახელოსნო იკავებდა. ეს იყო ვრცელი სათავსო, რომელსაც, უკეთესი განათების მიზნით ერთი კედელი მთლიანად შუშის ჰქონდა. ოთახის ერთ კუთხეში ლამაზი ბუხარი იყო მოწყობილი, მის სიახლოვეს კი დივანი, სავარძლები და ჟურნალის მაგიდა იდგა. კედლებზე რამაზის ნამუშევრები ეკიდა. მათი ნაწილი ანას ინტერნეტში უკვე ჰქონდა ნანახი, ნაწილს კი პირველად ხედავდა. ვიდრე ის ნახატებს ათვალიერებდა, რამაზმა მაღალ ჭიქებში შავი ღვინო ჩამოასხა და სტუმარს შესთავაზა.

ანამ ჭიქა ჩამოართვა, ერთი ყლუპი ღვინო მოსვა და თქვა:

– მომწონს, შენი ნახატები უცნაურ შეგრძნებას აღძრავს. როგორ აგიხსნა... არ მღლის. ალბათ, საათობით შევძლებდი მათ თვალიერებას.

– რამე შეხება ხომ არ გაქვს ფერწერასთან? – ჰკითხა რამაზმა.



– არა, ჩათვალე, რომ მოყვარული ვარ.

– საიდუმლო თუ არ არის, ვინ ხარ პროფესიით?

– იურისტი, – უპასუხა ანამ.

– ოჰო! – გაუღიმა რამაზმა, – ვერ ვიფიქრებდი, რომ ასეთ მიმზიდველ ქალს ასეთი მოსაწყენი პროფესია ჰქონდა.

– სხვათა შორის, არც ისე მოსაწყენი პროფესიაა.

– მე კი ვერასდროს შევეგუებოდი ასეთ სამსახურს. არასოდეს მიყვარდა შაბლონები, წესების დაცვა, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა. არქიტექტორობაც კი მიჭირს. როგორი შემოქმედებითიც არ უნდა იყოს არქიტექტურა, მასშიც არსებობს წესები, რომლებსაც ვერ დაარღვევ, აი, თუნდაც, მიზიდულობის კანონს, – გაიცინა რამაზმა, – ხატვა კი სრულიად სხვა სამყაროა. ყოველგვარი შეზღუდვებისა და ჩარჩოების გარეშე. ამ სამყაროს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია...

– ასე რატომ გიზიდავს თვალები? – ჰკითხა ანამ.

– ადამიანები გაუხეშდნენ. საიდან ვიღებთ ინფორმაციას ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანების შესახებ?.. მათი ნალაპარაკევით, ჟესტებით, ქცევით, ან, სულაც სხვისი ნაამბობით. ბევრი უფრო მარტივი გზით მიდის და პიროვნებას ჩაცმულობით, საბანკო ანგარიშითა და მანქანის მოდელით აფასებს. მაგრამ, ეს ყველაფერი ზედაპირულია. ნებისმიერ ვიგინდარას შეუძლია, შეიძინოს მოდური ტანსაცმელი, მანქანა, იქონიოს მსხვილი საბანკო ანგარიში, გაიზეპიროს გარკვეული ფრაზები და შეისწავლოს საზოგადოებაში მოქცევის წესები. კი არ იცხოვროს, არამედ, მსახიობივით შეასრულოს იმ ადამიანის როლი, ვისი სახითაც სურს, რომ გვეჩვენოს. მაგრამ, ჯერჯერობით ვერავინ შეძლო თვალების გამომეტყველების შეცვლა – ისინი ხომ პირველები გასცემენ ჩვენს ემოციებს. ნათქვამია, თვალები სულის სარკეაო და ეს მართლაც ასეა. ერთ ნახატს გიჩვენებ, – თქვა რამაზმა და საპირისპირო კედელს მიუბრუნდა, რომელზეც შებრუნებით ეკიდა საშუალო ზომის ტილო. ანამ სახელოსნოში შესვლისთანავე შეამჩნია უცნაურად დაკიდებული ნახატი, მაგრამ, მასპინძლისთვის არაფერი უკითხავს.

რამაზმა ჩარჩო შემოაბრუნა, უკან გადგა და ანას ჰკითხა:

– რას იტყვი ამაზე?

ქალმა ინტერესით შეათვალიერა ნახატი. მასზე რამაზისთვის ტრადიციული, უჩვეულო ნაკვთების მქონე ქალი იყო გამოსახული, რომელსაც ფრჩხილების ნაცვლად მტაცებლის ბრჭყალები ჰქონდა, მაგრამ, მისმა თვალებმა უფრო მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ანაზე: ქალს შავი, ღრმად ჩამჯდარი, წვრილი თვალები ჰქონდა, რომლებიც არნახული ხარბი გამომეტყველებით უმზერდნენ ტილოდან. ანას ეჭვიც კი შეეპარა, რომ ავტორს ამ ტილოზე ქალის დახატვა სურდა. წვრილი და შავი თვალები ვირთაგვას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ადამიანს.

– ეტყობა, ავჩქარდი. ასეთ გამოსახულებას საათობით მართლაც ვერ ვათვალიერებ, – ანამ ზურგი შეაქცია ტილოს და სავარძელზე ჩამოჯდა.

– რა არ მოგეწონა ნახატში? – რამაზი მის პირისპირ დაჯდა.

– ძალიან ემოციურია. ის თვალები... როგორ აგიხსნა... დაძაბულობას ვგრძნობ მათი შეხედვისას. ძალიან დამღლელია.

– ამ თვალების პატრონი ოფიციანტი ქალია. რამდენჯერმე მომიწია მასთან შეხვედრა და, ყოველთვის ვამჩნევდი, როგორი სიხარბით უყურებდა ფულს, რომელიც მისთვის უნდა გადამეხადა. ვამჩნევდი სიხარულის ნაპერწკლებსაც, როდესაც დანახარჯზე ოთხი თუ ხუთი ლარით მეტს გადამახდევინებდა.

– შებრუნებული რატომ კიდია? – დაინტერესდა ანა.

– შენ უკვე თქვი – შეუძლებელია მისი დიდხანს ცქერა. როგორც წესი, ტილოების ნაწილს ვყიდი, ზოგიერთს ნაცნობ-მეგობრებს ვჩუქნი. ყველაზე ძვირფასებს კი ჩემთვის ვიტოვებ. აქ მხოლოდ ის ტილოებია, რომლებიც გარკვეულ მოგონებებს უკავშირდება. ეს ტილო კი... – რამაზი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო, – გასაყიდ-

## ვასო ინაურის მოსაგონარი



ვასო! ჩვენო ძვირფასო, ჩვენო საყვარელო! მეხუთე წელია, რაც შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით და ამ მძიმე და აუნაზღაურებელ დანაკლისს ვერ ვინელებთ. თავს კი იმით ვინუგეშებთ, რომ ცათა სასუფეველში განისვენებ და იქიდან გადმოგვცქერი შენი კეთილი და ლამაზი თვალებით, შენი სული კი გვლოცავს და გზას გვინათებს.

36-ე დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო და დაუვიწყარო! ცხონებულ იყავ, ამინ!

**შენი დედ-მამა, დები და დისშვილები**



ად და საჩუქრად ვერ გავიმეტე. გაყიდვა კი არ დამენანა... მყიდველი შემეცოდა. ჰოდა, ასე შემომრჩა. მაგრამ, მეც არ შემიძლია მისი ცქერა და ამიტომაც ჰკიდია შეტრიალებული.

– სევდიანი ისტორიაა, – გაუღიმა ანამ და ისევ მოსვა ღვინო.

– უფრო – სამაგალითო. მას შემდეგ ასეთი თვალების ხატვა შევწყვიტე.

– იქ რა არის? – ანამ ჩარჩოზე გაჭიმულ ტილოზე მიანიშნა, რომელსაც ქსოვილის ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული.

– ახალი ნამუშევარია, დაახლოებით ორი კვირის წინ წამოვიწყე, მაგრამ, ჯერ არ დამიმთავრებია, – უპასუხა რამაზმა.

– შეიძლება, ვნახო?

– რა თქმა უნდა, – ამ სიტყვებთან ერთად, რამაზი ადგა, ჩარჩოს მიაუხლოვდა და ქსოვილი მოაშორა.

ტილოზე ფართოდ გახელილი თაფლისფერი თვალები იყო გამოსახული, ნახატის დანარჩენი ნაწილი კი დაუმთავრებელი იყო – ავტორს მხოლოდ კონტურები მოეხაზა. თვალებს ბავშვური იერი დაჰკრავდა. მისი დაკავშირება ნონა ბაქრაძესთან შეუძლებელი იყო, მაგრამ, ანა ინტუიციურად მიხვდა, რომ ეს თვალები სწორედ მას ეკუთვნოდა.

– საინტერესოა. ძალიან მშვიდი მზერა აქვს. ამ ნახატსაც ჰყავს პროტოტიპი? – რამაზს მიუბრუნდა ანა.

– ჰყავს, – დაუდასტურა მან.

– ვინ?

– ერთი გოგონა. სკოლის მოსწავლეა. ნონა ჰქვია, – მშვიდად უპასუხა რამაზმა.

– სკოლის მოსწავლეებიც გიწევენ პოზირებას?

– საერთოდ, მოზარდებთან მუშაობას გავურბივარ, მაგრამ, ამ გოგონას თვალებმა, უბრალოდ, არჩევნის საშუალება არ დამიტოვა. პირველი ნახვისთანავე გამიჩნდა მისი დახატვის სურვილი.

– როგორ გაიცანი? – განაგრძო ანამ.

– განა ეს მნიშვნელოვანია?

– ჩათვალე, რომ ქალური ცნობისმოყვარეობაა.

– ისევე, როგორც შენ – ინტერნეტით დამიკავშირდა. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ, შემდეგ მისი ფოტოები დავათვალიერე და მივხვდი, რომ ნამდვილად საინტერესო ტიპაჟი იყო.

– რამ მიგიზიდა მის თვალებში?

– სისუფთავემ. მისმა სპეტაკმა, უბოროტო მზერამ. ამ ტილოს ჩემთვის დატოვებას არ ვაპირებდი, მისთვის უნდა მეჩუქებინა – ტილოსთვის ამაზე უკეთესი სამყოფელი არსად მეგულება.

– ახლა სად არის ის გოგონა? – ჰკითხა ანამ.

– მესამე დღეა, რაც აღარ შემხმიანებია. არადა, ლამის ყოველ საღამოს მიკავშირდებოდა ინტერნეტით. იცოდა, ტილოზე რომ ვმუშაობდი. თავადაც იმდენად იყო დაინტერესებული, რამდენჯერმე სახელოსნოშიც კი მომაკითხა. იმ სავარძელზე ჯდებოდა, რომელზეც ახლა შენ ზიხარ და გატაცებული მადევნებდა თვალს მუშაობისას. იშვიათად შევხვედრივარ ასეთ ადამიანს. სიცოცხლით სავსე გოგონაა, მისი ხალისი მეც კი გადმომედო. ვამჩნევდი, რომ მის ახლოს ყოფნისას, უფრო მიადვილდებოდა მუშაობა, დაღლილობასაც კი ვერ ვგრძნობდი. სხვათა შორის, იმავეს ვგრძნობ შენს სიახლოვესაც. წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ახლავე რომ დავიწყო მუშაობა. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასე ვაკეთებ ხოლმე გარკვეულ მონახაზს, მატრიცას, რომლის მეხედვითაც შემდეგ ტილოს ვქმნი.

– საუბარით ხელს ხომ არ შეგიშლი? – ჰკითხა ანამ.

– არა, პირიქით, ეს ჩემთვის დახმარების ტოლფასი იქნება, – უპასუხა რამაზმა, შემდეგ ადგა, სახელოსნოს საპირისპირო მხარეს მიაშურა და ჩარჩოზე ტილოს გაჭიმვას შეუდგა.

* * *

ანა დილით ცუდ ხასიათზე მივიდა პროკურატურაში. რამაზთან შეხვედრამ, რომელსაც ასეთი მონდომებით ამზადებდნენ, მათი იმედები ვერ გაამართლა. ბუნებრივია, მხოლოდ ერთი შეხვედრითა და ზოგადი საუბრით მისი დანაშაულისა თუ უდანაშაულობის განსაზღვრა შეუძლებელი იყო, მაგრამ, ანა ინტუიციურად გრძნობდა, რომ ძიება მცდარ კვალს ადგა და რამაზს არაფერი აკავშირებდა ნონა ბაქრაძის გაუპატიურებასთან. წინა საღამოს ანამ მირიანთან ამ თემაზე საუბარი ვერ შეძლო. სახელოსნოში გატარებული ორი საათის შემდეგ, რამაზმა არაფრით აღარ გაუშვა მარტო და თავისი მანქანით მიაცილა სახლამდე. მგზავრობისას მის „ტოიოტას“ უკან აჩრდილივით მიჰყვებოდა მირიანის მანქანაც. რამაზი სახლთან დაემშვიდობა ანას და, როგორც კი ის სადარბაზოში შევიდა, მანქანა ადგილიდან დაძრა. რამდენიმე წუთში კი ეზოში მირიანის მანქანა შეჩერდა. ანა სადარბაზოსთან ელოდა ჯგუფის წევრების გამოჩენას, მაგრამ, მირიანმა საქმეზე საუბარი აღარ მოისურვა. უკვე გვიანი იყო და დაძაბული დღის შემდეგ ყველას სჭირდებოდა დასვენება. თანაც, გარკვეული დასკვნების გამოტანამდე, მას კიდევ ერთხელ სურდა რამაზისა და ანას საუბრის ჩანაწერის ნახვა. ამიტომაც, თათბირი მომდევნო დღისთვის გადაიდო.

დილით მირიანი სამუშაო კაბინეტში დახვდა ანას. ის და გიორგი კომპიუტერის მონიტორთან ისხდნენ და ისევ იმ ჩანაწერს უკირკიტებდნენ.

– რას იტყვით? – ანამ სკამი მიიტანა მაგიდასთან და მათ გვერდით ჩამოჯდა.

– შენ თვითონ რა აზრის ხარ? – ჰკითხა მირიანმა.

– მე მგონი, მართლაც ტყუილად დავკარგეთ დრო. არა მგონია, მას რაიმე აკავშირებდეს დანაშაულთან, – უპასუხა ანამ.

– მე არც ერთს ვამტკიცებ და არც მეორეს, რადგან, ერთი შეხვედრით რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, – ჩაურთო გიორგიმ.

– მე ანას ვეთანხმები, – თქვა მირიანმა, – შეუძლებელია, ასეთი დანაშაულის შემდეგ ადამიანს ასე მშვიდად ეჭიროს თავი, დევიძე კი სრულიად ბუნებრივად იქცეოდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მან არც კი იცის, რა შეემთხვა გოგონას.

– მეც ასე მგონია, – თავი დაუქნია ანამ.

– რა გამოდის, უნდა შევეშვათ? – გაიკვირვა გიომ.

– არა, ასეც ვერ დავანებებთ თავს. ვითარებიდან გამომდინარე, ერთხელ მაინც უნდა დაიკითხოს, – თქვა მირიანმა, – ანა, პროკურატურაში მის გამოსაძახებლად უწყება მოამზადე!

– უწყება არ დაგვჭირდება, მისი ტელეფონის ნომერი მაქვს. დავუკავშირდები და მოსვლას ვთხოვ.

– შენ თვითონ სთხოვ? – ჰკითხა გიორგიმ.

– რაა ამაში უცნაური?

– არაფერი, მაგრამ შენი ჩარევის გარეშეც მოვახრხებთ ამას. რაღაცნაირად, არ გამოდის შენი გამოჩენა, თანაც, საინტერესოა, როგორ დაიჭერს თავს, ვნახოთ, რას იტყვის. ერთია ახალგაცნობილ ქალთან ზოგადი საუბარი და მეორე – პროკურატურაში დაკითხვა.

– კარგი, თქვენ დაკითხეთ, – ანამ პაუზა გააკეთა, ხელჩანთაში რაღაც ფურცელი მოიძია და ლაპარაკი განაგრძო, – რაც შეეხება იმ მედიკამენტის ქილას, რომელიც შემთხვევის ადგილიდან ამოვიღეთ. გუშინ ტყუილად არ დამიკარგავს დრო. ერთი ფარმაცევტი მეგობარი მყავს, საღამოს დავუკავშირდი და დაწვრილებით გამოვკითხე იმ მედიკამენტის შესახებ და, აი, რა მითხრა მან: ტრუქსალი – ესაა ბელგიური წარმოების ანტიდეპრესანტი. საინტერესო ისაა, რომ ამ პრეპარატს მკვეთრად გამოხატული შიზოფრენიის მკურნალობისას იყენებენ. ითვლება ძლიერმოქმედ საშუალებად და...

– ერთი წუთით, – შეაწყვეტინა მირიანმა, – ეს სამკურნალო საშუალებაა თუ – პროფილაქტიკური?

– ორივე დანიშნულებით გამოიყენება, გააჩნია დოზას. სამკურნალოდ სტაციონარულ პირობებში იყენებენ. ამ შემთხვევაში მკურნალობის კურსი რამდენიმეთვიანია და ავადმყოფს მცირე დოზას უნიშნავენ. პროფილაქტიკისთვის კი უფრო ძლიერი დოზა ინიშნება და მას მხოლოდ ნერვული აშლილობისას იღებენ როგორც დამამშვიდებებელ საშუალებას. გავარკვიე კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: პრეპარატი ძალიან იშვიათად გამოიყენება და ის ექიმის სპეციალური რეცეპტის გარეშე არ გაიცემა.

– ანუ? – ჩაეძია გიორგი.

– ანუ, თბილისში მხოლოდ რამდენიმე სპეციალიზებული აფთიაქი ყიდის ამ პრეპარატს, თანაც, მკაცრი აღრიცხვით. ჩვენ შევძლებთ ექიმსა და მის პაციენტზე გასვლას.

– კეთილი. მაშინ, ვიდრე ჩვენ დევიძის დაკითხვით ვიქნებით დაკავებულები, მედიკამენტთან დაკავშირებული ვითარება გაარკვიე. ამ ეტაპზე იმ პიროვნებების სიაც გვეყოფა, რომლებიც ბოლო ორი თვის განმავლობაში იღებდნენ ამ მედიკამენტს. დღის მეორე ნახევარში ექსპერტიზის შედეგები გვექნება, მათ შორის – მედიკამენტის ქილიდან აღებული თითის ანაბეჭდებიც. შეძლებ ამას მარტო? – თქვა მირიანმა.

– შევძლებ, – თავი დაუქნია ანამ და წასასვლელად ადგა.

* * *

რამაზ დევიძემ კაბინეტის კარი შეაღო და მშვიდად იკითხა:

– მირიან დუმბაძე სად ვნახო?

– მე ვარ დუმბაძე, – უპასუხა მირიანმა, – მობრძანდით.

რამაზი კაბინეტში შევიდა და მირიანს უწყება გაუწოდა.

– დაჯექი, – გიორგიმ სკამი მაგიდასთან ახლოს მიუწია და თავად მის პირისპირ ჩამოჯდა.

რამაზი დაჯდა და მაშინვე იკითხა:

– რა საკითხზე გსურთ ჩემთან საუბარი?.. უწყებაში მითითებულია, რომ მოწმედ უნდა დამკითხოთ, მაგრამ, მე ვერ ვხვდები, რას უკავშირდება ეს.

– ახლავე აგიხსნით ყველაფერს, – მირიანმა გვერდზე გადადო უწყება და მოკლედ გააცნო პროკურატურაში მისი დაბარების მიზეზი.

– ნონა საავადმყოფოშია?! – თვალები გაუფართოვდა რამაზს.

– უბრალოდ საავადმყოფოში კი არა, ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და ექიმები მისი გონებაზე მოსვლის სავარაუდო თარიღსაც ვერ ასახელებენ.

– რომელმა არაკაცმა ჩაიდინა ეს?! – ბრაზით იკითხა რამაზმა.

– სწორედ ამის გარკვევას ვცდილობთ ახლა, – თქვა გიორგიმ.

– და, ამისთვის მე უნდა დამკითხოთ?! – დაიძაბა რამაზი, – თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ მე...

– ნუ გადავასწრებთ მოვლენებს. თქვენ ადასტურებთ, რომ ნონა ბაქრაძესთან გქონდათ ურთიერთობა? – განაგრძო მირიანმა.

– გააჩნია, რას გულისხმობთ ურთიერთობაში.

– თქვენ რას გულისხმობთ? – ჰკითხა გიორგიმ.

– მე ვიცნობდი ნონას, რამდენჯერმე შევხვდი კიდეც...

– სად და რა ვითარებაში შეხვდით? – ჩაურთო მირიანმა.

– ერთხელ რესტორანში ვისადილეთ, რამდენჯერმე მანქანით გავისეირნეთ, რამდენჯერმე სახელოსნოშიც მესტუმრა, – უხალისოდ ჩაილაპარაკა რამაზმა.

– რისთვის?.. რა გქონდათ საერთო თქვენ და მეათეკლასელ გოგონას?

– მესმის თქვენი. ალბათ, უცნაურად გვეჩვენებათ ასეთი ნაცნობობა. მაგრამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. მე მხატვარი ვარ და ნონა როგორც ტიპაჟი, ისე მომწონდა. მე მხოლოდ მისი დახატვა მსურდა. შეგიძლიათ, შეამოწმოთ – სახელოსნოში დაუმთავრებელი ტილო მაქვს.



– სად დაიწყე იმ ტილოზე მუშაობა, რესტორანში თუ შენს მანქანაში?! – ცივად ჰკითხა გიორგიმ.

– რა შუაშია რესტორანი და მანქანა! განა ვინმემ აკრძალა ნაცნობის რესტორანში დაპატიჟება ან მანქანით გასეირნება?! – იწყინა რამაზმა.

– არა, არ აუკრძალავთ, მაგრამ, როდესაც ის ნაცნობი გაუპატიურებისა და მკვლელობის მცდელობის შედეგად ხვდება საავადმყოფოში, თავისთავად იბადება ასეთი კითხვებიც.

– ვცდილობ, აგიხსნათ, მაგრამ ძალიან მიჭირს. მე გოგონაში რაღაც სხვა დავინახე.

– მაინც, რა?

– ეს რომ გაიგოთ, მხატვრის თვალით უნდა შეხედოთ ნონას!

– იმის თქმა გინდა, რომ გონებაჩლუნგები ვართ და მაღალი მატერიების აღქმის უნარი არ გვაქვს?! – დამცინავად მიუგდო გიორგიმ.

– მე ვამბობ, როგორც მესმის. თქვენ კი იგებთ, როგორც გინდათ!.. ბოლოს და ბოლოს, რა საჭიროა ეს საუბარი? დაკითხეთ ნონა. ის დაადასტურებს, რომ მე არაფერი დამიშავებია მისთვის.

– უკვე გითხარით, რომ გოგონასთან საუბარი შეუძლებელია, ის უგონოდაა. მკურნალი ექიმის დასკვნით, მას დაზიანებული აქვს თავის ტვინი და საეჭვოა, რომ გონებაზე მოსვლის შემთხვევაშიც კი მომხდარის აღდგენა შეძლოს! – უპასუხა მირიანმა.

– მაშინ... მაშინ... როდის მოხდა ეს?! – წრაფად იკითხა რამაზმა.

– სამი დღის წინ.

– სამი დღის წინ... მე ფიზიკურად არ შემეძლო ამის ჩადენა, მე ხომ თბილისში არც კი ვიმყოფებოდი!

– სად იმყოფებოდი?! – ჩაეძია გიორგი.

– გურჯაანში.... სამი დღის წინ ჩემი ერთი მეგობარი ავტოავარიაში მოყვა. როდესაც მომხდარის შესახებ მაცნობეს, ორ მეგობართან ერთად გავემგზავრე გურჯაანის საავადმყოფოში, სადაც ავარიის შემდეგ მიიყვანეს ჩემი მეგობარი. მთელი ის დღე საავადმყოფოში გავატარე და თბილისში მხოლოდ გამთენიისას დავბრუნდი, – თქვა რამაზმა.

– ვინ დაადასტურებს ამას? – ჰკითხა მირიანმა.

– ჩემი მეგობრები.

– კიდევ?

– საავადმყოფოს პერსონალი, მთავარი ექიმი – მას პირადად ვესაუბრე, ასევე, მკურნალი ექიმი, მედდები, სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომლის მანქანითაც ჩემი მეგობარი თბილისში გადმოვიყვანეთ... ისინი დაადასტურებენ, რომ მთელი დღე-ღამე საავადმყოფოში გავატარე.

– კეთილი... გადავამოწმებთ. მაგრამ, ვიდრე დაზუსტებულ მონაცემებს არ მივიღებთ, სახლში ვერ დაბრუნდებით! – თქვა მირიანმა.

– მაპატიმრებთ?! – სუნთქვა შეეკრა რამაზს.

– არა, ოფიციალურად ამას დროებით დაკავება ჰქვია, – უპასუხა გიორგიმ.

– ახლა სამედიცინო ექსპერტიზაზე გადაგიყვანთ, იქ იდენტიფიკაციისთვის საჭირო ანალიზებს ჩაგიტარებენ, შემდეგ კი დროებითი დაკავების საკანში წაგიყვანენ – დაამატა მირიანმა.

– ეს აუცილებელია?

– თქვენ დაინტერესებული ხართ, რომ ეს საქმე რაც შეიძლება მალე გაიხსნას?

– რა თქმა უნდა, – სწრაფად უპასუხა რამაზმა.

– მაშინ, გაგებით მოეკიდეთ ყველაფერს და, თუ არ დაგვეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეგვიშლით გამოძიებაში, – თქვა მირიანმა და დაკავების ოქმის შევსებას შეუდგა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

# მიიღეთ

# ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ვანო ჯავახიშვილმა „ზი ვანოს შოუს“ ახალი სეზონი დაიწყო, – თან, ამბობს, რომ წინასაარჩევნოდ გადასარევად გაერთობა და ეს ძალიან ახარებს... ჭორები არ ადარდებს, ზევიდან ზარების არ ეშინია და სიამოვნებით მივიდოდა პრემიერ-მინისტრთან ბიზნესცენტრში.**

# როდის არის „მთავრობის ჯამბაზი“ „ენამწარე, მძიმე ქართლელი“ და რა ჭორი აუგორეს ვანო ჯავახიშვილს ტაქსისტებმა

**– ვანო, რა ხდება ახალ სეზონზე, რა ცვლილებები იგეგმება, რა სიახლეებს სთავაზობთ მაყურებელს?**

– ფორმატში ცვლილებები ამ ეტაპზე არ იგეგმება, რისკებზე ნაკლებად მივდივართ – შეიძლება, ამით გადაცემას რეიტინგი მოაკლდეს ან მოემატოს, არ ვიცი. გადაცემას საკმაოდ ბევრი მაყურებელი ჰყავს. ამიტომ, რა ვიცი, მივყვებით დინებას, მით უმეტეს, ახლა საპრეზიდენტო არჩევნებია და გადაცემა ძალიან აქტუალურია – რამდენიმე ვარიანტი კი გვაქვს. ერთადერთი, სიახლე რაც არის, გვაქვს სულელური და სასაცილო ჟურნალისტური გამოძიება პრეზიდენტობის კანდიდატებზე, რომელიც ქართულ არხებზე გასული გამოძიებათა პაროდიაა. გარდა ამისა, გვაქვს დიდი წყვეტის შემდეგ განახლებული „ქლაბ შოუ“, ახალი თაობაა და ძალიან მაგარია.



**– დუღილის ტემპერატურამ მოიმატა, ალბათ, წინასაარჩევნოდ...**

– კი და, მაგარია ძალიან. ჩვენთვის მშვენიერი გასართობი პერიოდია, ბევრ კარგ ხუმრობას ვწერთ *(იცინის).* იმდენად სახალისო სიტუაციაში იმყოფება მთელი ქვეყანა, რომ იძულებულები ვართ, კარგი გადაცემები ვაკეთოთ. თუ დაწყნარდა და დალაგდა ქვეყანა, მერე შეიძლება, გადაცემას, ხარისხის მხრივ, პრობლემები შეექმნას. რატომ უნდა ვიხუმრო შოუ-ბიზნესზე, როცა ამხელა თემა გვიდევს ცხვირწინ.

**საკუთარ თავზე თუ არ ილადავე, ისე არ გამოვა, თან, ძალიან თვითკრიტიკული ვარ – ახლა გავსუქდი და ახალ პერანგს ძლივს ვიცვამ. შესუნთქული ვწერ მონოლოგს, ცოტა შეღავათი რეკლამაზე მაქვს ხოლმე, თორემ ძლივს ვსუნთქავ**

**– გელა-მიხეილ სალუაშვილზე გაქვთ ხუმრობები? კომიკური კანდიდატია...**

– კომიკური არ არის, უბრალოდ, მისი საპრეზიდენტო პროგრამა ჩემთვის ბურუსითაა მოცული *(იცინის).* რაღაცეებს ლაპარაკობს, ვერ ვიგებ. ყველა კანდიდატს აქვს იმის პოტენციალი, რომ ქვეყანა დააყენოს ფეხზე და ჩემთვის ყველაფერი ეს ძალიან კომიკურია. იმიტომ, რომ ქვეყნის მართვა ზოგს ძალიან მარტივად ეჩვენება.

**– ესე იგი, ზევიდან ზარები არ არის.**

– მოკლედ, რა! არასოდეს ჩემთან ზევიდან ზარები არ ყოფილა. რა ვქნა ახლა, რით დაგიმტკიცო? სულ გვიწევს ამის გამეორება. ეტყობა, ხალხის გარკვეულ ნაწილს სჯერა და უნდა, რომ ასე იყოს. სისულელეა, იუმორისტულ გადაცემაში ვიღაც რეკავდეს და დირექტივებს აძლევდეს. რა აბსურდია... პოლიტიკური ზეწოლა არც ახლა არის. ჟურნალისტებივით თუ დაგვიბარებს ბიზნესცენტრში ბატონი ბიძინა იუმორისტებს, არ ვიცი *(იცინის).* ჩვენ გავაკეთეთ გადაცემაში მაგის პაროდია – იმიტომ, რომ ჩვენ, იუმორისტები ზოგადად, არანაკლებად კრიტიკულები ვართ, ვიდრე ჟურნალისტები. ალბათ, დაუგროვდა კითხვები ჩვენ მიმართ. ამიტომ ველოდები, როდის დაგვიბარებს მართლა, დაგვხვდება ამონაწერით და მოგვცემს შენიშვნებს *(იცინის).*

**– მიხვალ, რომ დაგიბაროს?**

– რა თქმა უნდა, აუცილებლად! ბევრი რამ მაქვს სათქმელი. თან, მაინტერესებს ის თეთრი ოთახი, რომელიც კაშკაშებს *(იცინის).*

**– ბატონი პრემიერის გადაცემაში მოწვევის მცდელობა არ გქონია?**

– ცოტა არ იყოს, რთულია ეგ ამბავი – ადამიანი, ზოგადად, იშვიათად ჩნდება რომელიმე ტელეგადაცემაში, ალბათ, არ მოვა, თორემ, ძალიან დიდი სურვილი გვაქვს. ვეცადეთ, მის პრესსამსახურთან, გვქონდა მცდელობები, მაგრამ, უშედეგოდ. შეიძლება, გაბრაზებულიც იყოს ჩემზე...

**– ვანო, პოლიტიკაში წასვლაზე თუ იფიქრებ?**

– არა, არასოდეს! ნამდვილად არ მინდა. მე რომ პოლიტიკაში წავიდე, ხალხს მოვატყუებ. ჩემთვის, ზოგადად, გაუგებარი სფეროა, ვერ შევდგები ადამიანად – ქვეყნის მართვა და კანონების მიღება არ არის ჩემი საქმე. არ მინდა, სადაც ვარ, იქაც გადასარევად ვგრძნობ თავს.

**– თქვენი გუნდიდან წავიდა ხალხი, შენთანაც ხომ არ ყოფილა გადაბირების მცდელობა?**

– ალბათ, იმიტომ, რომ განვითარების საშუალებას ვერ ხედავდნენ აქ. ამაზე არც ვბრაზობ, ჩვეულებრივი მომენტია, რომ ადამიანი ოდესმე მიდის. უბრალოდ, საწყენია, როცა ადამიანი მიდის და ზურგსუკან შენზე ცუდს ლაპარაკობს. ჩემზე იყვნენ ნაწყენები, აბსოლუტურად არალოგიკური ბრალდებებით მომადგნენ. არადა, ყველა მათგანს მეგობრად მივიჩნევდი და ნათესაობაც გვაკავშირებს გუნდის წევრებს ერთმანეთთან. ყოფილა, ადამიანი წასულა, ჩვენ თავიდან დაგვიძახია და შეგვითავაზებია ახალი პირობები. ამაზრზენი იყო ჩემთვის აფციაურის ბრალდება – არანაირი კონფლიქტი არ გვქონია, შემიძლია, ოჯახის ყველა წევრი დავიფიცო. აფციაური თვითონ იყო გულჩათხრობილი, რაღაცეებს იხვევდა გულში – პროექტს მართმევენო, ატეხა ერთი ამბავი. მერე თვითონ დაიწყო კეთება – რეიტინგი დაუვარდა და არხის დირექციამ დაუხურა. ჩვენი ბრალი მართლა არ იყო. ვინც წავიდა, მათგან, მარტო ნიკა გრიგოლიასა და სიკო ჭუმბურიძესთან ვმეგობრობ.

**– შენზე ამბობენ, რთული ხასიათი აქვს, თავში აუვარდა, გამარჯობას აღარ ამბობსო...**

– ვინ თქვა, გამარჯობას აღარ ამბობსო? რა სისულელეა! რთული ხასიათი ნამდვილად მაქვს, ძალიან მკაცრი ვარ, მომთხოვნი თანამშრომლებთან. მათრახი არ მჭირდება, მაგრამ დისციპლინის მომხრე ვარ. ბოროტი და ზედმეტად ამბიციური ნამდვილად არ ვარ *(იცინის),* რომ დიქტატორივით ვმართო. პრობლემის გამო მთელი თვით გამიშვია ადამიანი სამსახურიდან. ნამდვილად არ მაქვს ზედმეტი წარმოდგენა საკუთარ თავზე. თუ გინდა, გადი და თანამშრომლებში გაიკითხე, როგორი ადამიანი ვარ *(იცინის).*

**– ქართლელი ჯავახიშვილი ხარ... ქართლელებს რომ იუმორი არ მოგდევთ დიდად?**

– ჰო, არ აქვთ მაინცდამაინც. მე და ვახო ბიჭიკაშვილი ვართ მარტო ქართლელები, ერთი გურული გვყავს – მიშა, დანარჩენები სულ იმერლები არიან. თუმცა, ვიცი ერთი ქართლელი, ჩემზე ბევრად მაგარი იუმორი აქვს – ჩემი მეგობარი. არ ჩანს, სხვა სფეროშია დაკავებული. ხასიათი გვაქვს ძალიან მძიმე ქართლელებს, აბსოლუტურად ყველას. მე ძალიან ძნელად გამოვდივარ მდგომარეობიდან – იმიტომ, რომ არ მაქვს ხმამაღალი აფეთქებები, ჩემთვის ვბურტყუნებ ხოლმე რაღაცეებს *(იცინის).* იშვიათად გამოვდივარ წყობიდან – ცილისწამების შემთხვევაშიც კი, კომენტარების კეთება და პაექრობა ჩემი საქმე არ არის.

**– შენი მეუღლე და შვილიკო თუ უყურებენ შენს გადაცემას?**

– კი. რაც ბაღში დაიწყო ჩემმა შვილმა სიარული, ადრე წვება, მაგრამ ძალიან ჭკვიანი ბავშვია და ინტერნეტში თვითონ იქექება, პოულობს, არ ვიცი, როგორ და რანაირად ახერხებს *(იცინის).* ძალიან ჭკვიანი და ლამაზი ბავშვია. ტექნიკაში არის უნიკალური – იცის მიმატება-გამოკლება, ტექნიკური რაღაცეები, ეტყობა, ჩემი ტალანტი გამოჰყვა *(იცინის).*

**– მეუღლე რა აზრისაა შენს გადაცემაზე?**

– მეუღლე ძალიან კრიტიკულია. ჟურნალისტია და ყველაფერზე აკეთებს კომენტარს. ძალიან ობიექტური ჟურნალისტი მიზის სახლში. მწარე ენა მაქვს და ზოგჯერ, შეიძლება, სატირალი ფრაზა ვთქვა, ვინმე დავაზიანო. ამიტომ, ფრთხილობს და შენიშვნებს მაძლევს, მასაც მწარე ენა აქვს. რაღაცეების თქმა შეიძლება იუმორით და ეს კარგია. საერთოდ, ჩემი ცოლი კარგი მსმენელია.

**– პრეზიდენტობის კანდიდატებს არ იწვევ გადაცემაში?**

– როგორ არა და ძალიან მწყდება გული, რომ მარგველაშვილი არ მოდის. მოვიწვიეთ, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი მდუმარებით გვიპასუხა *(იცინის).* თუ დუმილი თანხმობის ნიშანია, მობრძანდეს, ჩვენი კარი მისთვის ყოველ პარასკევს ღიაა.

**– ბევრი ზედმეტსახელი გაქვს – „მთავრობის ჯამბაზი“, „თემქელი თავა“, „დემოკრატიის დიდთავიანი შუქურა“...**

– ყველა ეგ სახელი თვითონ დავირქვი – საკუთარ თავზე თუ არ ილადავე, ისე არ გამოვა, თან, ძალიან თვითკრიტიკული ვარ. ახლა გავსუქდი და ახალ პერანგს ძლივს ვიცვამ. შესუნთქული ვწერ მონოლოგს, ცოტა შეღავათი რეკლამაზე მაქვს ხოლმე, თორემ ძლივს ვსუნთქავ *(იცინის).*

**– ჭორები, ბევრი არაფერი მსმენია...**

– ჭორებზე, იდიოტურ საიტებზე დიდად არ ვრეაგირებ. ერთხელ ამიგორეს ჭორი, რომ მერაბიშვილმა მანქანა მაჩუქა – გადაცემაში გასაღები გადმომცა, იმ აზრით, რომ ჩემს მძღოლად იმუშავეო. ტაქსისტებმა ამიგორეს ჭორი – არიქა, მერაბიშვილმა მანქანა აჩუქაო... იცოდე, სათაურად არ გამოიტანო ახლა *(იცინის)!*

**ქეთი დიდებულიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## „ბრავო რეკორდსი" ლეგენდარული მომღერლის ალბომზე მუშაობს



კომპანია „ბრავო რექორდსი" უპრეცედენტო, შეიძლება ითქვას, წლის პროექტზე მუშაობს: ქართული სცენის ლეგენდა, ნანი ბრეგვაძე, საქართველოში პირველად უშვებს სოლო-ალბომს. ალბომზე მუშაობა „ბრავო რექორდსში" უკვე დასასრულს უახლოვდება.

პირადად მე, ძალიან გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ ნანი ბრეგვაძეს ამ დრომდე საქართველოში გამოშვებული ალბომი არ ჰქონია თუმცა, მალე ძალიან ხარისხიანი და დახვეწილი დისკის მოსმენა მთელ საქართველოს შეეძლება. „ბრავო რექორდსის" „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე უკვე დაიდო ერთი სიმღერა, რომელიც ალბომში შევა და მან ინტერნეტ-მომხმარებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. დარწმუნებული ვარ, ალბომის გამოცემას გრანდიოზული პრეზენტაცია და კონცერტი მოჰყვება.

## გრიგოლ ქსოვრელის დისკის პრეზენტაცია საჯარო ბიბლიოთეკაში



26 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, გაიმართა საქართველოს დამსახურებული არტისტის, მედუდუკე გრიგოლ ქსოვრელის დისკის პრეზენტაცია. დისკი „სანოსტუდიაში" ჩაიწერა. ალბომში შესულია ძველი თბილისელების საყვარელი და კოლორიტული ანსამბლის – „სოინარის" აღდგენილი ჩანაწერები.

ანსამბლი „სოინარი" გრიგოლ, იგივე გრიშა ქსოვრელმა დააარსა, მუსიკოსის გარდაცვალების შემდეგ კი, ანსამბლს, მისი დამაარსებლისა და პედაგოგის პატივსაცემად, „ქსოვრელები" ეწოდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი სახეები: ნიკუშა შენგელაია, მურმან ჯინორია, მარინა სალარაძე, ვაჟა აზარაშვილი და სხვები. საღამო მიჰყავდა, გრიგოლ ქსოვრელის შვილიშვილს, ცნობილ მსახიობს, ნინო მუმლაძეს.

## ფონდმა „ქართული გალობა" ჰამლეტ გონაშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გამართა

რუსთაველის თეატრის სცენაზე ჰამლეტ გონაშვილის მიერ შესრულებული სიმღერები კიდევ ერთხელ აჟღერდა. უნიკალური რეპერტუარი უნიკალური შესრულებით რუსთაველის თეატრის სცენაზე ანსამბლმა „რუსთავმა" ჩანაწერის საშუალებით მომღერალთან ერთად შეასრულა.



„თბილი, ხელშესახები, მიწიერი და იმავდროულად – ამაღლებული", - ამ ფრაზით კონცერტზე გონაშვილის უკვდავი შემოქმედება შეფასდა. კონცერტის წამყვანმა, ანზორ ერქომაიშვილმა გონაშვილის მიერ შესრულებული სიმღერების ისტორია სათითაოდ გააცოცხლა, გაიხსენა მისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი და ფონდ „ქართული გალობის" მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

ერქომაიშვილის შეფასებით, ქართული ფოლკლორის სახელით ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება მოეწყო. ამ მხრივ, მისი თქმით, გამორჩეული სახეა ჰამლეტ გონაშვილი, რომლის შემოქმედება მომავალი თაობებისთვის სამაგალითოა.

კონცერტს უამრავი მაყურებელი ჰყავდა: მომღერლები, კომპოზიტორები, ლიტერატორები, დრამატურგები... თითოეულმა მათგანმა დიდი მომღერალი და მისი შემოქმედება კიდევ ერთხელ გაიხსენა. ყოველ მის სიმღერას უამრავი ემოცია და უამრავი აპლოდისმენტი ახლდა.

საიუბილეო საღამოზე დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, შეეძინა ჰამლეტ გონაშვილის განახლებული ორი კომპაქტური დისკისგან შემდგარი CD და DVD ალბომები და მონოგრაფია, რომელიც ფონდი „ქართული გალობის" მხარდაჭერითა და დაფინანსებით გამოვიდა. გაყიდული ალბომებიდან შემოსული თანხა მომღერლის ოჯახს გადაეცემა.

## რა არ იციან ქართველმა მანდილოსნებმა „V@m"-ის ვაჟას შესახებ

***„V@m"-ის ვაჟას, თბილისში ვინ არ იცნობს? განსაკუთრებით ქალბატონები: ცნობილებიც, უცნობებიც, ცნობისმოყვარენიც, ჭორისმოყვარენიც და სერიალებისაც კი.... ამ ქალბატონთაგან კი ისეთებსაც გავაოცებ, დარწმუნებულნი რომ არიან, ვაჟას შესახებ ყველა ჭორი თუ მართალი იციან. მათ ისეთ ამბავს ვეტყვი, ოღონდ არა ჭორს, არამეთ თვითონ მთავარ გმირთან გადამოწმებულს. – თურმე ვაჟას გული მარჯვნივ ჰქონია.***

**– ვაჟა, მართლა გაქვს გული მარჯვნივ?**

– კი, ოღონდ ნაწილობრივ.

**– ნაწილობრივ, როგორ?**

– მარტო გული კი არა, ყველა ორგანო სარკისებურად მაქვს განლაგებული.

**– ეს ანომალიაა?**

– არა, ეს ფაქტი ანომალიად არ ითვლება, მხოლოდ და მხოლოდ იშვიათობაა. საქართველოში თურმე სულ ორი ვყოფილვართ ასეთი, ანუ ადამიანი, რომელსაც ორგანოები სარკისებურად აქვს განლაგებული.

**– თავს როგორ გრძნობ?**

– იდეალურად. სიმართლე გითხრა, ამდენი წლისა ვარ და ექიმთან არ ვყოფილვარ.

**– მაშ როგორ გაიგე?**

– სკოლის პერიოდში ხომ ხდებოდა მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მასობრივი გადამოწმება. მაშინ გავიგე, ჩემი გულის ამბავი. რაც შეეხება დანარჩენ ორგანოებს, მათ შესახებ მოგვიანებით შევიტყვე.

**– როგორ?**



– ბრმანაწლავი ამტკივდა. ავედი „ლეჩკომბინატში" და გასინჯვის შემდეგ მითხრეს, სასწრაფოდ საოპერაცო ხარო. სიტყვა ოპერაცია რომ გავიგე, ყველაფერმა მომენტალურად გამიარა. მაშინვე სახლში წამოვედი. შემდეგ ახლობელ, საკმაოდ ცნობილ ექოსკოპისტთან წავედი და მან რომ დამათვალიერა, მითხრა: ვაჟა, იცი, რომ ყველა ორგანო შებრუნებით გაქვს განლაგებულიო, – ჰოდა, მაშინ შევიტყვე. თურმე, ბრმანაწლავი რომ მეგონა მტკიოდა, იმ ადგილას საერთოდ არ მქონია ბრმანაწლავი და უბრალოდ, ჭვალი მქონდა. ხშირად ვსვამ ასეთ კითხვას: რა არის, ეს? რატომ? როგორც ამიხსნეს, მარტო გული რომ მქონდეს მარჯვნივ და სხვა ორგანოები თავის ადგილას, უფრო ცუდი იქნებოდა. ახლა, სრულიად ჯანმრთელი და ენერგიული ვარ.

**– რაც შენ გჭირს გენეტიკურია?**

– ვფიქრობ, რაც მჭირს, ალბათ იგივე ჩემი წინაპრებიდან, რომელიმეს ექნებოდა. ჩემს მშობლებს რაც შეეხებათ, მათ ყველა ორგანო თავის ადგილას ჰქონდათ.

**– ის შენი მსგავსი, მეორე პიროვნება თუ გაიცანი, რომელსაც ასევე ჯვარედინად აქვს ორგანოები განლაგებული?**

– მართლაც მოვინდომე და ახლაც მსურს მისი გაცნობა. ის მეორე, ახალგაზრდა ბიჭია, ბათუმელი, ჩემზე გაცილებით უმცროსი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა.

**– ნეტავ მსოფლიოში როგორი სტატისტიკაა ამ მხრივ?**

– მსოფლიოში არ ვიცი, მაგრამ, მე ვლადიკავკაზში დავიბადე და იქ ვისწავლე. ისე მოხევე ვარ. 20 წელია, რაც საქართველოში ვცხოვრობ. ჰოდა, ვლადიკავკაზში ვიყავი მესამე, ვისაც გული ჰქონდა მარჯვნივ. ჯარშიც არ ვყოფილვარ, „დამბრაკეს" ამის გამო. სკოლის პერიოდში ფიზკულტურის გაკვეთილზე სულ მიშლიდნენ სირბილს, ხტუნაობას, მაგრამ მე ისეთი ანცი და მოუსვენარი ვიყავი, რა გამაჩერებდა.

**– როგორც შევიტყვე, ფიზკულტურულ შეჯიბრებაში წარმატებაც გაქვს მიღებული, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება, ჩემი აზრით, შენს ხელებთან, ხელმარჯვეობასა და შემოქმედებასთან ასოცირდება.**

– ვალამაზებ ქართველ მანდილოსნებს. ბევრი შემოთავაზება მქონია უცხოეთიდან, რომ იქ გამეგრძელებინა მოღვაწეობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში. მე ქართველ მანდილოსნებს ვერ ვუღალატებ. ვგიჟდები ჩემს საქმიანობასა და ქართველ მანდილოსნებზე. ის, ვინც ყველაზე ძალიან მიყვარს მათ შორის და ვინც ცხოვრებას მილამაზებს, ისიც აქ მყავს გვერდში.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# ვინ იყო ავ გიორგი და რას შეეწირა ის

*ავ გიორგიმ სულ რამდენიმე წელი იმეფა კახეთის ტახტზე. მისი შეპყრობისა და სიკვდილის შემდეგ კი, ქართლის მეფე, დავითი გადავიდა კახეთში და გააერთიანა ქართლი და კახეთი. ქართლ-კახეთის ახალ მეფეს გააზრებული ჰქონდა, რომ ავ გიორგის ძის სრულწლოვნობის შემდეგ, მას ახალი მოწინააღმდეგე გაუჩნდებოდა ლევან უფლისწულის სახით. ამიტომ, კახეთში მის ძმას, ბაგრატს დაევალა შესაბამისი ზომების მიღება. თუ როგორ მოატყუა უფლისწულის გამზრდელმა მეფის ძმა და სიცოცხლე შეუნარჩუნა ლევან გიორგის ძეს, ამას ჩვენი სტატიიდან შეიტყობთ.*



საქართველოში ბევრი მეფე ყოფილა, რომელსაც ზედმეტი სახელი ჰქონია. მაგრამ, ერთადერთი შემთხვევაა, როცა, ეს ზედმეტი სახელი უარყოფით კონტექსტით შეირჩა. ეს არის ავ გიორგი, მეფე, რომელიც 1511-1513 წლებში მეფობდა კახეთის სამეფოში. მამამისი – ალექსანდრე პირველი, ძალიან ჭკვიანი მეფე და კარგი პოლიტიკოსი გახლდათ. ახერხებდა კახეთში სიმშვიდის შენარჩუნებას, საერთო ენის გამონახვას ყველა მებრძოლ მხარესთან – ოსმალეთი იქნებოდა ეს თუ ირანი. ამ პერიოდში, როდესაც ის საგარეო საქმეების მოგვარებას ცდილობს, როგორც ჩანს ვერ მოიცალა ქვეყნის საშინაო ვითარებისთვის. საქმე ისაა, რომ ალექსანდრე პირველს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ოჯახში. მისი პირველი, ანუ უფროსი ვაჟი მამას ეპაექრებოდა, ეჭვი ჰქონდა, რომ მას უმცროსი შვილი – დიმიტრი უფრო მეტად უყვარდა და მას ამზადებდა ტახტისთვის. გარდა ამისა, გიორგიმ, მაშინ ჯერ კიდევ ავ გიორგი არ ერქვა, რამდენჯერმე ილაშქრა ქართლში. ერთხელაც, მორიგი ლაშქრობის წინ, მამასა და შვილს შორის მოხდა შელაპარაკება. ალექსანდრემ შვილს არ მოუწონა საქციელი, მართალია, ქართლი ცალკე სამეფოა, მაგრამ საქართველოა და ეს ბრძოლაც, ქართველებს შორის ურთიერთბრძოლააო. ეტყობა, ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც გიორგის მოთმინების ფიალა აავსო. მან მოკლა მამა, უმცროს ძმას თვალები დასთხარა და ოჯახთან ერთად, კახეთიდან გააძევა. თვითონ კი კახეთის ტახტი დაიკავა. სწორედ ამის შემდეგ დაერქვა მას ავ გიორგი.

ავ გიორგიმ გააგრძელა ბრძოლა ქართლის წინააღმდეგ. ქართლის მეფე ამ დროს გახლდათ დავით მეათე. მან ვერაფრით შეძლო ავ გიორგისთან გამკლავება. მაშინ ავ გიორგისთან ბრძოლა ითავა დავითის ძმამ, ბაგრატმა, რომელსაც გადაეცა მუხრანი და სათავე ჩაეყარა მუხრანბატონთა შტოს.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ განახორციელა ბაგრატმა კახელ მეფესთან ბრძოლა, ანუ ის, რაც ითავა: ერთ-ერთი, მორიგი შემოსევის დროს, ავ გიორგიმ ალყა შემოარტყა ციხეს, რომელშიც ბაგრატი იყო გამაგრებული. ციხის აღება გაჭირდა. ალყა გაგრძელდა და ეტყობა, ავ გიორგიმ სცადა, ბაგრატი და მისი მეციხოვნენი მორალურად გაეტეხა. ამიტომ, მათ ციხეში ერთი ხელადა ღვინო შეუგზავნა, თან შეუთვალა: მართალია, მტრები ვართ და ერთმანეთს ვებრძვით, მაგრამ მეფის ძმა ხარ – ბაგრატიონი, სამეფო გვარის კაცი და ახლა, ეტყობა მანდ წყურვილით კვდები, ამიტომ გიგზანი ერთ ხელადა ღვინოსო. ეს ღვინო მიიღეს ციხეში და იქიდან, ანუ ალყაშემორტყმული ციხიდან გამოუგზავნეს ახლად დაჭერილი თევზი, ასეთი სიტყვებით: შენ უკვე რამდენი დღეა, აქ ხარ, მდინარე ქსნის ნაპირებთან დგახარ და აქამდე აქაური თევზი არ გაგისინჯავს, ამიტომაც გიგზავნიო. ცხადი იყო, ასეთ ვითარებაში ციხიდან რომ ახლად დაჭერილ თევზს გამოუგზავნი, ეს ნიშნავს, ალყაში მოქცეულებს გასასვლელი ჰქონდათ მდინარეზე. ანუ, ციხის აღება შეუძლებელი იყო. ავ გიორგიმ ალყა მოხსნა. ეს საინტერესო მომენტია ჩვენი ისტორიისა (ამ ციხეს ხალხში სხვა სახელიც დაერქვა, რომლის ხსენებაც აქ არ არის მისაღები). 1513 წელს, როგორც იქნა, ბაგრატმა შეიპყრო ავ გიორგი. ის ერთ-ერთი მორიგი ლაშქრობის შემდეგ ქართლიდან უკან ბრუნდებოდა და მცირე ამალით ნადირობა-ნადირობით მოუყვებოდა გზას. ბაგრატი ჩაუსაფრდა მას, შეიპყრო და ციხეში გამოკეტა, სადაც გარდაიცვალა. უფრო სწორად სადავო საკითხია ავ გიორგი გარდაიცვალა თუ მოკლეს. ავ გიორგის დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი – ლევანი. როგორც კი ავ გიორგი შეიპყრეს, ქართლის მეფე დავითი გადავიდა კახეთში, შემოიერთა და გახდა ქართლ-კახეთის მეფე. თუმცა, დავითს ყოველთვის ეშინოდა, რომ გიორგის ვაჟი – ლევანი გაიზრდებოდა და ერთ დღეს კახელი დიდგვაროვნები მას მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, რომ ლევანი ხელში ჩაეგდო. ეს საქმეც თავის უმცროს ძმას, ბაგრატს დაავალა დავითმა.

ბაგრატი, ქსნის ერისთავის თანხლებით, ჩავიდა კახეთში, გაიკითხ-გამოიკითხა ლევანის ასავალ-დასავალი და შეიტყო, რომ უფლისწული ლევანი გადამალული ჰყავთ თავად გარსევან ჩოლოყაშვილთან. ბაგრატი პირდაპირ ეწვია გარსევანს. ჩოლოყაშვილმა, რა თქმა უნდა, სუფრა გაუშალა მეფის ძმას, დაიწყო ნადიმი და როდესაც შეზარხოშდნენ, მასპინძელმა ჰკითხა სტუმარს: რა თქმა უნდა, თქვენი წვევა ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ მაინც რატომ შეწუხებულხართო? ბაგრატმა უპასუხა: გავიგეთ, რომ შენთან არის უფლისწული ლევანი და მოვედით, რომ წავიყვანო, ვინაიდან ის მეფის შვილია და სათანადო წესით აღზრდას საჭიროებსო. ჩოლოყაშვილმა იუარა, მოგატყუესო. ამის შემდეგ დაიფიცა: არავინ მყავს სასახლეში დამალული და ყველა, ვინც კი ამწუთას სასახლეში იმყოფება აქ შემოვიყვანო. მართლაც, ასე მოიქცა. ოჯახის წევრებით დაწყებული, ყმებითა და შინამოსამსახურეებით დამთავრებული, ყველა დარბაზში შეიყვანა და დაიფიცა, რომ ამ ხალხის მეტი სასახლეში არავინ იმყოფებაო. ბაგრატი ლევანს სახეზე არ იცნობდა, მაგრამ, ამ ხალხში მეფის 7-8 წლის შვილის მსგავსი ვერავინ აღმოაჩინა. ბოლოს თქვა, აქ არ არის მეფის შვილი და ეტყობა მომატყუესო. განაგრძეს ნადიმი და შემდეგ დაიშალნენ. საინტერესოა, რომ ლევან უფლისწული ნამდვილად სასახლეში გახლდათ – არა მარტო იქ იყო, არამედ პირველივე წუთებიდან გლეხის სამოსში გამოწყობილი მერიქიფეობდა – ბაგრატის უკან იდგა. ჩოლოყაშვილი ეშმაკი კაცი იყო. როგორც კი შეიტყო, მეფის ძმა კახეთს გამოემართაო, მისთვის ცხადი გახდა, რომ ლევანის წასაყვანად მოდიოდნენ. იფიქრა, რომ უფლისწულის დამალვას აზრი არ ჰქონდა და ამიტომ, ასეთი ჭკვიანური გამოსავალი მოძებნა. რა თქმა უნდა, ბაგრატი ვერ წარმოიდგენდა, რომ ბავშვი, რომელიც წესით გადამალული უნდა ყოფილიყო ასე ღიად, მის თვალწინ ივლიდა. ასე მოატყუა ჩოლოყაშვილმა მეფის ძმა და გადაარჩინა უფლისწული ლევანი.

**გიორგიმ მოკლა მამა, უმცროს ძმას კი თვალები დასთხარა და ოჯახთან ერთად კახეთიდან გაასახლა**

ქართლ-კახეთის მეფის ვარაუდი გამართლდა. როდესაც ლევანი წამოიზარდა, ის მართლაც აკურთხეს მეფედ. ეს მოხდა 1518 წელს. ქართლ-კახეთის სამეფო კვლავ დაიშალა.

**ეკა სალაღაია**

# „ლომიძის სასწაული“ – მოგზაურობა მცენარეთა ჯადოსნურ სამყაროში

*ამბობენ: დრო ყველაფრის მკურნალიაო... და მართლაც, „ლომიძის წამლები“ 40-წლიანი მეცნიერული და კლინიკური გამოცდილებით, ჭეშმარიტად მკურნალი და უმძიმეს ავადმყოფთა უკანასკნელი იმედია. წამალი, რომელიც დრომ გამოსცადა და მსოფლიო ფიტოთერაპიაში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა.*

*უკვე ლეგენდად ქცეული ქალბატონი რუსუდანის საქმეს მისი ღირსეული მემკვიდრე, ქალბატონი* ***მარინა წულუკიძე*** *აგრძელებს, მან პირველმა საქართველოში, 1995 წელს შექმნა სახელმძღვანელო ფიტოთერაპიაში, ჩინური მედიცინის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის. ვაჟა-ფშაველას №30 ის ადგილია, სადაც ნებისმიერ ავადმყოფს შეუძლია, იპოვოს სულისა და ხორცის სიმშვიდე.*

**– ქალბატონო მარინა, გვიამბეთ ცოტა რამ ქალბატონ რუსუდანსა და მის „ჯადოქრობაზე“.**

– ქალბატონი რუსუდანი ერთადერთი ადამიანია საქართველოში, რომელმაც ექიმბაშობა ჯერ სახალხო მკურნალობად, შემდეგ კი თანამედროვეობის უდიდეს მეცნიერებად – ფიტოთერაპიად აქცია. ეს ყველაფერი იმ მეცნიერული კვლევებით დადასტურდა, რომელიც საქართველოს, რუსეთსა და ინგლისში ჩატარდა. ამ ყველაფრისთვის კიდევ ერთხელ ვუხდი უდიდეს მადლობას ბატონ ასლან აბაშიძეს, რომლის დახმარებითაც შევძელით ასეთი სერიოზული და მაღალი დონის კვლევების ჩატარება. უკვე 5 წელია, საავთიაქო ქსელში არსებობს და უცხოეთშიც გადის ჩვენი 3 წამალი:

**ნახარში – ლომიძე I** (შედგება 15 მცენარისგან);

**ნაყენი – ლომიძე I** (შედგება 7 კომპონენტისგან) და

**მალამო – „პროქტოლოგი“** (შედგება 16 მცენარის ნახარში+თაფლის სანთელი).

**– ქალბატონო მარინა, რა დაავადებებს მკურნალობთ თქვენს კლინიკაში?**

– ქალბატონი რუსუდანის ინტერესის სფერო ონკოლოგიურ დაავადებებს მოიცავდა. ჩვენი ავადმყოფები ძირითადად მესამე და მეოთხე სტადიის ონკოლოგიური პაციენტები არიან და აქაც შედეგი თითქმის წარმოუდგენელია. კვლევებმა დაადასტურა, რომ ფიტოპრეპარატები ორგანიზმს სიმსივნური ანტიგენის საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნაში ეხმარება, რაც ლაბორატორიულად დასტურდება სისხლის ფორმულაში ლიმფოციტების მატებით. ასევე, არის იმუნომასტიმულირებელი, ტკივილგამაყუჩებელი და დეტოქსიკაციური საშუალება (იკლებს როე, მატულობს ჰემოგლობინი). ყოველივე ეს იცავს ორგანიზმს და ეხმარება, თავად დაიწყოს ბრძოლა ამ საშინელი სენის წინააღმდეგ. სწორედ ეს თვისებები განაპირობებს იმ საოცარ შედეგებს, რასაც ვიღებთ მკურნალობის დროს. სხვა ნებისმიერი ქვეყანა მსოფლიოს შეძრავდა, თუნდაც ამ ერთი კონკრეტული შედეგისთვის.

**თამარ ალავერდაშვილი** ***(60 წლის).*** მოგვმართა 1996 წელს ლიმფოსარკომით, უმძიმეს მდგომარეობაში. 16 წელია, რეგულარულად, იღებს ჩვენს დანიშნულებას და პრაქტიკულად, ჯანმრთელია. მხოლოდ 2013 წლის მაისში მდგომარეობის გაუარესების გამო, გაუკეთდა ქიმიოთერაპიის 1 კურსი (რაშიც ონკოლოგები დამეთანხმებიან). ამჟამად აგრძელებს ჩვენთან მკურნალობას. ასეთი კი ათასობით ისტორიაა ჩვენს არქივში და ელოდება იმ დროს, როცა ფიტოთერაპია სახელმწიფოს ინეტერსთა სფეროში მოხვდება.

**– ქალბატონო მარინა, შედეგი ყოველთვის ასეთი დაუჯერებელია?**

– რა თქმა უნდა, არა. მედიცინა მათემატიკა არ არის, რომ 2X2 ყოველთვის 4 იყოს. ჩვენი სტატისტიკით, შემთხვევების 80 პროცენტში შედეგი მკვეთრად დადებითია, 15 პროცენტში – საშუალო და მხოლოდ 5 პროცენტია უშედეგო. ისიც მაშინ, თუ ორგანიზმის ბიოლოგიური პროცესები ვერ ასწრებს წამალთან შეგუებას.

**– თქვენი პაციენტები მხოლოდ ონკოლოგიური დაავადებებით დაავადებულები არიან?**

– რა თქმა უნდა, არა. ჩვენ 110 სახის მცენარეს ვაგროვებთ უდაბნოში, ალპურ და სუბტროპიკულ სარტყელში, ჭაობებში და ყველა დაავადების სამკურნალოდ (სასუნთქი სისტემის, საჭმლის მომნელებელი, შარდ-სასქესო, ენდოკრინული და ძვალ-სახსროვანი დაავადებები) ქალბატონი რუსუდანის მიერ (ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით) შექმნილი რეცეპტებით სხვადასხვა მცენარის კომბინაციით ვამზადებთ. თითოეული რეცეპტი ირჩევა კონკრეტული ავადმყოფისთვის ჩივილებისა და დიაგნოზის გათვალისწინებით.

**– ქალბატონო მარინა, პრესა, ტელევიზია, ბილბორდები სავსეა უამრავი უცხოური ფიტოპრეპარატების რეკლამებით. „ლომიძეები“ – რატომ არ ეწევით ასეთ რეკლამას.**

– ამპარტავნებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩვენი რეკლამა ჩვენი განკურნებული ავადმყოფებია, რომლებიც უკვე ათეული წლებია, შვილებითა და შვილიშვილებით მკურნალობენ ჩვენთან.

**– როგორია მოსახლეობის ინტერესი და სამედიცინო საზოგადოების ნდობა თქვენ მიმართ და ზოგადად, ფიტოთერაპიის მიმართ?**

– ყველასთვის ცნობილია, სტატისტიკურად, მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპასა და ამერიკაში, ფიტოპრეპარატებით მკურნალობას არჩევს მოსახლეობის 70-75 პროცენტი. რაც შეეხება „ლომიძის წამლებს,“ 40 წლის წინაც კი, მოსახლეობა გამოირჩეოდა განსაკუთრებული ინტერესით. იყო დრო, როცა რიგში ღამეებსაც კი ათენებდნენ. სამედიცინო პერსონალის ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვნად გაზრდილია და ჩემს კოლეგებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ.

***P. S.*** *ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი მრავალსაუკუნოვანი სამედიცინო ისტორიული გამოცდილება და ტრადიცია აქვს და ჰყავს ამ ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე „ლომიძის წამლების“ სახით.*

**ნონა დათეშიძე**

# ვის გაუხსენებს ძველ წყენას ლადო პაპავა და რას გამოჰყავს ის წყობიდან

**(მე-16 გვერდიდან)**

ერთ კითხვაზე არ გაგცემთ პასუხს-მეთქი. თვითონ შერცხვა და გავიდა. სხვათა შორის, ძალიან ცნობილი ჟურნალისტია. ახლა რექტორი ვარ და, ალბათ, იძულებული გავხდები, ვითანამშრომლო, მაგრამ, რექტორი რომ აღარ ვიქნები, მაინც გავუხსენებ *(იცინის).*

**– თქვენი სტუდენტობის პერიოდი როგორი იყო ამ კედლებში?**

– ჩვეულებრივი. მაშინ პირველ სექტემბერს რექტორი არიგებდა სტუდბილეთებს. ჩვენ წელს საჩუქრები დავურიგეთ გამორჩეულ პირველკურსელებს. 1972 წლის გაზაფხულზე რექტორობიდან წავიდა ილია ვეკუა და, მისი ხელიდან რომ ვერ მივიღე სტუდბილეთი, ძალიან დამწყდა გული. დავამთავრე წითელ დიპლომზე... მაშინ გართობის ნაკლები საშუალება გვქონდა, ძირითადად – ქართულ-ტრადიციული სუფრა. ყველა თაობას თავისი მოცემულობა აქვს... მაგალითად, მყავს 10 წლის შვილი, რომელიც მეხმარება კომპიუტერთან დაკავშირებული სირთულეების გარკვევაში *(იცინის).* 4 წლის ვიყავი, მამაჩემმა ტელევიზორი რომ მოიტანა და მთელი სამეზობლო ჩვენთან შემოდიოდა საყურებლად. მაშინ ერთი არხი იყო, ისიც, საღამოს 7 საათზე იწყებოდა... ფეხბურთი მიყვარდა ძალიან და კარგი მატჩების საყურებლად პანტიანში უნდა ავსულიყავით *(იცინის).*

**– მშობლები თუ ჩაერივნენ პროფესიულ არჩევანში?**

– თანაც, ძალიან აქტიურად. სკოლაში ძალიან მიყვარდა მათემატიკა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ, მშობლების მხრიდან იყო ზეწოლა, რომ გავმხდარიყავი ეკონომისტი, რადგან, ბაბუაჩემიც და მამაჩემიც მეცნიერ-ეკონომისტები იყვნენ. მოკლედ, სერიოზული წინააღმდეგობა მქონდა ოჯახში. გაზეთ „კომუნისტში” ვნახე განცხადება, რომ მიღება იწყებოდა უნივერსიტეტში, საიდანაც გავიგე, რომ საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე იგეგმებოდა მიღება ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით. აზრზე არ ვიყავი, რას ნიშნავდა კიბერნეტიკა, თუმცა, მივხვდი, რომ მათემატიკასთან იყო კავშირში, ჰოდა, მშობლებს გამოვუცხადე, ეკონომისტ-მათემატიკოსი გავხდები-მეთქი. მოკლედ, კონსენსუსს მივაღწიეთ.

**– ასეთი დატვირთული რეჟიმი გაქვთ და 10 წლის შვილისთვის გრჩებათ დრო?**

– ეს ყველაზე დიდი პრობლემაა ჩემთვის. შაბათსაც რომ მიწევს უნივერსიტეტში მოსვლა, ბავშვს ყურადღებას ვაკლებ. სხვა დღეებში კი ვხედავ, ძირითადად, დილით ადრე და გვიან საღამოს. ჩემი ოჯახის წევრები გაგებით ეკიდებიან ამ ამბავს; ესმით, რომ, თუ ოჯახში არ არის გაგება, ეს არ არის ოჯახი. როდესაც არჩევნებში ჩავერთე, რა თქმა უნდა, მეუღლე აქტიურად მიჭერდა მხარს, ძალიან გახარებული ვიყავით, რომ გავიმარჯვე, მაგრამ, უკვე მეორე დღეს, სრულად გავაცნობიერე, რა რთული გზა მელოდა. ეს არ არის ჩემპიონატი, რომ ერთხელ მოიგო და მორჩა; ეს ოთხწლიანი დაუღალავი შრომაა, რომელიც რუტინულობის დიდ ელემენტსაც შეიცავს.

**– თქვენ კიდევ გყავთ ორი შვილი...**

– კიდევ მყავს ერთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, ისინი დიდები არიან. პირადად მე არ ჩავრეულვარ მათ პროფესიულ არჩევანში, თუმცა, მათემატიკისკენ მიდრეკილება ორივეს აქვს. ვაჟი ბიზნესსექტორში მუშაობს, ქალიშვილმა საერთოდ შეიცვალა მიმართულება და ფსიქოლოგი გახდა.

**– ნაბოლარა შვილს არ ანებივრებთ?**

– არა, ეს გამორიცხულია. მეც და მეუღლეც საკმაოდ მკაცრები ვართ და თვითონაც არ ვარ განებივრებულად გაზრდილი. ბავშვი უზრდელი და ინფანტილური არ უნდა იყოს, უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანი.

**ქეთი დიდებულიძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ვინ არიან მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური, ცნობილი კომპანიის „ცირკ დუ სოლეის“ ქართველი მოცეკვავეები და როგორ მონაწილეობენ ისინი „ვარეკაიში“, რომელიც ყველა კონტინენტზე მოგზაურობს

*იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... ერთ ტყეში, ვულკანის თავზე ჯადოსნური სამყარო მდებარეობდა, სახელწოდებით ვარეკაი. ერთ დღესაც, ტყეში მოულოდნელად ციდან ახალგაზრდა ბიჭი ჩამოვარდა და ასე დაიწყო მისი და ვარეკაის საოცარი ისტორია. ტყის მცველებს შორის, განსაკუთრებით სამი ქართველი გამოირჩეოდა, რომელთა ოსტატობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული... – ეს არის მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური, სანახაობრივად დატვირთული ცირკის Cirque du soleil-ის ერთ-ერთი ულმაზესი შოუს Varekai-ის მოკლე შინაარსი. უკვე დიდი ხანია იქ ქართველები ცეკვავენ და მრავალფეროვან ნომრებს შორის, მათი ნომერი ყოველთვის ყველაზე მეტად ხიბლავს მაყურებელს. მათ გარეშე ჯერჯერობით არც ერთ წარმოდგენას არ ჩაუვლია. „Cirque du soleil-ს 20-მდე შოუ აქვს და თითოეულში მოხვედრაზე ნებისმიერი არტისტი ოცნებობს, მათი წარმოდგენების ნახვაზე კი – უამრავი მაყურებელი. „ცირკ დუ სოლეის“ ყველა შოუ საოცარი სანახაობით გამოირჩევა, რომელსაც უბადლო პროფესიონალები ასრულებენ. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის რომ ამ ზღაპრულ შოუში – „ვარეკაი“, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოში მოგზაურობს, მათი გასტროლების განრიგი უკვე დიდი ხნით გაწერილია, მთავარ როლს სამი ქართველი მოცეკვავე ასრულებს. მათი ისტორია კი წლების წინ დაიწყო, როცა „ცირკ დუ სოლეიმ“ „ვარეკაის“ შოუსთვის სამი მოცეკვავე მიიწვია: ბადრი ესართია, თემურ ქორიძე და ხვიჩა თეთვაძე. მოგვიანებით, ორი მათგანი – ბადრი ესართია და თემურ ქორიძე ახალმა თაობამ ჩაანაცვლა: თორნიკე ზაბახიძემ და* **ლაშა სახოკიამ**. *ლაშა პირველი ადამიანია, რომელიც ამ თემაზე მექსიკიდან მესაუბრა, სადაც „ვარეკაი“ უკვე ერთი თვეა, გასტროლზე იმყოფება. ამიტომაც, ის იმ ქართველების შესახებ, რომლებმაც სხვადასხვა კონტინენტზე გაიტანეს ქართული სახელი, აჩვენეს ხალხს ქართული ტრადიცები, ქართველი კაცის მებრძოლი სული, ექსკლუზიურად „თბილისელებისთვის“ გვესაუბრება.*



**იმ დროს თურქეთში ვიყავი, დამიკავშირდნენ. თავიდან არ დავიჯერე, იმდენად მოულოდნელი იყო – ამ ცირკში მოხვედრაზე ყველა არტისტი ოცნებობს. გადაწყვეტილების მიღებაც ძნელი იყო**

**ლაშა სახოკია**: 4 წლის ასაკში ქალაქ ხობში დავიწყე ცეკვა. 6 წელი ვიცეკვე ხობში. იმ დროს ფოთს ჰყავდა ძალიან კარგი ანსამბლი



„ფაზისი“ და შემდეგ იქ გადავედი საცეკვაოდ. ანუ, 10 წლიდან 18 წლამდე ფოთში ვიყავი. დავდიოდით გასტროლებზე უცხოეთში, ფესტივალებზე, ბევრჯერ გავიმარჯვეთ კიდეც. შემდეგ თბილისში ჩამოვედი, ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩავაბარე და, პარალელურად, გადავწყვიტე, მევლო „მეტეხში“ – საქართველოს ნაციონალური ბალეტის თეატრში, ფოცხიშვილებთან. 2003-დან 2007 წლამდე „მეტეხში“ ვცეკვავდი, სადაც ოჯახური, მეგობრული სიტუაცია იყო. 2007 წლის ბოლოს 8 ბიჭმა ჩავწერეთ ვიდეოები და გავაგზავნეთ სხვადასხვა კომპანიაში. თურქეთიდან მალევე დაგვიკავშირდნენ, შევთანხმდით ყველაფერზე და წავედით. იქ ორ შოუში ვმონაწილეობდით: „ანატოლიის ცეცხლი“ და „ტროა“ – ორივე ძალიან ლამაზი და საინტერესო შოუა. „ტროაში“ ჩხუბის სცენებია ბევრი. ისეა გაკეთებული, როგორც ფილმში, ამიტომ ჩვენ ჩვენი ცეკვებით ზუსტად შესაფერისები ვიყავით. საკმაოდ დიდი როლი გვქონდა – შოუში რაც კი ბრძოლის სცენა იყო, თითქმის ყველაში ვიღებდით მონაწილეობას. „ანატოლიის ცეცხლში“ კი სამი ქართული ნომერი გვქონდა. ზამთარში სხვადასხვა ქვეყანაში მივდიოდით გასტროლებზე, ზაფხულობით კი ძირითადად ანტალიაში ვიყავით. ამფითეატრში გვქონდა კონცერტები – 5-6 ათასი მაყურებელი მოდიოდა ყველა შოუზე. შვიდვარსკვლავიან სასტუმროში ვცხოვრობდით, ყველაფრით უზრუნველყოფილები ვიყავით, ხელფასიც ძალიან კარგი გვქონდა, ჩვენებსაც ვეხმარებოდით... მოკლედ, ძალიან კარგ პირობებში ვიყავით. ერთ დღესაც, „ცირკ დუ სოლეიდან“ დაუკავშირდნენ ჩემს ყოფილ ქორეოგრაფს, რომელსაც თავის საიტზე ედო ჩემი ვიდეოები, ფოტოები. როგორც შემდეგში გავიგე, უნახავთ და დაინტერესებულან ჩემით: ახლა სად არის, რას აკეთებსო. იმ დროს თურქეთში ვიყავი, დამიკავშირდნენ. თავიდან არ დავიჯერე, იმდენად მოულოდნელი იყო – ამ ცირკში მოხვედრაზე ყველა არტისტი ოცნებობს. გადაწყვეტილების მიღებაც ძნელი იყო, რადგან ბიჭებთან ერთად ბავშვობიდან მოვდივარ და არ მინდოდა მათი დატოვება. თან გამიხარდა, თან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ, ბიჭები გვერდში დამიდგნენ: მილიონში ერთხელ არის ასეთი შანსი და აუცილებლად წადიო. მოკლედ, გადავწყვიტე წასვლა. თავიდან მომთხოვეს ვიდეოს გადაღება, გავაგზავნე, მერე ვიზა გამომიგზავნეს და 2011 წლის იანვარში კანადაში წავედი. ნებისმიერი არტისტი პირველად მონრეალში ჩადის, მათ ბაზაზე, იქ გადის ყველანაირ შემოწმებას. ფეხზე მქონდა რაღაც პრობლემა. სანამ ჩავიდოდი, ამის შესახებ მათ მივწერე, მაგრამ მაინც ჩამოდიო, მითხრეს. შემამოწმეს, მიხვდნენ, რომ სერიოზული არაფერი მჭირდა. ერთი თვე ვიმკურნალე და კონტრაქტს ხელი მოვაწერე. ანუ, ამ შოუში სამი ქართველი მოცეკვავე ცეკვავს. თემურ ქორიძე რამდენიმე წლით ადრე თორნიკე ზაბახიძემ შეცვალა, ბადრი ესართია მე შევცვალე. ანუ, მე და თორნიკე მეორე თაობას წარმოვადგენთ, ხვიჩა თეთვაძე კი პირველი თაობის წარმომადგენელია. ის მომენტი, რომ აქ ქართველი ბიჭები დამხვდნენ, რომლებმაც ყველაფერი იცოდნენ აქაური სისტემის, წესების შესახებ, ძალიან დამეხმარა – მოკლე დროში გავიარე ადაპტაცია..

**– ალბათ, პირველი შოუ განსაკუთრებულად გახსოვს.**

– ეს იყო კორეაში. მახსოვს, რომ შევედი სცენაზე, მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე დგომის დიდი გამოცდილება მაქვს, ძალიან ვნერვიულობდი. მაგრამ, როცა პროფესიონალი ხარ, ამას ვერავინ შეგატყობს, უბრალოდ, შინაგანი განცდები გაქვს. თან, რომ იცი, როგორი შოუა, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდები.

**– ვინ შეარჩია თქვენი ნომრისთვის მუსიკა?**

– მუსიკა ცირკმა შეარჩია, მთლად ქართული არ არის, მაგრამ ჟღერადობით მიახლოებულია. სიმღერის ტექსტი თემურ ქორიძემ დაწერა. ჩვენს კომპანიას 25-მდე შოუ აქვს, თავისი



**საკმაოდ დიდი როლი გვქონდა, რაც კი ბრძოლის სცენა იყო შოუში, თითქმის ყველაში ვიღებდით მონაწილეობას. „ანატოლიის ცეცხლში“ კი სამი ქართული ნომერი გვქონდა**

მუსიკალური ნომრებით, მაგრამ, არც ერთ ნომერს არც ერთ ენაზე არ აქვს სიმღერა. ანუ, ამ სიმღერებში თუ არის სიტყვები, ეს არაფერს ნიშნავს, მოგონილია. ერთადერთი „ვარეკაიშია“ ჩვენი ნომერი, სადაც მუსიკას აქვს ქართული ტექსტი: „საყვარელო საქართველო, ვაჟკაც-გმირთა გამზრდელი ხარ, სამშობლოვ ჩვენო“. ამერიკელი მომღერალი ამას მღერის ქართულ ენაზე, ძალიან ემოციურია. სადაც არ უნდა გამოვიდეთ, ქართველების ნომერს ყოველთვის დიდი მოწონება აქვს. დაახლოებით ორი თვის წინ კოსტა-რიკაში ვიყავით გასტროლით. თორნიკემ გვკითხა: ქართული დროშები დაინახეთო? მე და ხვიჩამ არ დავიჯერეთ – კოსტა-რიკაში ქართველები არ იქნებიან-მეთქი. მერე რუსები მოვარდნენ: ქართული დროშები დაინახეთო? ფინალზე რომ გამოვედით, ჩვენც დავინახეთ, ისეთი სასიამოვნო ემოციები გვქონდა... ქართული ოჯახი იყო, ბექსტეიჯის მენეჯერს ვთხოვეთ და შემოვიყვანეთ. ჩვენთან ერთად ფოტოები გადაიღეს, სახლშიც დაგვპატიჟეს: ძალიან ბედნიერები იყვნენ. თან, მომზადებულები მოვიდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ქართველები ცეკვავდნენ ამ შოუში.

# ომარ დურმიშიძის სულიერი მემკვიდრეობის ბედი გაურკვეველია

***ომარ დურმიშიძეზე საუბრის მოსმენა არასდროს მომწყინდება. ხელოვანი, რომელმაც სულ რაღაც 45 წელი იცოცხლა და ამხელა მემკვიდრეობა დატოვა, ნამდვილად არის იმისი ღირსი, რომ სულ გვახსოვდეს და შესაბამის პატივსაც ვცემდეთ მის შემოქმედებას.***

***თეა დურმიშიძე – მისი ერთადერთი ქალიშვილი, დიდი სევდით ყვება მამაზე:***

– მისთვის მატერიალურს არასდროს ჰქონია მნიშვნელობა, საკმარისი იყო სულ მცირედი, საარსებოდ საჭირო მინიმუმი... და ხატვა! ხატვა კი ხელოვანმა ყველგან უნდა შეძლოსო, ამბობდა. სახელოსნოს რასაც ეძახდა, პატარა ბნელი სარდაფია, იმდენად ნესტიანი, რომ აქ სურათების დაკიდებაც კი შეუძლებელია, ნესტი გააფუჭებს. სწორედ აქ მუშაობდა... აქ, გარეთ და ღამით... ღამის მხატვარიც კი დაარქვეს...

– ომარ დურმიშიძეზე დაწერილი წერილის საილუსტრაციოდ კარგი იქნება მისი „ჩაიკოვსკის ქუჩა", ან „ვერცხლის ქუჩა" გადავიღოთ, – ვუთხარი მასპინძელს და თვალწინ დამიდგა ეს და მხატვრის სხვა საუკეთესო ტილოებიც, რომლებიც „თი ბი სი ბანკის" საგამოფენო დარბაზში მქონდა ნანახი წლების წინ... თეას მოულოდნელად ძალიან დიდი მწუხარება დაეტყო სახეზე...

– სამწუხაროდ, ვერაფერს გადავიღებთ. მამაჩემის მემკვიდრეობა დაყადაღებულია.

სიტყვა გამიწყდა...

– როგორ? განა შეიძლება, ომარ დურმიშიძის სულიერი მემკვიდრეობა ხელმისაწვდომი აღარ იყოს ჩვენთვის?

მასპინძელს აშკარად ტკივილით მოეწურა გული:

– საუბედუროდ, ასე მოხდა. მას მერე, რაც დედინაცვალი გარდაიცვალა, სახლი ნასყიდობით თავის ნათესავს დაუტოვა. თუმცა, რაც შეეხება მამაჩემის სურათებსა და ჩანაწერებს, ამის შესახებ არაფერი უთქვამს და არც იტყოდა. მან იცოდა, რადგან მამა პირად საუბრებში ყოველთვის ყველასთან აღიარებდა, რომ ეს ნამუშევრები ჩემი იყო. სამწუხაროდ, დღეს ამ ბინიდან მამაჩემის ჩანაწერებისა და სურათების გამოტანას ვერ ვახერხებ. მხოლოდ მატერიალური ღირებულების მქონე არც ერთ ქონებაზე არ მექნებოდა დავა, მაგრამ ის, რაც მამაჩემის სულიერი, ინტელექტუალური საკუთრება იყო, იმას, რასაც დიდი რუდუნებით ინახავდა, რომ თავისი შვილისთვის – ჩემთვის დაეტოვებინა, ვერაფრით შეველევი.

– რატომ არ იზრუნეთ, რომ თავის დროზე წამოგეღოთ სურათები?

– ჯერ ერთი, მამა ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა, ამიტომ ანდერძის დაწერაზე არც უფიქრია. მერე კი იმდენად კარგი ურთიერთობა მქონდა მის მეუღლესთან, იმდენად გარკვეული იყო ყველაფერი, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ მოხდებოდა. როგორც შეგვეძლო, მეც და მამაჩემის მეგობრებიც, მატერიალურად ვეხმარებოდით, ვზრუნავდით მასზე... რაც ჩემთან იყო, ისიც კი იქ მიმქონდა, სადაც მისი მეუღლე ცხოვრობდა, ვფიქრობდი, ჯობდა, მემორიალური მემკვიდრეობა ერთად ყოფილიყო თავმოყრილი...



თეა დურმიშიძე თავადაც მხატვარია, მამის გვერდით იზრდებოდა და სწავლობდა..., სიანკარე შეჰქონდა გოგონას მის საკმაოდ მძიმე ყოველდღიურობაში. ამაზე ყვება ზეთში შესრულებული შვილის პორტრეტი „თეა"...

ომარ დურმიშიძეს აქვს ერთი სურათი „ავტოპორტრეტი ჩიტით".

შეუძლებელია, დაგავიწყდეს ამ სურათზე ასახული მხატვრის დაძარღვული ხელები, დანაოჭებული შუბლი და სხეულზე ნაოჭებად ქცეული სამოსი (გაგახსენებს გურამ დოჩანაშვილის პორტრეტსაც, რომლის დახატვის მერეც მეგობრისთვის ალალად უთქვამს: არ გეწყინოს, ასეთი ნაოჭებიანი რომ ხარ სურათზე, სახეზე შენი ტვინიც დაგახატეო). მისი სიფრთხილე და დაჟინება, რომლითაც ჩიტს უყურებს, იცის, რომ არსებობს რაღაც, რასაც განსაკუთრებული მოფრთხილება უნდა, მაშინაც კი, თუ წინ ცარიელი ჯამი გედგება... ამ სულის ჩიტს თავად ყოველთვის უფრთხილდებოდა. ახლა რა იქნება? ამაზე ალბათ აქ თეა დარდობს და მამამისი – ზეციურ საქართველოში. აკი თავად ამზადებდა შვილს, რომ მისი სურათებისთვის მოევლო, რესტავრირება ასწავლა... ზოგიერთი მათგანი მერე თეამ აღადგინა... და დღემდე მუშაობს ამ მიმართულებით. სწორედ ამიტომ, პატარა რომანტიკული გოგონა კი არა, უკვე ფეხზე მტკიცედ მდგარი, წარსულიდან ნასაზრდოები და სულიერებით სავსე დახატა ის, 1982 წელს ტუშით. თეა შეიძლებოდა, ყოფილიყო საყრდენი!

ძალიან გაუჭირდებოდა ამისი წარმოდგენა, რომ ერთ დღეს თეას სასამართლოში მოუწევდა სიარული იმის გამო, რომ დაემტკიცებინა: მამას ის განსაკუთრებულად უყვარდა და ეიმედებოდა, თავის სულიერ მემკვიდრეობას მხოლოდ მისთვის აგროვებდა... ეს იყო მისი ვალდებულება ერთადერთი ქალიშვილის მიმართ, რათა მისთვის შეექმნა და დაეტოვებინა ეს კოლექცია, რომელიც ხელშეუხებელი იყო ყველასთვის.

ნეტავ კომპოზიტორი ან პოეტი მაინც ყოფილიყოო, – ალბათ, გაკენწლავს გულში მხატვრის ქალიშვილს, მაშინ ასე არ გაუმწვავდებოდა მამის სულიერი მემკვიდრეობის მოვლაზე უფლების მოპოვება... და ესეც რომ არ იყოს, მარტო მისი კი არა, ომარ დურმიშიძე რასაც ხატავდა, საქართველოსია. უპატიებელია, რიგიანად დაცული და ხელუყოფელი რომ არ დარჩეს შთამომავლობას...

**გურამ დოჩანაშვილი:** ბედნიერება მქონდა, ვყოფილიყავი მხატვარ ომარ დურმიშიძის მეგობარი. კარგად ვიცნობ მის მაღალ შემოქმედებას, ყოველ მის ნახატს, რომლებსაც მუდამ მოწიწებული აღფრთოვანებით შევხაროდი. დღეს სწორედ ამ ნახატების რატომღაც სათუო ბედით დიდად შეწუხებული ვარ. ვიცით, ის მთავარი და უბრალოც კი – ჭეშმარიტება, რომ ყოველი მშობლისთვის, მით უმეტეს, ისეთი სულიერი სიფაქიზით გამორჩეული შემოქმედისთვის, მთავარი საზრუნავი მისი შვილი – ერთადერთი და შემოქმედებაა! და ნუ შევაწუხებთ იმქვეყნად მის ნათელ სულს, მით უმეტეს, რომ მხატვარ თეა ომარის ასულ დურმიშიძის გარდა საკადრისად და სწორად მოვლა-პატრონობას მისი შემოქმედებისას – ვერავინ შეძლებს.

ერთი პირობა ისიც გავიფიქრე, ამ წერილს ჩარჩოში ჩასმული სიცარიელით დავბეჭდავ-მეთქი. ეს იქნებოდა განგაშის სიმბოლო! მერე გადავიფიქრე... ომარ დურმიშიძეს ბევრი ავტოპორტრეტი აქვს დახატული და ყოველ მათგანში იკითხება ერთგვარი შიში და განგაში, რომ „სულის ჩიტი" არავინ გადათელოს. სწორედ ამიტომ, თავის დროზე მოწყობილი გამოფენის კატალოგიდან ამოვიღე მხატვრის პორტრეტი, რომელიც ყველას და ამ შემთხვევაში – მკითხველს, თვალებში უყურებს.

**მარინა მჟავანაძე**

---

– **რა ხდება თითოეული გამოსვლის შემდეგ?**

– პრემიერას ყოველთვის აღვნიშნავთ, ასევე, ქალაქში გასტროლის დამთავრებას. ორშაბათს ვისვენებთ და სამშაბათიდან დაწყებული, მიყოლებით ვმუშაობთ 6 დღე. დროც არ გვაქვს, რომ სადმე გავიდეთ. კვირას შოუები ადრე მთავრდება, ამიტომ შოუს ხელმძღვანელობა ქირაობს კლუბს და გვაქვს ფართი, მუსიკა, დალევა და, მოკლედ, ყველაფერი უფასოდ. საკმაოდ ბევრს ვმოგზაურობთ, ეს, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მიჩვეულები ვართ. მე ძალიან მომწონს მოგზაურობა, ახალი კულტურის გაცნობა – ეს ძალიან საინტერესოა ჩემთვის. კომპანია ყველანაირად ცდილობს, თავის არტისტს კარგი პირობები შეუქმნას. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ცირკია, ამიტომაც, არც გასაკვირია, რომ ანაზღაურებაც საკმაოდ კარგია... უბრალოდ, თანხის დასახელებისგან თავს შევიკავებ. ყველა არტისტს სასტუმროში საკუთარი ნომერი აქვს. იქ თუ გინდა ცოლი მიიყვანე, თუ გინდა – შვილი, თან, ჩვენთვის უფასოა ყველაფერი. რადგან სულ ვმოგზაურობთ; მათ, ვისაც ცოლი-შვილი ჰყავს, მათი დატოვება გაუჭირდება, ამიტომ, ყველანაირად გიწყობენ ხელს და ისინიც ჩვენთან ერთად არიან. კანადაში კომპანიის ბაზაა, თავისი აპარტამენტებით, სასტუმროთი, სამზარეულოთი. მოკლედ, აქ მთავარია, შენი საქმე კარგად აკეთო, დანარჩენს უკვე ისინი უზრუნველყოფენ.

– **ახალხან დაქორწინდი, ვინ არის შენი მეუღლე, ისიც „ვარეკაიში" მუშაობს?**

– მსახიობი არ არის, 5 წლის წინ გავიცანი, ეროვნებით რუსია. როდესაც თურქეთში ვმუშაობდი ჩვენი სპონსორი იყო 7-ვარსკვლავიანი სასტუმრო, სადაც ყოველ ზაფხულს ვცხოვრობდით, ის იქ მუშაობდა და ერთმანეთი შეგვიყვარდა. თავიდან, როდესაც „ვარეკაიში" ჩამოვედი, არ ვიცოდი, როგორ წარიმართებოდა ჩემი საქმეები, ამიტომაც, მაშინვე არ წამომიყვანია. მაგრამ, მერე, კარგად რომ მოვეწყვე, ჩამოვიყვანე და სულ ჩემთან ერთად არის. ქორწილი საქართველოში გადავიხადეთ – შვებულება გვქონდა და დავამთხვიეთ. ყველაფერს მე ვაკეთებდი – იმდენს დავრბოდი, სასტუმროში, სადაც ქორწილი გვქონდა, დღემდე არ სჯერათ, რომ მე ვიყავი სიძე.

**ნათია უტიაშვილი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მ ი ი ღ ე თ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ბრძნული აზრები

**დალამბერი**: ადამიანთა დიდ ნაწილს საკუთარი აზრი არ გააჩნია.

**უშინსკი**: აღზრდის ყველაზე აუცილებელი ნაწილი ხასიათის განათლებაა.

**სიუნძი**: თუ არ იცი, როგორები არიან შენი შვილები, შეხედე მის მეგობრებს.

**სენტ-ეგზიუპერი**: ბევრი უნდა გადაიტანო, ადამიანი რომ გახდე.

**სოკრატე**: მზეს ერთი ნაკლი აქვს – მას საკუთარი თავის დანახვა არ შეუძლია.

**ჰაიდეგერი**: ადამიანს არ შეუძლია, გაიგოს რაიმე, თუ ჯერ არ შეიყვარა.

**ვოლტერი**: გონების დღესასწაულია ის, რომ შეეგუო ადამიანებს, ვისაც ის არ გააჩნია.

**ავრელიუსი**: კაცნი ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი; ამიტომ ან დაითმინე, ან შეაგონე.

**ჩეხოვი**: კარგი აღზრდა ის კი არ არის, რომ შენ დაგესხმევა სუფრაზე საწებელი, არამედ ის, როცა არ შეიმჩნევ, თუ იგივე სხვას დაემართება.

**პასკალი**: ძალა მართავს ქვეყნიერებას და არა აზრი, მაგრამ ძალა სარგებლობს აზრით.

**ბალზაკი**: ფლობდე გემოვნებას, უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფლობდე გონებას.

**შოპენჰაუერი**: პატივი გარეგნული სინდისია, ხოლო სინდისი – შინაგანი პატივი.

***

მეცნიერები არიან ისინი, რომლებმაც ბევრი იკითხეს; მოაზროვნენი, მსოფლიოს განმანათლებლები და კაცობრიობის მამოძრავებლები კი არიან ისინი, რომლებიც უშუალოდ სამყაროს წიგნს კითხულობენ.

**არისტოფანე**: ჭკვიანი კაცი ბევრ რამეს ისწავლის მტრისგან.

**კონფუცი**: გაუწვრთნელი და უსწავლელი ხალხის ომში გაგზავნა მათ გაწირვას ნიშნავს.

**მური**: მოვალეობა ჰქვია მოქმედებას, რომელსაც მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია ამქვეყნად, ვიდრე რომელიმე სხვა გადაწყვეტილებას.

**ილია**: ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი სურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს.

**სტრინდბერგი**: ნამდვილ მშვენიერებას არ შეუძლია არსებობა სიკეთის გარეშე.

**ლაროშფუკო**: მჭევრმეტყველების ოსტატი ის არის, ვინც ყველაფერს ამბობს, რაც საჭიროა და სხვას არაფერს.

**ლობერგერი**: ომები არის რევოლუციები გარედან.

**გურმონი**: ოპტიმიზმი – ერთადერთი რამ, რაც კაცს შეიძლება, კიდევ ჰქონდეს ცხოვრებისგან.

**ჰაინე**: სიცოცხლე ავადმყოფობაა, მთელი მსოფლიო ლაზარეთია, ხოლო ჩვენი მკურნალი ექიმი სიკვდილია.

**ნიცშე**: მხოლოდ ადამიანი ეწინააღმდეგება გრავიტაციის მიმართულებას: მას გამუდმებით სურს, ეცემოდეს ზევით.

**ხაიამი**: უჩვენოდაც ტრიალებდა მიწა, ჩვენი თვალთა ჩენა უჩვენოდაც იტრიალებს – მთავარია, რა ვართ ჩვენ!

**რემარკი**: სიყვარული აბრმავებს მამაკაცს და თვალს უხელს ქალს.

**გოეთე**: ყოველ ქალს უნდა შეეძლოს ოთხი რამ: ქალიშვილივით გამოიყურებოდეს, ქალბატონივით იქცეოდეს, კაცივით აზროვნებდეს და ცხენივით მუშაობდეს.

# თუ გამოიცნობთ

1. ეს ხშირად არ კეთდება, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. როცა ამის დრო დგება, მათ, ვინც ეს უნდა გააკეთონ, ოთახში კეტავენ, გარკვეული დროის შემდეგ კი ცეცხლს უკიდებენ ქაღალდსა და ჩალას. **რა შემთხვევაში უკიდებენ ცეცხლს ნოტიო ჩალას?**

2. არქივში შემონახულია ჩანაწერები მეთვრამეტე საუკუნეში სასამართლოს მიერ განხილული საქმის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ეკლესიაში გაძარცვის მიზნით შესულმა ბოროტმოქმედებმა პირველ რიგში გადაჭრეს... **რა?**

3. ინგლისურ ენაში არის ზმნა to queen, რომელიც სიტყვა „დედოფლიდანაა“ ნაწარმოები (ანუ, დედოფლად ქცევა, გადედოფლება), თუმცა, არ არსებობს to king – სიტყვა „მეფიდან“ ნაწარმოები ეს ზმნა, რაც აიხსნება არალინგვისტური წესით. **როგორ?**

4. ენციკლოპედიაში „კირილე და მეთოდე“ სტატიებს – „ალექსანდრ მეორე (რუსეთის იმპერატორი)“ და „ალექსანდრ მესამე (რუსეთის იმპერატორი)“ – შორის არის სტატია, მიძღვნილი ვინმე როლანდუ ბანდინელისადმი. **დაასახელეთ ამ სტატიის სათაური.**

5. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს პარიზში გამოდიოდა სპეციალური გაზეთი. მცირე ტირაჟის გამო გაზეთი ძვირი ღირდა, მასში კი განთვსებული იყო ცნობები სავაჭრო, საქველმოქმედო და სხვა ღონისძიებების შესახებ; ასევე, განცხადებები, მაგალითად: „ვეძებ ფლეიტაზე დამკვრელ ბრმას. მაღალი კლასი არ არის აუცილებელი“. **ვისთვის იყო განკუთვნილი ეს გაზეთი?**

6. გრიგორი ალექსანდროვის ფილმში – „კომპოზიტორი გლინკა“, ფერენც ლისტის როლი შეასრულა მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა საუკეთესო პიანისტმა... შეასრულა შესანიშნავად, როგორც მაშინ ამბობდნენ, მისი გვარის შესაბამისად – 12-ზე. **დაასახელეთ, ვინ შეასრულა ლისტის როლი.**

7. ალბათ, არც ერთ თქვენგანს არ წაუკითხავს და არ დაუწერია ასეთი სტატია, მაგრამ, ზუსტადაა ცნობილი, რომ ეს წაიკითხა ჯუზეპე ვერდიმ, ნიკოლო პაგანინიმ... ამერიკელი მოსამართლის, ჯეკ მეის განაჩენით, ზოგიერთი საგზაო მოძრაობის დამრღვევი ამ სტატიის გამოქვეყნებით ისჯებოდა. **რა სტატიის?**

8. ჩვეულებრივ, ადამიანს ამისთვის 1,75-ჯერ ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე კატას. ამ პროცესის დროს ადამიანი 30-ჯერ იცვლის პოზას, თუმცა, პოზების რაოდენობა არ აღემატება 12-ს. მამაკაცები ამაზე 11 პროცენტით ნაკლებ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ორივესთვის აუცილებელია. **რა?**

9. შუა საუკუნეების საფრანგეთში არსებობდა გადასახადი, სახელწოდებით – „მენმორტრი,“ რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „მკვდარი ხელი“. **რისი გადასახადი იყო მენმორტრი?**

10. პრუსიის სამხედრო წესდება პირდაპირ კრძალავდა ჯარისკაცთა კოლონების ტყეში და თუნდაც ტყის პირას გავლას. **რის თავიდან ასაცილებლად ჩაიწერა წესდებაში ეს აკრძალვა?**

*პასუხები იხილეთ მე-62 გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* 1997 წლის სექტემბერში ბრიტანეთის მფლობელობაში არსებული კარიბის აუზის კუნძულ მონტსერატის ხელისუფლებამ წამოაყენა წინადადება, რომ კუნძულის დედაქალაქ პლიმუტისთვის გადაერქმიათ სახელი და მისთვის დიანა ეწოდებინათ.

* ბრაზილიაში აქვთ თავისებური რეკორდების წიგნი. სტატიას, რომელშიც წერია, რომ „რიო-დე-ჟანეიროში კარნავალის დროს 28 ადამიანი დაიღუპა“, სათაურად აქვს „ყველაზე წყნარი კარნავალი“.

* ელვა-შესაკრავი 1893 წელს მექანიკოსმა ჰენრი არონსმა შექმნა.

* გიენებს თავის ტოლ ძუძუმწოვრებს შორის ყველაზე ძლიერი ყბები აქვთ. მათ აქვთ, აგრეთვე, ფსევდოპენისი, რითაც ხდება როგორც განაყოფიერება, ასევე, შობა.

* 1968 წელს პოლონეთში დაარსდა „ღიმილის ორდენი,“ რომელიც ენიჭებათ ხელოვნების მუშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს იუმორისტული მიმართულებით.

* ნებისმიერი ადამიანი იგრძნობს თავს მაიკ ტაისონად, როდესაც კალიფორნიის შტატის ქალაქ პასადენის ერთ-ერთი კონდიტერის დამზადებულ შოკოლადს შეჭამს – მას ყურის ფორმა აქვს, რაც ევანდერ ჰოლიფილდთან ტაისონის ცნობილი ინციდენტის მინიშნებაა.

* 1900 წელს დედამიწაზე სულ 6 200 ავტომობილი იყო, 1980 წელს კი, უკვე 250 მილიონი.

* 2000 წელს სამხრეთ კორეაში ააგეს კომპლექსი, რომელიც შედგებოდა კოსმოდრომისა და საკონფერენციო დარბაზისგან. ეს ყველაფერი განკუთვნილი იყო... უცხოპლანეტელებისთვის.

* იმრე კალმანს მანიაკური ჩვევა ჰქონდა – არაფერს აგდებდა. ერთხელ მისმა მდივანმა სთხოვა ნებართვა, გადაეყარა ათი წლის წინანდელი ქაღალდები, რათა ოთახში ადგილი გათავისუფლებულიყო. კალმანი დათანხმდა, მაგრამ, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც წინასწარ მათ ასლებს გადაიღებდნენ... დასატოვებლად.

* მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი, მაიკლ ჯორდანი, უნივერსიტეტში სწავლის დროს, იატაკზე მჯდომი ვარჯიშობდა ბურთის კალათაში ჩაგდებაში.

* ბრიტანელი მწერალი დიკ ფრენსისი პროფესიონალი ჟოკეი იყო და მის აქტივში 21 მოტეხილობაა, მათ შორის – ხერხემლისაც.

* როგორც ამბობენ, ისლანდიის ეკონომიკა ძირითადად თევზზე, კერძოდ კი ქაშაყზეა დამოკიდებული.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh8-e8!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ქალი მკითხავთანაა მიღებაზე და ეხვეწება:

– ძალიან გთხოვ, დამიბრუნონ ქმარი, ახალგაზრდა ქალთან გაიქცა... სამი შვილი მყავს, ძალიან მიჭირს, მარტო როგორ ვუპატრონო...

– კარგი. 100 ლარი მომეცი და დაგიბრუნებ ქმარს...

რამდენიმე დღის შემდეგ ქალი ისევ მივიდა მკითხავთან. სახე წაშლილი აქვს, გაფითრებულია, დაბნეულია და მთლიანად კანკალებს...

– ქმარი არ დაგიბრუნდა?

– დაბრუნდა, ოღონდ, პირველი, რომელიც ათი წლის წინ დავმარხე...

***

ქალი სამსახურში ჩალურჯებული თვალით მივიდა.

– რა მოგივიდა? – ეკითხება ყველა გაოცებით.

– ქმარმა ბოლომდე არ მომისმინა...

***

დირექტორი ერთ-ერთ განყოფილებაში შედის. ოთახი გაბოლილია და შენიშვნას აძლევს თანამშრომლებს:




– რამდენჯერ უნდა გითხრათ, მუშაობის დროს არ მოწიოთ-მეთქი?!

– ვინ მუშაობს, რო?!

***

საერთო საცხოვრებელში სტუდენტი წყვილები საწოლებზე განაწილებულან და ერთ ამბავში არიან... როგორც იქნა, შეწყდა კვნესა-კრუსუნი და ერთმა ბიჭმა წამოიძახა:

– გინდათ, ერთ ანეგდოტს მოგიყვებით?

– ოღონდ, უხამსი არა! – პასუხობს ერთ-ერთი გოგონა.

***

პენსიონერი ცოლ-ქმარი სამოთხეში მოხვდა. ირგვლივ სიმწვანეა, სიმშვიდე, სილამაზე, გული ხალისობს და... უცებ, ქმარმა ცოლს გვერდში მაგრად გასცხო.

– გაგიჟდი, რას აკეთებ? – უსაყვედურა ცოლმა.

– რომ არა შენი აჩემებული დიეტა, აქ ერთი წლით ადრე მოვხვდებოდით...

***

– ჩემი შეყვარებული მობილურივითაა...

– ისეთივე პატარა, თანამედროვე და შენთვის აუცილებელი?

– არა, როცა ფული მიმთავრდება, აღარ მელაპარაკება...

***

გამბედაობა, სიმამაცე, ვაჟკაცობა, მოვალეობა, მამულიშვილობა, სინდისი, მეგობრობა, სიყვარული... – სიმთვრალის ნიშნებია.

***

საავადმყოფოს პალატაში ავადმყოფს ტელეფონი აღვიძებს:

– დილა მშვიდობისა, მე თქვენი მკურნალი ექიმი ვარ... ანალიზების პასუხები მოვიდა და მინდა გითხრათ, რომ თქვენ აღმოგაჩნდათ გონორეა, ქუნთრუშა, წითელა, ღორის გრიპი, ყვავილი, შავი ჭირი, ვირუსული ჰეპატიტი...

– მიმკურნალეთ, გააკეთეთ რამე! – წამოიძახა შეშინებულმა პაციენტმა.

– ნუ ნერვიულობთ, ვიმოქმედებთ გეგმის მიხედვით. პირველ ყოვლისა, გინიშნავთ ბლინების დიეტას: საუზმეზე – ბლინები, სადილზე – ბლინები, ვახშმად – ბლინები.

– მერე, მიშველის?

– არ ვიცი, მაგრამ, კარის ქვედა ღრიჭოდან რისი შემოწოდებაც შეგვიძლია – ბლინებია.

***

82 წლის მოხუცი ექიმთან მიდის:

– მომავალ კვირას ვქორწინდებდი.




– ცუდი არ არის... რამდენი წლისაა საპატარძლო?

– 18-ის

– მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ლოგინში ზედმეტ აქტიურობას, შეიძლება, ლეტალური შედეგი მოჰყვეს.

– ოჰ, არა უშავს, დიდად შეყვარებული არ ვარ, თუ მოკვდება, ახალს შევირთავ...

***

თუ გინდათ, უცხო კოლექტივში გამოიცნოთ ლიდერი, დააკვირდით, ვის მაგიდაზე დევს კონდიციონერის პულტი.

***

ქუჩაში მამაკაცი მიდის ქალთან და ეკითხება:

– ჩემთან 5 000 დოლარად დაწვებით?

– კი...

– 100 ლარად?

– თქვენ მე ვინ გგონივართ?

– ვინც მგონიხარ, ეს უკვე გავარკვიე, ახლა ფასშია საქმე...

***

მამა-შვილი პურზე წავიდა და მხოლოდ ორი საათის შემდეგ დაბრუნდა.

– სად იყავით აქამდე? – ეკითხება შვილს დედა.

– სადაც ქალები მამას უფულოდ არ აძლევდნენ.

– გეფიცები, მაღაზიებში დავდიოდით, დამიჯერე... – წამოიძახა შეშფოთებულმა კაცმა.

***

მიხო აფრიკაში ტურისტულ ჯგუფს ჩამორჩა და გზა აერია... თუთიყუშებმა უშველეს – დაკარგული მათი გინების მიხედვით იპოვეს...

***

იდეალური ცოლი ისაა, რომელიც რჩება ერთგული, მაგრამ, ცდილობს, ისეთივე მომხიბვლელი იყოს, თითქოს გღალატობთ.

***

– ბავშვებო, აბა, ვის გმირობას გაიმეორებდით?

– კაზანოვას ყველა გმირობას...

***

– აუ, სადაცაა, თავი გამისკდეს: ქორწილი, დაბადების დღე, წლისთავი – ყველაფერი ერთ დღეს... სად წავიდე, არ ვიცი...

– წლისთავზე.

– რატომ?

– იგივეა, თანაც, საჩუქრის გარეშე.

***

მიხოს ოჯახი სადილობს. პატარა ვანუა თეფშს ჩაშტერებია და არ ჭამს.

– ჭამე, მამა გენაცვალოს, თორემა, კუტუ აღარ გაგეზრდება...




– შეეშვი, კაცო! მაგ ბალღ რო ასწავლი, შენ თვითონ გეჭამა... – გააჩუმა მარომ.

***

– იცით, თქვენი შვილი... კარგი ბიჭია, მაგრამ ყველა უზრდელური სიმღერა იცის...

– როგორ, მღერის ხოლმე?

– არა, უსტვენს...

***

სანდრო ბებიასთან დატოვეს.

– დედიკო და მამიკო კიდევ ჩხუბობენ? – ჰკითხა ბებიამ.

– კი. დედამ ზღვიდან რაღაც სიფილისი ჩამოიტანა. მამას, ზურა ძიას და ჩვენს მეზობელ გელასაც მისცა და ახლა ყველა ჩხუბობს... ვერ გავიგე, რატომ – ცოტა ჩამოიტანა და არ ეყოთ თუ არათანაბრად გაანაწილა...

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მგზავრობა „ქუთაისი – წინწყაროსკენ“ მარშრუტით და გიჟის ოინი

სიმართლე გითხრათ, დღეს არსებობს თუ არა, ვერ დავდებ თავს, მაგრამ, მეოცე საუკუნეში, კომუნისტების დროს, იმერეთის ერთ მთიან რაიონში ფსიქიატრიული საავადმყოფო ფუნქციონირებდა.

იმერლებმა იციან, დანარჩენებს კი უნდა მოვახსენო, რომ ამ საავადმყოფოს „წინწკილას“ ეძახდნენ.

დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონიდან მიჰყავდათ იქ ცხოვრებისგან გონებაარეული ინდივიდები.

„ქუთაისი – წინწკილა“ – ეწერა „პაზიკ“ ავტობუსებზე. ერთ დღესაც, „პაზიკის“ მძღოლს, ანზორა გვიმრაძეს, ერთი კლიენტი ჩაუჯდა.

– ბიძია, ამიყვანე „წინწკილაზე“, ფული არ მაქ მე...

ანზორა ეკლესიური კაცი იყო და, – კიო, – უთხრა.

კლიენტი გაუშინაურდა და მძღოლის გვერდით მოკალათდა, „საპატიოდ“ გაკეთებულ სკამზე.

მანქანა მძიმედ შეუყვა აღმართს.

ცოტა ხანში კლიენტმა სიჩუმე დაარღვია:

– რატომ არ მეკითხები, ანზორა ბიძია, არაფერს?

– რა უნდა გკითხო, მაგალითად? – სიჩქარე გამოცვალა მძღოლმა.

– რატომ მივდივარ „წინწკილაზე“ მე – კაი ბიჭი და კაი ვაჟკაცი?

– ალბათ, ნათესავი გყავს იქ...

– აჰ, არა...

– აპა?

– გიჟი ვარ მე... ოღონდ, წესიერი გიჟი ვარ...

ანზორას გააჟრჟოლა. ასეთი არაფერი უნახავს, არც გაუგონია.

– გიჟი ვარ მე და, ნაცნობი თუ გყავს, მომაწყოს იქ...

– კაი, ბიძია, კაი... ვნახავ ვინმეს...

– ოტკა მაქ და დავლიოთ... – ბოთლის თავი გამოაჩინა უცნაურმა კლიენტმა კოსტიუმის ჯიბიდან.

– აჰ, ეგ როგორ შეიძლება, ბიჭიკო, – დაუყვავა (გიჟს უნდა აჰყვე) ანზორამ, – ამხელა ხრამებია... რო დავლიო, ხო გადევიჩეხებით, ბოშო და, დავლუპო ერთი ავტობუსი ხალხი?!

– ავტობუსი ჯართია... მაგის დედა არ ვატირე? დალევაა ცხოვრება, აპა!

ანზორა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კლიენტი სწორი მიმართულებით მიჰყავდა.

– შეყვარებული მყავს მე ქუთაისში და იმან გადამრია... აბა, რა მჭირდა ახლა მე გასაგიჟებელი და საწინწკილებელი?! შემხედე ერთი, კარგად შემხედე – ცუდი ბიჭი ვარ 25 წლის პირობაზე?!




– მშვენიერი ბიჭი ხარ. შენისთანა ბიჭი არცქე უნდა დაბადებულიყო...

– აპა, რა უნდოდა? არა, რა უნდოდა? მითხრა, არაყი არ დალიოო და დავლიე... მითხრა – არ იჩხუბოო და ვიჩხუბე... მითხრა, დედაჩემს ნუ აგინებო და შევაგინე... რა ვქნა მეტი, თუ ჩემი ბიძია ხარ?! ოცდახუთი წლის კაცმა მეტი რა ვქნა?! გაფიცებ, ვინც გულით გიყვარს – შემიძლია მეტი მეე?!

– მართალი ყოფილხარ... მეტი რა უნდა ქნა! – კვლავ დაეთანხმა შეშინებული მძღოლი.

როგორც იქნა, ამ ლაპარაკ-ლაპარაკში დანიშნულების ადგილს მიაღწიეს.

– ე, ახლა შენ მიდი, რობიზონა იკითხე, – არიგებს ანზორა, – ჩემი სახელი უთხარი და გაგსკვანჩავს ხოშიანად.

– შენ უკან ბრუნდები, ხო, ანზორა დეიდა?

– ბიძია...

– უჰ... ბიძია... დავლიოთ? თუმცა, არა, შენზა არ შეიძლება... როგორი პატივი მეცი... მარა, ერთი თხოვნა მაქ... უკან ხო ბრუნდები?

– კი, ბიძია, 15 წუთში გასვლა მაქ.

– აგერ, წერილს გაგატნევ ჩემ შეყვარებულთან და მიუტანე...

– მისამართი?

– რათ უნდა მისამართი, რო ჩახვალ, თვითონ მოვა და გამოგართმევს, ოღონდ, ძააან, ძაან გთხოვ... კონვერტი არ გახსნა...

– არ გავხსნი, ბიძია...

– შენი დედა მო...ნ, თუ გახსნა! – უცებ აღელდა ბიჭი.

– არ გრცხვენია? არ გავხსნი, – დაუყვავა (და გინება აპატია) მძღოლმა.

გამოართვა კონვერტი და... 3 საათში ქუთაისში იყო.

რეისი დამთავრდა. წერილის ადრესატი არ ჩანს. უხერხულში ჩავარდა კაცი. პირობას ვერ უღალატა და უცდის ადრესატს. გავიდა ერთი საათი და ადრესატი არ ჩანს.

– რას უყურებ, ანზორია, ბუჯო, არ მიდიხარ სახში? – შეეხმიანა „ქუთაისი-ონის“ მძღოლი ბეჟანა ქლიბაძე.

– ვუცთი, კაცო... გოგო უნდა მევიდეს, წერილი გამამატანეს და რა ვქნა? – გაეპასუხა მუდამ წესიერი ანზორა. მისამართი მაინც ვიცოდე, ტაქსით მივუტანდი ბინაზე.

– შეიძლება, შით წერია, – გონებამახვილობა გამოიჩინა ბეჟანამ.

– ხო... ხო... ეგ კი არ გამხსენებია... იქნება, ქეც შერიგდენ ბოვშები, – ინსტინქტურად გახსნა კონვერტი ლოდინით თავმობეზრებულმა ანზორამ.

გახსნა და ხელში უჯრედიანი რვეულის ფურცელი შერჩა:

„ხო გითხარი, არ გახსნა-მეთქი, მე შენი დედა...“ – ამოიკითხა დიდი ასოებით ნაწერი... ცოტა დაფიქრდა და გადააფურთხა:

– ოოხ, მე მართლა შენი დედაც...! ვინაა ახლა გიჟი?!

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# სიმამრის ნაჩუქარი მანქანა და ჩინელი ბიჭის უშეცდომოდ ჩაბარებული „პრავის“ გამოცდა

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად. დედა გაგიჟებული ვარ სიხარულით, საოცრება მოხდა, ნამდვილი სასწაული. ერთი გენიალური ტრადიცია ჰქონიათ ქართველებს – სიმამრი სიძეს მანქანას ჩუქნის და ლამზირას მამამ ავტომობილი მაჩუქა. მე ძალიან გამიხარდა, რაღაც რუსული სახელი ჰქვია „ნოლშესტი“, თანაც ჩემმა სიმამრმა სიამაყით განმიცხადა „ნოლტრის მატორზეაო.“

ჩემს მანქანას ცოტა კომფორტი აკლია, მაგრამ როგორც ქართველები ამბობენ ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო. უპირველესად, მართვის მოწმობა ავიღე, გამოცდის ჩასაბარებლად წავედი სხვა ქალაქში. დედაქალაქში რატომ არის ეს შეუძლებელი, არ მესმის. თეორია ადვილად ჩავაბარე და პრაქტიკული გამოცდის რიგში ჩავდექი. ძალიან ბევრი ხალხი იყო შეგროვილი, ძირითადად ქალები, ზოგიერთი ისეთი ასაკის, წესით, შვილთაშვილებს რომ უნდა ეთამაშებოდეს. კაცები ძირითადად უფროსი ასაკის, რომლებსაც მთავრობის შეცვლამდე არ სჭირდებოდათ მართვის მოწმობა, რადგან არავინ სთხოვდა. საგამოცდო მოედნის ოდნავ ქვემოთ გამოსაცდელებზე მეტი გულშემატკივარი დგას. ისინი ომახიანი შეძახილებით ამხნევებენ ახლობლებს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში სწორედ ეს უშლით ხელს და იჭრებიან. გამოცდიდან გამოსულ წარმატებულ გოგონებს დიდი ყიჟინით ეგებებიან და იმ დღეს მთელი ღამე ქეიფობენ, თითქოს მართვის მოწმობა კი არა, კემბრიჯის უნივერსიტეტის დიპლომი აეღოს. გამოცდაში ჩაჭრილი გოგონები, გლოვითა და ცრემლების ღვარღვარით გამოდიან, თითქოს ეს უკანასკნელი შანსი იყო, გარეთ კი წარბშეკრული ქმარი და ყალბად დამწუხრებული დაქალები ელოდებიან. ცოტა უხასიათო, ან მთვრალი ქმრის შემთხვევაში, შესაძლებელია გინების ან ხმამაღლა ღრიალის მსხვერპლიც გახდეს გამოუცდელი მძღოლი. ჩავჯექი მანქანაში და გამომცდელმა მაშინვე მომახალა: ლომივით ქართველმა ბიჭებმა ვერ ჩააბარეს დღეს და შენ რომ ჩააბარო, გავგიჟდებიო. მე მართლაც უშეცდომოდ ჩავაბარე გამოცდა და მართვის მოწმობა, ანუ ქართულად – „პრავა,“ ავიღე. რომ გამოვდიოდი, ვიღაცამ თქვა, ამან როგორ ჩააბარა ყველაფერს ბედი უნდაო. მე მივუბრუნდი და ვუთხარი, ბედი კი არა, სწავლა სჭირდება-მეთქი. კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ აშკარა საფრთხე ვიგრძენი და იქაურობას გავეცალე. ჩემი მანქანა იმ დღესვე გაფუჭდა და ხვალ ხელოსანი მყავს შეპირებული, იაფად უნდა გამიკეთოს. ხელოსნის ამბავს მერე მოგიყვები, დედა. იქაც რამე უცნაური რომ არ მოხდეს გამორიცხულია. ჯერჯერობით კი, ეს არის სულ, მომიკითხე ყველა.




**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რაში დაეხმარა ქართული ტემპერამენტი და მოსკოვური „გრუზინობა“ რუსული „ახალი ხმის“ კონკურსანტს, ნოდარ რევიას

***რუსეთში მოღვაწე, 21 წლის მომღერლის, ნოდარ რევიას შესახებ, ჟურნალი „თბილისელები“, ჯერ კიდევ გასულ წელს წერდა, როცა ის საკმაოდ ცნობილი და პოპულარული გახდა უკრაინულ პროექტ „იქს-ფაქტორში“ მონაწილეობით. მაშინ, ქართველ კონკურსანტს მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა და მკაცრი ჟიურისგანაც საკმაოდ თბილი და საქებარი სიტყვები დაიმსახურა. ეს კადრები სოციალურ ქსელშიც დაიდო და ის უამრავმა ადამიანმა მოიწონა.***



ნოდარ რევია თბილისში დაიბადა, თუმცა დიდი ხანია, მოსკოვში ცხოვრობს და საკუთარ თავს მოსკოველ „გრუზინად“ მიიჩნევს. როგორც თავად აღნიშნავს, ის საკმაოდ მიზანდასახული და დამოუკიდებელი ადამიანია. ბავშვობიდან მიზნად ჰქონდა დასახული, ხელოვანი გამოსულიყო. ადრეული ასაკიდან მღერის და ამ მიზნის მისაღწევად, მან საკმაოდ ბევრი იშრომა, დღეს კი დიდ სცენაზე ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. რუსეთის დიდ სცენაზე დიდი ხანი არ არის, რაც დგას, თუმცა, თავისი ვოკალური მონაცემებით, გამოცდილი მომღერლებისგან საკმაოდ დადებით შეფასებებს იღებს. მას დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ და ეს ერთიორად გასახარია ჩვენთვის, მისი თანამემამულეებისთვის, რადგან ერთი ქართველის წარმატებაც კი, მთელი საქართველოს წარმატებაა.

ცხადია, ნოდარის წარმატება კონკურსებს უკავშირდება, რომელშიც ის მონაწილეობს. შარშან, „იქს-ფაქტორში“ საკუთარი შესაძლებლობების იმედად გავიდა – იმღერა, საუკეთესოთა შორის მოხვდა და ჟიურისა და მაყურებლის ფავორიტობაც დაიმსახურა. ეს პროექტი დიდი ნახტომი აღმოჩნდა მისთვის, უფრო მეტად გაიცნო ხალხმა. დღეს ის, რუსულ მუსიკალურ შოუ „ახალი ხმის“ კონკურსში იღებს მონაწილეობას და ერთ-ერთი უძლიერესი კონკურსანტია. ნოდარი ამბობს, რომ ეს პროექტი, ყველაზე კარგი შანსია დამწყები მომღერლებისთვის. მაღალი მომზადების დონის გარეშე, რთულია იქ რაიმე წარმატებას მიაღწიო.

შესარჩევი ტურის, რიგით მეორე „ლაივშოუზე“, პირველი, სწორედ ნოდარი წარდგა. მისი მხარდამჭერები იყვნენ მისი მეგობრები და დედა. როდესაც „ახალი ხმის“ რუსმა კორესპონდენტმა დედას, ეკა დოლიძეს სთხოვა, კომენტარი გაეკეთებინა და შეეფასებინა მისი ვაჟი კონკურსზე გასვლის წინ, ასეთი პასუხი მოისმინა: „ძალიან ვნერვიულობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება, მისი მჯერა, ის ყველაზე კარგი და გამორჩეულია, ამას შეძლებს!“ თავად ნოდარი კი ამბობს, რომ სცენაზე დიდ სიამოვნებას იმით იღებს, რომ გასცემს იმ პოზიტივსა და ენერგიას, რასაც მსმენელი და მაყურებელი ითხოვს. კონკურსზე გასვლის წინ, ნოდარი აღიარებდა, რომ ნერვიულობდა, თუმცა საკუთარი თავის რწმენა ჰქონდა, რაც სცენაზე დადგომის პირველი წამებიდან დაამტკიცა. პრინცის ცნობილი სიმღერა შეასრულა და ჟიურის წევრებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჟიურის ოთხივე წევრი – დიმა ბილანი, პელაგია, ლეონიდ აგუტინი და გრადსკი, თავისკენ შემოატრიალა. პირველივე ნოტებზე ნოდარს მომღერალი პელაგია მოუბრუნდა, მას დიმა ბილანი და ლეონიდ აგუტინი მიჰყვნენ. ბოლოს კი, გრადსკიმაც დააჭირა ღილაკს ხელი. აი, მაშინ ნოდარმა ემოცია და დაგროვილი პოტენცია ველარ დამალა და თავისკენ შემოტრიალებული ჟიურის წინ, პირდაპირ სცენაზე, სიხარულისგან, ძირს გაწვა. პელაგიამ მას არაჩვეულებრივი ადამიანი უწოდა და აღიარა, რომ ის შეუდარებელია, როგორც სიმღერაში, ასევე თავისი მოქმედებებითა და სცენიურობის თვალსაზრისით. ხუმრობით შესთავაზა კიდეც, თუ გინდა, გიმღერებ, რომ ჩემს გუნდში წამოხვიდეო და კოლეგებს სთხოვა, იქნებ დამითმოთ ეს ბიჭიო. გრადსკი მას „დამტვრეული“ ქართულით მიესალმა – „გაუმარჯოს“ და, სიმღერის რთული და სწორი არჩევანი მოუწონა. ასევე, დაინტერესდა კონკურსანტის სხვა ჟანრით, კერძოდ, ლირიკული სიმღერების შესრულებითა და შესაძლებლობებით. როდესაც პასუხად მიიღო, რომ ნოდარს გრძელი ნოტებიც კარგად გამოსდის, ყოჩაღო, უთხრა და დააყოლა, სიამოვნებით დაველოდები შემდეგ ტურებსო. აგუტინი კი იმეორებდა: ეს შესანიშნავი იყო და მეტი კომენტარი, აღარ არის საჭიროო. დიმა ბილანი მხოლოდ თავს იქნევდა და ტაშს უკრავდა კმაყოფილებისგან. ბოლოს ნოდარმა მასაც ჰკითხა აზრი მის გამოსვლაზე: ძალიან მაინტერესებს თქვენი შეფასებაცო და ასეთი პასუხი მიიღო: „თქვენ რა, ეჭვი გეპარებათ საკუთარ თავში? მე არ მიკვირს, როცა ადამიანი სცენაზე დგას და მღერის. მაგრამ, ამ ორ წუთში, თქვენ იმდენი რამ გვაჩვენეთ, თქვენი მოძრაობებით, რომ ეს იყო კარგი სანახაობა, პლუს სიმღერით სიამოვნება. ვინც არ უნდა აირჩიო ხელმძღვანელად, მე ძალიან მომწონხარ და, მჯერა, უფრო მეტი შეგიძლია“.




ასე რომ, ქართველმა კონკურსანტმა, ჟიურისგან დადებითი შეფასებები მიიღო და მისმა ენერგეტიკამ, პოზიტივმა არა მარტო დარბაზში მსხდომნი, არამედ, შემფასებელებიც მონუსხა. ჟიურის არც ერთი წევრი არ მალავდა, რომ ოთხივეს სურდა, ნოდარის საკუთარ გუნდში ყოლა. თუმცა, მომღერალმა, აქაც ქართული ჯენტლმენობა გამოიჩინა და ხელმძღვანელად პელაგია აირჩია, რომელიც ჟიურის დანარჩენი წევრებისგან განსხვავებით, მეტად აქტიურობდა. ყველანაირად ცდილობდა, საკუთარ გუნდში აეყვანა ნიჭიერი კონკურსანტი – კეკლუცობითა და თბილი სიტყვებით ცდილობდა კონკურსანტის „გადაბირებას“. როგორც ამბობენ, პელაგია, განსაკუთრებით ქართველი კონკურსანტებით არის აღფრთოვანებული და ამას არც მალავს. ამის გამო ლეონიდ აგუტინი ეხუმრება, შენ საქართველოსთან რაღაც გაკავშირებსო. ცნობისთვის, გასულ წელს მის გუნდში ორი ქართველი მომღერალი იყო, კერძოდ, აჩი ფურცელაძე და ანრი გოგნიაშვილი. რომელთა გამოსვლაც ისეთივე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის, როგორც ნოდარ რევიასი.

ჩვენ, რასაკვირველია, ნოდარს წარმატებებს და შემდეგ ტურებში გამარჯვებას ვუსურვებთ!

**ნონა დათეშიძე**

# როგორ გახდა კახა ჯოხაძე მრავალცოლიანი და მეგობრობენ თუ არა მისი ცოლები ერთმანეთთან



**სუფრასთან ხშირად უთქვამთ, მსახიობი კაცი ხარ, მიდი რა, ერთი ლექსი წაგვიკითხე, ან პატარა გვითამაშეო. ასე არ ხდება, ხშირად მსახიობის დანიშნულება ეშლება ხალხს**

*მსახიობმა კახა ჯოხაძემ უკვე კარგა ხანია, მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა – მიუხედავად იმისა, რომ „შუა ქალაქში" ჩვენი რესპონდენტი წლების წინ გამოჩნდა, მაყურებლისთვის ის დღემდე ვახუნხულად რჩება. ახალი სეზონი, ახალი შემართებით დაიწყო და მის ცხოვრებაში ბევრი სასიამოვნო სიახლეა. ამ ყველაფერს კი ინტერვიუდან შეიტყობთ.*

**– კახა, რით ხარ ამ ეტაპზე დაკავებული? მაყურებელს თავი მოანატრე.**

– ტელევიზიაში არც ერთ პროექტში აღარ ვარ. მართალია, ჩემი ინიციატივით არ მომხდარა ეს, მაგრამ მაინც მოხარული ვარ. დაახლოებით, ერთწლიანი პაუზა მინდა, ავილო ტელესივრცეში. ვარსკვლავი არ ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რაღაც ეტაპზე შესვენება საჭიროა მსახიობისთვის, რომ მაყურებელსაც მონატრების გრძნობა გაუჩინო. ამ ეტაპზე ჩემს უსაყვარლეს ახმეტელის თეატრში ვარ და ასევე, საბავშვო სტუდია „თავდაყირაში," რომელიც „კომედის" ბიჭებმა გააკეთეს. იქ შემომთავაზეს მემუშავა სამსახიობო ოსტატობის საფუძვლების „უფროს მეგობრად," სიტყვა პედაგოგი არ მიყვარს.

**– ანუ, თავდაყირა დააყენე ყველაფერი?**

– სახელი რომ გავამართლოთ, ბავშვებთან შეხვედრებს ერთიანი, ხმამაღალი შეყვირებით ვიწყებთ, რა დროსაც მთელი გაგარინი ფეხზე დგას. ასე რომ, დილას ვიწყებ თავდაყირა. ეს ყველაფერი ახალი ხილია ჩემთვის და ძალიან საინტერესოა ბავშვებთან მუშაობა. საკუთარ შვილებს ვერ ვხედავ ისე ხშირად, როგორც მათ.

**– თეატრში რა ხდება?**

– შოტლანდიაში ვიყავით გასტროლზე გოგა თავაძის სპექტაკლით, რასაც ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები ჩამოვედით. ბევრი მიწვევა მივიღეთ, რაც სასიამოვნოა, დამეთანხმებით. არჩევნები გვქონდა თეატრში და ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი გვყავს – თამაზ გოლაძე, რომელსაც კიდევ ერთხელ მივულოცავ თქვენი საშუალებით. ეს ადამიანი მართლა ძალიან ბევრს აკეთებს თეატრისთვის. ახმეტელის თეატრი ჩემთვის სახლივით გახდა, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან კარგი სიტუაციაა იქ.

**– ბაჩო ქაჯაიაც ახმეტელის თეატრის მსახიობია, როგორც ვიცი.**

– კი, ბაჩოც ახმეტელის მსახიობია, თუმცა ის კიდევ რამდენიმე თეატრში მუშაობს.

**– მაყურებელს, ალბათ, კარგად ახსოვს სპექტაკლი „ტაქსისტი გივის სიყვარულის ამბავი," სადაც შენ და ბაჩო ერთად მონაწილეობთ.**

– ეს ვეტერანი სპექტაკლია, რომელიც თუ არ ვცდები, 2009 წელს დაიდგა და მაყურებელი დღემდე არ აკლია.

**– მართალია, არც ერთ სერიალში აღარ ხარ, მაგრამ იმაში კი ვარ დარწმუნებული, რომ კახა ჯოხაძე არავის დავიწყებია. ალბათ, ქუჩაში კვლავ აქტიურად გცნობენ.**

– ქუჩაში მანქანით დავდივარ, მე კი ისეთი ვარსკვლავი არ ვარ, რომ ხალხი მანქანაში შემომივარდეს. თუმცა, ძალიან სასიამოვნოა, თუ ჩემს გულშემატკივარს ისევ ვახსოვარ.

**– მიუხედავად იმისა, რომ „შუა ქალაქის" შემდეგ რამდენიმე პროექტში მიიღე მონაწილეობა, მაყურებელი დღემდე ვახოს ან ვახუნხულას გეძახის.**

– ვახოთი ხშირად მომმართავენ, ასევე კოტესაც მეძახიან. მაგრამ, მათ შორის სერიალში რომ ვმონაწილეობდი – „ალუბლების ქუჩა," კაციშვილმა არ იცის, იქ რა მერქვა. ისე, ჩემს მიერ განსახიერებული პერსონაჟების გამო, ყველა სახელზე მაქვს რეაქცია, საკუთარ სახელზე აღარაფერს ვამბობ. სახელების სიმრავლესთან ერთად, უამრავი ცოლი მყავს, რომლებთანაც ოჯახებით ვმეგობრობ.

**– მკითხველს მართლა მრავალცოლიანი ეგონები კახა, დააკონკრეტე შენი სიტყვები.**

– მადლობა, ერთი ცოლი მყავს და ესეც საკმარისია. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ ჩემი რეალური და ტელეცოლები ერთმანეთთან მეგობრობენ და კარგი ურთიერთობა აქვთ. ვერ მოგატყუებ და ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთთან სახლებში დავდივართ, მაგრამ შეძლებისდაგვარად, ერთმანეთს ვეხმიანებით. მოკლედ, ყველანი ბედნიერები ვართ.

**– მართალია, თავად მოხარული ხარ, რომ ტელევიზიაში პაუზა აიღე, მაინც მჯერა, რეჟისორები ყურადღების მიღმა არ დაგტოვებენ და რომელიმე ქართულ სერიალში აუცილებლად დაგაკავებენ.**

– შეიძლება, გამორიცხული არაფერია. მე, პირადად, დიდი სურვილი მაქვს, დეტექტიური ჟანრის სერიალში მოვსინჯო თავი, ან დრამაში, არ არის პრობლემა. ძალიან მაინტერესებს, ამ ჟანრში საკუთარი თავის გამოცდა. არ მინდა, კომედიური ჟანრი ჩვევაში გადამივიდეს. უკვე სერიოზულად არავინ აღარ მისმენს. რასაც გეტყვით, ამაში ბევრი მსახიობი დამეთანხმება. მართალია, დიდი მსმელი არ ვარ, მაგრამ, როცა სუფრასთან ვსხედვართ, ხშირად უთქვამთ: მსახიობი კაცი ხარ, მიდი რა, ერთი ლექსი წაგვიკითხე ან პატარა გვითამაშეო. ასე არ ხდება – ხშირად მსახიობის დანიშნულება ეშლება ხალხს.

**– გეთანხმები, მსახიობი ჯამბაზი ნამდვილად არ არის.**

– ჯამბაზები, მაღლა, გორაკზე, წვეტიანი შენობა რომ დგას, იქ არიან, დაუსრულებელ კიბეს რომ აუყვები და არ სრულდება.

**– შენს გულშემატკივარს რას ეტყვი?**

– დიდი მადლობა ყველას, სიყვარულისა და იმ სითბოსთვის, რომელსაც მათგან დღემდე ვგრძნობ.

**მარიკა ხიდურელი**








ტურისტული სააგენტო
საქართველო




## საფინანსო კომპანია საქართველო,

ვიღებთ მოსახლეობისგან სესხს წლიურ 30 %-ად. ასევე, კომპანია გთავაზობთ ავტოსალომბარდო მომსახურებას ყველაზე დაბალ პროცენტად, ავტომობილების ადგილზე დაზღვევით და გადაფორმებით. ავტოდაზღვევას უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“

www.saqartvelocompany.ge
მის. აღმაშენებლის გამზირი №151
ტელ: 2 18 18 18



## ტურისტული კომპანია „საქართველო“

გთავაზობთ ერთდღიან ტურს კახეთში

* ეგვიპტისდროინდელი ახალი აღმოჩენილი პირამიდების დათვალიერება;
* ორჯერადი კვება;
* საღამოს გასართობი პროგრამა.

**ტურის ღირებულება შეადგენს 60 ლარს.**

დაინტერესების შემთხვევაში, სკოლებისა და სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №151.
ტელ.: *18 18, 032-2-18-18

ხ47/41

ბილაინი®

# საჩუქარი ბილაინისგან!

შეიძინე ბილაინის ტელეფონი
და მიიღე მეორე საჩუქრად!



275 ლარი

360 ლარი

2 20 22 20
www.beeline.ge